

არასამთავრობო ორგანიზაცია

„იბერი“



თბილისი

2010

თამაზ ბუთხუზი

შესაძლებლის აღსრულება

UDC (უკ) 101.1:316

ბ-958

© თ. ბუთხუზი, 2010.

ბეორე გამოცემა

ISBN 978-9941-0-2448-1

თუ თქვენთვის ადამიანი საშუალებაა და არა მიზანი;

თუ თქვენ ქვეყნის მომავალი არ გაფიქრებთ;

თუ თქვენ შვილების ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ;

თუ თქვენ დანაშაულამდე მხოლოდ იმიტომ არ მისულხართ, რომ არც შემთხვევა გქონდათ და არც გამბედაობა გეყოთ;

თუ თქვენ იჯერებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის სასურველია;

თუ თქვენ ზნეობაში პატიოსნების გარდა რაციონალიზმს ვერ ხედავთ;

თუ თქვენთვის არსებობს სამშობლო სამშობლოს გარდა,

მაშინ თქვენ ეს ნაშრომი არ დაგაინტერესებთ. შესაბამისად, არ გვაინტერესებს თქვენი შეხედულება, ამ ეტაპზე ჩვენ შორის დისკუსია უსაფუძვლოა . . .

შეზღუდული დრო და სივრცე, ჩვენდამი აგრესიული გარემო, საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნის ისედაც ურთულეს პრობლემას უკიდურესად ამძიმებს და უსაფუძვლო დისკუსიისთვის დრო უბრალოდ აღარ გვრჩება. ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ამ ნაშრომზე აზრის გამოთქმის უფლება არა გაქვთ.

შეიძლება ჩემთვის მიუღებელი იყოს თქვენი აზრები, მაგრამ თავს გავწირავ, რათა თქვენ მათი გამოთქმის უფლება გქონდეთ. ეს სიტყვები ვოლტერს ეკუთვნის და ჩვენ მას ვეთანხმებით.

ჩვენი მიზანი ღირსეული ადამიანის საკადრისი საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა, ჩამოყალიბებაა. ჩვენ ამ პრობლემის სირთულე მთელი სიღრმით გვეცმის. სამწუხაროდ, რთული პრობლემის მარტივი ამოხსნა არ არსებობს და ეს ჩვენგან კომპლექსურ გააზრებას მოითხოვს. **შესაბამისად, აღნიშნულ საკითხს უპირველეს ყოვლისა ზნეობის და შემდეგ ზუსტი მეცნიერების, ფილოსოფიის, სოციალური ფილოსოფიის, იურიდიული ფილოსოფიისა და რაც მთავარია, თეოლოგიური თვალთახედვიდან განვიხილავთ.**

ჩვენ იმ სამყაროში ვიბადებით, სადაც სახელმწიფოს მოწყობის საკითხზე უკვე უამრავი თეორია თუ კანონია შექმნილი, ვცდილობთ შეძლებისდაგვარად შევიმეცნოთ ისინი და ამასაც არ ვჯერდებით, ამ კანონების ათვისებას მომავალ თაობასაც ნებისმიერი ზერხით ვაიძულებთ. იმავდროულად გვაეცოდება, დაეფიქრდეთ, თუ რამდენად მისაღებია იმ კანონების ფორმა და არსი, რომლითაც განსწავლულობას ვამუშავებთ. ამ ქმედების საფუძვლიანობაზე კატეგორიული პასუხი არ არსებობს.

ადამიანი მოაზროვნე არსებაა და ცხადია, ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება, ბუნების, სოციალური წყობისა თუ სახელმწიფოს მოწყობის თეორიებში ეჭვი შეიტანოს.

პრობლემა ცალკეული ფაქტების ანალიზიდან დასკვნის გამოტანისა და ამ დასკვნათა განზოგადების მცდელობისას ჩნდება. ცხადია, კონკრეტულის განზოგადებით ერთიანი, არაწინააღმდეგობრივი **სამყაროს განვითარების სოციალური მოდელის** შექმნის შესაძლებლობა, სირთულიდან გამომდინარე, ეჭვს იწვევს. სირთულის არსი ისეთი მოდელის შექმნაში მდგომარეობს, რომელიც ადამიანის შემეცნების ფარგლებში ჩაეტევა და ამავე დროს ფაქტებს, მოვლენებსა და რაც მთავარია, ადამიანის ბუნებას შორის სრულ ჰარმონიას დაამყარებს.

ყველა, ვინც მეცნიერების ისტორიით ოდნავ მაინც დაინტერესებულა, დაგვეთანხმება, რომ სხვადასხვა დროსა და სივრცეში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ერთი და იმავე მოვლენასა თუ პრობლემაზე უამრავი თეორია არსებობდა და არსებობს. ამავე დროს, თითოეული თეორიის ავტორი, საკუთარი აზროვნების შედეგს უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა; არც საკუთარ, არც სხვის ნერვებსა და ენერგიას არ ინანებდა, რათა სხვისი თეორია პრიმიტიულ სისუფლელედ გამოეცხადებინა, მაშინაც კი, თუ აღნიშნული თეორია სამყაროში მიმდინარე მოვლენებს მშვენივრად ხსნიდა.

მეცნიერების ნებისმიერ დარგში შოკისმომგვრელია თეორიათა სიმრავლე. ამ მხრივ სოციალური თუ სამართლის ფილოსოფიაც არაა გამონაკლისი. ეს გააზრება იწყება – „პტახოპეტის სწავლებით“ (XXVIII საუკუნე ჩვ.წ.აღ-მდე), „მკვდართა წიგნით“ (XXV საუკუნე ჩვ.წ.აღ-მდე), თხზულებით – „ჰერაკლეოპოლისელი მეფის სწავლება შვილისადმი“ (XXIII საუკუნე ჩვ.წ.აღ-მდე) და დღესაც დიდი ენთუზიაზმით გრძელდება. ეთნოსის, ერის, საზოგადოების, სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ აზრს, სოციალური ფილოსოფიის სპეციალისტების გარდა, მრავალი ცნობილი პიროვნებაც გამოთქვამდა.

შედეგი კი ისაა, რასაც გარშემო ვხედავთ.

არა, აქ ირონია არაფერ შუაშია, უბრალოდ, პრობლემა, მართლაც, ურთულესია.

იმედის მომცემი კი ისევ მეცნიერების ისტორიაა, რომლის თანახმად, ყოველ შემდგომ პერიოდში, ან თეორიათა რიცხვი მცირდება, ან ადგილი აქვს თეორიათა გაერთიანებას. თვალში საცემია ისიც, რომ არსებული თეორიების ავტორთა უმრავლესობა ძირითადად ბუნების კანონზომიერებით კი არ

ხელმძღვანელობდა, არამედ იმ პოლიტიკური ელიტის მისწრაფებებით, ვისი მფარველობის ქვეშაც თავს კომფორტულად გრძნობდა. იყვნენ და არიან ისეთებიც, რომლებიც სუბიექტურ აზრს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე იმ კანონზომიერებას, რაც სამყაროსა და მის ნაწილს – საზოგადოებას მართავს. მაგალითად, ისეთი საინტერესო რუსი მეცნიერი, როგორიც იყო ლევ გუმილიოვი, საკუთარი პოლიტიკური ელიტისგან კარგს არაფერს ელოდა, რადგან მის მსჯელობებში, ერთი მხრივ, თითქოს არაფერია ისეთი, რაც კომუნისტური იდეოლოგიის აპოლოგიას ემსახურებოდა; გუმილიოვი ისტორიულ ფაქტებსა და ეთნოსის, საზოგადოების, სახელმწიფოს, იმპერიის წარმოქმნა-განვითარებას „ბიოქიმიური“ იმპულსით ხსნიდა. ეს მისი სუბიექტური აზრია და ძნელია ადამიანი ამისთვის გაკიცხო.

ისიც გასაგებია, რა იგულისხმება ამ მეცნიერის სამშობლოს უმთავრეს იდეოლოგიაში – „რუსეთი მესამე რომია, მეოთხე აღარ იქნება“. აქ გულდასაწყვეტი ის არის, რომ „მესამე რომს“, „ერთადერთ მართლმადიდებლურ ციტადელს“, ქრისტიანობა მხოლოდ მაშინ ახსენდება, თუ ის საკუთარი იმპერიის შენარჩუნება-გაფართოების, სხვათა დაჩაგვრისთვის სჭირდება. შესაბამისად, გუმილიოვის მხრიდან ეთნოსის, საზოგადოების, იმპერიის წარმოქმნა-განვითარების „ბიოქიმიური“ იმპულსით, ანუ ბუნების კანონზომიერებით ახსნა გასაკვირი არ უნდა იყოს. ამ პრინციპის გამოყენება ხომ მათთვის მომგებიანია – „მესამე რომი ეს არაა ძალმომრეობა, ესაა „ბუნების კანონი“ შესაბამისად, უნდა მივიღოთ და დავემორჩილოთ მას. ეს შენიღბული, ფუნდამენტურ მეცნიერებას ამოფარებული იმპერიალიზმია.

ჩვენ კი შევეცდებით, გუმილიოვის მიერ განხილული ისტორიული ფაქტების, სხვაგვარი ინტერპრეტაცია შემოგთავაზოთ. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის რუსული კულტურა, მეცნიერება ან ფილოსოფია მიუღებელია. ამ ნაშრომის ეთიკური ნაწილი ნ. ბერდიაევის, ვ. სოლოვიოვის, ს. ფრანკის . . . მოსაზრებებსაც ეყრდნობა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ნაწილი კი იმ უდიდეს მეცნიერთა ნაფიქრალ-ნააზრევეთაა გაჟღერებული, რომლებიც კაცობრიობის განვითარების საფუძველს ქმნიან. ეს უდიდესი მოაზროვნენი გახლავან: პითაგორა, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, კანტი, ჰეგელი, კერკეგორი, ჰუსერლი, პრიგოჟინი, შლეიერმახერი და ეს სია შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს. წიგნის ფორმატი, უმრავლეს შემთხვევაში, მათი ციტირების საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა მათი აზრთა წყობა შენარჩუნებულია და დაინტერესებული მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად ცნობადია.

ხშირად, უმრავლესობა უმეტრების ბურჟუაზიაში გზის გაკვლევას მხოლოდ საკუთარი, სუბიექტური ხედვით, ხელის ცეცებით ცდილობს და ორიგინალობაზე ოცნებობს. სწორედ ამ ამპარტავნებასა და პატივმოყვარეობას მიჰყავს ადამიანები იმ ცხოვრებამდე, რაც ჩვენს გარშემოა.

„რა გარ მე, რა გაგაკეთე? – მე ყველაფერი შეგკრიბე და გამოვიყენე, რაც დავინახე, რაც გავიგონე და საკუთარი დაკვირვებით აღვიქვი. ჩემი შემოქმედება მრავალი განსხვავებული ინდივიდის – გაუნათლებლისა თუ ბრძენის, ჭკვიანისა თუ სულელის – მიერაა ნაკვები. სიყმაწვილემ, მოწიფულობამ, სიბერემ – საკუთარი აზრები, შესაძლებლობები, იმედები, ცხოვრების მანერა გადმომცა. მე ხშირად იმას ვიძიდი, რაც არ დამითესია. ჩემი შემოქმედება კრებითი არსების შემოქმედებაა და მას სახელად ჰქვია – გოეთე“.

ჩვენს ნააზრეს გოეთეს ეს აღიარება დაელო საფუძველად.

ამ წიგნში გამოყენებულია ყველაფერი ის, რაზედაც მიფიქრია, რაც წამიკითხავს თუ მსმენია. სწორედ, ამგვარად შეიქმნა ეს ნაშრომი, რომელიც კაცობრიობის მიერ უდიდეს პიროვნებად აღიარებულ, უმაღლესი ზნეობისა და განათლების მქონე ადამიანთა ნააზრევის რაციონალურად გამოყენების მცდელობაა. სხვაგვარად სილატაკისა და განუკითხაობის ჭაობიდან ამოსვლა შეუძლებელია, რადგან უზნეთაგან ჯერ არავის მოუგონია ის ალქიმია, რომელიც ტალახისაგან ბროლის სასახლის აშენების შესაძლებლობას მოგვცემდა.

არ არსებობს ახალი ცოდნა, რომელიც ძველს არ ეყვდნობა. რაღა თქმა უნდა, ყველა დროისა და სივრცის განათლებულთა ნააზრევი ჩვენთვის მისაღებ ჭრილშია განხილული და იმ უდიდეს

სოციალურ ფილოსოფიას ეყრდნობა, რითაც ვაჟას შემოქმედებაა გაუღენთილი და ღღემდე სრული სიღრმით გააზრებული არა გვაქვს.

ჩვენ წარმოგიდგენთ საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნისა და ჩამოყალიბების ე. წ. მატრიცულ თეორიას, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ქვეყანაში არსებულ ქაოსს უმცირეს დროში მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ერთი შეხედვით, ეს ნაშრომი ფილოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური, მეტაფიზიკური მეცნიერული მსჯელობებით გადატვირთული მოგეჩვენებათ. თუმცა, ამ ნაშრომის აღქმა ერთადერთს ითხოვს – იყო ცოცხალი!

ავტორი

„შეუძლებელია, რომ არ მოვიდნენ საცდურნი,
მაგრამ ვაი მას, ვისგანაც მოვლენ.“

(ლუკა 17, 1)

როდესაც მღვდელმთავრები, ტაძრის მეთაურები და უხუცესები გეთსიმანის ბაღში ქრისტეს შესაპყრობად მივიდნენ, მან ასე მიმართა მათ:

„ახლა თქვენია დრო და ბნელის მეუფება“ (ლუკა 22.53).

ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ანალიზისას უკეთეს გამონათქვამს ვერ იპოვით.

დიახ, ეს მათი დროა და ბნელეთის ძალაა გამეფებული ჩვენ გარშემო!

დიახ, ბოროტებისა და ნგრევის ძალა მძლავრობს სიკეთეზე!

დიახ, უგუნურება უფრო მარტივად დასამკვიდრებელი აღმოჩნდა, ვიდრე ჭეშმარიტება!

გაცამტვერდა ილუზორული იდეა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა,

„თავისუფლება“ არსებულ პრობლემებს ავტომატურად გადაწყვეტდა. რეალურად კი „თავის-
უფლების“ მიღების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები
უკვალოდ ქრება და ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა.

საზოგადოება თავსდამტყდარი პრობლემების წინაშე უმწეო, უსუსური აღმოჩნდა.

არსებული მდგომარეობის ახსნა პოლიტიკას ამოფარებული კრიმინალურ-პოლიტიკური
ძალების ტერორით იგივეა, რაც კრწანისის ველზე ბრძოლის ტრაგიკულ შედეგში ალა-მაჰმად
ხანის დადანაშაულება. ფაქტობრივად, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მეთოდოლოგიური
შეცდომაა. ეს პრობლემის ცალმხრივი განხილვაა.

რაც დაგვემართა არც სტიქიურად თავსდამტყდარი უბედურებაა და არც შემთხვევითობა. აქ,
ჩვენთან აღსრულდა უღმობელი, მაგრამ ჭეშმარიტი ისტორიული სამართალი. საზოგადოების დე-
გრადაცია გამოწვეულია იმით, რომ პატიოსნება, რწმენა, სიმართლე ჩვენს გულს, სულსა
და გონებას ვეღარ მართავს.

ჩვენზე ბნელეთის გამარჯვება სწორედ ამ მორალურ ღირებულებათა უგულვებელყოფამ გამოი-
წვია. გამეფდა იმედგაცრუებით გამოწვეული აპათია, სულიერი დაცემა, დეპრესია.

მოდით, საკუთარი თავის მიმართ ობიექტურნი ვიყოთ. ჩვენ წარმოვადგენთ არშემდგარ საზოგა-
დოებას, რომელიც განახლებისა და აღმშენებლობის სულ მცირე ნიშანსაც არ ამჟღავნებს. ირგვლივ
ბოროტების გარდა ყველაფერი გაქვავებულია.

ეს ფაქტია. უკვე ისტორიული ფაქტი.

ჩვენ მოწამლულები ვართ სისხლით, კრიმინალით, უზნეობით და იმ ზღვრამდე დავეშვიტ, რომ-
ლის იქით ადამიანი უკვე აღარაა ადამიანი.

აუტანელია ჩვენი ცხოვრება!

ეს ფრაზა ისმის ყველგან – ბაზრობასა თუ უნივერსიტეტში, სამეცნიერო კვლევით ლაბორა-
ტორიასა თუ ქუჩაში, მხატვრის სახელოსნოსა თუ ტრანსპორტში.

აუტანელია ჩვენი ცხოვრება – ეს ის ვერდიქტია, რაც ჩვენმა ხალხმა საკუთარ არსებობას
გამოუტანა.

ამ ფრაზას ზოგი სინანულით წარმოთქვამს, ზოგი – ღვარძლით, ზოგიც – ჩაფიქრებით. ამ
სიტყვებით ჟონგლირობს ოპოზიცია, პოლიტიკური კარიერის მაძიებელიცა და პოლიტიკური
ელიტაც, რომელიც მოჩვენებით რეფორმებს სწორედ ამ ფრაზით იწყებს და, რაც უფრო მჭეპარეა
მათი გამოსვლა, ეს ფრაზა მით უფრო შემზარავი ხდება.

რა იმალება ამ ფრაზის მიღმა?

გამწარებული მშობელი, რომელსაც ავადმყოფი შვილისთვის წაძალი ვერ შეუძენია; ხელოვანი, რომელსაც თავისი შესაძლებლობების გამოძღუავენების საშუალება არა აქვს; მეცნიერი, რომელიც თავისი კვლევის შედეგს ვერ ეღივება; პენსიონერი – ღირსეულ პენსიას და ა.შ.

ამ ფრაზის არსში გარკვევა ერთმანეთზე გადახლართული, სხვადასხვა ტკივილით ატვირთული, მილიონობით გულის კარდიოგრამების გაშიფვრას ნიშნავს.

ჩვენ გადარჩენის გზის პოვნას ვცდილობთ და ვეძებთ მათ, ვინც ტანჯვისაგან გათავისუფლებაში დაგვეხმარება.

სოკრატეს მოწაფე ანტისტენე სიცოცხლის ბოლოს ავადმყოფობით იტანჯებოდა.

მოსანახულებლად მისულ მეგობრებს მან კითხვით მიმართა:

– ვინ გამათავისუფლებს ტანჯვისგან?

ერთმა მეგობარმა ხანჯალი უსიტყვოდ გაუწოდა. ანტისტენემ უპასუხა.

– მე გთხოვეთ ტანჯვისგან და არა სიცოცხლისგან გათავისუფლება.

ისე გვეჩვენება, რომ თითქმის ყველა ახლობელი თუ შორეული „მეგობარი“ საქართველოს ხანჯალს აწვდის.

აუტანელია ჩვენი ცხოვრება! – პარადოქსია ეს ფრაზა ჩვენი სიცოცხლის სიყვარულის ფონზე.

სამწუხაროდ, ეს პარადოქსი უკვე რეალური ფაქტია. ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მოქალაქე, ჩვენი მოქალაქისგან, თითქმის არაფრითაა გამოირჩეული, არც შემოქმედებით, არც შინაგანი პოტენციალით და არც ტემპერამენტით; თუმცა მათი ერთობა – საზოგადოება ჩვენთვის დღემდე საოცნებო სისტემას ქმნის. ჩვენი კი . . .

შესაბამისად, საკუთარი სოციალური აზროვნების დაბალი დონე უნდა ვაღიაროთ.

ანტიკური დროიდან დღემდე, ყველა დროსა და სივრცეში, საღად, რაციონალურად მოაზროვნე, თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე მოფიქრალ ადამიანთა ძირითადი პრობლემა იყო და არის ისეთი საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეში შემოქმედებით ძალებს განავითარებს, შრომის ნაყოფიერებასა და ცხოვრებისადმი ინტერესს ამაღლებს, და რაც მთავარია, ადამიანს პიროვნულ თავისუფლებას მიაწვდის. ამიტომ ცდილობდნენ ისინი ისეთი კანონების შექმნას, რომელიც შინაგანად თავისუფალი ადამიანის კეთილ ნებას შეესაბამებოდა. ეს კანონები შესრულებადი, ბუნების კანონზომიერებასთან შეთავსებადი უნდა ყოფილიყო, ანუ სოციალური შესაძლებლობის ფარგლებში ჩატეულიყო.

განათლებულმა პატრიოტმა იცის, რომ ქვეყნის სიძლიერე, სიკეთე სწორედ ასეთი საფუძვლის შექმნა-დამკვიდრებაზეა დამოკიდებული.

ყოველივე ამას, ალბათ, სოციალური აზროვნების ძირითადი პრინციპი უნდა ვუწოდოთ.

ჩვენ ერის ძირითადი ცხოვრებისეული პრინციპებისა და ადამიანების მაქსიმალური გათვალისწინებით ჰარმონიული, განვითარებადი საზოგადოებრივი სისტემა უნდა შევქმნათ.

შევხედოთ სიმაღლეს თვალბრუნებას:

ვცადეთ ერის გაერთიანება და ერთმანეთი დავწყვიტოთ, დედაქალაქი დავანგრეოთ;

ვცადეთ ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლება და სასაფლაოების მარცვამდე, ჩვენი კლასიკოსების ბრინჯაოს ბიუსტების ჯვართად ჩაბარებამდე დავვადოთ;

ვცადეთ პარლამენტის შექმნა და მივიღოთ ის, რასაც ადამიანი სახელსაც ვერ მოუძებნის;

ვცადეთ ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბება და კორუმპირებული მონსტრი მივიღოთ;

ვცადეთ ევროპული და არაევროპული სახელმწიფოების გაცნობა და ეს ქვეყნები კრიმინალითა და იაფფასიანი სექსუალური ხორციით გავავსოთ;

ვცადეთ ზნეობის ამაღლება და ქუჩა უწლოვანი მეძაგებით აივსო.

ყველაფერი ვცადეთ!

ზომ არ გვეცადა ერთიც – აზროვნება,

რათა იმ კანონზომიერებაში გავერკვეთ, რომელიც ნორმალურ, ღირსეული ადამიანის საკადრის საზოგადოებას ქმნის, რათა ჩვენი საზოგადოების მეტ-ნაკლებად განათლებული ნაწილის საკუთარი ბედისადმი გაუგონარი, გულგრილი, დამამცირებელი მიდგომის ასახსნელად ჩვენ შემდგომ თაობებს სერიოზული თავის მტკრევა არ მოუწიოთ.

გავერკვეთ – რა გვტანჯავს?!

სილატაკე – დიას, სილატაკე!

ის ფიტავს და თრგუნავს ადამიანს. სწორედ ესაა ჩვენი შიდა თუ გარეშე მტრებთან დაპირისპირებისას გამოძვლებული უსუსურობისა და დაუცველობის მიზეზი.

სულიერი სილატაკე – ერთი მხრივ, უსაზღვრო ამპარტავნება და, მეორე მხრივ, პიროვნების არასრულფასოვნების კომპლექსი, ვიღაცისადმი, თუ რაღაცისადმი აბსოლუტური მორჩილება. სწორედ, სულიერი სილატაკეა მატერიალური სილატაკის საფუძველი. სულიერად დატაკთა სიმრავლე მთელი საზოგადოების დეგრადირებას იწვევს: ანგრევს კულტურას, მორალს და შედეგად ფასეულობათა გადაფასება, დევაღვაცია მიმდინარეობს. უქონელთა სულიერი სილატაკე მქონებელთა სულიერ სილატაკეს განაპირობებს, რადგან საზოგადოებაში უქონელთა და მქონებელთა სრული იზოლირება შეუძლებელია. ამრიგად, საზოგადოება ინგრევა, იფიტება და იშლება ყველა დონეზე. სწორედ ამ მდგომარეობის ნათელი დადასტურებაა კორუფციის, კრიმინალის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, პროსტიტუციის, . . . არნახული ზრდა; ესაა საზოგადოების სულიერი გამოფიტვის შედეგი. და ცხადია, ამ უკანასკნელ პრობლემათაგან მქონებელნი ყველაზე უფრო დაუცველნი არიან.

სილატაკე საშინელებაა თუნდაც იმიტომ, რომ ის მთელ ჩვენს დროს ითხოვს. შესაბამისად, გააზრების საშუალება აღარ გვაქვს. შედეგად, სითამამის, თავისუფლებისა და სწრაფვის იმპულსიც კი ქრება. ეს ის ამაზრზენი მდგომარეობაა, როდესაც მთელი ჩვენი ენერგია მხოლოდ არსებობის შესანარჩუნებლად იხარჯება. ამიტომაც, რომ სილატაკე მთელი სისასტიკით ადამიანის ღირსების წინააღმდეგაა მიმართული.

სილატაკე ადამიანის დაქვეითებული ენერგეტიკული მდგომარეობაა, რაც მასში დაუნდობლად კლავს სიხარულს. ადამიანი „სალათას ძილში“ გადაჰყავს. პრობლემის ტრაგიზმი ის არის, რომ შეიძლება ადამიანს არსებობის საშუალება ჯერ კიდევ შემორჩა, მაგრამ ეს მის სილატაკის ზღვართან მიახლოებას სულაც არ გამოიწვევს.

სილატაკისკენ მიმავალ გზაზე არც შლაგბაუმი დაგხვდებათ და არც გამაფრთხილებელი აბრა წარწერით – „აი, ამ ხაზის შემდეგ იწყება ის, რაც შენში ადამიანს გასრესს!“

სილატაკის მუხანათობა ის არის, რომ მისი ზღვარი შეუმჩნეველია. მასთან მიახლოებული ადამიანი ისეთი დაბრმავებული და დაჩლუნებულია, რომ ველარაფერს გრძნობს. სანაცვლეში პურის ნაჭრის ძიება სილატაკის ზღვრის გადალახვას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. შესაძლებელია ეს ზღვარი უახლესი მარკის საკუთარი მერსედესითაც გადაილახოს. სილატაკე მაშინ იწყება, როდესაც ადამიანი მის გამოწვევ მიზეზებზე აღარ ფიქრობს, როდესაც ადამიანი საკუთარ სინდისთან კომპრომისზე მიდის.

საშიში მხოლოდ ის კი არაა, როცა ადამიანი სილატაკეში იმყოფება, უფრო მეტად საშიშია, როცა სილატაკე იმყოფება ადამიანში.

დადგენილია, თუ რატომ არის ზოგიერთი ერი მდიდარი, ზოგი კი სიღარიბის ჭაობში იხრჩობა.

თუ საზოგადოება, ერი, სახელმწიფო ვერ ან არ ახერხებს ისეთი სისტემის შექმნასა და დამკვიდრებას, რომელიც მის ყოველ მოქალაქეში პატიოსნებას, შრომისა და სიცოცხლისადმი ინტერესს ამაღლებს და თავისუფალი საზოგადოების განვითარებას შეუწყობს ზელს, ასეთი ერი განწირულია.

ნებისმიერი ლატაკი სახელმწიფოს არსებობა სწორედ ამ პრინციპის გაუზარებლობით აიხსნება და არა აქვს მნიშვნელობა, ეს სახელმწიფო 3000 წლის წინ შეიქმნა, თუ გუშინ.

ამიტომ ვცდილობთ ერისა და სამშობლოს კეთილდღეობაზე მოფიქრალთ გავაგებინოთ ის, რის გარეშეც სილატაკის დაძლევა, უბრალოდ, შეუძლებელია. ამ მიმართულებით ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამთ, თუ ერის გადარჩენის ხელშეშლელ ყველა დევექტს, ბარიერს არ გავითვალისწინებთ.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც კეთილი ნების ადამიანები მიხვდნენ, რომ გაუზარებელი, არააპრობირებული, ე.ი. ცხოვრებაში გამოუცდელი თეორია თუ ქმედება საზოგადოებისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა ახალი, ორიგინალური სოციალური თეორიის შექმნა ქალაქზე დასაშვებია და შესაძლებელია. ეს უწყინარი მცდელობაა და, ალბათ, აუცილებელიც. თუმცა, თუ ადამიანის მიერ გააზრებული სოციალური თეორია ბუნების კანონზომიერებას არ ექვემდებარება, მისი ცხოვრებაში დამკვიდრება უბრალოდ დაუშვებელია, რადგან ექსპერიმენტის ჩატარება არსადაა ისე საშიში, როგორც სოციალურში, თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვათა შეხამება „ექსპერიმენტი ადამიანებზე“ უადრესად არაეთიკურია.

ეკოლუციას ნახტომისებური განვითარება თითქმის არ ახასიათებს. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, „არ უყვარს“. ცივილიზაციის განვითარების მეცხეულ, ნახტომისებურ ცვლილებას კაცობრიობამ კატასტროფა უწოდა.

ანტიკური კულტურა და მისი შემადგენელი მთავარი ნაწილი – მეცნიერება, ევროპამ, თუ არ ვცდები, ექვსჯერ გაიხსენა (ალბათ, ისტორიკოსი მეტს დათვლის) და განვითარების არსებულ ღონეს სწორედ ამით მიაღწია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ანტიკური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი მეცნიერებისა და ფილოსოფიის ხელოვნებად წარმოდგენა გახლდათ. ბერძნული აზრი აღქმად სამყაროს ერთ მთლიანობად განიხილავდა. გასხივოსნების მაღლი, არსებულის მართებული ხედვა, მათემატიკური აბსტრაქცია, ფიზიკის სიზუსტე, აზრის სიღრმე, წინსწრაფვით მოძრავი ფანტაზია, ამაღლებული მგრძნობიარობა, ხალასი სიყვარული – ესაა ის, რის გარეშეც მთლიანობის შემეცნება შეუძლებელია. ფილოსოფია და მეცნიერება მხოლოდ ხელოვნებისა და პოეზიის ზეობისას ვითარდება.

დიახ, ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ უგვრძნია საკუთარ არსში წმინდა სილამაზე, აღმშენებლობას ვერასდროს შეძლებს.

დიახ, პოეზია ის საწყისი, ის მატრიცაა, რომელიც ფილოსოფიის, მეცნიერების, შემოქმედების, მისტიკური რეალობის ხედვის ერთობას მოიცავს.

დღევანდელი გადასახედიდან ანტიკური კულტურის მთლიანობის აღქმისას ნათლად წარმოგვიდგება ხელოვნებისა და ნატურფილოსოფიის ერთდროული იდენტური აფეთქების ფენომენი. ჩვენს ერამდე 550 წელს კუნძულ დემოსზე გამარჯვების ქაღალმერთ ნიკეს ფრთიანი ქანდაკება იბადება. ესაა ბერძნული გენიის პირველი აღმაფრთოვანებელი სკულპტურული ღიმილი; და იდგმება პირველი ნაბიჯები ფილოსოფიაში – მილეტის სკოლა, პითაგორა. . . შემოქმედებას ავითარებენ სკულპტორები: ფიდიასი, მირონი, პოლიკლეტი. . . დრამატურგები: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე. პოეტები: ანაკრეონი, პინდაროსი, კორინა. . . ფილოსოფოსები: ანაქსაგორა, ქსენოფონი, პარმენიდე, ძენონ ელეელი, ემპედოკლე, დემოკრიტე, უდიადესი სოკრატე . . .

– შემთხვევითობაა?

– არა!

ევროპაში ანტიკური კულტურის მივიწყების, ანუ მეხსიერების დაქვეითების პერიოდს – შუა საუკუნეებს – ისტორიკოსები ბნელ საუკუნეებად მოიხსენიებენ. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ პერიოდს აქვს თავისი მომხიბვლელობა – ამჟამად მივიწყებული, ადამიანთა რაინდული, ამაღლებული ურთიერთობა.

მეხსიერების, შემოქმედების არსი ის არის, რომ ყოველი რენესანსი, ანუ გასული ეპოქის მიღწევათა არსის ახლებური წვდომა, აღორძინება და თანამედროვეობის განვითარების საფუძვლად

აღიარება აძლიერებდა ერის ფესვებს და ამდიდრებდა საზოგადოებას. ამიტომაც, რომ არც ერთი რენესანსი არ იმეორებდა მეორეს, ის წინამორბედზე უკეთესი იყო.

ცივილიზაციის რენესანსის ეპოქები სოციალურ-ტექნიკურ რევოლუციად კი არა, ევოლუციის გარკვეული დონის დასკვნით ეტაპად უნდა განვიხილოთ, რაც დიდი დროის განმავლობაში დაგროვილ აზრთა გადამოწმების, დახვეწის, ადამიანთა ინტელექტის გაერთიანების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

მოვლენის შემეცნება, მისი დეფინიცია აზროვნებით ხდება. შემეცნებული მოვლენის განზოგადება – ინტელექტით. შემეცნების საზღვრების გარღვევა, ანუ მოვლენის ზერაციონალური ხედვა, ლეთის ანარეკლით გასხივოსნება კი უკვე შემოქმედებაა.

ერთი მხრივ, მოვლენის გააზრების ასეთმა იერარქიამ შეიძლება ადამიანს აფიქრებინოს: რა საჭიროა გააზრების ქვედა საფეხურები, როდესაც არსებობს უნიკალური ზედა – შემოქმედება?! ან რა საჭიროა სახელმწიფო წყობის შესახებ ამდენი მსჯელობა, ჯონ ლოკისა თუ შარლ ფურიეს თეორიების შედარება და გარჩევა, მაშინ, როდესაც ყველა ოჯახში სხვადასხვა გამოცემის წმინდა ოთხთავი დევს და ბიბლიური ათი მცნება თითქმის ყველამ ზეპირად იცის.

მართლაც, ქართველ კაცს ამდენი პროგრამა, პარტია, ლოზუნგი, ან პენდლტონის „სახელმწიფოს სამსახურის კანონი“ რაში სჭირდება, როდესაც ზეცამდე ამაღლებულმა, ქალამებიანმა, მამაკაციური მარჯვენით, შავით თეთრზე დაგვიტოვა:

**„მაღლობა შენდა დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა,
ეკლებზე ვწევარ არაფერს ვიმჩნევ
მაინც ღმერთს ემაღლობ – ეშმაკს შეშურდა!“**

ჩვენი ტრაგედია სწორედ ის არის, რომ ვაჟას, სოკრატეს, . . . შემოქმედების აღსაქმელად, ბე-თოპოვნის მეცხრე სიმფონიის მოსასმენად ჩვეულებრივ მოკვდავს იარაღით იძულება სჭირდება.

რათა მრავალი ეზიაროს ამ ჭეშმარიტების წვდომის უდიდეს ბედნიერებას, ქვედა საფეხური – ინტელექტი აუცილებელია!

„მე შორს იმიტომ ვინებები, რომ გიგანტების მხრებზე ვდგავარ“ – თამამად გამოტყდა აიზეკ ნიუტონი.

ჩვენ სწორედ ეს გვაკლია – შორსმჭვრეტელობა, რის გამოც გაუცნობიერებელ ქმედებამდე დავდებით. შედეგი კი საკუთარ სულსა და სხეულზე ვიგრძენით.

ამიტომ ჩვენი მიზანი სულიერი ნიადაგის მომზადებაა, ხოლო მარცვლებს ზეცასთან ნაზიარებ გენიოსებს ჩავაყრევინებთ.

მართლაც, დაუკვირდეთ, უმრავლესობას ნორმალური, ადამიანური ცხოვრება გვსურს, ცივილიზებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნაზე ვოცნებობთ, შედეგი კი ყველასთვის ნათელია. გამოდის, რომ ჩვენთვის საოცნებო საზოგადოების შექმნა თითოეული ჩვენგანის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ვცდილობთ გაერთიანებას, ვიკრიბებით, ვქმნით პარტიებს, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საშველი მაინც არ არის.

დაუკვირდით – თითოეულ ჩვენგანს, ანუ კონკრეტულ „მე“-ს, ნორმალური ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრება სურს; იგივეს გიპასუხებთ ნებისმიერი ჯგუფი, საზოგადოება – „ჩვენ“; შედეგი კი ჩვენი უსახური ცხოვრებაა.

გონებამახვილ ადამიანს უჩნდება უმთავრესი კითხვა: თუ „მე“-სა და „ჩვენ“-ის ნება-სურვილით შედეგს ვერ ვაღწევთ, მაშ რა არის ის „მესამე“, რაც ღირსეულ ცხოვრებასთან მიგვიყვანს?

ამ პარადოქსში გარკვევა გაცილებით მეტ ჩაფიქრებას, ჩაღრმავებას, თვითკრიტიკას მოითხოვს. ბავშვური გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი თავისთავად გამოსწორდება.

თუ ქართული ინტელიგენცია ჯერ კიდევ სუნთქავს, ე.ი. სიცოცხლის რაღაც ნიშანწყალს ავლენს, ეს ადამიანთა ისტორიისა და გამოცდილების გააზრების უნარში უნდა გამოძვლავდეს. მაშინ მიხვდება ინტელიგენცია, რომ განწირულია ის ხალხი, რომელიც მუდმივად ვიღაცის დახმარების იმედით ცოცხლობს, მიხვდება, რომ

არაფერია იმაზე საშიში, ვიდრე უმოქმედო გონება, გაქვავებული კონსერვატიზმი და ხელის ჩაქნევა.

მომხდარზე პასუხისმგებლობას ვერც ერთი ჩვენგანი აიცილებს!

დღეს ერი ვალდებულია საკუთარ ინტელიგენციას მკაცრად მოსთხოვოს გონების ამუშავება, რადგან ჩვენ ღირსეულ ყოფამდე მხოლოდ ეს მიგვიყვანს. ამაზე უნდა ფიქრობდეს ყველა პატრიოტი, ვინც მომავალზე ზრუნავს.

სხვადასხვა აზროვნების დონესა თუ მსოფლმხედველობის საფუძველზე მდგომი ინტელექტუალური ნაწილის გაერთიანება მხოლოდ თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა მოხდეს.

არ იფიქროთ, რომ ახლა დადგა ამის დრო. არა, ინტელექტუალური გაერთიანების პროცესისთვის ისტორიულად განკუთვნილი დრო უკვე იწურება.

დიახ, ჩვენ სხვა მრავალ დეფიციტთან ერთად დროის სასტიკ უკმარისობასაც განვიცდით.

დრო უნიკალური ფენომენია.

დროს ადამიანის ოცნებებიდან რეალობაში დაბრუნების უღმრთელი თვისება გააჩნია. რეალობა – ჩვენი ცხოვრება – იმდენად უსახურია და ისეთი სილატაკითაა გაჯერებული, რომ ოცნებაც კი აზრს კარგავს.

თუმცა, მოაზროვნე ადამიანს ამ პირობებშიც კი აქვს უნარი, პრობლემას მკაცრი ლოგიკით მიუდგეს, ეძებოს და იპოვოს გამოსავალი. შედეგად ის აუცილებლად მიხვდება, რომ **დროს ყველაზე მკაცრად შეუძლია დარწმუნება.**

მეხსიერება

დრომ დაგვარწმუნა, რომ თავისთავად არაფერი შეიცვლება, თუ ჩვენ თვითონ არ შევიცვალეთ.

ამ ცვლილებას ღრმა გააზრება სჭირდება, რადგან, ერთი მხრივ დასადგენია, რაა ჩვენში შესაცვლელი, მეორე მხრივ – როგორ და საიდან დავიწყეთ ეს ცვლილება.

მართლაც, რა არის ჩვენს საზოგადოებაში უპირველესად შესაცვლელი? რა არის ის უმთავრესი დეფექტი, რაც ღირსეული ცხოვრების დამკვიდრებაში ხელს გვიშლის?

იქნებ ეს დეფექტი იმ უნიკალურ ფენომენშია, რასაც მეხსიერებას ვუწოდებთ?

მეხსიერება არაა უბრალო ბიოლოგიური მექანიკა, ის შემოქმედებაა. ის განსაზღვრავს პიროვნების ხასიათს, ჩვენს გონებასა და გულს მართავს. მეხსიერებით გადმოღის წარსული აწმყოში, მხოლოდ მას შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს დროს, დაამარცხოვოს სიკვდილი.

მეხსიერებადაქვეითებული ადამიანი მოკლებულია ფასეულობათა შედარების შესაძლებლობას, ავისა და კარგის გარჩევის უნარს.

შესაბამისად, მეხსიერებამოკლებულ ადამიანს არა აქვს სიკეთის დაფასების უნარი.

მეხსიერების გარეშე არაა განათლება, სინდისი, პატიოსნება, ზნეობა.

ყველა ზნედაცემული ბოროტმოქმედი ზრახვების აღსრულებისას თავისი მსხვერპლის ცუდ მეხსიერებას ეყრდნობა. შესაბამისად, ცხოველური ინსტინქტებით შეპყრობილი კაცობრიობის მცირე ნაწილი მხოლოდ იმიტომაც აღზევებული, რომ დანარჩენი ნაწილის მეხსიერებას ბზარი აქვს გაჩენილი.

მიუხედავად ამ „ბანალური“ ჭეშმარიტებისა, ადამიანი ბევრი რამის დავიწყებას მაინც დიდი ენთუზიაზმით ასერხებს.

მეხსიერება ბუნების განუყოფელი ნაწილია. ხესაც კი ისეთი მეხსიერება აქვს, რომ ადამიანებმა არქეოლოგიის განხრა — დენდროარქეოლოგია ჩამოაყალიბეს. გამოდის, რომ მხოლოდ ადამიანი ასერხებს საკუთარი მეხსიერების ეფექტურ დაქვეითებას.

ნებისმიერმა მეხსიერებაშემორჩენილმა იცის, რომ ყველა სივრცესა და დროში ადამიანის არსი უცვლელია. მას ისევე უყვარს ან სძულს, ისეთივე შემოქმედი, მშრომელი ან ზარმაცია, როგორც იყო თუნდაც ხუთი ათასი წლის წინ.

ცხადია, ადამიანთა ურთიერთობებში ვერაფერს მოვიფიქრებთ ისეთს, რაც ჩვენამდე არ ყოფილა. შესაბამისად, განათლებული ადამიანისათვის კაცობრიობის ისტორია ცხოვრების ის ინსტრუქციაა, რომლის ზედაპირული გადახედვაც საკმარისია, რომ გამოუსწორებელი შეცდომა მაინც არ დაუშვათ და ღირსეულად ვიცხოვროთ. ამის მიუხედავად, ჩვენ, რომელთაც განათლებით ასე მოგვაქვს თავი, ისტორიის ჯიუტი დავიწყებით, ჩვენი ცხოვრება გამოუსწორებელ შეცდომათა უწყვეტ ნაკადად ვაქციეთ.

ვიმეორებთ, ვერც ერთი ვიგინდარა თანამემამულე ვერ მოიფიქრებს იმას, რაც ოდესღაც სხვას არ მოუფიქრებია და თანაც უფრო შთამბეჭდავი მასშტაბით.

ამის მიუხედავად, კივიწყებთ მის ბიოგრაფიას და ინფანტილური სიჯიუტით, რატომღაც, საკუთარი ბედის მართვას დაუფიქრებლად, ალფრთოვანებით ან უხეში ძალდატანების შედეგად გადავცემთ ნებისმიერ თაღლითს, რომლის არსი სიცრუეა. ეს მრავალჯერ მომხდარა მანამდეც, სანამ სამამულო წარმოების პოლიტიკური შუღლერები დაიბადებოდნენ. ოდნავი დაფიქრებაც საკმარისია, რათა მივხვდეთ:

მეხსიერების შეგნებულ დაქვეითებას, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ „ამნეზიას“ ეტყობა თავისებური მიმზიდველობა, პათოლოგიური ნიბლი აქვს.

რამდენიც უნდა განიცდიდეს ამ ამნეზიისგან უღრმეს ნეტარებას, ჩვენ ამ კოლექტიური კმაყოფილების ორგანოში მონაწილეობას არ მივიღებთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვერ ვივიწყებთ — ევოლუციის სასაფლაო სავსეა დინოზავრებით, ერებით, სახელმწიფოებით და არავინ იცის, ვინ როდის მოხვდება იქ, ან საფლავის ქვა ეღირსება თუ არა.

ნუ გვავიწყდება, რომ დილით ადგომა, საკვების მიღება, სამსახურში წასვლა ან არწასვლა, საკმარისი არაა — აუცილებელია გაღვიძებაც.

იქნებ, როგორმე გავიღვიძოთ და გავისხენოთ, რისგან შედგება ჩვენი რეალური ცხოვრება.

ჩვენ ყოველ წამს დაკავებულნი ვართ წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმეებით, რომელსაც გატაცებით, გულგრილად, ან ზიზლით ვაკეთებთ; მაგრამ გვავიწყდება, რომ ყველა ამ საქმიანობის არსი, საფუძველი ერთი — ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება უნდა იყოს.

ერთი შეხედვით, ეს, თითქოს ბანალური ჭეშმარიტებაა და ამის შესწენება უტაქტობაა, რადგან აქ ახალი ან დასაფიქრებელი არაფერია.

მართლაც, რა არის იმაში მნიშვნელოვანი, თუ დედა შვილს ბანს, ღიასახლისი ბინას ალაგებს, ექიმი პაციენტს კურნავს . . .

თითქოს არაფერი . . .

არის!

აქ მნიშვნელოვანია ის, რომ სიცოცხლის გასაგრძელებლად დანაკარგის შევსება, იმის აღდგენა, რაც გაცვდა, რაც დაიხარჯა მუდმივად მიმდინარეობს. თუკი ამ პროცესის დაქვეითებას ბანალურს ვუწოდებთ, მივაღწიოთ იმ უდიდეს შეცდომასთან, იმ უდიდეს ბოროტებასთან, რამაც არა მარტო კონკრეტული ადამიანები, მათი ოცნებები და იდეალები, არამედ ერები, სახელმწიფოები და უბლიერესი იმპერიებიც კი წააშალა.

მართლაც, რა არის იმაში განსაკუთრებული, რომ ხიდან მოწყვეტილი ვაშლი მიწაზე ეცემა. ეს ხომ დასაბამიდან ყველამ იცოდა. ეს ყველასთვის ბანალური იყო, მხოლოდ აიხეკ ნიუტონმა დაინახა ამ ბანალობაში ის, რამაც ცივილიზაციის განვითარების საფუძველი შექმნა.

რა უნდა იყოს იმაზე ბანალური, რომ ბაყაყი ბაყაყს შობს და არა პინგვინს?! კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია, რომ ამ ბანალობაში მხოლოდ ჩეხმა ბერმა, მებაღემ, გრეგორ მენდელმა დაინახა ის, რასაც დღეს გენეტიკას, ევოლუციის ახალ საფეხურს ვუწოდებთ.

ოდითგანვე ცნობილია, რომ ამ ქვეყნად მდიდარი და ღატაკი ერები, სახელმწიფოები არსებობს. ესეც ელემენტარული, ბანალური აზრი იყო ყველასთვის, გარდა ადამ სმიტისა, რომელმაც ამ ბანალობის გააზრების შედეგად შექმნა ის საფუძველი, რაზეც პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერება აშენდა.

რა თქმა უნდა, გამოუღვიძებელთა აზრით, ბანალურია ის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილ ინტელექტს შენარჩუნება, გაფრთხილება სჭირდება. მათთვის ბანალურია ის აზრიც, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში კაცობრიობის ენერგიის უდიდესი ნაწილი მიღწეულის შენარჩუნებაზე იხარჯება, რათა ზვალ ისევე იცხოვრონ, როგორც დღეს, ზვალინდელი დღე უკეთესი კი არა, დღევანდელზე უარესი რომ არ აღმოჩნდეს. ცივილიზებულ ქვეყნებში ეს ბანალური აზრი კი არა, ცხოვრების ბუნებრივი, აუცილებელი კანონზომიერება და პროგრესის საფუძველი, პირველსაწყისია. არსებულის შენარჩუნებაზე ენერგიის დახარჯვის შემდეგ, თუ კიდევ შემორჩათ პოტენციალი, მხოლოდ მას ახმარენ პროგრესს. მათთვის ცხადია, თუ არსებულს არ შეინარჩუნებენ, აბსოლუტური რეგრესისთვის იქნებიან განწირულნი.

ჩვენ კი პირიქით, გაუაზრებლად ვანგრევთ ყველაფერს და ვცდილობთ, გუშინდლამდე დაგროვილის გასხვისებით, განადგურებით ზვალ უფრო უკეთ ვიცხოვროთ. ამრიგად, მესამე და მეოთხე სართულების ნგრევის ხარჯზე მეხუთე სართულს ვაშენებთ.

და იმის შესხენებას, რომ ყოველი ახალი ნაბიჯი მხოლოდ დაუზრგველ საფეხურს შეიძლება დაეყრდნოს, შეურაცხყოფად აღვიქვამთ და ბანალობად ვნათლავთ.

და გვავიწყდება, რომ სიცოცხლის გასაგრძელებლად უმნიშვნელოვანესის, მთავარის გამორჩევა, მისი შევსება და განვითარება, საზოგადოების უმაღლეს ზნეობასა და განათლებას საჭიროებს, ანუ იმას, რის ნაკლებობასაც დიდი ხანია განვიცდით. და, სამწუხაროდ, ღრმად ვართ დარწმუნებულნი,

– თუ ადამიანი, ეთნოსი, საზოგადოება ხმაურობს, მოძრაობს, მაშინ ის მიზანს უახლოვდება, ანუ, თითქოს რაღაც მანძილის გავლის შემდეგ, მიზნამდე დარჩენილი გზა მცირდება და, თუ რაღაც უკეთესობისკენ შეიცვალა, ის უცვლელი ფასეულობაა, რომელიც არასდროს გაქრება. გვერდია, რომ ღრო პროგრესს თავისთავად მოიტანს და რეგრესს ან გამოვრიცხავთ, ან იშვიათ გამონაკლისად, პროგრესირებადი ევოლუციის ლამაზი სურათის დამაზინჯებად მივიჩნევთ.

გვავიწყდება, რომ XX – XXI საუკუნეებში, ცივილიზებული სამყაროს თვალწინ წარმოუდგენელი ბარბაროსობა მოხდა – განადგურდა 160 მილიონზე მეტი ადამიანი. და ჩარლზ დარვინიც ვერაფერს უშველის მათ, ვინც ბოლომდე ვერ გაიგო მისი თეორია და უწყვეტი პროგრესის იდეაში ღრმად დადარწმუნებული. მის ევოლუციას სრულყოფისაკენ სწრაფვის შინაგანი უდიდესი იმპულსი სჭირდება.

– იმედი, რომ ევოლუცია თავისთავად ყველაფერს გამოასწორებს, სასტიკი შეცდომაა. ცხოვრებისადმი ამგვარი, ზედაპირული მიდგომა ყოველგვარ ბოროტებას უხსნის გზას.

ყველა ამაზრზენი ბოროტება ხომ ჭკვიანთა სიჩუმის ფონზე, სულელთა ხმაურში იბადება. გაიხსენოთ,

ბოროტების უდიდესი ძალა ის არის, რომ დამარცხებისას ის არ იბნევა, მას არ უჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი, ის არ იცლება სისხლისგან, რადგან სისხლი არა აქვს, ინფარქტიც არ ემართება, რადგან გული არა აქვს. ის ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იკრებს ძალას, რათა მოულოდნელად, მთელი სისასტიკით თავს დაგვატყდეს.

ამიტომ, რომ ბოროტება ჩვენს ცხოვრებაში „უეცრად“ შემოდის და მკვიდრდება. მეხსიერება-დაკარგული ვერასდროს მიხვდება, თუ საიდან გაჩნდა მის სამშობლოში „ასე უცხად“ ამდენი ზნეობრივად დევრადირებული, ამდენი სულიერად ლატაკი. ვერ გაიხსენებს, თუ როდის ან რატომ გამოგვეცალა საყრდენი.

ამ საკითხების ანალიზი მეცნიერული მეთოდით მიდგომას საჭიროებს. მეცნიერულ აზროვნებას, განსჯას, დასკვნის გამოტანას თავისი სპეციფიკა, მეთოდი სჭირდება.

ნიუ-იორკში, მდინარე ჰუდონის ნაპირზე დგას ტაძარი, რომლის თეთრ კედელზე ყველა დროის ექვსასი უდიდესი ადამიანის გამოსახულება ამოტვიფრული. ცალკე კედელზე თოთხმეტი მეცნიერია გამოსახული, დაწყებული ჰიპოკრატედან, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე დაახლოებით 370 წელს გარდაიცვალა, დამთავრებული ალბერტ აინშტაინით.

ათასობით დამთავრებულთაგან ძალიან ცოტამ თუ იცის, რით არიან ეს მეცნიერები გამორჩეულნი. ეს მათ დაანახეს კაცობრიობას მეცნიერული მეთოდის მნიშვნელოვნება.

დაფიქრდეთ.

ჩვენ უკეთესი ცხოვრებისაკენ ვისწრაფვით, გვანტერესებს სიახლეები, გვითაცებს ფუფუნების საგნები, მაგრამ გვავიწყდება, რომ ეს ყოველივე სამყაროს გააზრების მეცნიერული მეთოდის წარმატების შედეგია, ანუ იმ მეთოდის, რომლის გარეშე რაიმე სერიოზული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია.

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობისათვის მეცნიერული სული, მეთოდოლოგიური აზრთა წყობა ჯერ კიდევ შეუცნობელია. შესაბამისად, გაურკვეველია ის პასუხისმგებლობაც, რაც შემცნებადინტერესებულ მოაზროვნე ადამიანს ეკისრება იმ სულიერი და მატერიალური დაკნინების გამო, რაც ამჟამად სახეზეა.

ჩვენი დროის უბედურება ის არის, რომ თანამედროვე მეცნიერული დასკვნების აღქმა, შესაბამისად ფიქრი და მოქმედება აღარ შეგვიძლია. და თუ ჩვენს საზოგადოებაში მოაზროვნე ადამიანები ჯერ კიდევ შემორჩნენ, მაშინ ვალდებულნი ვართ, ერთმანეთი მოვებნოთ და გავაძლიეროთ, რადგან

„არავინ ანთებს სანთელს იმისთვის, რომ საწყაოს ან საწოლის ქვეშ დადგას, არამედ სასანთელზე დგამს, რათა შემოშვლელნი ხედავდნენ ნათელს“ (ლუკა 8. 16.).

„მოაზროვნე ადამიანების მცირე ჯგუფებად ჩაკეტვა, იზოლაცია ასუსტებს ერის ფილოსოფიურ სულს და ხალხი სულიერ სიღატაკეში მიჰყავს“ (ალბერტ აინშტაინი).

მეცნიერული მეთოდის ჩამოყალიბებას ანტიკურ საბერძნეთში ჩაეყარა საფუძველი. ადამიანთა ისტორიაში პირველად იქ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა აზრის თავისუფალი გამოთქმა გახდა შესაძლებელი. სწორედ ამ დროს ჩნდება არგუმენტირებული მტკიცებულების მოთხოვნილება, რაც არც ეგვიპტეში გაჩენილა, არც მესოპოტამიაში, არც ჩინეთში, რადგან ეს ცივილიზაციები ტირანიას, ავტორიტეტიზმადმი უპირობო მორჩილებას ეყრდნობოდა. ამ ქვეყნებში გააზრებული მტკიცებულების აუცილებლობის შესახებ აზრის გამოთქმაც კი უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა.

შუა საუკუნეებში სამყაროსა და მასში ადამიანის ადგილის რაციონალური გააზრებისადმი მოთხოვნილება მინიმუმამდე დაეცა.

გავრცელებულია აზრი, რომ შუა საუკუნეების დასასრული ამერიკის აღმოჩენით იწყება (1492 წ.). ზოგიერთები უფრო ზუსტად ათარიღებენ: 1250 წლის 13 დეკემბერი – როცა მეფე ფრიდრიხ II პოენშტაუფენი ფიორენტინოს ციხესიმაგრეში გარდაიცვალა.

ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების დასასრული მეცნიერული მეთოდის დამკვიდრებით დაიწყო. უძველესი პრობლემის – **აქვს თუ არა კანონზომიერება ამ სამყაროს და რა ადგილი უკავია მასში ადამიანს** – ახლებური გააზრებით იწყება რენესანსი. ყალიბდება ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაბამისი მეცნიერული მეთოდი.

მეცნიერული მეთოდი საშუალებას გვაძლევს ყველა შემოწმებად, მნიშვნელოვან მოვლენაზე ცოდნა დაგვაგროვოთ, შევინახოთ და მომავალ თაობას გადავცეთ.

ზემოხსენებული 14 მეცნიერი სწორედ იმითაა გამოჩენილი ექვსასთავან, რომ თითოეულმა მათგანმა საკაცობრიო აზროვნებას საკუთარი მეცნიერული კვლევის მეთოდი შემატა.

მეცნიერება სწავლობს არა ყველა, არამედ მხოლოდ განმეორებად მოვლენებს. მხოლოდ ასეთი მოვლენების არსის გააზრების საფუძველზე უნდა შეიქმნას თეორიები და კონცეფციები, რომლის საშუალებითაც მოვლენის განვითარების კანონზომიერებას ნაწილობრივ მაინც შევწვდებით.

თავდაპირველად, საჭიროა სამყაროს რაციონალური მოწყობის გააზრება მითებისა და „საოცრებების“ გარეშე. და, თუ ეს როგორმე შევძელით, მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება შესაძლებლობა, ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ იმ უდიადესს, რასაც აბსოლუტური გონი, უმაღლესი კანონზომიერება, ჭეშმარიტება – ღმერთი ეწოდება.

რათა ღმერთის არსებობაში დავრწმუნდეთ, აუცილებელია, ერთ მეცნიერებას მაინც შევწვდეთ, – ეს აზრი ალბერტ აინშტაინს ეკუთვნის.

უდავოა, რომ მეცნიერული მეთოდი უმძლავრესი მექანიზმია, და ესეც ბანალური ჭეშმარიტებაა.

საოცრება ეს არაა.

პარადოქსი ის გახლავთ, რომ ჩვენი საზოგადოება ამ „ბანალურ“ ჭეშმარიტებას არ უარყოფს და იმავდროულად, საკუთარი ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად არა მეცნიერულ, არამედ ავტორიტარულ მეთოდს ირჩევს, რომლის არსი შემდეგია:

ბავშვობაში, პრობლემების გადასაწყვეტად ჩვენთვის სანდო პირებს მივმართავდით და მათ რჩევებს უსიტყვოდ ვიღებდით. „ვიზრდებით“ და პრობლემის გადაჭრის მეთოდი უცვლელი რჩება. საკმარისია, გადავხედოთ კაცობრიობის ისტორიას და აღმოვაჩენთ, რომ ადამიანები პრობლემის გადაჭრის ამგვარ „შემეცნებით მეთოდს“ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმართავდნენ. თუმცა, იმასაც ხედავდნენ, რომ ხშირად მათი რჩეულნი წარმოქმნილ კითხვებზე სათანადო პასუხებს ვერ სცემდნენ. ცხადია, ამ ნიშას აქტიურად ავსებდნენ და ავსებენ ადამიანთა გარკვეული ჯგუფები – თანამედროვე „ქურუმები“, რომელთაც საკუთარი თავი ბუნებისა და ცოდნის მფლობელ მბრძანებლებად თავად გამოაცხადეს. უდიდესია მათი სწრაფვა ძალაუფლებისკენ.

პოლიტიკური ავანტიურისტები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახერხებენ დაარწმუნონ მასა, რომ ცხოვრების, ჩვენი და ჩვენი შვილების ბედის მართვის „ჭეშმარიტებას“ მხოლოდ ისინი ფლობენ და ჩვენ კი, უბრალო მოკვდავთ, იმედიც არ უნდა გვქონდეს, რომ ამ „ჭეშმარიტებას“ ოდესმე შევწვდებით. ამიტომ აუცილებელია, გაუაზრებლად ვენდოთ მათ და მალე ჩვენზე „ბედნიერ ერს“ ვერსად ვიპოვიო.

„ნაყოფით იცნობთ მათ“

„თქვენთან ძალღურად სიცოცხლეს
სიკვდილი მივგობს ცდაშია;
ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვამია!“

დრო პოლიტიკური სისტემის სასინჯი ქვაა.

ამიტომ უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ თუ ჩვენი ცხოვრების განვლილი წითელი ტერორის 70 წელი ზნეობის უხეში, შეუნიღბავი, ცინიკური უარყოფა იყო, ახლა უფრო საშიშ მოვლენასთან – სიკეთის საბურველში შეფუთულ ბოროტებასთან გვაქვს საქმე.

ანუ, თუ პირველი ეტაპი აღმაშფოთებელი იყო, მეორე მომავლის წინაშე ამაზრზენი დანაშაულია.

„ქურუმების“ მიზანი პირველივე დღიდან ნათელი იყო: თავშეუკავებელი პატიმოყვარეობისა და პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვის ფონზე ხალხში „კოლექტიური შეუგნებლობის“ დანერგვა, რევოლუციებისაგან სწრაფვა და მესამე პირისაგან ზეპირსიტყვიერად გადმოცემული, ბოლომდე გაუაზრებელი დასავლური დოქტრინებით მანიპულირება. ამას უცილობლად მივყავართ ოლიგარქიულ წყობასთან, რასაც ემატება თიმოკრატია (ტერმინი თიმოკრატია აქ განიხილება, როგორც აგრესიული, გაუნათლებელი ბანდის მმართველობა („Team“ – ინგლ. ჯგუფი, გუნდი).

მათ არ იციან, ჩვენ კი გვაგიწყდება, რომ ნებისმიერი რევოლუცია, როგორც უნდა იყოს ის, სისხლიანი თუ უსისხლო, მხოლოდ ძველი ცხოვრების დასასრულია და, სამწუხაროდ, არა ახალი, უკეთესი ცხოვრების დასაწყისი.

რევოლუციას მხოლოდ ძველის ნგრევა მოაქვს, ხოლო ახლის შენებისათვის უმაღლესი ზნეობა, განათლებაა აუცილებელი. თუ საზოგადოების პოლიტიკურად აქტიურ ნაწილში არის უმაღლესი ინტელექტი, პატიოსნება და ზნეობა, მაშინ რა საჭიროა რევოლუცია?

პარადოქსია!

როდის მივხვდებით, რომ ფაზა, რომელშიც ქვეყანა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე იმყოფება, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს, იმ მარტივი მიზეზით, რომ რაც უფრო იხვეწება მმართველი ელიტის უზნეობა, ჩვენი პატიოსნება ინფანტილიზმში მით უფრო მკვეთრად გადადის. სამწუხაროდ, განსხვავებას ვერ ვპოულობთ ზრდილსა და ბრიყვს შორის; და, როცა ეს მთელი საქართველოსათვის ნათელი გახდება, შეიძლება გვიანი აღმოჩნდეს. ჩვენთვის დღეს ქმედება უკიდურესად აუცილებელია, რადგან

ჩვენ არ ვიცით რა არის ადრე – ვიცით რა არის გვიან!

ცხადია, აზროვნების ორიენტირის შეცვლას დრო სჭირდება. ამიტომ ჩვენი უპირველესი საზრუნავია, როგორმე გავაერთიანოთ საზოგადოების პატიოსანი ნაწილის პოტენციალი, რათა ამ უმსგავსობის წინაშე ზნეობრივი ბარიერი მაინც აღმართოთ. ურთულესი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რადგან „პოლიტიკური ელიტა“ აქტიური ქმედებისთვის მცირე არეალსაც არ გვიტოვებს.

არსებული რეალობა ცხადყოფს ორ ურთიერთგამომრიცხავ პათოლოგიას: საზოგადოებაში არასრულფასოვნების კომპლექსის დამკვიდრებას, და იმავედროულად, უზნეო უმცირესობაში ყოვლისშემძლეობის მანიის აღზევებას; ამრიგად, მიმდინარეობს არა საზოგადოების აზროვნების ჰორიზონტის გაფართოების მცდელობა, არამედ მისი ხელოვნურად დაეწროება, რაც ყოფიერების გააზრებას თავისთავად გამორიცხავს. ეს შეზღუდული სივრცე „პოლიტიკური ელიტის“ პირადი ინტერესების დაცვას წარმატებით ემსახურება და მას მის მიერ აღქმული მწირი სამყარო ყოვლისმომცველად ეჩვენება.

პარალოქსია, მაგრამ ასეთი ადამიანები ხშირად მართვის სადავეებს იგდებენ ხელში. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია „საოცრება“, – ახალი პატრონი ძველს არაფრით სჯობს, რადიკალური ცვლილება უბრალოდ ილუზიაა და ახალი პატრონისადმი უდრეკი ფანატიზმი, სხვისი აზრისა და მისწრაფების შეუწყნარებლობა, პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ფანატიზმსა და ძალადობას საზოგადოება ბუნებრივად მიჰყავს არასრულფასოვნების კომპლექსთან, „აღმოჩენასთან“, რომ საკუთარი ინტელექტით რაიმეს შექმნა შეუძლებელია და გამოგვაქვს „დასკვნა“: ჩვენ ინტელექტუალური იმპოტენტები ვართ და დასაოროსულებლად აუცილებელია „იქიდან“ ვინმე „ღვთისნიერი“ ჩამოვიყვანოთ . . . შემდეგ კი შევეცადოთ, ამგვარად შობილი „ინტელექტი“ ჰუმანიტარული რძით გამოვზარდოთ.

დევრადირებული „პოლიტიკური ელიტის“ მიზანს ამ აზრის დამკვიდრება წარმოადგენს. ეს მისი არსებობისათვის აუცილებელი პირობაა, რათა საკუთარი ეგოისტური ვნებები დაიკმაყოფილოს. შეუძლებელია მათი გამოსწორება. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადასაჭრელად გაცილებით რაციონალურია იმ საზოგადოების თავისუფლების ხარისხის ამაღლება, ანუ იმ საზოგადოების გამოსწორება, რომელიც ამ ადამიანთა ქმედებებს ითმენს.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვისაც რაიმეს გააზრება და შექმნა შეუძლია, ცხოვრების პერიფერიაზე, რეზერვაციაში მიერეკებიან, რათა მათ ხმა ვერავის მიაწვდინონ, თან მასმედიის დაშინება-მოსყიდვასაც აქტიურად მიმართავენ. ცხადია, საკუთარ უსაფრთხოებაზე მზრუნველ მასმედიას საზოგადოებაში ზნეობისა და შემეცნების დონის ამაღლებისთვის აღარ სცალია, ეს მისთვის არამომგებიანია! ამგვარი მასმედიის საშუალებანი მხოლოდ „პატარა ადამიანებისათვის“ „დიდი ადამიანების“ შექმნას ემსახურებიან. ეს ზომ მათი არსებობის ერთადერთი საშუალებაა.

ასეთი პრიმიტიული გზით „დიდი ადამიანების“ აღზევნა თავის არსში უდიდეს ბოროტებას მოიცავს, რადგან საზოგადოებაში ამკვიდრებს თიმოკრატიის არსობრივ საფუძველს, აზრს, რომ ერისა და სახელმწიფოს ბედის მართვა განათლების, ზნეობის გარეშეც შესაძლებელია.

ცხადია, ამგვარი რეზერვაციების მოწყობა მხოლოდ ზმანებით მცხოვრებ, გაპრიალებული ყუთის ეკრანიდან „შემეცნებად“ საზოგადოებაშია განხორციელებადი.

ნურავინ გვიწყენს, თუ აქედან შემდეგ დასკვნას გამოვიტანთ:

შედეგიდან გამომდინარე – თუ ჩვენ, მენსიერებად აკრულებმა, არჩვენებში ხმა მივეცით ვინმეს, ისე, რომ არ გვიკითხავს, როგორ აღასრულებს დანაპირებს და რა ზნეობრივ საფუძველს დაეყრდნობა, მაშინ რეალურად ის ქურუმად, წინასწარმეტყველად გამოვაცხადეთ.

არა, ეს არაა ირონია.

ეს ჩვენი დღევანდელი დაქვეითებული სოციალური აზროვნების შედეგია.

ავტორიტარული მეთოდის ამაზრზენი ბოროტება ის არის, რომ ის ადამიანს შემოთავაზებული დასკვნების, რაღაც გაუაზრებელი „ცოდნის“ სრულ მონობაში აქცევს პრინციპით – „ასეა საჭირო და მიტომ“. ქმედების რაციონალურობასა და ქურუმთა ცოდნაში ეჭვის შეტანა, უბრალოდ, აკრძალულია. ყველაფერი პოლიტიკური ქურუმისადმი ურყევ რწმენას ეყრდნობა.

აი, ეს არის საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის ავტორიტარული მეთოდის გამოყენების შედეგი.

„მაგრამ უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, საკუთარი გონებით ვიაზროვნოთ და ვიცხოვროთ“ – იმანუილ კანტი.

დიახ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ „პოლიტიკოსს“ არ აუხსნია ჩვენთვის

– რა უნდა, როგორ მოახერხებს დანაპირების აღსრულებას, ან რა ზნეობრივ საფუძველს დაეყრდნობა?!

მართლაც, გვეყოს ვაჟკაცობა და ნუ დავუშვებთ ავტორიტარული მეთოდის გაბატონებას!

„ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს: ნურც თქვენს მარგალიტს დაუყრით ღორებს, რათა არ გათელონ იგი თავიანთი ფეხით და მოგიბრუნდნენ და დაგფლითონ თქვენ“ (მათე 7.6).

ვალდებულნი ვართ გავიხსენოთ, რომ მეცნიერების, ფილოსოფიის, რელიგიის გარეშე ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბება შეუძლებელია. არ უნდა დაგვავიწყდეს ლეკარტესა და კანტის მოსაზრებაც, რომ მეცნიერული მეთოდის ათვისება, გამოყენება მხოლოდ კონკრეტული ადამიანის ინტელექტზეა დამოკიდებული. ამიტომ, თუ თავს ამაღლებული ინტელექტის მქონე ადამიანად მივიჩნევთ, მაშინ მეცნიერული მეთოდის შესაბამისად უნდა შევძლოთ პრობლემის ჩამოყალიბება, გააზრება, ანუ იმ ძირითად მიზეზებში გარკვევა, რამაც დაავადა, დაავალიდა, დააბრმავა ჩვენი საზოგადოება.

ბოროტებას საწყისი არა აქვს, მაგრამ ის ცხადად გამოსახული რეალობაა და ალბათ, მასაც რაღაც ძალა მართავს. ეს ის ძალაა, რამაც ჩვენ ცხოვრება, საკუთარი „მეს“ გამოვლენა გონებისა და ნებისყოფის დაძაბვის გარეშე შემოგვთავაზა. სანაცვლოდ კი ჩვენზე ღვთიური გავლენის დათმობა მოითხოვს.

ჩვენ გავაკეთეთ არჩევანი.

ფარდა დაეშვა.

ადამიანი დაყრუვდა უმაღლესის მიმართ.

მინიმუმამდე დაეცა ნებისყოფა.

ცდუნება გათავისუფლდა.

ადამიანმა სულიერი დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ციურ იერარქიას, ანუ უარყო უმაღლესი კანონზომიერება.

ბოროტებამ ადამიანსა და კოსმოსს შორის კავშირის გადაკეტვა ამ გზით მოახერხა. შედეგად, ადამიანის მხედველობის არეალი მხოლოდ სამყაროს ხილული ნაწილით შემოიფარგლა, მას განუვითარდა შორსმხედველობის აბერაცია, ანუ დაკარგა შორსმჭვრეტელობის უნარი, დაივიწყა თავისი ღვთიური წარმოშობა და ცხოველამდე დაეშვა. არ იფიქროთ, რომ უმაღლესმა ჭეშმარიტებამ ადამიანზე კონტროლი დაკარგა – არა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ეს დაბრმავება, შორსმხედველობის აბერაცია, დაცემა აუცილებელი საფეხურია, რათა თვითშემეცნების ფასეულობა აღვიქვათ, რათა ნათლად დავინახოთ საზრიანი ქმედების აუცილებლობა, რაც სინათლისაკენ, უმაღლესი კანონზომიერებისაკენ სწრაფვის საფუძველია. **ხიდი ზორციელ და სულიერ სამყაროს შორის თვით ადამიანშია.** სანამ ადამიანის ცნობიერება უმაღლეს დონეს არ მიაღწევს, ის ამ ხიდზე ვერ გაივლის, ვერ გაიზარებს სამყაროს უმარტივეს მოდელსაც კი; და თუ ეს ვერ მოვახერხებთ, როგორ მივხვდებით, რაა ამ სამყაროს ნაწილი – ადამიანი, ეთნოსი, ერი, სახელმწიფო, რისთვის ვართ გაჩენილნი ამ ქვეყანაზე, რა კანონზომიერებას უნდა დავემორჩილოთ, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ და ჩვენმა შთამომავლობამ არსებობის შენარჩუნებისათვის, ქვეყნის შექმნა-განვითარებისა და პიროვნული ბედნიერებისათვის?

ამ კანონზომიერების გააზრების გარეშე ადამიანთა „სიკეთისაკენ სვლამ“ მილიონობით სიცოცხლე შეიწირა. სიკვდილ-სიცოცხლის სასტიკ ბრძოლაში სიცივით, სინესტით, ვირთხებით სავსე ერთი სანგარი ზუსტად ისეთივე ვირთხებით და მატლებით სავსე სანგრით იცვლებოდა, ანუ ერთი ჯოჯოხეთი – ზუსტად ისეთივე ჯოჯოხეთით.

მართლაც, მცდელობა, შეიცნო საკუთარი თავი იმ სამყაროს გააზრების გარეშე, რისი ნაწილიც ხარ, აბსოლუტური უაზრობაა.

რით შევწვდეთ უმნიშვნელოვანეს ჭეშმარიტებას, იდეას, პირველადის გააზრებას? – ალბათ, იმ უდიდესი რწმენით, რომ ამას ოდესღაც შევძლებთ. მხოლოდ ასეთი რწმენაა სულის სიმამაცის საფუძველი.

ეს – დავითის რწმენაა, ვაჟას რწმენაა.

რწმენა არაა აზროვნების მტერი, ის მისი სინდისია.

და თუ ეს რწმენა სამუდამოდ დაკარგე, საკუთარი უსუსურობის შესანიშნავად ერთი გზა გრჩება – დაემორჩილო ბოროტებას, დაარწმუნო თავი იმაში, რომ იდიოტობაა ეძებო ის რაღაც იდეა, რომელიც არც იჭმება, არც ისმება . . . და სხვა არაფერია თუ არა ქიშკრა.

პრობლემა უკიდურესად მძიმდება, როდესაც საზოგადოებაში რელიგიის, ფილოსოფიისა და მეცნიერების მიმართ ინტერესი თითქმის დაკარგულია; ხოლო სადაც არსებობს, იქ პირველადი ამოცანის გადაწყვეტას თითოეული ცალ-ცალკე ცდილობს.

მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში აღმოჩენებითაა გაბრუებული. მან სულიერი სამყარო რაღაც აბსტრაქციად აქცია და პრინციპებსა და მიზნებში მატერიალისტური გახდა.

ეკლესიას უჭირს მის მიერ დამკვიდრებული კანონების მეცნიერული შეხედულებებისაგან დაცვა. ის, თითქოს უფანჯრო ოთახში ჩაკეტა და გონებას, აზრს ფანატიკური რწმენა დაუპირისპირა, როგორც არასადისკუსიო, უპირობოდ მისაღები აბსოლუტური ცნება. გარდა ამისა, ადამიანისათვის ღვთისაგან ბოძებული თავისუფალი ნება თითქმის სრულიად უგულვებელყო. შესაბამისად, უსაზღვროა მრევლზე მოძღვრის გავლენა (გავიხსენოთ – ძველად, საქართველოში ყველა მღვდელს არ ჰქონდა უფლება მოძღვრის ფუნქცია ეტვირთა). ამან შეასუსტა მორწმუნე ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების დანარჩენი წევრებისა და სამშობლოს ბედის მიმართ.

განა ესაა ჭეშმარიტების მაძიებლის გზა?

განდეგილობა, გულგრილობა ყველაფრისადმი, რაც ჩვენ გარშემო ხდება, ჩვეულებრივ თვისებად იქცა. ჩვენ ხომ ასე ვართ დამოძღვრილები: „**ვე შენი საქმე არაა, მთავარია ილოცო, უფალს შესთხოვო შენი სამშობლოს გადარჩენა, ყველაფერი უფლის ნებაა**“. ჩვენი ბრძენი მოძღვრების შეგონება – **ლოცვა შრომასთან, ღვაწლთან შეერთებული აცხონებს ადამიანს**, უგულვებელყოფილია. დაგვაგვიწყდა პავლე მოციქულის სიტყვები, რომ **რწმენა საქმის გარეშე მკვდარია**. არადა საქართველოს ზნეობრივი ნათელი სწორედ ეკლესიიდან უნდა მოეფინოს.

იქნებ ამისი მიზეზი ისიცაა, რომ იოანე მოციქულის შეგონება – „**თვით ღმერთი სიყვარულია**“ არასწორად გვესმის.

როგორ შეიყვარებ ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავ, თუ არ გიყვარს შენი ძმა, რომელსაც ხედავ.

ჩაუფიქრდეთ ამ სიტყვებს და მივხდებით, რომ ჩვენი რელიგიურობა მშობლების, და-ძმის, მეგობრების, ჩვენი თანამემამულეების, ჩვენი სამშობლოს მთელი სამყაროს სიყვარულზე უნდა გადიოდეს. ჩვენ კი არათუ მთელი სამყაროს, სამშობლოს სიყვარულიც ვერ გავგიაზრებია და ამ სიყვარულს სამშობლოსადმი ღვაწლით კი არა, სადღეგრძელოებსა და გულში მჯილის ცემით გამოვხატავთ.

ნუთუ შეიძლება ასეთ ქმედებებს ზნეობასთან რაიმე საერთო ჰქონდეს?

ხოლო ის, რომ მეცნიერებასა და რელიგიას შორის ჩატეხილი ხიდი ისევ ჩატეხილად რჩება, ჩვენს სულიერ კრიზისს უკიდურესობამდე ამძაფრებს.

რაც შეეხება ფილოსოფიას, ის თეოლოგიასა და მეცნიერებას შორის „გაიჩხირა“ და სამყაროს აღქმა-გააზრების ფუნქციას არაეფექტურად ასრულებს. ეს ყველაფერი საზოგადოებას შემოუბრუნდა და ადამიანებში შინაგანი განხეთქილება დაიწყო.

ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოტენციური განმავითარებლები – მეცნიერები, ლიდერები – ურწმუნონი, სეკუპტიკოსები ან, რაც ყველაზე უარესია, ცინიკოსები არიან.

მარადისობაში ცქერას გადაჩვეული ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი აბსოლუტურად მიეცა იმას, რასაც ნატურალიზმს უწოდებენ. და ამ სიტყვით აკნინებენ უბრწყინვალეს არსს ბუნებისას, რადგან რასაც ამ სიტყვაში გულისხმობენ, არის, არც მეტი, არც ნაკლები, უმარტივესი ინსტინქტი, ანუ სულისა და უმაღლესი გონის განუხრელი უარყოფა.

და შედეგად, უბედური, ფრთხილადღევილი ფსიქა ჩვენს გაბინძურებულ, შპრიცებით მოფენილ სადარბაზოებში ოხრავს.

ჩვენმა დაბრმავებულმა მეცნიერებმა იდეა რაღაც მარტივ, გარეგნულ და მატერიალურ ნივთად აქციეს. მათ ჰგონიათ, რომ შეიძლება მას მიუახლოვდე, თუ მეტსა და მეტ „სამეცნიერო“ ფაქტებს დააგროვებ; და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებ სამყაროს კანონზომიერების შესახებ რაიმე ნათელი წარმოდგენის შექმნას.

განათლებულმა ადამიანმა იცის — ეს გზა ჭეშმარიტებისაკენ კი არა, უსაფუძვლო პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისკენ მიდის. ჭეშმარიტება ჩვენშია, ჩვენი გონებისა და სულის შინაგან ცხოვრებაში და მისკენ სავალი გზა თვითჩაღრმავების, თვითამაღლების რთული პროცესია. ხილულ სამყაროზე ზოგადი წარმოდგენის გარდა, განათლებულებმა იციან, რომ სული ღვთაებრივი რეალობა და გასაღებია, რომელიც სამყაროს კარს გვიხსნის.

სამწუხაროდ, რელიგიის, ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთგაუცხოებამ შედეგად მოგვცა გამოფიტული საზოგადოება, ადამიანი — უმაღლესი სინათლის გარეშე, რწმენის გარეშე, რომელიც არ ცნობს არც სულს, არც ღმერთს, არც მარადისობას, ანუ საზოგადოება ენერგიის, ნებისყოფის გარეშე, დაეჭვებული თავის თავში, ადამიანის სულის თავისუფლებაში.

„... ნაყოფით იცნობთ მათ“.

ეს ქრისტეს სიტყვებია.

ეს ყველა მოძღვართა მოძღვრის სიტყვაა.

ცხოვრების აზრი

დღეს, ისე, როგორც არასდროს, ჩვენ წინაშე მთელი სიმწვავეით ისმის კითხვა: რა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას, თუ მე ისეთი უსუსური ვარ, ისე ვარ მოქცეული ბოროტების მარწუხებში, რომ არაფრის შეცვლა არ შემიძლია?

ან იქნებ ასეთ ცხოვრებას საერთოდ არა აქვს აზრი?

ნუთუ ცხოვრება მარტო ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესია, ანუ დაბადება, მომწიფება, სიკვდილი.

მაშ, დავიბადეთ არაფრისათვის?

ნუთუ აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო ჩვენი ბავშვობის დროინდელი განწყობა, რომ წინ რაღაც „დიადი“ გველოდა, რომ რაღაც ისეთს გავაკეთებდით, რაც ყველასათვის სიკეთის მომტანი იქნებოდა?

ჰქონდა თუ არა აზრობრივი საფუძველი ჩვენს თანდაყოლილ მომავლის იმედს და თუ ჰქონდა, როგორი?

თუ ეს მხოლოდ ბრმა ვნების, ცხოველური ინსტინქტის გამოძევა იყო, მაშ, ვინ ჩადო ჩემში სიკეთისათვის თავგანწირვის, მშვენიერებით აღფრთოვანებისა და სიცოცხლის წყურვილი, მაშ, რატომ მიყვარდა?

თუ ეს მხოლოდ სანთლის აღისკენ ფარვანასავით უაზრო სწრაფვა იყო, რატომ მაწვალებს ეს მარადიული კითხვა — რაა ცხოვრების აზრი?

ნუთუ მხოლოდ გზის პირას ან გზის ბოლოს ჩასაფრებული სიკვდილი გვაიძულებს ამ კითხვაზე ვიფიქროთ, ან იქნებ განვლილმა, დაუბრუნებელმა წლებმა დაგვაფიქრა?!

ეს მეცნიერულ თეორიულ საკითხს რაღაც არა ჰგავს, რადგან ამ კითხვას გვერდზე ვერასდროს გადადებ. მართლაც, არა ჰგავს ეს მხოლოდ გონების გაგარჯიშების ამოცანას, რადგან, როგორც ჩანს, ეს კითხვა უფრო შემადრწუნებელია, ვიდრე – რა ვჭამო მშიერმა?

იქნებ ამ კითხვას თვითონ სიცოცხლე გვისვამს. ვაი, თუ თვითონ სიცოცხლე ეძებს ჩვენში პასუხს?

და, ალბათ, დადგება დრო, რომ ერთხელაც, ღამე, უცებ გამოფხიზლდები კოშმარული ძილისგან და საკუთარ თავს დაბნეული ჰკითხავ – „რა მოხდა“? და მიხვდები, რომ მოხდა საშინელება, არა, საშინელებაზე მეტი – ისე გავიდა „ცხოვრება“, რომ არ გიცხოვრია, რადგან ვერ მიხვდი, რატომ გაჩნდი, რატომ იცხოვრე!

ალბათ, ამიტომაც, რომ მრავალი ჩვენგანი ამ კითხვას თავს არიდებს, ემალება და მალვით ცდილობს ცხოვრებას მოუგოს. ეს თამაში შეიძლება მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გაგრძელდეს. უკანასკნელი წუთი მაინც ჩაგვაფიქრებს და ეს ზემოხსენებულ საშინელებაზე მეტია, რადგან უკვე ველარაფერს მოვასწრებთ.

კმაყოფილად (და არა ბედნიერად) განვლილი წლების გახსენება აღარ გვიშველის და რაც უფრო ღრმა კმაყოფილებას განვიცდით განვლილი ცხოვრებით მით ღრმა აღმოჩნდება ის საფლავი, სადაც ეს კითხვა ჩვენთან ერთად სამუდამოდ ჩაიმარება.

ამ კითხვის დასამარებით მომავალ თაობას ცხოვრებას სატანჯველად ვუტოვებთ.

ესაა ჩვენი ტკივილი და ტკივილი იმიტომაც ტკივილი, რომ ეს კითხვა მთელი სიღრმით გააშიშვლოს.

გადახედეთ იმედდაკარგულთ, ძაღლური არსებობით გატანჯულთ, გონება და ქონებადაკარგულთ, იძულებით უსაქმურთ, ჩახოცილთ.

მეტი რა უნდა დაგვემართოს, რომ მიგხვდეთ:

დავკარგეთ ყველაფერი, ვკარგავთ სამშობლოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კითხვას ვემალებოდით და ზვალისათვის გადაგვჭონდა. თავისუფლებაზე ვოცნებობდით და თავისუფლების ჩათვლით ყველაფერი დავკარგეთ.

რისთვის დავიბადეთ? – ამისთვის?

რით გავამართლოთ ეს ტანჯვა? რას დავეყრდნოთ, რათა ამ საშინელი ცხოვრების სიმძიმით არ გავისრისოთ?

მოდით, დღეს მაინც ნუ გადავდებთ ამ კითხვას, ნურც იმ ტონით შეგვეკითხებით, როგორც მკურნალს: რა მოვიმოქმედო, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდე?

არა, ნუ გვეკითხავთ რა ვაკეთოთ, საით ვისწრაფოთ, როგორ გავერკვეთ მიზანთა იერარქიაში? – ჩვენი ცხოვრების ეს ურთულესი ამოცანა ერთად უნდა ამოვხსნათ!

როგორ ვიპოვოთ ის საერთო მიზანი, რაც ყველას სიცოცხლეს აზრს მიანიჭებს? ანუ რა უნდა ვაკეთოთ მეც, შენც და სხვამაც, რომ გადავარჩინოთ ჩვენი და ჩვენი ოჯახის, ერის, სამშობლოს მომავალი და ჩვენი არსებობა გავამართლოთ.

ყველას გვეგონა, აი, მივალწევთ უმაღლეს მიზანს – „თავისუფლებას“ და ყველა პრობლემას გადავჭრით.

მივალწევით!

დიახ, მივალწევით სრულყოფილად დახვეწილი უზნეობის, სისხლის, ქაოსის, სიძულვილის, ბოროტების ზეობას!

ეს კი იმის შედეგია, რომ რწმენაზე მაღლა ეგოისტური ვნებები დავაყენეთ.

შევეცადოთ, გავერკვეთ იმ ძირითად ფასეულობებში, რაც ამ პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება. ეს გადაგვარჩენს და ცხოვრების შეცნობის უდიდეს სიხარულს მოგვანიჭებს.

ცივილიზაციის ისტორია კაცობრიობის განვითარების, სრულყოფისკენ სწრაფვის ისტორიაა. საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრების არსის, სამყაროს ძირითად ფასეულობათა ძიება ჩვენთანაც მიმდინარეობდა. მართალია, ჩვენი წინაპრებიც ასევე ცდილობდნენ, მაგრამ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან ეს ბრმა ძიება იყო.

აქ იბადება ბუნებრივი კითხვა:

— რით დავამტკიცებთ, რომ ჩვენ უფრო ჭკვიანები ვართ, ვიდრე ჩვენი მამა-პაპანი?

რით დავამტკიცებთ, რომ ბედნიერებას ვიმსახურებთ?

რატომ გვგონია, რომ რაც მათ ვერ შეძლეს, ჩვენ შევძლებთ?

რომ გზას ჭეშმარიტებისაკენ სწორედ ჩვენ მივაგნებთ?

რომ ჩვენ გაგვიმართლებს ამაღნი ტრაგიკული შეცდომების შემდეგ?

ამ კითხვებზე კითხვითვე შეგვიძლია ვუპასუხოთ:

რამდენმა ქვეყანამ შეძლო ეს?

და თუ მათ შეძლეს, ჩვენ რაღა დავგვემართა? — განა ჩვენ არ მოვდივართ და მოვიმდგრით: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“?

ჩვენი აზრით, დღეს გადარჩენის გზის ძიება კი არ არის მთავარი, არამედ იმ ადამიანების მოძებნა, ვინც ამ კითხვას არ ივიწყებს.

გავერთიანდეთ და ერთიანი ძალით ამ კითხვაზე პასუხს აუცილებლად ვიპოვოთ!

ნებისყოფის დაძაბვა და აზროვნება ესაა ჩვენი მთავარი და აუცილებელი საყრდენი!

ისევ კითხვა: — შესაძლებელია ვირწმუნოთ, რომ თვით ბოროტებით სავსე ჩვენი ცხოვრება, რაღაც შინაგანი, ჩვენთვის გაუგებარი პროცესებით შეძლებს თვითგანწმენდას, თვითგამორკვევას? ნუთუ ის ძალები, რომლებიც შეიძლება მასში თვითგანვითარდნენ, მას გადაარჩენს? ნუთუ შეიძლება უაზრო ყოფით გაუღენთილ ადამიანში ის ძალა დაიბადოს, რომელიც მას საკუთარ თავზე გაამარჯვებინებს და „მე“-ში სიყვარულისა და სიკეთის რწმენასა და აზრს გაამეფებს? თითქოს ეს კითხვა თავისთავად უარყოფით პასუხს ითხოვს.

ეს ბარონ მიუნჰაუზენის საკუთარი თავის ჭაობიდან თმებით ამოთრევის მცდელობას ზომ არ ჰგავს? მით უმეტეს, რომ მართო ჭაობში კი არა ვართ, სულშიც ჭაობია.

დავუშვათ, რომ ადამიანს, საზოგადოებას, ცხოვრებაში სიკეთის დამკვიდრების უნარი შესწევს; დავუშვათ, გავბედეთ და დავიწყეთ ამისთვის რაციონალური ქმედება. თავი გადავდეთ სიცოცხლისათვის აზრის მისანიჭებლად!

ზომ არ ვიქცევით ფერფლად, სასუქად იმ ნიადაგისთვის, საიდანაც მომავალში სიკეთე უნდა აღმოცენდეს?

— რთულია არა?

— დიახ, ძალიან რთულია! მაგრამ . . .

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მრავლად მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, ვინც ჩვენსავით ჩვენი შევილების ბედნიერი მომავლის შესაქმნელად თანახმაა ფერფლად იქცეს, იამაყებს და ბედნიერიც იქნება ამით!

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საზოგადოებაში მრავლად არიან ისეთნი, რომელთა სინდის-ნაბუხი და გონება ამ სასტიკ უსამართლობას ვერ შეურიგდება! ვერ შეურიგდება სიკეთისა და ბოროტების ამგვარ უსამართლო განაწილებას, აზრისა და უაზრობის ასეთ პროპორციას, რადგან სწორედ ეს აქცევს ჩვენს ცხოვრებას ჭაობად!

უნდა გავერკვეთ, თუ რატომაა ჩვენი ცხოვრება ასე უსამართლოდ მოწყობილი, რომ ამაღლებისკენ სწრაფვა, სამართლიანობის დამკვიდრება ასეთ უდიდეს მსხვერპლს, ტანჯვას მოითხოვს?!

რამდენი ხანი უნდა ვიყოთ ჯოჯოხეთში, რით ველარ მოვინანიეთ დანაშაული?!

სანამ ამ კითხვებს პასუხს არ გავცემთ, ცხოვრება უაზრობად მოგვეჩვენება!

და ამ უაზრობაში აღზევებულნი მხოლოდ „ბრმანი“ და უგრძნობნი იქნებიან, რომელთაც უნარი შესწევთ, ბოროტებითა და სიბნელის დამკვიდრებით კმაყოფილება მიიღონ!

ეს მათი დროა! . . .

ცხადია, ამ კითხვებზე პასუხების ძიებისას რაიმე საფუძველი გვესაჭიროება. საყრდენად ის გამოვლენება, რაც მდგრადია. მდგრადი საფუძვლის შექმნას კი არსებული პოტენციალისა და ენერგიის სრული მობილიზება სჭირდება. მაშ, ნუ დავიშურებთ ენერგიას და შევეცადოთ მტკიცე, მდგრადი, კანონზომიერების შესაბამისი საყრდენი შევქმნათ, რათა ჩვენი ცხოვრება უაზრო დროის ხარჯვად არ მოგვეჩვენოს.

ჩვენ უღმობელი დილემის წინაშე ვდგავართ: — **ან ცხოვრებას საერთოდ არა აქვს აზრი, ან აქვს აზრი და ის საყოველთაო და მარადიულია!**

ვინაიდან, გლობალური არ შეიძლება დანაწევრდეს და ინდივიდში ჩაეტიოს.

მართლაც, შეუძლებელია ცხოვრების აზრი ზოგადი და საყოველთაო არ იყოს, ცხოვრების აზრი მთლიანობაში უნდა აღვიქვათ, და არა როგორც ფრაგმენტი, ნაწილი. . . და შესაბამისად, „მე“-ს ცხოვრება და „ჩვენი“-ის ცხოვრება განხილული უნდა იყოს, როგორც ერთი არსის ორი გამოვლინება.

რა თქმა უნდა, ჩვენში იგულისხმება ყველა, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება ჩვენ შემდეგ.

მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად.

აქედან გამომდინარე, ცხოვრების აზრი მარადიული და საყოველთაო უნდა იყოს და მარადისობის საწყისიდან მოდიოდეს. ცხოვრების აზრი სამყაროს წარმოქმნის დღიდან უცვლელი ფასეულობა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აზრს დაკარგავდა. ცხოვრების აზრის არსებობის წყვეტა-ლობის დაშვება უაზრობამდე მიგვიყვანს.

რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ შეწყდეს ეს უაზრო ყოფა?

იკვეთება წყნარი და, თითქოს ლოგიკური პასუხი, — არაფერი.

დიახ! არაფერი, იმიტომ, რომ ერთი შეხედვით, ცხოვრების აზრის პოვნა ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. . .

და ყველაზე საოცარი ის არის, რომ არაფრის კეთება, არაფრის შეგრძნება და არაფრის სურვილი თვითმკვლელობის ტოლფასია, რადგან პიროვნებისთვის არაფრის კეთებაზე დამანგრეველი და დამთრუნველი არაფერია!

შეუძლებელია არაფრის კეთება.

შესაბამისად, უმოქმედოა გონიერი ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარს სცილდება.

აქედან გამომდინარე, მთელი სიცხადით იკვეთება კითხვა საკუთარ თავთან:

პირადად მე როგორ ვიცხოვრო, რომ ამ უსამართლო ცხოვრების ჭაობში არ ჩავიძირო, არ ჩავიხრჩო?

რას ნიშნავს „ვიპოვოთ პირადი ცხოვრების აზრი“? — ზოგიერთისთვის ეს პირადი სურვილების ფეხის აწყობას, სიმდიდრის შოვნას, თანამდებობის დაკავებას ნიშნავს. ძნელია ამის წინააღმდეგ წასვლა და არცაა საჭირო.

ზოგიერთი პირადი „ბედნიერების“ მიღწევას, მართლაც, ახერხებს, ე.ი., თითქოს ის რაციონალურად ცხოვრობს, მაგრამ ეს პროცესია და არა მიზანი. პროცესი მიზნის გარეშე კი უმიზნოდ ქმდება, უაზრო წრებრუნვათა, ქმედებათა ნაკრებია, რომელიც დროს წინ ვერ აღუდგება და ყველაფერი უკვალოდ ქრება. შედეგად ილუზიის სამყაროდან რეალობაში ბრუნდები და ხვდები, რომ ეს ჩიხში შესვლას ნიშნავს — ეს არაა ცხოვრების აზრი!

ცხოვრების აზრი ზომ მარადიული უნდა იყოს. ცხოვრების აზრი გონებისა და გრძნობის იმ წიაღში უნდა ვეძებოთ, სადაც დრო უსუსურია.

ცხოვრების აზრი მაშინ იკვეთება, როცა საკუთარი თავისთვის ის სიკეთე გვინდა, რომელიც ჩვენთვისაც სიკეთე იქნება და შენთვისაც. თუ ჩვენთვის სიკეთე შენთვის ბოროტება აღმოჩნდა, ამგვარ სიკეთეს არ ვაღიარებთ!

ჩვენს სამყაროში ყველაფერი ფარდობითია – სინათლეს აზრს სიბნელე აძლევს, სამოთხეს – ჯოჯოხეთი. თუ რეალობაში დამკვიდრებულ უაზრობას საფუძველი აქვს, მაშინ მის დასათრგუნად უდიდესი სიმართლის კანონიც უნდა არსებობდეს.

იმისათვის, რომ ცხოვრების აზრს მივაგნოთ, ჩვენ ორი ჭეშმარიტება უნდა ვაღიაროთ:

პირველი – არსებობს უზენაესი სიმართლის კანონი!

მეორე – ადამიანში ჩადებულია თავისუფლებისაკენ სწრაფვა!

რადგან ჭეშმარიტებისა და ცხოვრების აზრის წვდომა მხოლოდ თავისუფალს შეუძლია.

„შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე 8, 32).

ყველა სხვა „აუცილებლობა“ სურვილების ბრმა ძალებს ემორჩილება, უაზროდ, ბრმად ნასროლი ქვაა და ის აუცილებლად მიწაზე დაეცემა. ჩვენი სიბრმავეთი შეიძლება წავიბოროძიკოთ და ქვასავით მიწაზე დავუცეთ. ეს კიდევ არააფერი, თუ უფსკრულთან წავიბოროძიკეთ . . .

უმარტივესი აგებულების ვირუსი გენიოსსა და იდიოტს ერთნაირად კლავს. სიკვდილის პირას კითხვის დასმას – „როგორ, სულ ეს იყო ჩემი ცხოვრება?“ – ორივე ასწრებს.

ბედით განებივრებულმა გოეთემ დიდხანს იცოცხლა ნაყოფიერი ცხოვრებით. იგი უიშვიათეს სიკეთეს ფლობდა. მასში შემოქმედებითი ენერგია, უზომო შრომისმოყვარეობა, მძლავრი ნებისყოფა და სიცოცხლის წყურვილი იყო თავმოყრილი. მან ყველა ცხოვრებისეული ნეტარება განიცადა და ის, ღვთისა და ხალხის რჩეული, ცხოვრების ბოლოს გამოტყდა, რომ ბედნიერება მხოლოდ რამოდენიმე დღის განმავლობაში შეიგრძნო.

თუ ღმერთის რჩეულმა ასე იცხოვრა, მაშ ჩვენ . . . ?

გამოდის, რომ ბუნების „ჰარმონიაში“ ოცნებისა და იმედისათვის ადგილი არ რჩება?

მრავალი მოაზროვნე ამ კითხვას პესიმისტურად პასუხობდა, თუმცა იყვნენ ოპტიმისტებიც.

ამ პრობლემაზე ელინებიც ფიქრობდნენ. მათი აზრით: „ღმერთებს შურთ ადამიანთა ბედნიერების, ამიტომ მთელი მათი საქმიანობა ადამიანთა დაპყრობა-დამცირებაა და მწარე ხვედრს უშხადებენ მათ, რათა შემთხვევითი ბედნიერებაც არ შეარჩინონ.“

მოგვიანებით სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანები გვარწმუნებენ, რომ ადამიანმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს. თვით ინდივიდუალიზმიც კი ცოდვაა და უმაღლესი სასჯელით ისჯება. ეს პესიმიზმი ძველ მოაზროვნეთა ჩანაწერებიდანაც კარგად ჩანს:

ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ ვართ „გვამში მხოხავი და მსუნთქავი მატლები“.

ან კიდევ: „მთელ ამ სამყაროში ყველაზე უბედურია ადამიანი, მიწაც და წყალიც ადამიანის უბედურებითაა გაჟღენთილი“ – ჰომეროსი.

„უსუსურია ადამიანი, უნაყოფოა მისი ქმედება, წამიერია მისი სიცოცხლე. მწუხარებას მწუხარება მოჰყვება. ადამიანი სიზმრის მცირე აჩრდილია“.

„ამაოება ამაოებათ“. . .

„ადამიანთა და ცხოველთა ბედი ერთნაირია. კვდება ისიც და ისიც. ადამიანებს ცხოველებთან უპირატესობა არა აქვთ.“

„და ვარწმუნებ მე მკვდრებს, რომლებიც დიდი ხანია მოკვდნენ, უფრო ცოცხლებს, რომლებიც ცოცხლობენ. ორივეზე ნეტარია ის, ვინც ჯერ არ გაჩენილა და არ უნახავს ის ბოროტი საქმეები, რაც ხდება მზის ქვეშ. აქ მარდი ვერ იმარჯვებს სირბილში, მამაცს არ ერგება გამარჯვება, მშრომელს – პური, ჭკვიანს – სიმართლე“ – ეკლესიასტე.

ანტიკური ფილოსოფოსები პლატონამდე და მის შემდგომაც, პოეტებსა და ტრუბადურებს ამ პესიმიზმის გარდა არაფერში ეთანხმებოდნენ. ამაზე მსჯელობს ბიბლია და მაჰაბჰარატა, ბაბილონის ეპოსი, წარწერები ძველევგეიპტურ საფლავებზე . . .

მაშ განწირულები ვართ, აღარაა ჩვენი საშველი?

იქნებ ყველა დროისა და ხალხის სიბრძნე შეცდომაა?!

დავუშვათ, რომ შესაძლებელია ბედნიერი ცხოვრება, რომ ყველა ჩვენი სურვილი ასრულდება, რომ ჩვენი თასი სავსე იქნება ღვინით და არა საწამლადავით.

მართლაც, სიცოცხლე „ცხოვრების აზრის“, ბედნიერების გარეშე, რატომღაც უდიდეს სევდას გვგვრის.

როგორც აღენიშნეთ, პროცესი, უმიზნოდ ქმედება, სიცოცხლის მხოლოდ კვლავწარმოება არ გვაკმაყოფილებს.

სამშობლოს, მისი ბედის, კულტურის, შემოქმედების, სიყვარულის გარეშე, ჩემი და საერთო ბედის გაიგვების გარეშე შეუძლებელია განვასხორციელო საკუთარი „მე“. ხოლო, საკუთარი „მე“-ს გარეშე, ბედნიერების მიღწევას, ცხოვრების არსის წვდომას ვერ შევძლებთ.

უაზრობაა ერთი ადამიანის ცხოვრება.

უაზროა თითო ადამიანის ცხოვრებით აკინძული კაცობრიობის ცხოვრება.

და როდესაც ჩვენ, კაცობრიობის ისტორიაზე, ადამიანთა საერთო ბედზე ვფიქრობთ და დასკვნის გამოტანას ვცდილობთ, არ უნდა დავევიწყოთ, რომ ადამიანთა ისტორია – კოსმოსური ისტორიის ნაწილი, მცირე ნაწყვეტი, კადრი, ფრაგმენტია.

გვეყოფა გონება ამის გასააზრებლად, თუ ლიბრი გვაქვს გადაკრული თვალეზე?

„ცხოვრების აზრზე დაფიქრების შემდეგ ვალღარებთ, რომ ღმერთი არსებობს, თუმცა, ამ უკიდევანო სამყაროში ერთი ტკივილისგან დაგრეხილი მატლიც კი საწინააღმდეგოს დასტურია“ – მაქს შლერი.

თუ ეს სასტიკი რეალობაც ღვთის სურვილითაა შექმნილი და ჩვენ ამ შედეგის ცვლილების უფლება არა გვაქვს, გამოდის, რომ ან ღმერთი არ არსებობს და სამყარო ბრმა ძალების შემოქმედების შედეგია, ან ღმერთი არსებობს, მაგრამ ის ყოვლისშემძლე არ არის.

გამოდის, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენი ცხოვრება უაზრობაა. ადამიანი ამ საშინელი სამყაროს ნაწილია და ამიტომ ამ ბნელ, უაზრო ძალას მონებივით უნდა დავემორჩილოთ?!

არა! ღმერთმა ჩვენ მონებად არ შეგვქმნა!

„თუ მოწოდებული ხარ როგორც მონა, ნუ ითაკილებ, მაგრამ თუ ძალგიძს გათავისუფლება, უმჯობესია ისარგებლო“ (I კორინთელთა 7-21).

აი, ესაა ჩვენი იმედის სიმტკიცის საფუძველი!

ჩვენ ვხედავთ ჩვენს სიბრძნეს, ე.ი. ჯერ ბოლომდე არ დავბრმავებულვართ!

უაზრობას უაზრობის შესახებ კითხვა არ უჩნდება!

არსებას, რომელიც უაზრობის შედეგია, საკუთარი უაზრობა ვერ უნდა შეეცნო . . . და თეატრალური აღმაფრენით წამოძახილი: „ჭეშმარიტება არ არსებობს!“ – მართლაც, უაზრობაა. თუნდაც იმიტომ, რომ შენი ლოზუნგი, „ჭეშმარიტება არ არსებობს!“ – უკვე შენი „ჭეშმარიტების“ არსებობას ადასტურებს, რადგან შენ უკვე იმ „ჭეშმარიტებას“ ფლობ, რომ „ჭეშმარიტება არ არსებობს“.

თუ ცხოვრების აზრისა და ჭეშმარიტების გააზრებას ვცდილობთ, თუ მიზნად ამ პრობლემის ამოხსნა დავისახეთ, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის.

ეს მცდელობა აცამტვერებს აზრს ჩვენს უაზრობაზე!

ბოროტების წინაშე ჩვენი უძლურების მიზეზების გააზრება ჩვენში უდიდესი ძალის აღმოჩენის იმედია.

ჩვენ ძალგვიძს გავიაზროთ საკუთარი თავი, სოციალური და მივხვდეთ, ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ. აი, ესაა ადამიანის გონების უდიდესი სინათლე!

ნუ შეგეჭმნებათ ილუზია, რომ ამ „სიბნელეში“ მოაზროვნე ადამიანი აბსოლუტურად უსუსურია და კითხვის დასმა გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის! კითხვის დასმა და პასუხის ძიება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

პასკალი ადამიანს მოაზროვნე ლერწამს ადარებს.

„თუ მთელი ეს უაზრო სამყარო თავზე ჩამოშენგრევა და თან ჩამიტანს, ამ დროსაც კი, ჩემი დაღუპვის ამ წამსაც, მე მასზე მაღლა ვიდგები, რადგან მან არ იცის, რას აკეთებს, მე კი ეს მეცოდინება“.

მართლაც, ადამიანი, ეს უსუსური ლერწამი, რომელიც სუსტ ნიაზევც კი იხრება, მისდამი მტრულად განწყობილ სამყაროზე მაღლა დგას, თუნდაც იმიტომ, რომ გრძნობს და ხედავს, გაიაზრებს მას და იმიტომ ის მარადისობის მფლობელია. მას შეუძლია ხილულ – ცასა და ვარსკვლავებს და უხილავ – უკიდევანო სამყაროს, აზრით შეწვდეს და მარადიული უსასრულობის ოკეანე აზრში ჩატიოს.

ადამიანი აღიქვამს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

თითქოს სუსტია ეს გამზნელება – სიკვდილის ჟამს სამყაროს შეცნობა რას გვიშველის?

სუსტია იმ შემთხვევაში, თუ ვერ ვხვდებით, რომ ეს საერთო გამზნელებისა და გამარჯვების უძლიერესი დასაწყისი შეიძლება იყოს. უნდა შევიგნოთ, რომ თუ ბერკეტი მოიძებნა, ეს ის საყრდენია, რითაც ყველა ფორმისა და სიძლიერის ბოროტების უფსკრულში გადაჩეხვა შესაძლებელია.

ყველა, ვინც ცხოვრების უაზრობაში მცირეოდენ ეჭვს შეიტანს, ავტომატურად ხვდება რაღაც ჭეშმარიტებას და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ „რაღაც“ უდიდესი უკვე აღმოაჩინეთ. ვიმეორებთ, ყველა, ჭეშმარიტების არარსებობაში დაეჭვებული, რაღაც ჭეშმარიტებას ფლობს. ეს აზრი სოკრატეს ეკუთვნის.

ჩვენ ცხოვრების აზრს ვეძებთ.

დიდია იმედი, რადგან სიმართლის ძიების აუცილებლობა მართლედნ კი არ გვესმის, გვაწუხებს კიდეც.

ვკითხვით ჩვენს თავს, საიდანაა ეს ძალა, ეს ინტერესი, ეს მცდელობა, ეს უკმარისობა? რატომ გცდილობთ ვიპოვოთ უზენაესი ჭეშმარიტება, ანუ ღმერთი?

ამ ძიების, ჩვენი ყოფის საყრდენისკენ ლტოლვის ხარისხი პიროვნების შემდგარობის ხარისხს განსაზღვრავს. ესაა ადამიანის რეალურად არსებობის უდიდესი ფაქტი.

ჩვენ უაზრო ცხოვრების ტყვეობაში, მონობაში ყოფნა არ გვინდა, ე.ი. თავისუფალი არსების მახასიათებელი, ძირითადი ნიშან-თვისება გვაქვს.

ჩვენ უდიადესმა სიმართლემ, ღმერთმა შეგვცმნა და ჩვენი გული, აზრი, გრძნობა მანამ არ დაწყნარდება, სანამ მას არ ვიპოვებთ.

თუ ყველაფერი დროებითი და უაზროა, მაშინ საიდან გაჩნდა ცნება მარადიული, უსაზღვრო?

საიდან გაჩნდა უსამართლო ცხოვრებაში სიმართლის მოძიების მოთხოვნა?

საიდან გვაქვს იმედი, რატომ გვწამს, რომ სიმართლე გაიმარჯვებს?

საიდან ჩნდება ის უსაზღვრო ენერგია, რომელიც ამ ძიების პროცესში ჩვენში შემოდის?

რატომ გვაქვს იმედი, რომ საყოველთაო სამართლიანობას დავამკვიდრებთ, ღიღებას მივალწევთ და ულაშახესი სწორედ ჩვენ შეგვიყვარებს?

იხსნება უდიდესი ჰორიზონტი, ე.ი. ის, რასაც ვეძებთ – ჩვენშია, ჩვენ მას ვფლობთ.

ნებისყოფაგანვითარებული, მოაზროვნე ადამიანი აუცილებლად დაიწყებს უდიდესი ფასეულობის – სიმაღლის ძიებას.

ეს ჩვენში ღმერთის ქმედების შედეგია. სიმაღლის ძიება არა „სადაც“, აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად „მე“-ში მიმდინარეობს.

„ნუ მიღიზარ გარეთ, წადი შენს შიგნით და თუ შინაგანი „მე“ შენ შეგზულდავს, მაშინ გადააბიჯე საკუთარ „მე“-ს“ (ნეტარი ავგუსტინე).

უნდა მივხვდეთ, რომ

მთავარია მარადიული სიმაღლის კანონი;

ესაა სიკეთის ძალის გონივრულობის მარადიული საფუძველი;

ესაა ბოროტების უაზრობად აღქმის რეალური გარანტიც;

ყოველივე ამის გააზრების გარეშე ბოროტების ტყვეობაში მოვექცევით;

მთავარია, რომ სიმაღლეს ჩვენშია, თუნდაც მცირე ნაპერწკლის სახით. ჩვენი გადარჩენისთვის კი საჭიროა ამ ნაპერწკლის გაღვივება. ზემოდ გამოთქმული აზრები ფილოსოფოს ფრანკს ეკუთვნის და თუ დაფიქრდი, მართლაც მივხვდებით რომ:

სიმაღლეს და ჭეშმარიტად ცხოვრება ერთი და იგივეა. სიმაღლეს განყენებულად, თავისთავად არ არსებობს.

ჭეშმარიტება, სიმაღლეს ცხოვრების აზრის, ყოფიერების ურყევი საფუძველია. მის გარეშე ყველაფერი ილუზიაა; ესაა გაქრობის, არარაობად ქცევის, სიკვდილის საპირწონე; მხოლოდ მისი არსია მდგრადი და მტკიცე.

ამ დიადი ჭეშმარიტებისკენ სვლა სხვადასხვა გზით შეიძლება. ავირჩიოთ რაციონალური გზა!

შემეცნება და ყოფიერება ერთი და იგივეა. შემეცნების გარეშე გიჩნდება ილუზია, რომ მხოლოდ შენ არსებობ. **სამყარო ხომ მხოლოდ იმისთვის არსებობს, ვინც ის შეიცნო.**

უდიდესი სიმაღლის გააზრების გარეშე შემეცნება შეუძლებელია და თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ ცხოვრება გაუგებარ საზიზღრობად მოგვეჩვენება.

ღმერთის გარეშე ყველაფერი უაზრობაა. ღმერთის არსის გააზრება მხოლოდ მისი საკუთარ თავში აღქმითა და ჩვენი მასში შესვლითაა შესაძლებელი.

„თუ დარჩებით ჩემში და ჩემი სიტყვები დარჩება თქვენში, ყველაფერი, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ.“ (იოანე, 15, 7).

ჩვენ საკუთარ თავს ღმერთთან ვერ გავაიგივებთ, მაგრამ ვერც გამოვეყოფით მას. ხოლო კითხვები: რა საჭიროა ეს უაზრო ცხოვრება?

რატომ არ შექმნა მან ეს ცხოვრება უკეთესი?

ვის რაში სჭირდება ჩვენი ტანჯვა, ჩვენი სიბრძნე? – ეს კითხვა საკუთარ თავს უნდა დავუსვათ. ვიცით კი რა არის ტანჯვა?! . . . ის ღმერთს არ შეუქმნია. ის ჩვენ შევქმენით.

ვიცით, რა არის სიკეთე?

თალმუდის კვლევისას, ადამიანთა ფანტაზია იმ აზრამდეც მივიდა, რომ არსებობს ნეტარი ქვეყანა, სადაც არა თუ ადამიანი, ბუნებაც კი უსიტყვოდ ემორჩილება ღმერთს: შაბათობით მდინარეც არ მიედინება, ყველაფერი ისვენებს.

როგორ გგონიათ ეს არის სიკეთე?

დაფიქრდეთ, ცხოვრება მოძრაობისა და ქმედების გარეშე ხომ აბსოლუტური უაზრობაა? ეს დასვენება, სრული მდუმარება განა სამყაროს დასასრული, სიკვდილი არ არის?

ჩვენი მონაწილეობის, ქმედების გარეშე ვინმესგან საჩუქრად მიღებული „იმედი“, რომ ჩვენ ირგვლივ რაიმე ჩვენდა სასიკეთოდ შეიცვლება, ჩემი აზრით, მკვდრის დასაჩუქრებას ჰგავს. უმოქმედოდ, უბრძოლველად, ენერგიის ხარჯვის გარეშე, რაღაცის მიღება, მიცვალებულის ყვავილებით შემოკობას ხომ არ გავგონებთ?

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემის გასააზრებლად მთავარი ორიენტირი ერთია:

ცხოვრების აზრი, მარადიული და მარადისობის თანმდევი, ყველაფრის მომცველი უნდა იყოს.

გამოდის, რომ იზიდას კი არა აქვს დაფარული სახე, ეს ჩვენ გვაქვს ლიბრი გადაკრული თვალებზე.

რა ვუყოთ ყოველდღიურ საქმიანობას, მიწიერ სურვილებს, ყველა იმ წვრილმანს, რომელიც, ჩვენი გაგებით, ჩვენს ცხოვრებას ავსებს? თანაც რა შთამბეჭდავი რაოდენობით არის ყველა ეს ყოფითი ფასეულობა: ოჯახი, ახლობლის ბედი, მეცნიერება, კულტურა, ადამიანთა შორის ურთიერთობა.

არის თუ არა ყოველივე ეს უაზრო, ილუზორული, მოხეტიალე სინათლის ნაპერწკალი, რომლისკენაც სწრაფვა ხელს გვიშლის ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ „უდიადესისთვის“. თუ ეს ასეა, მაშინ რა კენათ?

ყველაფერს ზურგი შევაქციოთ, უარყოთ?!

შეუძლებელს ხომ არ ითხოვენ ჩვენგან?

ამ კითხვის დამსმელს სიცოცხლის წყურვილი არ უგრძნია.

მეორე მხრივ, ცხოვრების აზრის არსში გარკვევას თან უდიდესი ამაღლება უნდა მოჰყვეს. ყველაფერი ის, რისი უარყოფაც გვაშინებს, ამ უდიდესი სიკეთის მხოლოდ ნაწილია. ადამიანის არსი პასუხს ითხოვს და რადაც უნდა დაგვიჯდეს, ამ კითხვას პასუხი უნდა გავცეთ.

„რადგან, ვისაც სურს სულის ხსნა, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისთვის დალუპავს სულს, ის იხსნის მას“ (ლუკა, 9, 24).

ასეთი ადამიანი მზადაა ცხოვრების აზრის საძიებლად. ის მარადისობის კანონის, ცხოვრების აზრის უგულებელყოფას არასდროს შეურიგდება. მისთვის ნათელია, ძალისხმევის გარეშე ვერაფერს შეძლებ, გლობალურ ცვლილებებს ვერ მიაღწევ; ცხოვრების აზრის მოძიებას – მით უმეტეს.

ყველა მოაზროვნე ადამიანი, რომელიც საკუთარ, ოჯახის, ერის, სამშობლოს ბედნიერებაზე ფიქრობს, ჭეშმარიტების ძიების წყურვილით უნდა იყოს გაჟღენთილი. ყველაფერი სხვა ბუნდოვანი და მოჩვენებითია.

კერძო და ზოგადი ინტერესები აბსოლუტურთან ჰარმონიაში უნდა იყოს და ამ ჰარმონიის ძიებას, დამკვიდრებას გააზრებულად უნდა ემსახურებოდეს.

ფასეულობათა იერარქია არასდროს უნდა დაირღვეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ **მეორადზე დაფუძნებული ყოველთვის მეორადი იქნება.**

აბსოლუტური ფასეულობა მხოლოდ მის საპირისპიროსთან თანაფარდობით მოიძიება.

ჩვენ უფლება არა გვაქვს ღმერთი ჩვენი ცხოვრებისაგან გავაცალკევოთ. არც ის შეიძლება ღვთის კალთას ამოვეფაროთ და ცხოვრებას ზიზღით ვუყუროთ.

მან შექმნა ყველაფერი და თავი ამით გაამჟღავნა. მან შექმნა ეს სამყარო და აზრი მისცა ჩვენს არსებობას. მხოლოდ მისი მიკვლევით შეიძლება ცხოვრების აზრისა და წესის გარკვევა. ამისათვის, შეძენილი ცოდნის კი არა, თანდაყოლილი გონისა და ინტელექტის გამოყენებაა საჭირო.

ჩვენი სამყაროსგან უდიდესი სიმაღლის – ღმერთის განცალკევება, მისი განყენებულად წარმოდგენა შეუძლებელია. ღმერთი და ადამიანი, ღმერთი და სამყარო, ერთიანი და განუყოფელია.

სამყაროს არსი ადამიანშია. ადამიანთა ცხოვრება მხოლოდ ამ აზრითაა გაბრწყინებული. ადამიანი ღმერთსა და სამყაროს შორის კავშირს ამ აზრით გრძნობს.

ბედნიერების მიღწევის მთავარი პირობა ღვთისა და ადამიანის ერთიანობაა.

თითქოს რწმენა მოითხოვს, რომ ადამიანი სამყაროს არ ემსახუროს, არ უყვარდეს ის და არც ის, რაც სამყაროშია;

ორი ბატონის მსახური არ შეიძლება იყოს? — არა და არა!

ქრისტემ გვიქადაგა: — ხარკი მივცეთ კეისარს იმ პირობით, რომ ღვთისა და კეისრის სამსახურს ერთმანეთში არ ავურევთ.

გვეუბნებიან — „ნუ გიფვართ სამყარო და ის, რაც სამყაროშია“. . .

როგორ მოვახერხოთ ეს?

ადამიანი ხომ სულისა და მატერიის ერთობაა. მისი გული მატერიალური და სულიერი სამყაროს გადაკვეთის წერტილია. მას ერთი ბატონი უნდა ჰყავდეს და, ცხადია, ესაა ღმერთი, რომელიც ამ უკიდევანო სამყაროს შემქმნელია. ადამიანს ღვთით აქვს გამართლება. ამიტომ ღმერთთან შეუთანხმებლად შეუძლებელია ამ ქვეყანას განვუდგეთ, გავერიყოთ.

ის, რაც ღმერთს არ ეთანხმდება, ბოროტებაა!

სწორედ რწმენის ბრმად მიღებაა ბარიერი ღმერთამდე მისასვლელ გზაზე.

ამ სამყაროში, რასაც ჩვენი რეალური ცხოვრება ჰქვია, ადამიანი თავისუფალი არსებაა. ის თავის ადგილს თავისი შეხედულების მიხედვით ირჩევს. მისი ქმედება ყოველთვის ჭეშმარიტებასა და შეცდომას შორის განსხვავების აღქმის დონეზეა დამოკიდებული. ის ცდილობს, ამ ცხოვრებაში თავის სასარგებლოდ რაღაც შეცვალოს, რაც უნდა ირაციონალური იყოს მისი ქმედება, ცდილობს მას რაციონალური ახსნა მოუძებნოს.

არიან ისეთებიც, რომლებიც ახალ რელიგიას ეძიებენ, რათა ჭეშმარიტებას შესწვდნენ. მათი აზრით, რელიგია ადამიანის ბუნებიდან უნდა გამოძინდარიოდეს და ადამიანის არსებობას ამართლებდეს, ანუ მის ცხოვრებას აზრს ანიჭებდეს. თუ გავიხსენებთ რელიგიის ცნებას (რე-ხელახლა, კვლავ, ისევ; ლიგო-დაკავშირება ლათ.), ფაქტობრივად ეს არის გზა ჭეშმარიტებისკენ. შესაბამისად, ამგვარი ძიება მოჩვენებითია, თუნდაც იმიტომ, რომ ჭეშმარიტების გზა უკვე თავად იესო ქრისტემ გვიჩვენა („მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ იოანე 14, 6). შესაბამისად ეს გზა ჩვენს ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული.

„ბუნებრივი რელიგიის“ მაძიებლებს კი გვსურს ვუთხრათ, რომ ის რელიგია, რომელიც აბსოლუტურად შეესაბამება ადამიანის ბუნებას, მის გულს, ჩვენთვის საძებარი აღარ არის — ეს ქრისტიანული რელიგიაა.

დაუკვირდით და მიხვდებით, რომ ქრისტიანობა ადამიანის სულის, გულისა და გრძნობის რელიგიაა. წადით რაციონალიზმისკენ, შედით მასში და როდესაც მას გაცდებით, იქ დაიწყება ქრისტიანობა — სილამაზე, სიკეთე, სიყვარული.

გავიხსენოთ, ადამიანები სოკრატედან დაწყებული — რუსთაველი, მიქელანჯელო, ბახი, ვაჟა. . . და ვაღიაროთ, რომ ადამიანში თვით ღმერთია განსახიერებული. ადამიანია უნიკალურად ზერაციონალური, შეუცნობელი, მიუწვდომელი, რომელიც ვერავითარ ჩარჩოში ვერ თავსდება.

„განა თქვენს რჯულში არ გიწერიათ: მე ვთქვი, რომ ღმერთები ხართ?“ (იოანე 10, 34) ადამიანის არსი ესაა სულის ღრმა ფესვები, რომელსაც თვით ადამიანი შეიმეცნებს, როგორც აბსოლუტურ ფასეულობას, გაუგონარ და აუხსნელ საიდუმლოს და თავისი „მე“-ს ჭეშმარიტ რეალობას. ყველაფერი, რასაც აკეთებს, რასაც ემსახურება, ის, რაც მის ცხოვრებას ავსებს, ამ პირველად საფუძველს ეყრდნობა.

ღიახ, ადამიანის „მე“-სა და მთელ სულიერ სამყაროს შორის ურთიერთობის ჰარმონიაში უნდა ვეძებოთ ცხოვრების აზრი.

ვიმეორებთ — ცხოვრების აზრის არსი მუდმივი უნდა იყოს, ის მუდმივი ფასეულობით, ანუ იმ სიკეთით უნდა იყოს გაჟღენთილი, რომელიც ყველასთვის და არა მარტო ჩემთვის იქნება სიკეთე.

თუ ჩემი სიკეთე შენთვის ბოროტება აღმოჩნდა, ამგვარი სიკეთე, ამგვარი ცხოვრების აზრი ჩვენთვის მიუღებელია.

აქ იკვეთება ღრმად დამაფიქრებელი კითხვები: – შევძლებთ სიკეთისა და ბოროტების ზოგადად გააზრებას? რაა ადამიანი, ის უნიკალური ფენომენი, რომლის არსი ბოროტებასა და სიკეთეს მოიცავს? და რა ადგილი უკავია ადამიანს იმ სამყაროში, რასაც ხან სასტიკად, ხან მშვენიერად აღვიქვამთ? – ცვადოთ, იქნებ შევძლოთ იმ სამყაროს შემეცნება, რომლის ნაწილიც ადამიანია.

სამყარო

სამყარო – ალბათ, ყველაფერი ის, რაც ჩემში და ჩემ გარეთაა.

რისგან და როგორაა შექმნილი სამყარო?

ალბათ, ადამიანში ადამიანი მაშინ იწყება, როცა ის საკუთარ თავს პირველად დაუსვამს კითხვას: „რისგანაა ყველაფერი?“ ცხოველს ეს არ აინტერესებს. მაგალითად, გოჭს ან ზღარბს არ აინტერესებს როგორ შეიქმნა ეს სამყარო და სადაა მისი ადგილი ამ სამყაროში.

თუ ეს ასეა, ერთი მხრივ, ჩვენში ადამიანი დღისით, მზისით დიოგენეს ჩირაღდნითაა საძებნი.

მეორე მხრივ, ისმის მარადიული კითხვა – შეძლებს კი ადამიანი სამყაროს არსში გარკვევას?

ან იქნებ ეს, მართლაც, ისეთი რთული საკითხია, რომ უბრალო მოკვდავს აქ არაფერი ესაქმება?

ვერავინ შეძლებს ახსნას, რატომ არის სამყარო მაინცდამაინც ასეთი, როგორიც არის. ჩვენ სამყარო რეალურად უნდა აღვიქვათ, თუნდაც ის „აბსურდულად“ გვეჩვენებოდეს. ის ხომ ამ „აბსურდითაა“ საინტერესო.

ვიმეორებთ, გამოსავალი ერთია – ნუ გვექნება პრეტენზია იმაზე, თუ რატომ არ არის ბუნება მოწყობილი ისე, როგორც ჩვენ გვსურს.

შევეცადოთ სამყარო შევიმეცნოთ ისეთი, როგორიც არის და გავერკვეთ მის კანონზომიერებაში. ამისათვის აუცილებელია სამყაროს შემეცნების მოდელის ჩამოყალიბება. მოდელის არსი სამყაროს გააზრების გაადვილებაა და არა სამყაროს შემცირებული ფოტოგრაფიული გამოსახულების წარმოდგენა. მაგ., ნილს ბორის ატომის მოდელს რეალურ ატომთან არაფერი აქვს საერთო. მართლაც, ბორის ატომის მოდელი ისე ჰგავს რეალურ ატომს, როგორც ქიზიყი – ლამანშს. ამის მიუხედავად, ატომის ამ მოდელზე დაყრდნობით, შეიქმნა ყველაფერი ის, რაც არც მობილური ტელეფონიდან იწყება და არც ბირთვული იარაღით თავდება. შესაბამისად, შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ სამყაროს შემეცნების მოდელი, რომელიც ჩვენთვის ყველა ძირითად საინტერესო საკითხზე დამაკმაყოფილებელ პასუხს მოგვცემს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კანონზომიერებაში გარკვევა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ადამიანი, სოციუმი.

ამაში გარკვევას ყველა დროის ზნეობრივი და განათლებული ადამიანი ცდილობდა.

უძველესი დროიდან ჩვენამდე მოღწეული ცოდნა, აზრები ნამსწერელების სახით ჩავიბარეთ. ეს ცოდნა უსისტემოა, შესაბამისად, არაორდინალურ აზროვნებასა და მიდგომას მოითხოვს.

ადამიანის აზროვნება მარადიული ფასეულობაა. ის უცვლელია. არ ექვემდებარება დროს.

დრო გავლენას მხოლოდ ხელოსნობის განვითარებაზე, ანუ ჩანაფიქრის რეალურად აღსრულების ხარისხსა და სიჩქარეზე ახდენს. დღევანდლობასა და წარსულს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმაციის დაგროვება, შენახვა, გადაცემა დღეს უფრო სწრაფი და მოსახერხებელია.

ჩვენს მოაზროვნე წინაპრებს აუცილებლად გავუგებთ, რადგან დაგროვილი ცოდნის შემქმნელნი არა მარტო გენეტიკურად, სულითაც ჩვენი წინაპრები არიან.

ჩვენთვის მთავარია, გავერკვეთ ძირითადში:

რა აწუხებდათ, რა აინტერესებდათ მათ, რა ხერხებს იყენებდნენ პრობლემის გასაანალიზებლად და გადასაწყვეტად.

გავიხსენოთ, რომ ელინები მტკიცებულების მნიშვნელობას, ფასეულობას ძალიან ადრე მიხვდნენ და საკუთარ საზოგადოებაში დაამკვიდრეს. ეს არც ეგვიპტეში, არც მესოპოტამიაში, არც ჩინეთში მომხდარა, რადგან არათავისუფალ საზოგადოებაში – აზრის მტკიცებულების მოთხოვნა უკვე დანაშაული იყო. ვინ გაბედავდა ფარაონისა თუ იმპერატორის მიერ გამოთქმული აზრის მტკიცებულების მოთხოვნას?

შესაბამისად, ამ ქვეყნებმა სოციალური განვითარების მაღალ დონეს ვერც მიაღწიეს.

ძველი ელინი მოაზროვნენი ცდილობდნენ აეხსნათ მსოფლმხედველობის ძირითადი პრობლემა:

ყოფიერება და ადამიანის ადგილი მასში.

ამ საკითხში გარკვევა პირველად თაღეს მიღეთელმა სცადა. ის მიიჩნევდა, რომ ყველაფრის საწყისი წყალია და „ყველაფერი სავსეა ღემრებით“. თაღესმა საოცრად მახვილგონივრული სისტემა შექმნა. მისი აზრით, – „სამყარო არაა გაქვავებული მატერია, ეს ცოცხალ, ერთმანეთთან ურთიერთქმედ არსებათა ნაკრებია“.

შემდეგ ანაქსიმანდრემ განაცხადა, რომ ყველაფრის საწყისი აპეირონია – უსაზღვრობა.

ანაქსიმენემ ყველაფრის საფუძვლად ჰაერი.

ჰერაკლიტე ყველაფრის საფუძვლად პროცესს მიიჩნევდა (ამიტომ დაინტერესდა მდინარეში ორჯერ შესვლის პრობლემით).

– ომი მეფე და მამა სიცოცხლის, ომმა აქცია ადამიანები ღმერთებად, მოკვდავებად და მონებად, – ამბობდა ის.

ნუ იჩქარებთ, ნუ დაკარგავთ მისდამი სიმპათიას, ამ მოაზროვნეს თავისი ლოგიკა აქვს: „თუ მთავარია ქმედება, პროცესი, მაშინ ადგილი უნდა ჰქონდეს ურთიერთდაპირისპირებას, სიცოცხლის ნაკადების შეჯახებას, ბრძოლას“.

პითაგორამ ყველაფრის საწყისად აბსტრაქცია – რიცხვი გამოაცხადა. მისი აზრით, თუ რიცხვი საწყისია, ის ყველაფერში უნდა იყოს. მართლაც, მატერიალურ და სულიერ სამყაროს რიცხვი უღვევს საფუძვლად. მისი აზრით, ის, რაც რიცხვით არ გამოისახება, არ არსებობს.

ზემოთქმულიდან ჩვენთვის ერთი რამ არის საინტერესო, რომ ბერძენ ფილოსოფოსებს, განსხვავებული აზრების მიუხედავად, ჰქონდათ საერთო ამოცანა – **იმ სამყაროს შეცნობა, რომელშიც ვიმყოფებით.**

ბერძნებისაგან განსხვავებით, სპარსეთსა და აზიაში ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ნატურ-ფილოსოფიას, მათ სხვა ინტერესები ჰქონდათ: **რაა სიკეთე და ბოროტება, ვინ არის მეგობარი და ვინ მტერი, მუდმივია თუ არა მტრობა.**

ქალაქ ბალახაში (ირანის უკიდურესი აღმოსავლეთი) დაიბადა ზერდუშტის ფილოსოფია. ის ჩვენთვის ცნობილია, როგორც ზარათუშტრა, დიახ, ის ზარათუშტრა, რომელიც უმრავლესობამ ფრიდრის ნიცშეს ნაწარმოებიდან გაიცნო.

ზერდუშტის აზრით, **მთავარი არაა რა გვაკრავს გარშემო, – ეს ისედაც ნათელია. ყველამ იცის რა არის ზღვა, მდინარე, ქვა. მისთვის მნიშვნელოვანია, რაა დღე და რაა ღამე, სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება; რაც მთავარია, – მათი ურთიერთობა, ერთიანობა; ჩამოყალიბდა ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფცია. იწყება ღუალიზმის გააზრება.**

ჩინეთში კი VIII-VII საუკუნეებამდე ძვ.წ.-ით, სულ სხვა პრობლემა ჰქონდათ, მათ სულ სხვა რამ აწუხებდათ. ჩინეთი შედგებოდა მრავალი სამთავროსაგან, არავინ იცის მათი ზუსტი რიცხვი. მათ შორის ომი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ისინი დაუნდობლად ჟღერდნენ ერთმანეთს.

ჩინეთში ქალი ყოველ წელს აჩენდა ბავშვს, ამიტომ 15-20 ბავშვის ყოლა ბუნებრივი რამ იყო. ეს ინტენსიური გამრავლება ომის პროვოცირებას იწვევდა, რადგან მათთვის მთავარი იყო სივრცე, საცხოვრებელი ადგილი. როგორ დააღწიეს თავი ჩინელებმა ამ ტოტალურ, ძმათამკვლელ ომს? –

ცხადია, ძნელი იყო ამ კომპარში ცხოვრება და გაჩნდა ამ ურთულესი ამოცანის ამოხსნის შესაბამისი იდეები.

მგწად.-ის დაახლოვებით მეოთხე საუკუნეში იბადება ორი იდეოლოგია, პირველი – კუნ ძის (შემდგომ მას კონფუცი ეწოდა, „ფუ“ გამოხატავს პატივისცემას), მეორე – მისი უმცროსი თანამედროვე ლაო ძის.

კონფუციის აზრით, ყოველივე ამაზრზენი გაუნათლებლობის ბრალია.

ლაო ძი კი სხვა გზა აირჩია. მისი აზრით, ადამიანის მიერ დადგენილი წესები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს. უნდა ჩავწვდეთ ბუნების კანონებს, რათა გავიგოთ, როგორ ცვლის აწმყოს მომავალი.

ფაქტობრივად, ლაო ძი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მქადაგებელი იყო. სამყარო მისთვის იყო ღაო – ის, რაც არსებობს და ის, რაც არ არსებობს, რასაც ამაღლებამდე, გასხივოსნებამდე ვერ გავიგებ.

მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სამყარო, რომლის დიამეტრი უსასრულობაა. ის ხან მცირდება წერტილამდე, ხან ფართოვდება. შესაბამისად, ყველა სულიერი განიცდის გარდასახვას, განახლებას.

კონფუციის აზრით, ღმერთის არსებობა-არარსებობას არა აქვს მნიშვნელობა. არც ისაა მნიშვნელოვანი, როგორ არის მოწყობილი სამყარო. ამაზე არ უნდა იფიქროთ. მთავარია, როგორ მოვიქცეთ ჩვენთვის განკუთვნილ საკუთარ ცხოვრებაში.

როგორც აღვნიშნეთ, განათლებულ ადამიანებს ყველა ღროსა და სივრცეში აინტერესებდათ: ყოფიერება და ადამიანის ადგილი მასში.

აღნიშნული საკითხი ჩვენი აზრითაც უმთავრესი პრობლემაა.

ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია გავერკვეთ ვინ ვართ, როგორია ჩვენი შინაგანი სამყარო, გონი, აზროვნება, რა აყალიბებს მას, რა ახდენს მასზე გავლენას, რა გვამოძრავებს.

ერთადერთი, რაც ნათლად, უცილობლად ექვემდებარება განკარგვას, ეს არის ჩვენი გონება; მაღალია მისი ელასტიკურობა, ძვრადობა, სიჩქარე; შესაბამისად, მოაზროვნე ადამიანს არ უნდა გაუძნელდეს შეგნებულად, საზრიანად განავითაროს საკუთარი „მე“, ზუსტად ისევე, როგორც კონსტრუქტორი ქმნის რთულ მექანიზმს წინასწარი გააზრებული გეგმის, ნახაზის მიხედვით. ამ ღროს კონსტრუქტორის არც ერთი ახალი მიგნება ფუჭად არ იკარგება, ყოველი ახალი დეტალი ემსახურება მექანიზმის სრულყოფას, მის უნარს, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

სწორედ ასევე, ადამიანს უნდა შეეძლოს წინასწარ გააზრებული გეგმის შესაბამისად შექმნას საკუთარი ხასიათი, რომელიც მას დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

ადამიანს ქმნის აზრი, ფიქრი. რაზეც ის ფიქრობს დღეს, ზვალ ისეთი ხდება.

გავრცელებულია შეხედულება, რომ გარემო ჩვენს გონებრივ წყობას, აზრს, შინაგან და გარეგან მოთხოვნილებებს აყალიბებს. თუ ადამიანის შინაგანი არსის განვითარების დინამიკას დაუკვირდებით, მაშინ ეს აზრი უმაღლეს ჭეშმარიტებად არ მოგეჩვენებათ. გააჩნია, ვის გონებაზე მოქმედებს ან ვერ მოქმედებს გარემო.

არიან ადამიანები, რომლებზეც გარემო გავლენას ვერ ახდენს. თუ ასეთი ადამიანების რიცხვი თითებზეა ჩამოსათვლელი, ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს გონებაზე გარემო კი არ მოქმედებს, არამედ

ყოველი ჩვენგანი მიისწრაფვის ისეთი გარემოსაკენ, რომელიც ყველაზე მეტად ეთანადება მისი ზნეობისა და ინტელექტის რეალურ ღონეს.

რა ქმნის, რა განსაზღვრავს იმ ადამიანთა შინაგან ენერგიას, რომელნიც პირიქით, გარემოზე ახდენენ ზემოქმედებას, ხანდახან ისე მძლავრად, რომ არა მარტო გარემოს, არამედ ცივილიზაციის განვითარების მიმართულებასაც ცვლიან?

რა გარემო იყო სოკრატეს გარშემო?

ბერძნები ცხოვრობდნენ პლასტიკით, სილამაზით, მითებით, ზღაპრებით, ინსტინქტებითა და ინტუიციით. მათ ღრმად სწამდათ თავისთავად ზრდადი, საკრალური სიცოცხლის წმინდა ძალის. ამ გარემოში ადამიანი მოვიდა და ბავშვურად გაგებულ, უცოდველ სამყაროს (ძველბერძნული გაგებით), ღრმად, ანალიტიკურად, უძირო, ირონიული თვალებით შეხედა.

პირველად მოხდა, რომ ცხოვრებას შეხედეს არა შიგნიდან – კონკრეტულიდან, არამედ ზევიდან – ზოგადიდან. დაიწყო ცხოვრების შეფასება. ცხოვრების განსჯა-გასამართლება აზრის, ლოგიკის, გონების, იდეალების პოზიციიდან. ანალიტიკურმა აზროვნებამ გაანგრია კედელი, დაიწყო არსებული შეხედულებების გადაფასება და ეს პროცესი მიზნობრივად, მეთოდურად მიმდინარეობდა.

გონებით აღქმული იდეა რეალურ ქმედებას იწვევს.

ადამიანში, რომელიც ყოფიერების მთლიანობაზე ყურადღებას ამახვილებს, აუცილებლად ვითარდება თვითშეზღუდვის ეთიკური ძალა.

სწორედ, ეთიკურმა ძალამ მიიყვანა სოკრატე ამაღლებულ ფილოსოფიასთან.

სოკრატეს ფილოსოფიაში **ინტუიცია გადაიწონა აზრით. ეს მან მოახერხა, ადამიანები აზრის წინაშე დაეჩოქებინა.**

სოკრატე ცხოვრობიდან გავიდა და იქიდან შეხედა სამყაროს. სწორედ მან მისცა იმპულსი დეკარტეს სიტყვებს: „**გაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ**“.

მთელი ცივილიზებული სამყარო ამ თვალსაზრისს იზიარებს.

გულგრილი, ე.ი. ჭეშმარიტების მოძულე თანამოქალაქეები სოკრატესათვის უპირველეს ყოვლისა იყვნენ ავადმყოფები, პაციენტები, რომლებიც უნდა განიკურნონ, რადაც უნდა დაჯდეს და თუ ამ ადამიანებს არ ესმით ავადმყოფობის დამანგრეველი ძალა, მაშინ განკურნება უნდა მოხდეს მათი სურვილის წინააღმდეგაც კი, და არ უნდა მიაქციო ყურადღება იმას, თუ როგორ იგრინებიან და ღრიალებენ ისინი კლინიკური, გაპრიალებული, ალესილი ფოლადის დანახვისას.

იმასაც არ უნდა მიაქციოთ ყურადღება, თუ რა ენერგიულად აცხადებენ პროტესტს სისხლიანი გულის ყველა ფიბრით. აუჩქარებლად, მთელი ყურადღებით, აბსოლუტური სიზუსტით უნდა ამოგვევლინოთ მათი გონებიდან **ალოგიკურობა, სიცრუე, ჭეშმარიტებისაგან გაქცევის სურვილი.**

მართლაც, ადვილია იცხოვრო კეისარივით, იაზროვნო არისტოტელესავით, მაგრამ შეუძლებელია სოკრატესავით იცხოვრო და იაზროვნო.

ნებისმიერი შემთხვევითი გამვლელი, როცა ხალხით გარშემორტყმულ, დაბალ, მსუქან, გაცვეთილ ხალათში გამოწყობილ მოსაუბრე კაცს დაინახავდა, მას ირონიული ღიმილით უახლოვდებოდა, მაგრამ მის პირველსავე სიტყვებზე მსმენელს ირონიული ღიმილი სახეზე ეყინებოდა. გამვლელი გაოცებული უსმენდა. მთელი ღამე ფიქრობდა და მეორე დღეს ამ შეუხედავ კაცს საგანგებოდ ეძებდა, რათა კიდევ ერთხელ მოესმინა მისთვის.

იწყებოდა ამაღლება.

აი, ეს უნდა იყოს ჩვენი ქმედების სიმბოლო. ნუ გეშინიათ აზრობრივი ზემოქმედების. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს და იძულებულნი ვართ ასე მოვიქცეთ. ალბათ, სწორედ ამას უწოდებენ ჰუმანურ ინტერვენციას.

ადამიანთა ცნობიერებამ, გამოცდილებამ მკვეთრად განასხვაა აუცილებელი ქმედება და დანაშაული: მკვლელობა თავდაცვისას და მკვლელობა ძარცვის ან შურისძიების მიზნით, ცდუნება და ძალადობა და ა.შ. XIX საუკუნეში იყო მცდელობა გაეთანაბრებინათ აღნიშნული დანაშაულებანი და ეს უსაფუძვლო აზრი იყო.

ამგვარად, აუცილებლობამ მოგვანიჭა უფლება, ვიბრძოლოთ ადამიანის ამაღლებისთვის, რადგან ეს ქვეყნის გადარჩენისთვის აუცილებელი ქმედებაა და არა დანაშაული.

მთავარია გვახსოვდეს: – რა წმინდაც უნდა იყოს მიზანი – ადამიანის კეთილდღეობისთვის ზრუნვა – ის უხეში ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობის საფუძველი არ უნდა გახდეს!

სოკრატემ ევროპულ აზროვნებაში იმპულსი შემოიტანა და ამ მუხტის ქმედების შედეგის გააზრება დღემდე არ დასრულებულა. მან ცივილიზაციის არნახული ბიძგი გამოიწვია. სოკრატეს მიხედვით, გარე სამყარო ლოგიკური აზროვნებიდან გამომდინარე უნდა იქნას გაგებული.

აი, ესაა თვითმყოფადი და მოზეიმე ძალა, ეს უნდა იყოს ჩვენი აზროვნების ორიენტირი! დიალექტიკა, ანუ განვითარების პროცესი, სოკრატესთვის იყო ცხოვრება, ეროსი.

განვითარების პროცესს ჩვენც ასე შევხედოთ.

ჩვენი შინაგანი ენერგია, ინტელექტი აყალიბებს ჩვენს გონებას და თუ ეს ქმნილება მყარია, ხარისხიანია, ამ ქმნილების სიკეთით ვსარგებლობთ, თუ არა – მის უკეთურ თვისებებზე ჩვენვე ვართ პასუხისმგებელნი. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აზრის შედეგი მხოლოდ მის შემოქმედზე არ აისახება, ის სხვებზეც ვრცელდება და არ არსებობს უფრო მეტად საპასუხისმგებლო ქმედება, ვიდრე აზრის გაგაცელება. ერთის აზრი გადაეცემა მეორეს, მეორისა – პირველს. სწორედ, ეს აერთიანებს ადამიანებს და ან სიკეთესთან, ან მის უარყოფასთან, ანუ ბოროტებასთან აკავშირებს, რაც ჩვენს მეგობრებს, მტრებს, მომავალს განსაზღვრავს.

ინტელექტი გააზრებას, პასუხისმგებლობას ითხოვს.

გაიხსენოთ ვაჟას „გველის მჭამელი“; ადამიანი, რომელმაც ბუნება შეიცნო, მცისვე უზარმაზარ პასუხისმგებლობას გრძნობს. რის მიმართაც ჩვენი უცოდინარობით უყურადღებობა „მიგვეტევაბოდა“, გაცნობიერების შემდეგ, მისი უგულვებელყოფა დაუშვებელია.

მოვლენის არსის გააზრების შემდეგ თვალის დახუჭვა უკვე ბოროტებაა.

პასუხისმგებლობა ნებისყოფას ავითარებს.

ნებისყოფა სურვილის უმაღლესი ფორმაა, რომელიც თავის მხრივ, ყველაზე მძლავრი შემოქმედებითი ძალაა.

გარე სამყაროს საგნებისკენ ჩვენი სურვილი გვიზიდავს.

მოაზროვნე ადამიანი საკუთარი სურვილის შესაბამისად იქმნება და ყალიბდება. ამიტომ სურვილის არჩევისას განსაკუთრებით ფრთხილნი უნდა ვიყოთ, რათა ჩვენი განვითარება არ შეფერხდეს.

დიახ, სწორედ სურვილს მიჰყავს ადამიანი იქ, იმ გარემოში, სადაც შესაძლებელია მისი სურვილის დაკმაყოფილება. ამ გარემოში იწყება მისი ან სრულყოფილ ადამიანად ჩამოყალიბება, ან განადგურება, ან სტაგნაცია.

თუ ჩვენი ამაღლებული სულიერი და მატერიალური მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი გარემო არ არსებობს, მაშინ ის ჩვენ უნდა შევქმნათ.

ჩვენი სურვილები მოქმედებენ ჩვენს გარემომცველ ადამიანებზე. აზრის მსგავსად, სურვილიც გადაეცემა სხვას. ამჟამად ევოლუციის ისეთ საფეხურზე ვიმყოფებით, სადაც სურვილი გაცილებით ძლიერია აზრზე, ამიტომ

ერთნაირი სურვილები უფრო აკავშირებენ ადამიანებს, ვიდრე ერთნაირი აზრები.

აქედან გამომდინარე, ადამიანთა უმრავლესობაში სურვილი ქმნის მომავალში მტერსა თუ მოყვარეს. სურვილს შეუძლია ხვალ ისეთ ადამიანებთან დაგაკავშიროს, რომელთა არსებობაზე დღეს წარმოდგენაც კი არა გაქვს. ერთის მძლავრმა სურვილმა შესაძლებელია ისე იმოქმედოს მეორეზე, თანაც ისეთ მომენტში და ისეთ გარემოებაში, რომ შედეგი წარმოუდგენელი აღმოჩნდეს.

დგება მომენტი, როდესაც შინაგან არსში არსებული სასწორის მერხვეი ისარი არამდგრად წონასწორობაშია. არაცნობიერიდან წამოსული უმცირესი ვიბრაცია კი მომენტალურად გადაწყვეტს, სასწორის ისარი სიკეთისა თუ ბოროტების მხარეს გადაიხაროს.

ადამიანს უკვირს, როდესაც მისი აზრით, დაუმსახურებლად, უეცრად თავს უბედურება ატყდება. მის მოუშაადებელ ცნობიერებას ვერც კი წარმოუდგენია, ეჭვიც კი არ უჩნდება, რომ მისი უბედურების მიზეზი გახდა მისი ნეგატიური სურვილი, შეუმჩნეველი ჟესტი, ირონია, მიმიკა, რამაც სხვა ადამიანს ზიანი მიაყენა.

ადამიანი საკუთარ მომავალს თვითონ ქმნის.

სამი ძალა აშენებს ჩვენს მომავალს.

ჩვენი აზრები ქმნიან ჩვენს ხასიათს.

ჩვენი სურვილი ირჩევს იმას, ვის გარემოცვაშიც მომავალში ცხოვრება მოგვიწევს.

ჩვენი ბედნიერების ზუსტ ზომას ჩვენი ქმედება აყალიბებს.

არასდროს უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ყველა ძალას თავისი მოქმედების არეალი, სფერო აქვს.

თუ ადამიანი მიწაზე თესავს, მოსავალს ცაში ვერ მოიმკის.

რაც უფრო მაღალია ის წყარო, საიდანაც მოდის ადამიანის შინაგანი ქმედება, მით ხანგრძლივი და ძლიერია მისი გავლენა.

ავირჩიოთ ამაღლებული წყარო და დავიწყოთ ქმედება უყოყმანოდ და შიშის გარეშე. მთავარია, რომ საზრიანად ვიმოქმედოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ქმედებისას შეიძლება შეცდომაც დავეშვათ, მაგრამ შეცდომა მხოლოდ მიწიერი იქნება. აუცილებელია მისი, როგორც მკაცრი გაკვეთილის მიღება და შესაბამისად, მომავალში მისი გათვალისწინებაც შესაძლებელია.

მთავარია, ჩვენი აზროვნებისთვის მიუღებელ, გარემოს მიერ თავსმოხვეულ ცხოვრების წესს არ დავემორჩილოთ.

სანამ სოციალური გარემოს გააზრებას შევეცდებით, მოდით, გავიაზროთ ჩვენი გარემომცველი სამყარო.

რისგანაა ყველაფერი, რა არის ყველაფრის პირველსაწყისი?

ვიმეორებთ, ეს კითხვა უხსოვარი დროიდან აწუხებდა ადამიანს. ჯერ კიდევ **ჰომეროსისა** და **ჰესიოდეს** პოემებში შთამბეჭდავადაა გადმოცემული სამყაროსა და მასში ადამიანის ადგილის გააზრების მცდელობა. ამ მიმართულებით გაბედული ნაბიჯი გადადგეს **თალესმა** (624 – 546 ჩვ.წ.აღმდეგ.), **ანაქსიმენემ** (560 – 525 ჩვ.წ.აღმდეგ.) და **ანაქსიმანდრემ** (610 – 547 ჩვ.წ.აღმდეგ.).

თვით კითხვის დასმა: – „**რა არის ყველაფრის პირველსაწყისი?**“ თავისთავად უკვე გენიალურია, იმდენად, რამდენადაც მასში ჩადებულია იმისი რწმენა, რომ თუ პირველსაწყისის მიგნებას მოვახერხებთ, ყველაფრის ახსნა-გააზრება შესაძლებელი გახდება.

ბერძნების აზრით, ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა, პირველნივთიერებისგან წარმოიშვა. ყველაფრის საფუძველია პირველადი სუბსტანცია.

თალესის წყალი, ანაქსიმენეს ჰაერი, ჰერაკლიტეს ცეცხლი – სუბსტანციებია. ამაზე ფიქრობდნენ ძველ ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში. თანდათან გამოიკვეთა სუბსტანციები – ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა, ხე (ჩინეთი). პირველსაწყის ნივთიერებად იღებდნენ ხან ერთ, ხან ხუთ სუბსტანციას, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. აქ მთავარია ის, რომ უნივერსალური პრინციპებისკენ სვლა, გზის ძიება მიმდინარეობდა.

სუბსტანცია (ლათ. substantia – საფუძველი, ქვემდებარე) – **არსი**. ეს არის ის, რაც ახსნისათვის რაღაც სხვას არ საჭიროებს. სუბსტანცია ნიშნავს ყველა მოვლენის, საგნის პირველსაწყისს, არსს.

თავისთავად გასაგებია, არსის წვდომა ურთულესია.

არსებობს ფილოსოფიური მიმართულება აგნოსტიციზმი, რომელიც მიიჩნევს, რომ სამყაროს შემეცნებას ზღვარი აქვს (აგნოსტიციზმს აბრალებენ კანტსაც, რაც, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება).

აგნოსტიციზმი მიგვანიშნებს, რომ შეუძლებელია ადამიანის გონება საგნის, მოვლენის, სოციალური კანონზომიერების არსს ბოლომდე ჩაწვდეს. აქ იბადება, თითქოს ლოგიკური კითხვა: – თუ

მე მაინც ვერ ჩავწვდები სოციალური კანონზომიერების არსს, მაშ შემეცნებაზე, განათლებაზე, აზროვნებაზე ენერგიის ხარჯვა რა საჭიროა?

– არა, შემეცნება არათუ საჭირო, არამედ აუცილებელია!

ჟან ჟაკ რუსო სწირად იხსენებდა ერთ სახალისო ფილოსოფიურ ზღაპარს (იგივე შინაარსია გადმოცემული ანატოლ ფრანსის მოთხრობაში „პერანგი“), რომლის არსი შემდეგშია:

ერთი სახელმწიფოს მეფე ავად გახდა. მისი ავადმყოფობა იყო მოწყენილობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ჰქონდა, არაფერი ახარებდა. ვერაფრით შეელოდნენ, რადგან ავადმყოფობის მიზეზი ვერ დაადგინეს. მხოლოდ ერთმა ექიმმა დაასკვნა, რომ მას მხიარული მოლექულები აკლდა. მან მეფეს ურჩია, რომელიმე ბედნიერი ადამიანის პერანგი ჩაეცვა, რათა მისი ბედნიერი მოლექულები მეფის სხეულში გადასულიყო და ის გაემხიარულებინა. სასწრაფოდ გაგზავნეს მსახურები ბედნიერი ადამიანის საძებრად, მაგრამ ასეთს ვერსად მიაგნეს. ბოლოს ვიღაცამ მიასწავლა: – ერთი ბედნიერი კაცი ტყეში ცხოვრობსო. მსახურებმა ტყეში ხის ფულუროდან თავგამოყოფილი მხიარული კაცი იპოვეს და ჰკითხეს:

– ბედნიერი ხარ?

– რა თქმა უნდა – იყო პასუხი.

– მეფე მოწყენილობისაგან გვიკვდება, გვათხოვე შენი პერანგი, მეფე ჩაიცვამს, მხიარული მოლექულები მის სხეულში გადავა და მორჩება.

– სიამოვნებით გათხოვებდით, მაგრამ პერანგი რომ არა მაქვს – შეწუხდა კაცი. აღმოჩნდა, რომ მთელ სამეფოში ერთადერთ ბედნიერს პერანგიც კი არ ჰქონდა.

ამ მოთხრობიდან შეიძლება არახალი დასკვნა გამოვიტანოთ. აქ, ჩვენთვის საინტერესოა სიტყვა „მოლექულა“, რომელიც გვიხსნის მეფის მოწყენილობის მიზეზს.

ჟან ჟაკ რუსოსთვის ან ანატოლ ფრანსისათვის რომ გეკითხათ, რა იყო მოლექულა, შეიძლება ვერ აეხსნა. მისთვის მოლექულა იყო ის სუბსტანცია, რაც რაღაც მოვლენის ასახსნელად გამოდგებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოლექულა ატომებისაგან შედგება, ანუ მოლექულა ახსნადი გახდა და, შესაბამისად, სუბსტანციამ გადაიწია. ახლა ატომი გახდა აუხსნელი, ანუ – სუბსტანცია. შემდეგ აღმოაჩინეს პროტონი, ნეიტრონი, ელექტრონი და ატომიც ახსნადი გახდა და, შესაბამისად, სუბსტანციამ კვლავ გადაინაცვლა. მამასადამე, სუბსტანცია არის ის, რაც ხსნის მოვლენას, მაგრამ თავად აუხსნელია. ადამიანი მომავალში უეჭველად მივწვდებით ელემენტარული ნაწილაკების არსსაც . . .

სუბსტანციათა სუბსტანცია ღმერთია, რომლის არსს ვერ შევწვდებით, მაგრამ მისი მეშვეობით აღვიქვამთ სიყვარულს, მშვენიერებას, ზნეობას . . .

ანაქსიმენეს აზრით, „ჰაერი“ (აირი) არის სუბსტანცია, პირველადი „ნივთიერება“, რომლის გარდაქმნით (მაგ., აირის შემკვრივებით, გათხევადებით, აორთქლებით) წარმოიქმნება ყველაფერი, რასაც ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ (ალბათ, ანტიკურ ეპოქაში, ბერძ. გაჩერება, გამოთქმული ამ ზეგენიალური აზრის ჭეშმარიტებაში კაცობრიობა მალე დარწმუნდება).

როგორც აღვნიშნეთ, ანტიკურმა და შემდგომი პერიოდის აზროვნებამ გამოკვეთა ოთხი ძირითადი სუბსტანცია: **მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი**.

უფრო ამაღლებული, ფაქიზი სუბსტანციების გააზრებას მეცნიერული, ფილოსოფიური და ირაციონალური ხედვა, შემეცნება სჭირდება. ხილული სამყაროს ოთხი სუბსტანციის აღქმაც შეუძლებელი იქნება, თუ არ ავმაღლდით, ანუ ის ბარიერი არ გადავლახეთ, რაც ხილულ და უხილავ სამყაროს შორისაა; თუ შესამეცნებელ ობიექტს უხილავი სამყაროდან, ანუ ამაღლებული მენტალური ხედვის კუთხიდან არ დავხედავთ. ამის გარეშე კი, შეუძლებელია გავერკვეთ იმ შეცდომებში, რამაც უბადრუკ არსებობამდე მიგვიყვანა.

დაეუბრუნდეთ სამყაროს ხილული ნაწილის ოთხ სუბსტანციას. მყარი, თხევადი, აირი, ცეცხლი (ანუ პლაზმა). აქ არა მარტო ნივთიერებათა ოთხი აგრეგატული მდგომარეობა იგულისხმება, არამედ საუბარია იმ სუბსტანციებზე, რაც მყარის, თხევადის, აირის, პლაზმის არსს მოიცავს.

ხილული, მატერიალური სამყარო შედგება ოთხი სუბსტანციისაგან:

პლაზმა

აირი
თხევადი
მყარი

ხილულ სამყაროში არსებული ყოველი საგანი, ამ სუბსტანციათაგან ერთ-ერთით, ან რამდენიმეს კომბინირებით აღიწერება.

მაგ., მე, როგორც ბიოლოგიური არსება, შედგებივით ოთხივე სუბსტანციისაგან – მყარი ძვლების სახით, სითხე – სისხლი და ლიმფა, აირი – ჰაერი ფილტვებში, პლაზმა ის რადიკალური რეაქციები, რაც ორგანიზმში ენერგიის გამოთავისუფლებით მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ხილულ სამყაროში გოჭიც და ნიანგიც იგივე სუბსტანციებით აღიწერება. გამოდის, რომ ამ სამყაროში მე და გოჭი ერთნაირ ფასეულობას წარმოვადგენთ. ჩემში ადამიანი მხოლოდ იმ ამაღლებულ სამყაროში იწყება, რასაც შეიძლება მენტალური, უხილავი, ირიალური ვუწოდოთ.

ახლა შევეცადოთ გავვრკევოთ, რამდენი სუბსტანციისაგან შედგება უხილავი, ირეალური სამყარო. თანამედროვე ეზოთერული ლიტერატურა ირეალურ სამყაროს უამრავი სუბსტანციით წარმოგვიდგენს. მათი რიცხვი 250-ს აღწევს, რაც ჩვენი აზრით, დასკვნების გამოტანას მეტად ართულებს.

მათი ზუსტი რაოდენობის დასადგენად ყურადღება მივაქციოთ ბუნების, სამყაროს ერთერთ მნიშვნელოვან თვისებას – წონასწორობას, „**სიმეტრიას**“. მთელი სამყარო სიმეტრიითაა გაჯერებული.

ერთი მხრივ, სიმეტრია სამყაროს განუყოფელი თვისებაა. შესაბამისად, რეალურ და ირიალურ სამყაროთა სუბსტანციებიც ამ ძირითად კანონზომიერებაში უნდა ჩაეწეროს. მეორე მხრივ, მეცნიერული მეთოდი მოითხოვს რთული სისტემის მინიმალური რაოდენობის ელემენტებით აღწერას. მაგ., ადამიანებმა მოიფიქრეს რიცხვთა აღწერის ათი სიმბოლო. 0, 1, 2, . . . , 9. რიცხვთა უსასრულო რაოდენობა სწორედ ამ ათი სიმბოლოთი გამოისახება (დიდი ხანია ადამიანებმა რიცხვთა ათობითი სისტემა ორობითი სისტემითაც კი შეცვალეს). მუსიკაშიც შვიდი ბეგრა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა ადამიანს მელიოდიათა უსასრულო რაოდენობა გამოესახა.

შესაბამისად, შევეცადოთ ირეალური სამყარო სუბსტანციების იმ მინიმალური რიცხვით გამოვსახოთ, რაც უხილავ, ირეალურ სამყაროზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის.

ეს ორი ლოგიკური გააზრება საკმარისია იმისთვის, რომ მივიღოთ დასკვნამდე: თუ ადამიანები შეთანხმდნენ, რომ რეალური სამყარო შედგება ოთხი სუბსტანციისაგან, მაშინ „სიმეტრიისა“ და სისტემის მინიმალური რიცხვით აღწერის პრინციპიდან გამომდინარე, ალბათ, ირეალური სამყაროც ოთხი სუბსტანციისაგან უნდა შედგებოდეს. „სიმეტრიის“ ღერძად ჩავთვალოთ ადამიანის გონი, როგორც სამყაროს უნიკალური ფენომენი. შესაბამისად, ადამიანი ის საოცრებაა, რომელსაც, როგორც რეალური და ირეალური სამყაროს აღქმის, ასევე საკუთარი თავის გააზრების უნარი აქვს.

პირველი ნაბიჯი მატერიალური სამყაროდან ირეალურ სამყაროში გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. მასთან მოუშზადებელმა, გაუაზრებელმა შეხებამ შესაძლოა მისი შემეცნების სურვილი სამუდამოდ დაგვაკარგვინოს, ამის გარეშე კი ჩვენი უაზრო ცხოვრების უკეთესით შეცვლა შეუძლებელია.

ირეალური სამყაროს სუბსტანციათა გააზრება, ალბათ, უხსოვარი დროიდან იწყება. ამაზე ფიქრობდნენ ძველი ეგვიპტელებიც. ამ გააზრებას აქვს პირველსაწყისი სწავლება, რომელიც რელიგიის, ფილოსოფიის, მეცნიერების სინთეზირებას ახდენდა. სამყაროს ეს გააზრება საუკუნეების განმავლობაში ვითარდება და ღრმავდება, მაგრამ საფუძველი იგივე რჩება. დღეს ძნელია ზუსტად დადგინდეს იმ უდიდეს ადამიანთა სახელები, რომელთაც ეს საფუძველი, პირველსაწყისი სწავლების უცვლელი პრინციპი შექმნეს, მაგრამ ის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მათგანი **პითაგორა** გახლდათ.

მას სამყაროს გააზრების ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები დახვდა. იგი ამ წინააღმდეგობათა შორის ცოცხალ კავშირს, სინთეზს, უდიდესი მთელის ერთობას ეძებდა.

პითაგორას რწმენით, სამი სამყარო: ბუნებრივი, ადამიანური და ღვთაებრივი ურთიერთკავშირით, ურთიერთგანსაზღვრით განპირობებულ უდიადეს სვლას ახორციელებს ზევიდან, ღვთაებრივი სამყაროდან ქვევით – ბუნებრივისაკენ და, პირიქით.

ღვთისაკენ მიმავალი გზის გააზრება მოითხოვდა ტიტანურ შრომას და ადამიანის სიცოცხლესაც კი. ამ გზაზე პითაგორას სიკვდილიც ვერ შეაჩერებდა, მითუმეტეს, თუ იგი სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლეს ხედავდა. ამას დაქვეითებული რწმენის, ნებისყოფის ინდივიდი ვერ გააიზრებს.

ამიტომ პითაგორას მოწაფე არ შეიძლებოდა ნებისმიერი ყოფილიყო.

მან იცოდა – **„ყველა ხისაგან მერკური არ გამოითლება“**.

ის ადამიანის ამაღლებას დონეებად, საფეხურებად ყოფდა.

პირველი დონე – მას მოწაფეში უნდა განეფიქრებინა ადამიანის უმაღლესი უნარი – ინტუიცია.

მეორე დონე – „ოქროს დღე“, როცა იგი თავის ეზოში შეიყვანდა იმ რჩეულს, რომელმაც პირველი დონე დაძლია. (აქედან სიტყვა **ეზოთერები** (ისინი ვინც შიგნით არიან) და **ეგზოთერები** (ვინც გარეთაა)).

აქ მასწავლებელთან ამაღლებული, უშუალო კავშირი მყარდებოდა.

იწყებოდა განათლება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. პითაგორას მოწაფეები გამოჰყავდა ხილული ფორმებისა და ხილვების სამყაროდან, გაჰყავდა დროისა და სივრცის მიღმა და გადაჰყავდა დიდ მონადაში – სამყაროს საფუძველში, განუყოფელ სუბსტანციაში. ესაა არშექმნილი და შექმნილი ყოფიერების ჩვენთვის შეუცნობადი არსი.

როგორ მიუვახლოვდეთ შეუცნობელს? – **მის არსში შეღწევა მხოლოდ მასთან შერწყმით შეიძლება.**

ანტიკურ აზროვნებაში პითაგორამ ცნება მონადა, დიადა დაამკვიდრა.

მონადა გამოსახავს ღმერთის არსს.

დიადა – მისგან გამომდინარე თვისებას, სახეს.

დიადა სამყაროს ცხოვრებაში იხმობს, ცხოვრებაში მის რეალიზებას ახდენს, ესაა სივრცესა და დროში ღმერთის ხილული გახსნა.

პითაგორასათვის ადამიანი შედგება სამი სუბსტანციისაგან – **შედუღებული სხეულის, სამშენველისა და ღვთიური სულისაგან**, სამყაროც სამი კონცენტრირებული სფეროსაგან შედგება – **ბუნებრივი სამყარო, ადამიანთა სამყარო და ღვთიური სამყარო.**

ამრიგად, საგანთა არსი ტრიადაა – ცხოვრების ჭეშმარიტი გასაღები. ის სიცოცხლის კიბის ყველა საფეხურზე გვხვდება, რომელიც ორგანული უჯრედიდან იწყება, გადადის ორგანული სხეულის წყობაში, ადამიანში, როგორც ზეორგანიზებულ სისტემაში, სამყაროსა და თვით ღმერთში. ეს კანონი მოქმედებს სინათლის დარად, განმსჭვალავს საგნებს, მთელ სამყაროს შიგნიდან ანათებს და ამჭვირვალებს.

პითაგორასთვის სული არის ის, რაც დამოუკიდებლად მოძრაობს და რასაც კოსმიური ფლუიდი ქმნის. ამიტომ სული ჰგავს ეთერს. სული ქსოვს ეთერს და ქმნის თავის თავს.

სულის გარეშე ეთერი მატერიაში სასიცოცხლო ძალას ვერ განავითარებდა. **მონადის არსი ტრიადაა.**

სამყარო, რომელსაც ადამიანის გონება უნდა შეწვდეს, ამ სამ სარკეში არეკლილი ფენომენია.

პითაგორამ სწავლების სამი ხარისხობრივი დონე შემოიტანა.

პირველ დონეზე ყველა მეცნიერების არსის ინტუიციური აღქმა ხდებოდა. მეორე დონეზე კი – სამყაროს ზოგადი კანონზომიერების შემეცნება; **მოწაფეები საგანთა წარმოშობის ღვთიურ იდეას, ადამიანთა სულის ევოლუციას შეიმეცნებდნენ.** და თუ მოწაფე პირველი ორი დონის გადალახვას შეძლებდა, მაშინ ის მზად იყო მესამე დონის დასაძლევად.

ალბათ, გაცოდებით – მაშ მესამე დონე რაღა იყო.

მესამე დონის სწავლება მიღწეული აბსოლუტური სიმაღლიდან უკან, ბუნების სიღრმეში დაშვებისათვის იყო განკუთვნილი.

მაქციეთ ყურადღება — განათლების მესამე, უმაღლეს დონედ პითაგორა თვლიდა ადამიანის უნარს, ათვისებული ცოდნა საკუთარი და ადამიანთა, საზოგადოების, სახელმწიფოს საკეთილდღეოდ გამოყენებისა. და თუ რაიმე მიზეზით ადამიანი ამას ვერ ახერხებს, მან საკუთარი ინტელექტუალური იმპოტენცია უნდა აღიაროს.

შესაბამისად, სანამ ჩვენი საზოგადოება უკიდურეს სოციალურ გაჭირვებას განიცდის, არავისა აქვს უფლება საკუთარ თავს ინტელექტუალური, განათლებული უწოდოს. ეს პირველ რიგში მეზება მე.

ინტელექტი

ადამიანის არსის, მისი შესაძლებლობების გააზრება უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენამდე მოღწეული უმაღლესი ზნეობისა და განათლების მქონე ადამიანთა შემოქმედების ისტორია ორმოცდაათ საუკუნეზე მეტს ითვლის; და არა აქვს მნიშვნელობა, მათი ნააზრევო ჩვენამდე ზეპირსიტყვიერად, პიქტოგრამებით, კრიპტოგრამებით, იეროგლიფებით, ლურსმული თუ ანბანური დამწერლობით მოვიდა; მთავარია, რომ თუ ამ შემოქმედთა ნააზრევის შედეგებს შევაჯამებთ, უმნიშვნელოვანეს დასკვნას გამოვიტანთ: — **ინტელექტზე ძლიერი ძალა არ არსებობს**, რადგან ინტელექტი არის გონის თვისება, განსჯისა და აზროვნების უნარი. ესაა ღვთის ნათელის გამჟღავნება ადამიანის სულსა და გონებაში.

ინტელექტი არის ის უდიდესი, ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობელი, ღვთის აბსოლუტური გონის ნაწილი, რომელიც ღმერთმა ადამიანს არგუნა და ის ადამიანის აზროვნებაში ვლინდება. ესაა სამყაროს შემეცნების უნარი.

თუ მართლაც, ინტელექტზე ზედა ძალა არ არსებობს, მაშინ თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე საქვეყნოდ უნდა ვაღიარო ჩემი ინტელექტის არასრულფასოვნება; იქიდან გამომდინარე, რომ თუ მე ინტელექტს — ყველა არსებულ ძალათა შორის უდიდეს ძალას — ვფლობ, (ჯიბეში ყველაზე უმძლავრესი იარაღი მიღვეს, რომელსაც ტყვია-წამალი არასდროს გამოელევია), მაშ ჩემ გარშემო დამკვიდრებული ბოროტების თუნდაც იოტისოდენად შემცირება რატომ არ შემიძლია?

დამეთანხმებით, რომ საკუთარი ინტელექტის არასრულფასოვნების აღიარება ძალიან ძნელია, ამიტომ დროებით დავუშვებ, რომ ვფლობ ინტელექტს, მაგრამ, რატომღაც არ ვიყენებ; ვიტან იმ დამცირებას, შეურაცხყოფას, ტკივილს, რასაც თავისუფლების შეზღუდვა, ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრებული უსამართლობა მანიჭებს, ვიტან იმას, რასაც თუნდაც აფხაზეთი და სამაჩაბლო ჰქვია. გამოდის, რომ ამ ტკივილითა და შეურაცხყოფით მე სიამოვნებას, კმაყოფილებას განვიცდი. ესე იგი, იძულებული ვარ ვაღიარო, რომ, უბრალოდ, **მაზოხისტი ვარ**.

უკვე არჩევანის წინაშე ვდგავარ — ან ვაღიარო ჩემი ინტელექტის არასრულყოფილება, ან-მაზოხისტობა. პათოლოგად თავის აღიარება ერთზე ძნელი საქმეა. ამიტომ ჩემი უძღურების სხვა მიზეზს მოვძებნი.

იქნებ **დებრესიული ვარ?** — მოდი დავფიქრებ, რა არის დებრესია? — ესაა კონფლიქტი ცნობიერსა და არაცნობიერს შორის. ცნობიერი მიმტკიცებს, რომ მე არშემდგარი ადამიანი ვარ; არ შემიძლია ჩემთვის ძვირფას ადამიანებს დავუხმარო, არ შემიძლია უზრუნველყო ჩემი შვილების მომავალი, დავიცვა ქვეყნის ინტერესები. ამან შეიძლება მიმიყვანოს დასკვნამდე, — სიცოცხლის ღირსი არა ვარ, ამიტომ დროა შუბლში ტყვია დავიხალო. თუმცა, აქ მსხნელად არაცნობიერი მე-

ლინება; არაცნობიერში, მრავალ სიკეთესთან ერთად, ის ფენომენია ჩადებული, რასაც ჩვენ სიცოცხლის შენარჩუნების ინსტინქტს ვუწოდებთ. არაცნობიერი ჩამოურჩულებს – ნუ ნერვიულობ, ამ დღეში მართო შენ ხომ არა ხარ. მიმოიხედე და დაინახავ, რომ ხალხი შეეჩვია ამ უსუსურობას და ეს არავის ანადვლებს. ამიტომ შენც ჩაიქნე ხელი, იკმარე ჭიქა წყალი, პურის ნაჭერი, დაჯექი გზის პირას და უაზროდ მიაშტერდი ღურჯ ცას. დიახ, ამ უაზრო თვალებით ყურებას ეწოდება დეპრესია.

და თუ თქვენ შეგხვდებით ნაცნობი და დაგიწყებთ რწმუნებას: – **არაფერს აზრი არა აქვს, წერე და იკითხე, ამ ქვეყანას შენ მაინც ვერ გამოასწორებ, მაშინ თქვენ თამამად შევიდით ამ სუბიექტსაც დაუსვით ღიაგონი – დეპრესია.** დაუკვირდით, მას ქმედება არ სურს, ის აღარ ცხოვრობს, მხოლოდ უაზროდ არსებობს და თქვენც ამას გთავაზობთ.

არა, ჩემთვის დეპრესიულობის აღიარება უფრო ძნელია, ვიდრე მაზოხიზმის.

არის გამოსავალი, ვთქვათ, არც დეპრესიული ვარ და არც მაზოხისტი, ინტელექტით ვარ სავსე, ჭკუა ყურებიდან გადმოდის, მაგრამ ჩვენთან გაბატონებული კრიმინალურ-პოლიტიკური წნეხი ჩემი ინტელექტის გამოძულავნების საშუალებას არ მძლევს.

ეს აზრი მრავალი განსწავლული ადამიანის გონებაშია გამჯდარი, რომელიც ვერ ხვდება, რომ ამ მსჯელობით საკუთარი **აზროვნების ალოგიკურობა** აღიარა. ეს მეთოდოლოგიური შეცდომაა, ეს პრობლემის ცალმხრივი განხილვაა. ვიმეორებთ, ეს იგივეა, კრწანისის ბრძოლის შედეგში ალა მაჰმად ხანი დავადანაშაულოთ. როდის მიგხვდებით, რომ ალა მაჰმად ხანი იმიტომაც ალა მაჰმად ხანი, რომ მოვიდეს და გაგანადგუროს; კრიმინალი იმიტომაც კრიმინალი, რომ მოვიდეს და გაგმარცხოვს; შენ კი იმიტომ ხარ ადამიანი, რომ მას შენი ინტელექტით წინააღმდეგობა გაუწიო, დაიცვა საკუთარი „მე“, შენი ახლობლები, საშობლო.

და თუ არ მინდა ვადიარო ალოგიკურობა, მაშინ ინტელექტის გამოუყენებლობა სხვა მიზეზით უნდა ავხსნა. უნდა დავფიქრდე – ვაი თუ **გულგრილი ვარ?! ამ შემთხვევაში ყველაფერი ნათელია** – ინტელექტით სავსე ვარ, მაგრამ გულგრილი ვარ, ამიტომ არ მენადვლება ჩემი შვილების, ქვეყნის ბედი, თქვენც, შესაბამისდ ყველას თავში ქვა უხლია. გულგრილობა ქმედებას გამოიწვევს.

თუ რა საშინელებაა გულგრილობა, ნათლად გამოთქვა რიჩარდ ებერჰარტმა, ბრუნო იასენსკი და ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჯონ სტეინბეკიც ხშირად იმეორებდნენ ამ ფრაზას:

„ნუ გეშინიათ მტრების, რადგან მათ უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ მოგკლან. ნუ გეშინიათ მეგობრების, რადგან მათ უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ გიღალატონ. გეშინოდეთ გულგრილების, რომელთა ჩუმი თანხმობით ხდება ყველა ამაზრზენი დანაშაული ამ ქვეყანაზე“.

ამრიგად, გულგრილობა მაზოხიზმზე, დეპრესიულობასა და ალოგიზმზე უფრო საშინელებაა. თუმცა, იქნებ ადამიანის ღირსების არასაკადრისმა, გაუსაძლისმა ცხოვრებამ გულგრილიც, ალოგიკურიც, დეპრესიულიც, მაზოხისტიც გამხდა. ალბათ, მართლაც ვარ თუნდაც მაზოხისტი, სხვა შემთხვევაში აუხსენელია, თუ როგორ ვიტან ამდენ ტკივილს, შეურაცხყოფას, დაჩოქებას.

გამოდის, რომ მართლაც არშემდგარი ადამიანი ვარ და ვერ ვაცნობიერებ; მაგრამ დადგა ის დრო, როდესაც მინდა საკუთარ თავს მტკიცედ განვუცხადო:

აღარ მსურს – ვიყო გულგრილი, ანუ ბოროტი.

აღარ მსურს – ვიყო ალოგიკური.

აღარ მსურს – ვიყო დეპრესიული.

აღარ მსურს – ვიყო მაზოხისტი.

მრჩება ერთადერთი გამოსავალი – საკუთარი ინტელექტის არასრულფასოვნების აღიარება. ამას ზრდილობიანად ვამბობ, თორემ ეს ფრაზა ქართულად ჩემს სიბრიყვეს, სისულელეს, სირეგვენეს გამოხატავს.

დავაზუსტოთ, რაა ის ინტელექტი, რომლის ნაკლებობასაც ასე მტკივნეულად განვიცდი.

ერთი მხრივ, მაქვს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი, ბეჭდდარტყმული დიპლომი; დაუკვირდით სიტყვა „უმაღლესი“, თურმე ნუ იტყვით და – მასზე მაღლა არაფერია. გარდა ამისა, ვარ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რაღაც გაურკვეველი აკადემიის აკადემიკოსი; უამრავი სამეცნიერო შრომის ავტორი; ათეულობით სადისერტაციო შრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი და ა.შ. თუ ეს ჩემს ინტელექტუალობას არ ადასტურებს, მაშ რა ჯანდაბაა ეს რაღაც ინტელექტი და სად ვიშვოვთ ის?

მართლაც, რაა ინტელექტი? – მისი გააზრება ანტონიმით, ინტელექტის საპირისპირო ცნების დახმარებით ვცადოთ. ინტელექტის ანტონიმია – სისუღლე, სიბრიყვე. შევეცდები გავიაზრო, რაა სისუღლე და თუ ეს შევძლი, იქნებ მივხვდე რაა ინტელექტი.

საგნის, მოვლენის, იდეის არსის გააზრების უუნარობას თურმე სისუღლე ეწოდება და, იმანუილ კანტის აზრით, სამწუხაროდ, სისუღელის წინააღმდეგ წამალი არ არსებობს.

იმანუილ კანტი სულაც არ იყო ცინიკოსი, მაგრამ ამ საკითხში ემოციას ვერ ასცდა.

გავიაზროთ განმარტების პირველი ნაწილი – **საგნის, მოვლენის, იდეის არსის გააზრების უუნარობას ეწოდება სისუღლე.**

ჩვენ ღირსეული ადამიანისათვის არასაკადრის ცხოვრების ჭაობში ვიმყოფებით. ჩვენი სიცოცხლის სიყვარულის ფონზე ასეთი ცხოვრება უარყოფითი მოვლენა, ფენომენია. თუ ამ ფენომენის, მოვლენის არსს ვერ ჩავწვდით, თუ ვერ გავიაზრე, რა მოუვიდა ჩემს განათლებულ საზოგადოებას, რატომ დაეცა ასე სწრაფად ზნეობა, რატომ აღზევდა უსამართლობა და ბოროტება მაშინ, უბრალოდ, სუღელი გამოვდივარ.

დაუკვირდეთ კანტის სიტყვებს, – . . . **სისუღელის წინააღმდეგ წამალი არ არსებობს.**

ერთი შეხედვით, უმკაცრესი ვერდიქტია. თუ არ შეგიძლია საგნის, ფენომენის იდეის, არსის გააზრება? – ვერავითარი წამალი – ჰარვარდის, ოქსფორდის, კოლუმბიის თუ ჩვენს უნივერსიტეტში მიღებული ინფორმაცია, ანუ განსწავლულობა ვერ გიშველით. ვაჟას არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია. თომას მანს, თუ არ ვცდები, საშუალო განათლების ატესტატიც არ ჰქონდა. თუმცა, მათ განათლებასა და ინტელექტს ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს.

აქედან უმნიშვნელოვანესი დასკვნა: – **ნასწავლი, გაწვრთნილი და განათლებული სრულიად განსხვავებული ცნებებია.**

სწავლა არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა, რათა იდეას, არსს შეწვდე. შეიძლება იყო ნასწავლი – იცოდე ენები, სისხლის სამართლის კოდექსი, შეგეძლოს ნახევარგამტარში გამავალი დენის გაზომვა, კომპიუტერული პროგრამის გამოყენება, საგაზეთო რუბრიკის ან სატელევიზიო პროგრამის წაყვანა, მაგრამ კანტის აზრით, ეს შენს სისუღლეს სულაც არ გამოირიცხავს.

ნუ გაგვიბრაზდებით. ეს იმ ფერდაკარგულმა, ტანმორჩილმა, სკოლიოზით დაავადებულმა ერთმა გერმანელმა თქვა. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ყველა პრეტენზია შეგიძლიათ მას ფაქსით კალინინ-გრადში (ყოფილ კენინსბერგში) გადაუგზავნოთ.

თუ არა და, ვაღიაროთ, რომ ინტელექტი მოვლენის, იდეის არსის წვდომის უნარია.

და თუ არა გვაქვს უნარი ჩავწვდეთ საგნის, მოვლენის არსს, ჩვენი ტრაგედია იწყება, რადგან:

არ გაგვიაზრებია მეგობრობის იდეა, არსი და ვცდილობთ ვიმეგობროთ;

არ დავფიქრებულვართ სიყვარულის არსზე და ვცდილობთ შევიყვაროთ;

არ გვაინტერესებს საზოგადოების საფუძველი, იდეა, არსი და ვაშენებთ საზოგადოებას;

არ გვაინტერესებს სახელმწიფოს იდეა და ვცდილობთ შევქმნათ სახელმწიფო;

არ გვესმის ქართველობის იდეა, არსი და ვქართველობთ.

დიახ, არა მარტო მე, არამედ ნებისმიერ პატიოსნებაშემორჩენილ ქართველს არა აქვს უფლება თავს განათლებული უწოდოს, ვიდრე სამშობლო ამ დღეშია. როდის მივხვდებით, რომ საქართველოს ჩვენი განსწავლულობა, ზნეობა არ სჭირდება;

სამშობლოს მხოლოდ ჩვენი განათლებული და ზნეობრივი ქმედება გადაარჩენს!

და თუ ამას ვერ ვხვდებით, მაშინ არც განათლებულნი და არც ქრისტიანები ვართ.

გამოდის, რომ ინტელექტი საგნის, მოვლენის იდეის, არსის წვდომის უნარია!

როგორ შევწვდეთ საგნის, მოვლენის არსს, იდეას?

ეს არც ისე მარტივია, როგორც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას ჰგონია.

მოგვიწვევს იმ საწყისს დაუბრუნდეთ, საიდანაც სამყაროს, ადამიანის არსის, იდეის შემეცნების მცდელობა დაიწყო.

პითაგორა თავის მოწაფეებს ამ არსის წვდომას ასე უხსნიდა: შეხედო სამყაროს ორი საპირისპირო ხედვის კუთხით, არ ნიშნავს ათვალიერო განსხვავებული ობიექტები. ეს ნიშნავს უფრო ერთ სამყაროს ორი საპირისპირო მხრიდან, რაც საშუალებას იძლევა გარეგანი ფორმიდან გადავიდეთ საგანში, მის არსში.

ჩვენც ამას ვცდილობთ; მართლაც, სამყაროს ფიზიკური და სულიერი მხრიდან შევხედოთ. განვიხილოთ რაა ის პირველი საფეხური, პირველი ნაბიჯი, რომელიც იდეის, არსში წვდომასთან მიგვაახლოებს.

პითაგორას აზრით, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ორგანიზმი, მონადა მასში მთვლემარე საწყისს მით უფრო აძლიერებს. მგრძნობელობა ავითარებს ინტუიციას, ინტუიცია – გონებას, სული სხეულისაგან უფრო თავისუფალი ხდება და ხედები შენი სხეული სამშვინველისაგან და ღვთიური სულისაგან როგორ განასხვავ.

აქედან, **ქილონის** აზრი – „**შეიცან საკუთარი თავი და შეიცნობ სამყაროს, ღმერთს**“.

რაც შენში ღელავს, რასაც სამშვინველს უწოდებ, ის შენი ეთერული ორეულია, შენში არსებული არანვითიერი სინათლე, რომელიც თავის თავში უკვდავ სულს მოიცავს.

პითაგორა შინაგანი შემეცნებით ირეალური სამყაროს პირველი სუბსტანციის, პირველი საფეხურის გააზრებამდე მივიდა. **მისთვის ის არანვითიერი სინათლეა. მასთან შედარებით მზის სინათლეს კი მხოლოდ უხეში ანარეკლია. ის ხელშეუხებელი, უწონოა, შუამავალი მატერიაა და სულს შორის. ეს სინათლე, ნაზი ფლოიდი ყველაფერში აღწევს.**

პითაგორას ეს უნიკალური აზროვნება ეგვიპტეში ჩამოყალიბდა.

იმ პერიოდში ქურუმთა სამყაროში შედწევა ურთულესი იყო, მაგრამ პითაგორამ მიზნის მისაღწევად ყველაფერი გააკეთა.

უდიდესი იყო პითაგორას სურვილი – ეგრძნო საყრდენი, ამაღლებულიყო საკუთარ თავზე.

ეს მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ გზა საბერძნეთიდან ეგვიპტემდე, უდაბნოს სიციხე, წყურვილი, შიმშილი აღარ აშინებდა.

მან იცოდა:

იქ, სადაც შორს იყო სამყარო, სადაც ღმერთებმა ადამიანებს გრანდიოზული პირამიდების აღმართვა შეაძლებინეს.

მან იცოდა: **ღროის ყველას და ყველაფერს ეშინია, ღროს კი ეშინია პირამიდების . . .**

იქ, ეგვიპტის წმინდა ტაძრებში ცხოვრობდნენ მოგვები, იეროფანები, რომლებიც უმაღლესი ჭეშმარიტების შეცნობის საიდუმლოს ფლობდნენ. მხოლოდ მათ შეეძლოთ პაპირუსების ამოკითხვა, რაზეც სიკვდილ-სიცოცხლისა თუ სიკეთის დაქვეითებისას ბოროტების აღზევების საიდუმლოება სიმბოლური ფორმით იყო გამოხატული. ამიტომაც მიისწრაფოდნენ ეგვიპტისაკენ ამაღლებული აზროვნების ადამიანები.

უკიდურესი დაძაბვით გადალლილ პითაგორას აღარაფერი ახსოვდა, ის უსაზღვრო ინტერესით ისმენდა ასტრალური გარსის განწმენდის საიდუმლოს.

„ყველაფერი ეს იზიდავს და ოსირისმა იციან.“ – ჩურჩულებდნენ ქურუმები.

ვინ იყვნენ ის ღმერთები, რომლებზეც მოგვები ტუჩზე თითის მიდებით ლაპარაკობდნენ?

... ქურუმებს ადამიანი ღმერთებისაკენ იღუპალი სიჩუმის თანხლებით მიჰყავდათ და მაღალი კოლონების გავლით, რომელთაც თავისი სიმძლავრითა და სიწმინდით მზისა და ცის კაბადონის შეკავება შეეძლოთ, წმინდა ტაძარში შეჰყავდათ. ტაძარში შესული ადამიანის საიდუმლოებისკენ სწრაფვას ქურუმთა გამჭოლი, იღუმალებით სავსე თვალები ამძაფრებდა. მოკვდავის სულს ქურუმის მხერა ალესილი შუბლით განჭოლავდა და ჭეშმარიტების მაძიებელი ხვდებოდა, რომ ის უდიდესი არსების პირისპირ იდგა, რომლის წინაშე რამის დაფარვა შეუძლებელი იყო. სწორედ ეს ქურუმი წყვეტდა, გაენდო მისთვის დაფარული ცოდნა, თუ უსიტყვოდ, ფოლადისებრი ჟესტით ტაძრის დატოვება ებრძანებინა.

თუ ქურუმი „ცხოვრების აზრის მაძიებელში“ ნდობასა და ჭეშმარიტების გულწრფელი ძიების ჟინს დაინახავდა, მხოლოდ მაშინ გაუძღვებოდა წინ და კლდეში გამოკვეთილ ღერეფანში გაატარებდა, მათ ორივე მხრიდან სფინქსების მხერა მიაცილებდათ. ახალგაზრდა პითაგორამ ეს ნდობა დაიმსახურა. ქურუმები პითაგორას თანხლებით მიწისქვეშა კარიბჭეს მღუმარედ მიუახლოვდნენ. კარს ქალღმერთ იზიდას გამაოგნებლად იღუმალი ქანდაკება ფარავდა.

იზიდა მღუმარედ იჯდა, მუხლებზე დახურული პაპირუსი ედო, მისი პოზა უსაზღვრო ფიქრში ჩაძირვას გამოხატავდა, სახეს საბურველი უფარავდა. ქანდაკების ფუძეზე წარწერა იყო ამოკვეთილი:

„ვერც ერთი მოკვდავი ვერ შეძლებს, საბურველი ამხადოს“.

აი, საიდუმლოს კარი – უხსნიდა პითაგორას ქურუმი. – შეხედე ამ ორ კოლონას. წითელი – ამაღლებას, სიკეთეს გამოხატავს. შავი – ესაა ტყვეობა, დაცემა, განადგურება. ის, ვინც იზიდას საიდუმლოს გაგებას შეეცდება, სიცოცხლესა და სიკვდილს, სიკეთესა და ბოროტებას შორის დგება.

აქ სუსტსა და უხეივს ქაოსსა და სიკვდილს მიაგებენ. **მხოლოდ ძლიერი და კეთილი ჰპოვებს სიცოცხლესა და უკვდავებას.**

– აქ მრავალი თავქარიანი მოსულა, კარიბჭეც გადაულახავს, მაგრამ უკან დაბრუნება არ ღირსებია. ეს ის უფსკრულია, რომელიც უკან მხოლოდ სულით ძლიერთ აბრუნებს. თუ შენი სიმამაცე არასრულია, უარი თქვი სიკეთისა და ბოროტების შეცნობის სურვილზე, თუ შენ უკან კარი მიიხურა, უკან დახევა უკვე შეუძლებელი იქნება.

პითაგორას უკან კარი დაიხურა. წინ, გზის ორივე მხარეს, ლომის, ხარის და არწივისთავიანი ადამიანის ქანდაკებები იყო ჩამწკრივებული, რომლებიც მიმავალს გამგმირავი თვალებით უმზერდნენ. გზის ბოლოს ადამიანის ჩონჩხი გვირაბისაკენ მიუთითებდა, სადაც მხოლოდ ჩოქვით შეიძლებოდა შესვლა. პითაგორას ქურუმის უკანასკნელი გაფრთხილება შორიდან ესმოდა:

– შენ უკან კარი არ ჩარახულა, შენ ჯერ კიდევ შეგძლია უკან დაბრუნდე, ეს უკანასკნელი გაფრთხილებაა, კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და უკან ველარასოდეს დაბრუნდები.

მერყეობას აზრი აღარ ჰქონდა ... პითაგორა გვირაბში შევიდა, ის მიწისქვეშეთში აღმოჩნდა, სადაც, უცებ, სიჩუმე დაირღვა და საიდანდაც ქურუმის ხმა მრავალი ექოს თანხლებით გაისმა:

– აქ იღუპება ყველა სულმდაბალი ადამიანი, რომელმაც უმაღლესი ძალაუფლება – ცოდნა სიკეთესა და ბოროტებაზე ეგოისტურად ისურვა. ეს ცოდნა მხოლოდ სულით ძლიერთა ხვედრია.

თუ საკუთარ პატიოსნებაში დარწმუნებული პიროვნება გზას განაგრძობდა, ის კვლავ მრავალ გამოცდას გაივლიდა ...

პითაგორამ ამ გზის გავლა შეძლო.

ამ მისტიკური გამოცდის ფინალი მიწისქვეშეთიდან გამოსასვლელ გვირაბში სინათლის დანახვა იყო, იქ კი ქურუმის უკვე კეთილი ხმა ისმოდა –

„ნებისმიერი სურვილი, მცდელობა, ქმედება, რომელიც ჭეშმარიტი სიმაღლის გამოვლენასა და მის სამსახურს ეთანადება, არის ძალა, რომელიც ცხოვრებას, სულიერსა და უსულოს მართავს. ეს არის ის მუდმივი ჯილდო, რაც ათავისუფლებს შენს სულს და უმაღლესი ჭეშმარიტების, ღმერთის რწმენას განიჭებს“.

ჭეშმარიტების ძიების ასეთი ფორმა, ალბათ, გამართლებული იყო.

ადამიანები უძველესი დროიდან ხვდებოდნენ, რომ სიკეთესა და ბოროტებაში – **ცხოვრების აზრში – ჩაწვდომა მხოლოდ მამაცი და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანის პრეროგატივაა.**

იმ დროიდან მოყოლებული ზნეობრივი, საკუთარი ქვეყნის ბედზე დაფიქრებული, კეთილი ნების ადამიანები ენერგიას არ იშურებდნენ, რათა ადამიანი სიკეთის, სილამაზის, სიმაღლის, ღმერთის რწმენამდე აემაღლებინათ.

რწმენა – ადამიანის ადამიანურობის უცვლელი ფასეულობა . . .

პითაგორამ ეგვიპტეში სამყაროს შემეცნებას ოცდაათ წელზე მეტი დრო მოანდომა.

ამის შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნდა. შეიძლება ითქვას, რომ პითაგორა არის ხიდი ეგვიპტურ და ელინურ აზროვნებას შორის.

პითაგორა ეგვიპტეში ირეალური სამყაროს შესახებ მიღებული ცოდნის საფუძველზე სამყაროს მეხუთე – ირეალური სამყაროს პირველი სუბსტანციის გააზრებამდე მივიდა. ამ სუბსტანციას მან არანივთიერი სინათლე უწოდა, რომელთან შედარებით მზის სინათლეს კი უხეში ნათებაა.

მოგვიანებით ნიუტონიც მსგავს გააზრებამდე მივიდა. ამ შუამავალს მატერიასა და სულს შორის, მან **sensorium Dei**, ანუ ღმერთის გრძნობა უწოდა. მისი აზრით, ეს ის მექანიზმია, რომლის საშუალებით ღვთიური გონი, როგორც უსაზღვროდ დიდში, ასევე უსაზღვროდ მცირეში მოქმედებს. ნიუტონი ამ გააზრებით ეზოთერული ფილოსოფიის ცენტრში მოხვდა.

არისტოტელემ, ხილული სამყაროს 4 სუბსტანციის გათვალისწინებით, ირეალური სამყაროს პირველ სუბსტანციას **კვინტა ესენცია**, ანუ მეხუთე არსი უწოდა. საკმარისია რამდენჯერმე აჩქარებით წარმოვთქვათ ეს სიტყვები და **კვინტესენცია მიიღება. ამრიგად, სიტყვა კვინტესენცია კვინტა ესენციადან არის წარმოებული და ნიშნავს არა მეხუთე არსს, არამედ უმაღლესს.**

XVI საუკუნეში პარაცელსუსმა იმავე მეხუთე სუბსტანციას **ასტრალური სინათლე** უწოდა. მისი აზრით, ამ სინათლეს ექსტაზის პირობებში ფაქიზი, ამაღლებული ფსიქიკის ადამიანები ხედავენ. ცოცხალ ორგანიზმს სწორედ ეს ქმნის. ამ ასტრალურ სინათლეში სამყაროთა წარსული ვიბრირებს და მომავალიც ცოცხალი სულებით იქ აირეკლება. ეს ისაა, რის გარეშეც იზიდას საბურველი არ აეხდება. მხოლოდ მას შეუძლია გადმოსცეს აზრის ყველა ვიბრაცია. ალბათ, ესაა ის, რასაც მესამე თვალს უწოდებენ.

XVII საუკუნეში დიდმა **დეკარტემ** სამყაროს წყობის ახალი თეორია შემოიტანა, რომლის საფუძველი უწონადი, უზილაღი, ყველგან შედევადი ეთერია. მეხუთე სუბსტანცია ამის შემდეგ დაიშალა სახელწოდება – **ეთერი**. სამყაროში სიცარიელე არ არსებობს. ყველაფერი, ნებისმიერი სხეულის ნაწილაკებს შორის არსებული სივრცეც კი ასტრალობის გრძნობის გამტარი ეთერთაა შევსებული.

ირეალური სამყაროს გააზრებას ძველ ჩინეთშიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ჩინელ მოაზროვნეთა შორის გამოირჩევა **ლაო ძი** (ლაო მოზუცს ნიშნავს, ძი - მასწავლებელს). იგი ჩჟოუს დინასტიის სასახლეში არქივის მცველი იყო. ჩვენ მის შესახებ ვიცით **ჩჟან ძის** ნაშრომებიდან: „ტანსია“ (ცისქვეშეთიდან), „ლაო ძის ცხოვრების აღწერა“ და „ისტორიული ჩანაწერები“. ლაო ძი ყოველივე არსებულის წარმოშობის წყაროდ ზოგად კანონს განიხილავს, რომელიც მართავს სამყაროს და გამოვლენილია **დაოში**. დაო ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, ამიტომ დაოიზმი თავისი არსით ობიექტურ იდეალიზმს უახლოვდება, თუმცა მრავალრიცხოვან დიალექტიკურ იდეასაც შეიცავს, რომელიც ლაო ძის ფილოსოფიის რაციონალურ ნაწილს შეადგენს. გავიხსენოთ, დიალექტიკა

ბუნების, საზოგადოების, აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებზე დაყრდნობით მოვლენათა ურთიერთკავშირსა და ქმნადობაზე შექმნილი მოძღვრებაა. იგი დაპირისპირებულია ერთიანობითა და ბრძოლითაა განსაზღვრული.

იეროგლიფი „დაო“ შედგება ორი ნაწილისაგან: შოუ – თავი და ცხოუ – სიარული. ამიტომ ამ იეროგლიფის ძირითადი მნიშვნელობაა გზა, რომელზეც ადამიანები დადიან. მოგვიანებით იეროგლიფი იცვლის მნიშვნელობას და აღნიშნავს კანონზომიერებას, რომელიც სამყაროს მართავს. ლაო ძიმ მასში კანონზე მეტი – სამყაროს წარმოშობის წყარო, პირველსაწყისი გამოსახა.

მისთვის დაო არის „მიწისა და ცის ფესვი“, „ყველაფრის დედა“.

„დაო ბადებს ერთს, ერთი შობს ორს, ორი – სამს, სამი – ყველაფერს.“ მისი განმარტებით „ყველა არსებული ბნელ და ნათელ საწყისს მოიცავს, ასხივებს ცი-ს (ან „ჩი“ – რაც მიახლოებით, გახსნას ნიშნავს) და ჰარმონიას ქმნის.“ ნათლად ჩანს, რომ „ერთში“ პირველადი კოსმოგონიური ქაოსი იგულისხმება, ანუ ის მდგომარეობა, როდესაც ბნელი და ნათელი ჯერ კიდევ არ განცალკევებულია. „ორში“ ქაოსის გაყოფა იგულისხმება, რის შედეგადაც ბნელი და ნათელი წარმოიქმნება. „სამში“ – ბნელსა და ნათელს შორის ჰარმონიის წარმოქმნა. ჩუან ძის განმარტებით, „სამი ბადებს ყველა არსებას“, ნიშნავს – „ორი საწყისის კავშირი შობს ჰარმონიას, რის შედეგადაც ყველაფერი არსებული იბადება“. სხვა სიტყვებით – ბნელისა და ნათელის საწყისების ურთიერთწინააღმდეგობით იბადება ახალი, ერთიანი სხეული. „ერთი“ გაყოფამდე არ ბადებს ახალს.

მაშ, რაა დაო?

ლაო ძის განმარტებით – „დაო, რომელიც შეიძლება გამოისახოს სიტყვებით, არაა მუდმივი დაო“. ანუ მისი დაო არის მუდმივი დაო, რომლის არსის გამოსახვა სიტყვებით შეუძლებელია. მას არა აქვს სახე, არა აქვს ფორმა, არ გამოსცემს ხმას, ანუ – „უყურებ მას და ვერ ხედავ, უსმენ მას და არ გესმის, იჭერ მას და ვერ დაიჭერ“.

„დაო ცარიელია, მაგრამ მისი გამოყენებისას ის არ გადაივსება“. გამოდის, რომ დაო უნდა გავიგოთ, როგორც აბსოლუტური სიცარიელე, რომელიც არასდროს გადაივსება. დაოს ამ სიცარიელეს არ გააჩნია ფორმა.

„სიცარიელე“ იგივეა, რაც არაყოფიერი, საიდანაც დაო ბადებს ყოველივე არსებულს. „ყველა საგანი ცისქვეშ იბადება ყოფიერში, თვით ყოფიერება იბადება არაყოფიერში“.

ლაო ძი მიიჩნევს, რომ ყველა კონკრეტული საგანი „ყოფიერისა“ და „არაყოფიერის“ ერთიანობას წარმოადგენს, იმავდროულად „არაყოფიერი“ – სიცარიელე, ვაკუუმი – „ყოფიერის“, საგნის განმსაზღვრელი, საფუძველია.

„რადგან ბოროტად სიცარიელეა, ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება. თიხის ჭურჭლის გამოყენებას იმის გამო ვახერხებთ, რომ ის შიგნით ცარიელია. სახლის გამოყენებაც ასეთივე სიცარიელით ხდება. ცასა და მიწას შორის სივრცე ასევე „ყოფიერისა“ და „არაყოფიერის“ ერთობაა.

„სიცარიელე არ კვდება და ის არის ყველა არსებულის დაბადების წყარო“. სხეული, რომელიც არ მოიცავს სიცარიელეს, საერთოდ არ არსებობს.

დაო არა მარტო სამყაროს წარმოშობის წყარო, არამედ ზოგადი მსოფლიო კანონია. ლაო ძი მმართველებისაგან ითხოვდა, რომ მათ მიეღოთ დაო, როგორც ზოგადი კანონი. შესაბამისად, ის მიმართავს მმართველებს – „გაიწმინდეთ გული, ანუ გახადეთ ის ცარიელი“!

„დაო მოდის საგანში ბუნდოვნად და განუსაზღვრელად, მაგრამ ბუნდოვანებასა და განუზღვრელობაში არსებობს სახე. ბუნდოვანებასა და განუზღვრელობაში იმყოფება საგნები. ის ღრმა და ბნელია, მაგრამ ამ სიბნელეში სიცოცხლის ენერგიაა. ეს ენერგია სავსებით

რეალურია და რეალობაში ჩადებულია საიმედოობა . . . საგნებს მხოლოდ მისი მეშვეობით შევიცნობთ“.

ნათელი საწყისი ზღვარზე ბნელში გადადის, ბნელი ზღვარზე სინათლეში გადადის.

„როცა ცისქვეშეთში ყველა გაიგებს, რომ ლამაზი ლამაზია, მაშინ ჩნდება უმსგავსო, მახინჯი. როცა ყველა გაიგებს, რომ სიკეთე სიკეთეა, ჩნდება ბოროტება. ამიტომ ყოფიერი და არაყოფიერი ერთმანეთს განსაზღვრავენ, ძნელი და ადვილი ერთმანეთს განსაზღვრავენ . . . წინა და შემდგომი ერთმანეთს მიჰყვებიან.“

აქ კონცენტრირებული ფორმით მოცემულია შეხედულება ურთიერთსაწინააღმდეგოებზე, რომლებიც „ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძვიან“ და „ურთიერთგარდაიქმნიებიან“.

„კეთილი ადამიანი არაკეთილის მასწავლებელია. არაკეთილი – კეთილის. თუ არაკეთილი უგულებელყოფს კეთილს და კეთილი – არაკეთილს, ორივე ცდება“. ანუ არაკეთილი იცავს კეთილს შეცდომისაგან.

ლაო ძისათვის სიმშვიდესა და მოუსვენრობას შორის უპირატესია სიმშვიდე. ყველა სხეული მშვიდადაა და ამიტომ შეუძლია გადასვლა მოძრაობაში, მაგრამ მერე მაინც გარინდებას უბრუნდება.

– დანაწევრებული მთელდება, მრუდე სწორდება. მცირედისაკენ მიისწრაფვი – ბევრს მიიღებ, ბევრისაკენ მიისწრაფვი – ცდება. მომჭირნებით – კარგავ, ზედმეტის დაგროვებით – უფრო ბევრს კარგავ. სუსტი ერევა ძლიერს, რბილი – მაგარს. სამართლიანობა გადადის მზაკვრობაში, სიკეთე – ბოროტებაში. დიდი საქმეები მცირეთი იწყება.

ო! უბედურებაჲ, შენ საფუძველი ხარ ბედნიერების. ბედნიერებაში იმალება უბედურება.

ის, რაც არ ეთანადება დაოს, დროზე ადრე იღუპება.

სუსტი და რბილი სიცოცხლის მსახურნი არიან (ყლორტი, წყალი).

ცისქვეშეთში წყალზე რბილი არაფერია, მაგრამ თუ ის მაგარსა და ძლიერს ეცემა, ის მას ამარცხებს.

დავუბრუნდეთ დაოს სიცარიელეს. ლაო ძის აზრით, ნებისმიერი სხეული არა მარტო თავად იკავებს ადგილს ცარიელ სივრცეში, არამედ მის შემადგენელ ნაწილაკებს შორისაც სიცარიელეა. სიცარიელე სხეულის შემადგენელია, ქმნის ამ სხეულს და სხეული სიცარიელეშია შეტვიფრებული.

ეს სიცარიელე რომ არ არსებობდეს, მაშინ კონკრეტულ საგნებს არა თუ ვერ გამოვიყენებდით, არამედ თვით ამ საგნის არსებობაც შეუძლებელი იქნებოდა.

ლაო ძი დიდი ხნის წინ მიხვდა იმას, რასაც ფიზიკოსები მხოლოდ XX საუკუნეში ჩაწვდნენ. დღეს მეცნიერულად არის დამტკიცებული, რომ ნებისმიერი სხეული შედგება ატომებისაგან. თავის მხრივ, ატომების ძირითადი ნაწილებია ბირთვები, რომლებიც ერთმანეთს არ ეხებიან. მათ შორის არის „სიცარიელე“, რომელიც შევსებულია რხევებით, ტალღებით, ვიბრაციებით, რიტმებით ანუ იმით, რასაც კვანტურ ფიზიკაში ელემენტარულ ნაწილაკებს უწოდებენ.

არანივთიერი სინათლე, ეთერი, ფლუიდი და ა.შ. თავისი არსით სინონიმებია. ეს „სიცარიელე“ ავსებს ვარსკვლავებსა და გალაქტიკებს შორის სივრცეს. მისგან აშენდა ყველაფერი, რასაც ვხედავთ და ვერ ვხედავთ. ჩვენც შექმნილნი ვართ ამ ვიბრაციებისაგან, ნაწილაკებისაგან. დიან ამ ელემენტარული ნაწილაკებისაგან არის აშენებული ის ატომები, რომელნიც მოლეკულებს, უჯრედებს ქმნიან, ანუ იმას, რისგანაც ჩვენი სხეული შედგება. ამ ვიბრაციებმა, რიტმებმა, ჩვენი სხეულის შექმნამდე, მთელი სამყარო მოიარეს, იყვნენ არა მარტო გალაქტიკებს, ვარსკვლავებს შორის სივრცეში, არამედ თვით ვარსკვლავებში, არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. ლათინური სიტყვა „ასტრა“, ქართულად ვარსკვლავს ნიშნავს. შევთანხმდეთ და მას **ასტრალური სივრცე, ველი** ვუწოდოთ.

ასტრალური ველი

ყველა მატერიალური ობიექტი იმ „სიცარიელეში“ იქმნება. სწორედ „სიცარიელეში“ ხდება რეალობის შექმნა. ეს აზრი, როგორც ძველი აღმოსავლური, ასევე ელბურთი ფილოსოფიიდან მოდის. ეს იდეა, ფიზიკაში მუდმივად განიხილებოდა, ნიუტონიდან დაწყებული დღემდე, რათა სამყაროს სივრცული გეომეტრია გამოკვეთილიყო. მაგ., კლიფორდის აზრით, **მატერია არის სივრცის შემკვრივება, შესქელება, სივრცის თავისებურად შემკვრივებული ბორცვები სივრცის საერთო ფონზე**. მატერიის სიცარიელეში შექმნის იდეა აინშტაინმა თავის ფარდობითობის თეორიაში გამოიყენა, რომელშიც სივრცის აბსტრაქტულ გეომეტრიასა და გრავიტაციას შორის კავშირი იკვეთება. XX საუკუნეში, ღირაკისა და აინშტაინის შრომებიდან გამომდინარე, უკვე დროის შესაბამისი მეცნიერული ღონის, „ფიზიკური ვაკუუმის“ შემოტანა მოითხოვა. სიტყვა „ვაკუუმი“ სიცარიელეს ნიშნავს. აინშტაინის აზრით, ვაკუუმში ოთხგანზომილებიანი სიცარიელეა, რომლის გააზრება რიმანის გეომეტრიითაა შესაძლებელი. ღირაკის წარმოდგენით ვაკუუმში, გლობალურად ნეიტრალური, ერთგვარი „მოთუხთუხე ბულიონია“, რომელიც ვირტუალური (შესაძლო) ნაწილაკების – ელექტრონებისა და პოზიტრონებისაგან შედგება.

ასტრალური სივრცე, ანუ ფიზიკური ვაკუუმი სავსეა ე.წ. ელემენტარული ნაწილაკებით.

ყველაზე მზარდი აბსურდი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხან ნაწილაკები არიან, ხან ტალღები. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ენრიკო კარუზო, რომელიც ხან თვითონ ეს პიროვნებაა, ხან კი მხოლოდ მისი ხმა. ამაზე ფიზიკოსები ასე ზემოთხევენ: ელემენტარული ნაწილაკები - ნაწილაკებია ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. სამშაბათს, ზუთშაბათსა და შაბათს - ტალღა, კვირას კი ჩვენც ვისვენებთ და ისინიც.

და თუ გგონიათ, რომ ამით აბსურდი თავდება, ძალიან ცდებით. არა, ამით „აბსურდი“ მხოლოდ იწყება. ამ ნაწილაკებს (ალბათ, რომ არ მოიწყინონ), ჰყავთ თავიანთი ორეულები – ანტინაწილაკები. მაგ., ელექტრონის ანტინაწილაკია პოზიტრონი. ეს იგივე ელექტრონია, ოღონდ განსხვავებული ნიშნის მუხტით. არსებობს ანტინეიტრონი, ანტიპროტონი და ა. შ. ელემენტარული ნაწილაკები იბადებიან და ქრებიან. ნუკლონების (ნეიტრონები და პროტონები) დაჯახებისას სიცარიელიდან სხვადასხვა ნაწილაკების მთელი კონა წარმოიქმნება.

მართლაც, ვაკუუმში სავსეა ნაწილაკებით. მათი ცხოვრება უფრო საინტერესოა, რომ იყოს, კარგი იქნებოდა, „მოჩვენებები“, ფანტომებიც ყოფილიყო. ასეთები, მართლაც, არიან – ბოლომდე არდაბადებული, მაგრამ ძალიან მცირე დროით გამოჩნდებიან და შემდეგ უცებ გამქრალი ნაწილაკები. მათ ვირტუალური (შესაძლებელი) ნაწილაკები უწოდეს. ეს კიდევ არაფერი! აღმოაჩინეს სრულიად უცნაური ნაწილაკები – კვარკები – რომლებიც რეალურები არასდროს ხდებიან! ისინი მუდამ ვირტუალურები არიან. უფრო ზუსტად, მათი შემჩნევა სხვა ნაწილაკებისაგან განცალკევებით შეუძლებელია. მოუხედავად იმისა, რომ კვარკების არსებობა და თვისებები თეორიულად და ექსპერიმენტულად დადასტურებულია, მათი პოვნა ჯერ ვერ მოხერხდა. სხვა გამოსავალი არაა, კვარკების ასეთი გამოჩნდებიან ბუნების კანონად უნდა ვაღიაროთ. ნებისმიერი ზემოქმედების პირობებში ისინი ვირტუალურებად რჩებიან.

გარდა ამისა, არსებობენ ძლიერუთიერეთმოქმედი ნაწილაკები – ადრონები. ისინი შედგებიან კვარკებისაგან (სიტყვა კვარკი მოგონილია ჯეიმს ჯოისის მიერ მის რომანში „აღაბი ფინეგანისა“), რომელთაც, თავის მხრივ, არამთელი ელექტრონული მუხტი აქვთ -2/3 ან -1/3 და რაც კიდევ უფრო საოცარია, კვარკებს ჰყავთ ანტიკვარკები. ადრონიდან კვარკი უძლიერესი ურთიერთქმედების დროსაც კი არ ამოფრინდება. მათ „უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ“.

ელექტრონებისა და პროტონების ძლიერი, ერთმანეთის საპირისპირო ენერგიების დაჯახებისას იბადება კვარკი – ანტიკვარკი. ადრონის შიგნით კვარკებს განსაკუთრებული ველი აკავებს. მას **გლოუნი** დაარქვეს. ე.ი. კვარკს, გარდა ელექტრონული მუხტისა, აქვს გლოუზმუხტი, რომელიც, თავის მხრივ, გლოუონურ ველს ქმნის.

კვარკები არსებობს ექვსი ტიპის:

u - (up), d - (down), s - (strange), c - (charm), t - (top), b - (beautiful)

ანუ ზედა, ქვედა, ძლიერი, მომზიბვლელი, უმაღლესი, მშვენიერი.

მათ ფერებითაც ახასიათებენ: წითელი, ყვითელი, ლურჯი. . . კვარკის ფერი იცვლება მაშინ, როდესაც გლოუონის გამოთავისუფლება ხდება. კვარკის ელექტრონული ველი მის გარშემო სფერულადაა განაწილებული, ხოლო გლოუონური ველი თავმოყრილია მუხტსავე ვიწრო მილში. ე.ი. კვარკსა და ანტიკვარკს შორის, თითქოს გლოუონური ველის სიძია გაჭიმული. გლოუონური ველის გამოგლეჯა ამ ვიწრო მილისაგან, სიძისაგან, შეუძლებელია. ამ შეუძლებლობასაც კი მოუძებნეს სახელი – „კონფაინმენტი“ (ციხეში დამწყვდევა). სახელი კი მოუგონეს, მაგრამ თვითონ მოვლენა ბოლომდე ჯერ არასწორად არაა.

ამას გარდა, ვაკუუმს განმსჭვალავს გრავიტაციული ველი, ანუ ის მიზიდულობა, რომელიც ახლა თქვენს კამპზე გაკავებთ. აინშტაინმა იწინასწარმეტყველა, რომ სხეული თავისი გრავიტაციული ველით ცვლის სივრცის გეომეტრიას, ამრუდებს მის მანლობელ სივრცეს. მაგ: მზის მანლობლობაში სამკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი აღარაა 180 გრადუსი, ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი აღარაა წრფე. წრეწირის სიგრძის შეფარდება რადიუსთან აღარაა 2π. შორეული ვარსკვლავებიდან წამოსული სხივი მზის მანლობლობაში მრუდდება, რადგან გრავიტაციული ველი ასრულებს ნულოვან რხევებს, მასთან დაკავშირებული გეომეტრიაც იცვლება, იცვლება 2π-ც.

თავდაპირველად აინშტაინის ფარდობითობის თეორიამ ეთერის, როგორც ცნების არსებობა, დღის წესრიგიდან საერთოდ მოხსნა. სწორედ იმ პერიოდში, ეთერი, როგორც ცნება, შეცვალა ვაკუუმმა. **ეთერი „გარდაიცვალა“.**

მაგრამ მეცნიერებაში ახალი ძველს არ კრძალავს. ძველი და ახალი იდეები იხლართებიან, ერთმანეთში აღწევენ. ძველს მეცნიერული რევოლუციაც კი არ უარყოფს, ის მას მხოლოდ თავიდან იაზრებს. მეცნიერება ძველი და ახალი იდეების გამოყენების საზღვრებს ადგენს. ახალი ტერმინის შემოღების შემდეგ მეცნიერები მალე მიხვდნენ, რომ ეს ვაკუუმში არაა სიცარიელე, ის უსასრულო რაოდენობის რხევით, რიტმით, ვიბრაციითაა გაჟღერებული. ამიტომ შემოაქვთ ახალი სახელწოდება – ფიზიკური ვაკუუმი, ანუ სიცარიელე განსხვავებული გაგებით – ვიბრაციებით განმსჭვალული სიცარიელე.

ვიმეორებთ, რომ მეხუთე სუბსტანცია (ირეალური სამყაროს პირველი სუბსტანცია), იგივე ფლუიდი, ეთერი, არანოვითერო სინათლე, დაოს სიცარიელე, ფიზიკური ვაკუუმი . . . აზრობრივად ერთი და იგივეა. ამიტომ, როგორც შევთანხმდით, მას **ასტრალური ველი ვუწოდოთ.**

უფრო გასაგები რომ გახდეს, წარმოიდგინეთ ადამიანის სხეული. ის შეუიარაღებელი თვალით მთლიანია, მაგრამ თუ მას წარმოსახვითი სუპერ-ელექტრონული მიკროსკოპით დავათვალიერებთ, მაშინ ეს სხეული არა უწყვეტად, არამედ ნაწილაკებისგან შემდგარ სისტემად წარმოგვიდგება და ამ ნაწილაკებს შორის არის ვაკუუმი, სივრცე, რომელზეც ზევით ვილაპარაკეთ. სწორედ ამ ნაწილაკთა შორის არსებული „სიცარიელით“ აღვიქვამთ სამყაროს, სინათლეს, გვესმის ბგერა, ვგრძნობთ სითბოს, ვერწყმით კოსმოსს.

დაუუკვირდეთ: სითბო, სინათლე, ბგერა – რხევაა, ვიბრაციაა; და ეს რხევები ჩვენს ორგანიზმში ატომებს შორის არსებული „ხვრელებით, სიცარიელით“ შემოდის; კოსმოსიდან წამოსული ვარსკვლავის ნათებას ამით შევიგრძნობთ. მთელი სამყაროს, კოსმოსის ვიბრაცია, რიტმი, რხევა ჩვენში ასტრალური ველით აღიქმება. ასე მყარდება კავშირი უდიდეს კოსმოსსა და მიკროკოსმოსს – ადამიანს შორის. ეს „სიცარიელე“ ადამიანის მგრძნობიარე ფაქიზ, ასტრალურ სამყაროს ქმნის. ადამიანები ერთმანეთისაგან ამ მგრძნობელობის სიფაქიზის დონით განვსხვავდებით. მაგ., ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ასტრალური სხეული, მგრძნობელობა გაცილებით ფაქიზია ბგერითი რიტმების, მუსიკალური ჰარმონიის მიმართ, ვიდრე ჩემი. ვინსენტ ვან გოგის ასტრალური სხეული ფერთა რიტმს უნიკალურად აღიქვამდა.

ჩვენი ასტრალური სხეული, ველი ჩვენს მგრძნობელობას განსაზღვრავს. სწორედ ისაა პირველი ნაბიჯი უხილავ, ირეალურ სამყაროში.

ე.ი. ასტრალური ველი სამყაროს მეხუთე (უხილავის პირველი) სუბსტანციაა.

შესაბამისად, ვიღებთ:

5. ასტრალური ველი

----- ადამიანი

4. პლაზმა

3. აირი

2. თხევადი

1. მყარი

იდეათა კელი

მეექვსე სუბსტანციას **იდეათა კელი** ეუწოდეთ. მის გასაზრებლად დავუბრუნდეთ ანტიკურ ფილოსოფიას. გავისწავლოთ სოკრატე. მის ნააზრევს ძირითადად მისი მოწაფის — პლატონის ბრწყინვალე ფილოსოფიური და მხატვრული შემოქმედებით ვეზიარეთ. თავად სოკრატე არაფერს წერდა, რადგან მისი რწმენით, ფასი მხოლოდ უშუალო კონტაქტში მყოფ ადამიანებს შორის აზრთა ცოცხალ გაცვლა-გამოცვლას, კითხვა-პასუხს ჰქონდა. მისი შემოქმედების გააზრებით შევძლებთ ადამიანის ცხოვრების უნივერსალურ, საბოლოო მიზანს შევწვდეთ.

სოკრატემდე ფილოსოფოსები ძირითადად ბუნებით იყვნენ დაინტერესებულნი, ამიტომ მათ შემდგომში ნატურფილოსოფოსები უწოდეს. მათი მიზანი სამყაროს მოვლენათა იერარქიის გარკვევა იყო: როგორ შეიქმნა მიწა, ცა, ვარსკვლავები, რა იყო მათი პირველწყარო. სოკრატესათვის კი მთავარი ზღერა ადამიანი.

სოკრატე ძალიან აღიზიანებდა „ინტელექტუალურ“ და მდიდარ თანამოქალაქეებს, თუნდაც იმით, რომ ის ათენის ქუჩებში მაინცდამაინც მდებოდა, „შეუფერებელ“ ხალხთან, „ვიდაც“ ხარაზებთან და ხურობებთან საუბრობდა. მისი საუბრის თემა თითქმის მარტივ პრობლემას ეხებოდა. სოკრატეს მსჯელობა, საუბარი კითხვების დასმით მიმდინარეობდა. სოკრატეს კითხვაზე, თუ რა არის „მშვენიერი“ - პასუხად მოსაუბრეებს ყოველთვის კონკრეტული მაგალითი მოჰყავდათ: მშვენიერი ქალი, მშვენიერი ქანდაკება, ტაძარი და ა.შ. მას კი მხოლოდ ზოგადი აინტერესებდა. სოკრატეს მოსაზრებით, სიტყვა - „მშვენიერი“ არ შეიძლება დაუკავშირო მხოლოდ რომელიმე კონკრეტულს. რადგან სიტყვა „მშვენიერი“ გამოხატავს მშვენიერების იდეას, **ეიდოსს** (ეიდოსი იგივეა რაც იდეა, მაგრამ უფრო ნათლად გამოისახული), ანუ არსს.

ერთი შეხედვით აქ თითქმის ახალი არაფერია, მაგრამ ეს ის გააზრებაა, რომელმაც მსოფლიო აზროვნება გაყო იმ ორ მიმართულებად, რასაც დღეს მატერიალისტურ და იდეალისტურ აზროვნებას ეუწოდებთ. სოკრატემ ამ ცოდვილ მიწაზე პირველად ახსენა სიტყვა — „იდეა“.

სოკრატესა და პლატონისათვის ხილულის არსებობა მისი არსის გამოვლენაა. პლატონმა განავითარა სოკრატეს აზრი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზოგადს კი არა, ყველა კონკრეტულ საგანს უნდა ჰქონდეს არსი, აზრი, იდეა. მაგალითად, არსებობს მრავალნაირი ცხენი — არაბული, ჯუჯა (პონი), თეთრი, შავი . . . მაგრამ ამ კლასს აქვს ერთი საერთო — „ცხენურობა“. ანუ ცხენთა მრავალფეროვნებაში არსებობს უფრო სრულყოფილი და ნაკლებად სრულყოფილი ცხენი. ცხადია, ცხენის იდეასთან ყველაზე ახლოს უნდა იყოს სრულყოფილი ცხენი. აქ მთავარია საგანს (ცხენსა) და იდეას შორის ურთიერთდამოკიდებულება. თუ საკითხს ასე მივუდგებით, ძნელი მისახვედრი არაა, რომ იდეა საგნის სრულყოფილების ზღვარია.

პლატონისათვის იდეა არის ის, რასაც სრულყოფა აღარ სჭირდება.

გამოდის, რომ იდეა საგანთა კლასის მოდელია. **ადამიანურობის იდეა** სრულყოფილი ცხოვრებისაკენ მოგვიწოდებს.

ადამიანი საგანს გრძნობის ორგანოებით, მატერიალურად აღიქვამს, იდეას კი მხოლოდ ნათელი გონებით შევწვდებით.

იქნებ იდეა აზრია, რომლის გამოხატვა სიტყვიერად ან წერილობითაა შესაძლებელი?

არა! პლატონი ამას კატეგორიულად გამორიცხავს.

იდეა არსებობს ჩვენგან, ადამიანებისაგან დამოუკიდებლად. იდეა ობიექტური რეალობაა.

აქედან, ფილოსოფიური მიმართულება — ობიექტური იდეალიზმი.

და ყველაზე მნიშვნელოვანი, პლატონის აზრით:

იდეა საგნისაგან დამოუკიდებლად, განცალკევებით (იდეათა ველში) არსებობს. ის შეიძლება გადავიდეს, გამოვლინდეს საგანში ან დატოვოს იგი.

თქვენ შეგიძლიათ გაანადგუროთ მწვანე ბალახი, მაგრამ ვერ გაანადგურებთ ცნებას – „მწვანე“. შეიძლება აკრძალოთ ყველა ის საგანი, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს, მაგრამ ვერ გაანადგურებთ იდეას – „სამკუთხედი“.

იდეა ყველა ქმედებისა და აზრის საფუძველი, პირველსაწყისია.

იდეის შემოტანას ადამიანთა აზროვნებაში უდიდესი, ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობა აქვს.

სწორედ იდეის ანტიკური კონცეფცია ფასდება დღეს, როგორც თანამედროვე პოსტინ-დუსტრიული ცივილიზაციის აზრწარმოქმნელი საფუძველი.

იდეის გაცნობიერების გარეშე ღირსეულად ცხოვრების ყოველგვარი იმედი დაკარგულია.

როგორ შევწვდეთ იდეას? ამისთვის გავიაზროთ სოკრატესა და სოფისტების მიერ დამკვიდრებული სიტყვა დიალექტიკა. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ დიალექტიკა რეალობის შემეცნებისა და გარდაქმნის მეთოდი, სამყაროს განვითარების ზოგადი კანონზომიერების მეცნიერებაა. ცნება დიალექტიკას, სოკრატეს აზროვნების სამზარეულოდან შევხედოთ. მისი აზრით, სიტყვა „დიალექტიკა“ საუბრის წარმართვის ხელოვნებას ნიშნავს. სოკრატე თვლის, რომ დიალექტიკა შედგება ირონიისა და მაიევტიკისაგან.

ირონია. როგორც აღვნიშნეთ, სოკრატეს მსჯელობა კითხვა-პასუხით ვითარდებოდა; როდესაც მან საკუთარ თავს რამდენიმე კითხვა დაუსვა და დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა, საკუთარი თავის მიმართ ირონია გაუჩნდა. აქედან, მისი საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები: **მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი.**

საკუთარი თავის მიმართ ირონიამ დაბადა ახალი აზრი: **მე ის მაინც ვიცი, რომ არაფერი ვიცი, მასთან შედარებით, ვისაც ჰგონია, რომ რაღაც იცის.**

ახალი აზრის ამგვარ დაბადებას **მაიევტიკა** ეწოდება (ბერძნული სიტყვა „მაიევტიკა“ დაბადებას ნიშნავს).

ე.ი. დიალექტიკის დროს მიმდინარეობს აზრთა განვითარება, ამბობს. დიალექტიკა იდეამდე, ზოგადად მისვლის გზაა.

სამყაროში ყველა არსებულ „მატერიას“ – მოვლენას, საგანს, შექმნილ სიტუაციებს და ქვეყნებსაც კი – აქვს თავისი „იდეა“, არსი.

დიახ, არსებობს დღევანდელი უსუსური საქართველოს იდეა, საქართველოს გადაგვარებისა და რა თქმა უნდა, გადარჩენის იდეაც. ჩვენი შინაური და გარე მტრები საქართველოს გადაგვარების, განადგურების იდეას კარგად შეწვდნენ. ჩვენი ვალაია სამშობლოს გადარჩენის, განვითარების იდეას შევწვდეთ.

როგორც აღვნიშნეთ, იდეები „საღღაც ჰკიდა“.

გამოდის, რომ საქართველოს გადარჩენის იდეაც იქაა და მას, ალბათ, დიალექტიკით, საუბრით, დიალოგით შევწვდებით.

შესაბამისად, ერთნაირი ასტრალურობის მქონე ადამიანთა დიალოგის დროს წარმოქმნილ ირონიას მოაზროვნე ადამიანი მაიევტიკამდე მიჰყავს, ანუ იბადება ახალი აზრი. ახალი აზრი კვლავ ირონიას წარმოშობს და ეს პროცესი იდეის წვდომამდე მიდის.

მართლაც, იდეები „საღღაც ჰკიდა“ და მას შეიძლება ნებისმიერი ადამიანი შესწვდეს. უფრო მეტიც, ერთი და იმავე იდეამდე შეიძლება სხვადასხვა, ერთმანეთისათვის სრულიად უცნობი ადამიანები, დედაძინის სხვადასხვა ადგილიდან მივიდნენ, რაც, სამწუხაროდ, ხანდახან ტრაგედიითაც კი მთავრდება . . .

23 წლის იყო უნგრელი ოფიცერი **იანოშ ბოიი**, როცა არაეკვლიდური გეომეტრია აღმოაჩინა. ის უსაზღვროდ ბედნიერი იყო, სანამ გაიგებდა, რომ ვინმე ნიკოლაი ლობაჩევსკის იგივე გეომეტრია სულ მცირე ხნით ადრე გამოექვეყნებინა. იანოშის ცხოვრება კომმარად იქცა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მას ეს აღმოჩენა მოჰპარეს, ყველგან ქურდები და ჯაშუშები ერევნებოდა. საკუთარ მამასაც

კი, რომელმაც იმავე პრობლემას მთელი ცხოვრება შეაღია, ეჭვის თვალთ უყურებდა. მამამისი — ფარკაშ ბოიაი შვილივით ნიჭიერი არ იყო, მაგრამ შეიძლება გენიოსად ჩავთვალოთ იმ სიტყვებისათვის, რაც მან სიკვდილის წინ უთხრა შვილს: დაწყნარდი, ნუ ნერვიულობ, დაიმახსოვრე

— „**როცა გაზაფხული მოდის, ყველა ია ერთდროულად აყვავილდება**“.

ეს, თითქოს ბანალური აზრი, ნათელს ჰფენს, თუ როგორ ხდება დროის ერთ მონაკვეთში ერთ-ნაირი იდეების გენერაცია განათლებით, სქესით, ნაციონალობით, ტემპერამენტით . . . განსხვავებულ ადამიანებში.

საინტერესოა ფრაზა — „**როცა გაზაფხული მოდის, ყველა ია ერთდროულად აყვავილდება**“. ჩვენ აზრით, ესაა ობიექტური იდეალიზმის ერთ წინადადებაში მოქცევა. სხვა სიტყვებით — იდეები, მართლაც, „ჰაერში ჰკიდია“ და როცა გაზაფხული მოდის, ანუ კონკრეტულ დროსა და სივრცეში, ცხოვრება შესაბამის ახალ იდეებს ითხოვს, მაშინ „ყველა ია ერთდროულად აყვავილდება“, ანუ მრავალი ადამიანი შეიძლება ერთდროულად შეწვდეს იდეას.

მართლაც, როცა ორი ან მეტი ინდივიდი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთნაირ იდეას შესწვდება, ვინ ჩაითვლება იდეის ავტორად? ის, ვინც რედაქციაში ან საპატენტო ბიუროში მისწრებს მირბენას? დიახ, ოურიდიულად ასე წყდება ეს პრობლემა. ელემენტების პერიოდულობის კანონის აღმოჩენად დიმიტრი მენდელეევის მიიჩნევენ, მაშინ, როცა ამ იდეის ავტორად სულ მცირე ორი ადამიანის დასახელება შეიძლება. აინშტაინის ფარდობითობის თეორიის იდეა მისი კოლეგების შრომებში უკვე გამოკვეთილი იყო, როგორც იტყვიან, „ჰაერში ეკიდია“, მის აღმოჩენამდე ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი. თუმცა, ნაბიჯი კი არა, წამის მეასედი წვეგტს სპრინტში ოლიმპიური ოქროს გვირგვინის მფლობელის ბედს, ანუ მას, ვინც ჯილდოდ ისეთ თანხას მიიღებს, რაც ფილოსოფიის ფუძემდებელთ არც კი დასიზმრებიათ.

დაეუბრუნდეთ საკითხს — ვინ მივიჩნიოთ ამა თუ იმ იდეის, აზრის ავტორად.

თუ თქვენთვის ობიექტური იდეალიზმი მისაღებია, მაშინ დაგვეთანხმებით, რომ იდეები, მართლაც, ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობენ. შესაბამისად, იდეას არა ჰყავს მიწიერი ავტორი და ამიტომაც, რომ ერთი და იგივე იდეა, აზრი, ერთდროულად ერთი ან რამდენიმე შემოქმედი ადამიანისათვისაა ხელმისაწვდომი.

ორიათას წელზე მეტი გაივლის სოკრატესა და პლატონის შემოქმედებითი ცხოვრებიდან და მათ გეორგ ჰეგელის სახით, ობიექტური იდეალიზმის განმავითარებელი დიდი თანამოაზრე გამოუჩნდება. ჰეგელიც გაბუდმებით იდეებზე ფიქრობდა და ყველგან იდეებს ხედავდა.

ჰეგელის აზრით მთელი სამყაროს საფუძველია აბსოლუტური გონება, სული, იდეა, ანუ ღმერთი. ამ აბსოლუტურმა შექმნა და განჭოლა სამყარო გონით (იდეით). თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ ამ აბსოლუტური გონის (იდეის) წვდომა მხოლოდ გონითაა (იდეითაა) შესაძლებელი.

ჰეგელის იდეა — ესაა ნებისმიერი საგნის, ნებისმიერი ცნების არსი. ჰეგელისათვის მეტად მნიშვნელოვანია „ცნების“ იდეა. ესაა ის „ინსტრუმენტი“, რომლის მეშვეობით ჩვენ აბსოლუტური გონის (იდეის, სულის) წვდომა შეგვიძლია. ნებისმიერი ცნება, იდეა თავის თავში მოიცავს განსხვავებულობას, უარყოფას, დაპირისპირებულობას. მისთვის ცნებები იდეები ცვალებადია, „თვითმოძრავი“. ცალკეული საგნის იდეა გადადის თავისსავე სხვა იდეაში. თუ სოკრატესა და პლატონისათვის დიალექტიკა ფილოსოფიური დისკუსიის ხელოვნებაა. ჰეგელის დიალექტიკა იდეებიდან ახალი იდეის დაბადებაა. როგორც აღვნიშნეთ, ჰეგელის იდეა თავისთავში მოიცავს თავის საწინააღმდეგო იდეას, ამიტომ ის შინაგანად წინააღმდეგობრივია. ესაა — დიალექტიკური უარყოფის უარყოფა. თეზისი გადადის ანტითეზისში, შემდეგ ისინი შეერწყმიან ერთმანეთს ახალ ერთობაში. აქედან მომდინარეობს ჰეგელის ტრიადა.

თეზისი — ანტითეზისი — სინთეზი.

დიალექტიკით იხვეწება და ვითარდება იდეა.

თუ სამყაროს საფუძველია აბსოლუტური გონი (სული), იდეა, ანუ ღმერთი, შესაბამისად, ჰეგელის ფილოსოფიის მთავარი ამოცანა მისი კვლევა და შემეცნებაა. და ცხადია, ეს ურთულესია, ამიტომ ჰეგელი გვთავაზობს შემეცნების ეტაპობრივ გზას.

ჰეგელისათვის უბირველესია აბსოლუტური გონის შესწავლა ყველაფრისაგან განცალკევებულად, „თავისთავად“.

ეს კი ლოგიკის პრეროგატივაა.

ჰეგელის ლოგიკა – ეს არის ჭეშმარიტებაში გარკვეულობის შეტანის მეცნიერება.

ასეთი ლოგიკა ჰეგელის ფილოსოფიური სიტემის **პირველი ნაწილია**.

ცხადია, რომ აბსოლუტური სული, ღმერთი არსებობს არა მხოლოდ „თავისთავად“, არამედ სამყაროში სხვადასხვა სახითაც ვლინდება. მისი უმარტივესი გამოვლენაა ბუნება. ბუნება ეს არის ღმერთის „სხვაგვარად ყოფნა“. ბუნებაში ღვთის უმარტივეს გამოვლენას ჰეგელი შემდეგნაირად ხსნის: მისი აზრით, აბსოლუტური გონის მნიშვნელოვანი არსია „თავისუფლება“. სწორედ თავისუფლება ვერ ვლინდება ბუნებაში სრულყოფილად.

აქედან დასკვნა – ბუნება ღმერთის „გაუცხოებული“ ფორმაა. შესაბამისად, აბსოლუტურ გონს მარტო ბუნების გააზრებით ვერ შევწვდებით. სწორედ ამ საკითხის განხილვას ეხება მისი ფილოსოფიური სისტემის **მეორე ნაწილი** – „ბუნების ფილოსოფია“.

ბუნება თუ ღმერთის „გაუცხოებული“ ფორმაა, მაშინ ეს გაუცხოება მით მეტად მცირდება, იხსნება, რაც მეტად ვითარდება ადამიანის გონი. განვითარებული გონება მეტი თავისუფლების ხარისხს ფლობს. ასეთი ადამიანი უფრო სრულყოფილად აღიქვამს ღვთის გამოვლინებას. გონის განთავისუფლების პროცესს ეხება ჰეგელის სისტემის **მესამე ნაწილი** – „გონის (სულის) ფილოსოფია“.

„გონის ფილოსოფიის“ პირველი მონაკვეთი აღწერს ჩვენს „სუბიექტურ გონს“. აქ განხილულია ადამიანის, როგორც ბუნების ნაწილის სული, მისი თვისებები, ცნობიერება, გონიერულობა. მეორე მონაკვეთი „ობიექტური გონი“ – იკვლევს ადამიანის თავისუფლების რეალიზაციას. ადამიანი თავისუფალია თუ მან გაიაზრა რა არის სიმართლე, მორალი, ზნეობა, სახელმწიფო. სახელმწიფოს წარმოქმნა-დამკვიდრება ჰეგელისათვის არის გონის ობიექტივაციის განვითარების აუცილებელი, რთული, მაგრამ საინტერესო, გზა.

შესაბამისად, თავისუფალი, ჭეშმარიტ ობიექტურობასთან მიახლოებული გონის ადამიანთა საზოგადოება ქმნის სახელმწიფოს.

„გონის ფილოსოფიის“ დამამთავრებელი მონაკვეთია „მსოფლიო ისტორია“. ადამიანთა ისტორია ეს არის თავისუფლების ეტაპობრივი გაცნობიერების პროცესი. თავისუფლების ხარისხი თანდათან იზრდება.

ჰეგელის დიალექტიკა არის იდეის ლოგიკა, ანუ აბსტრაქტულიდან კონკრეტულსაკენ სვლა. ესაა ჰეგელის ფილოსოფიის არსი. ჰეგელის აზრით, როგორც აღვნიშნეთ, იდეები არსებობენ სამ დონეზე. 1. იდეები თავისთავად; 2. იდეები ბუნებაში; 3. იდეები სულში. ამიტომ ის სამი მიმართულებით ავითარებს აზრს – „ლოგიკის მეცნიერება“, „ბუნების ფილოსოფია“, „სულის ფილოსოფია“.

აქ ცოტა ხნით შევჩერდეთ.

ხშირად გვეუბნებიან, ნუ გაგვიჭირეთ საქმე – თქვენი სოკრატეებით, ჰეგელებით, რაღაც „იდეებით სულში“, „სულის ფილოსოფიებით“, უთავბოლო, ზოგადი, აბსტრაქტული მსჯელობით; ჩვენ თქვენზე ჭკვიანები ვართ, ამიტომ გვითხარით კონკრეტულად რაშია თქვენი თეზის, თეორიის არსი და ჩვენც გავიგებთ!

ერთი მხრივ, მოთხოვნა გასაგებია, მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისე მარტივია იმის შესრულება, რასაც ჩვენზე ჭკვიანები გვთხოვენ.

ჩვენს განმარტებაზე ისინი ირონიულად გვპასუხობენ – ალბათ, რაღაც სისულელეა ეს თქვენი თეორია, თორემ ყველაფერი გენიალური მარტივად, კონკრეტულად გამოითქმის.

– „გენიალური კონკრეტულად, მარტივად გამოითქმის“ – არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს, მართლაც, გენიალურად იდიოტური ფრაზა, რომელიც ჩვენი დამორღუწებული უმრავლესობის, „ჭკვიანთა“ შემეცნების საფუძვლად იქცა.

მართლაც, რაა აბსტრაქტული და კონკრეტული.

მიყვავთ ჰეგელის მსჯელობას.

აბსტრაქტული – თეორიული, მეტაფიზიკური აზროვნება.

კონკრეტული კი რაღაც, ნათლად გამოსახული მაგალითის მოყვანას ნიშნავს, რომელსაც შეიძლება ხელით შეეხო, თითუბზე ჩამოთვალო, ან თითი ატაკო; და გვეჩვენება, რომ იმაზე კონკრეტული რა უნდა იყოს, თუ ვიტყვით – „აქ“, „ახლა“, „ეს“.

ჩვენ, კონკრეტულის მოთხოვნით, ბავშვით ვიქცევით. მართლაც, როცა ბავშვს მრავალი სათამაშოდან რომელიმე კონკრეტული აინტერესებს, ის თითხ იშვერს და ამბობს – „ეს“ მინდა; მისთვის საინტერესო საგნებიდან ნებისმიერი ასევე არის „ეს“. მაგ. თუნდაც ქაღალდის ნაგლეჯი, შოკოლადი, სათამაშო, ვაშლი. . . ასევე „ეს“ არის. გამოდის, რომ სიტყვა „ეს“ ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულია. ამრიგად, როცა ბავშვურად, რაიმე კონკრეტულის ახსნას გვთხოვენ, ვერ ხვდებიან, რომ ამ მოთხოვნით აბსტრაქტულს ითხოვენ, რადგან „ეს“ (თითქოს კონკრეტული), შეიძლება სათამაშოც იყოს, ქაღალდიც, შოკოლადიც . . .

კი ბატონო, აღვწერ ამ „ეს“-ს ანუ ქაღალდს, მთელი მრავალფეროვნებით, და სანამ ამას შევძლებ, იმდენი დრო გავა, რომ ან „ეს ქაღალდი“ დაიშლება, დაღებება, ან თქვენ ამოგეწურებათ მოთმინება. გამოდის, რომ „აქ“, „ახლა“, „ეს“, არც მეტი და არც ნაკლები, აბსტრაქტული განსაზღვრებაა. ის ყველაფერს ასახავს და შესაბამისად – არაფერს. „ეს“ ისეთი ცნებატევადი სიტყვაა, რომ უკვე არაფერია.

გამოდის, რომ ნებისმიერი საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, ცნება აბსტრაქტია.

დავიმახსოვროთ, სიტყვა კონკრეტული, ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან და ქართულად ნიშნავს შერწყმას. კონკრეტული გონებაში იმიტომ ჩნდება, რომ ხდება აბსტრაქტულ განსაზღვრებასთან მისი შერწყმა და ეს შერწყმნა მრავალფეროვნების ერთობას ქმნის.

როგორ მიმდინარეობს აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა?

წამოყენებული რაიმე მოსაზრება წინააღმდეგობაში, კონფლიქტში შედის თავისივე საწინააღმდეგოსთან, ანტიპოდთან, რომელიც უარყოფს მას და ამის შემდეგ ღებება „უარყოფის უარყოფა“ – ანუ ურთიერთსაწინააღმდეგოს შერიგება, სინთეზი. აქედან, ზემოთ უკვე ნახსენები, ჰეგელის ტრიადა – თეზა, ანტითეზა – სინთეზი.

უფრო ნათლად, განვიხილოთ ვაშლის „დაბადება“, შექმნა. ჯერ კვირტისაგან ჩნდება ყვავილი; ყვავილს აღარ უნდა იყოს კვირტი – მან კვირტი უარყო; ყვავილისაგან კი იბადება ნაყოფი, ვაშლი. გამოდის, რომ ვაშლი უკვე ყვავილს უარყოფს. მივიღეთ „უარყოფის უარყოფა“ და ამ უარყოფის უარყოფით მოხდა მათი შერწყმა – სინთეზი, და იწყება პროცესი – კვირტისა და ყვავილისგან მივიღეთ ვაშლი.

დიახ, სანამ არ უარყოფ გარემოს და საკუთარ თავს (არ შეიცვლება) არავითარი პროცესი არ მოხდება. მართლაც, ჩვენ გვინდა უკეთესობისაკენ შეიცვალოს სამყარო და ვერ ვხვდებით, რომ ეს ცვლილება საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, რადგან ჩვენ იმ სამყაროს ნაწილი ვართ, რომლის შეცვლაც გვწადია.

არ შევიცვლებით ჩვენ – არ შეიცვლება არაფერი.

ჰეგელი აყალიბებს დიალექტიკის სამ კანონს

- რაოდენობის ცვლილებისას თვისობრივში გადასვლის (და, პირიქით) კანონი;
- დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის“ კანონი;
- უარყოფის უარყოფის კანონი.

ჰეგელი გვარწმუნებს, რომ **ურთიერთწინააღმდეგობაშია ჭეშმარიტება, ხოლო მისი არ არსებობა არის შეცდომის, დაბნეულობის კრიტერიუმი.**

გზა, რომლითაც ჩვენი გონება კონკრეტულ საგანს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, სისრულით აღიქვამს, არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე სვლა. ჩვენმა გონებამ უნდა შეძლოს დაინახოს, გამოამჟღავნოს ურთიერთსაწინააღმდეგო; მაგ., გონება ასახავს ადამიანთან დაკავშირებულ თვისებებს: ცოცხალი, მკვდარი, თუმცა ცნება სიცოცხლე, სიკვდილსაც მოიცავს.

მართლაც, გაიხსენეთ:

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შენობს შენითა
და შენც, სიკვდილო, ფასი გქე,
სიცოცხლის ნაწყენობითა.

.....

ურთუროთისოდ ვერ სძლებენ,
მაღელვებ დაიღვებიან!

ცნება სიცოცხლე რომ არ არსებობდეს, არც ცნება სიკვდილი იქნებოდა;

ამაღლებული ადამიანი გარდაცვალებით უკვდავებაში გადადის. რა, საზღვრულში განა უსაზღვრო არ არის? შემთხვევითობაში განა აუცილებლობას ვერ აღმოვაჩენთ? ცვლილება განა მშვიდის სიდიადეს არ მოიცავს? თვით სიმშვიდე ხომ მოძრაობითაა დაორსულებული?

ერთი გადადის მეორეში და მეორე – პირველში და ეს „შინაგანი კავშირი“ პროცესს ქმნის. ურთიერთსაწინააღმდეგოთა ერთობა, მაგალითად, „+“ და „-“, ნათურაში ქმნის სინათლეს. ამ გზით გონება ბუნებაში „გაქცევებულ ინტელექტს“ შეიცნობს (ეს შელინგის სიტყვებია).

მართლაც, განვიხილოთ უჯრედის განაყოფიერება. განაყოფიერებული უჯრედი ორ უჯრედად იყოფა; განაყოფები კვლავ იყოფიან. . . და იქმნება ორგანიზმი, სხეული. რა მოუვიდა საწყის უჯრედს? გაქრა? – არა, ის სხეულშია, მისი ნაწილია. ასევე შემეცნება იწყება საწყისი „უჯრედიდან“ აბსტრაქტულიდან, რომელიც თავისთავში პოტენციურად, როგორც შესაძლებლობას, კონკრეტულის სრულ მრავალფეროვნებას მოიცავს.

ვთქვათ, ჯიბეში მაქვს 100 ლარი. თუ ვერაფერს ვყიდულობ, ეს ნიშნავს, რომ მე „არაფერი“ მაქვს. მე 100 ლარის მფლობელი რეალურად მაშინ ვარ, თუ მისი დახარჯვა შემიძლია. გამოდის, რომ ყოფა თავის თავს მაშინ ამჟღავნებს, როცა ის ქრება (ვიყიდე ფეხსაცმელი და გაქრა 100 ლარი). ყიდვა-გაყიდვის მომენტი „ყოფიერებისა და არაფრის“ ერთობაა. და უკვე „არაფრისაგან“ იქმნება „რალაც“ თავისი პირველი განსაზღვრებით – თვისება, სახე, ხარისხი. „რალაცას“ ჩვენს შემთხვევაში – ფეხსაცმელს აქვს თვისება, ხარისხი, სახე; გამოდის, რომ საგანი ჯერ არაა, როცა ის იწყება (ვაშლი, ორგანიზმი). თითქოს, ადამიანი ჩასახვის მომენტში არ არსებობს. ე.ი. ზოგადად ჩანასახში გაერთიანებულია ყოფიერი და არაყოფიერი. ჩანასახში ადამიანი არ არსებობს და, იმავდროულად, არსებობს; ესაა არაფრის და რალაცის ერთობა.

აბსტრაქტულ განსაზღვრებათა (ყოფიერი და არაყოფიერი) ერთობა იშლება მთელის „შექმნის“ პროცესში.

დიახ, აბსტრაქტული მოიცავს კონკრეტულს, როგორც შესაძლებლობას.

როცა მე აბსტრაქტულად მინდა შევიძინო ფეხსაცმელი, უკვე ამ აზრში კონკრეტული ფეხსაცმლის შეძენის შესაძლებლობა დევს.

საინტერესოა ასევე ჰეგელის შემდეგი მსჯელობა – **აბსტრაქტული არის კონკრეტული „მოხსნილი სახით, ხარისხით, თვისებით“.** მართლაც – კონკრეტულ ფეხსაცმელს აქვს სახე. აბსტრაქტულ ცნება ფეხსაცმელს არაა აქვს სახე, ანუ მას „მოხსნილი“ აქვს სახე, თვისება, ხარისხი. სიტყვა „მოხსნილი“ შეიძლება გავიგოთ, როგორც უარყოფა, დატოვება.

შევეცადოთ მარტივად ავხსნათ სიტყვა „მოხსნილი“.

განვიხილოთ ადამიანი მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული თვისებით, ვთქვათ გარკვეული რაოდენობის სამუშაოს შესრულების უნარით, ხარისხით. თუ ადამიანის ეს თვისება იცვლება, ცხადია, შეიცვლება მის მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობა. გამოდის, რომ თვისება გადადის რაოდენობაში. დიახ, მოხსნილი, შეცვლილი, უარყოფილი თვისება გადადის რაოდენობაში.

აქ გასახსენებელია ბ-ნ ფრიდრიხ ენგელსის მიერ მოყვანილი მაგალითი, რომელიც მთელი სისრულით ვერ ასახავს ჰეგელის დიალექტიკის რაოდენობის თვისებაში გადასვლის კანონს, მაგრამ ამ საინტერესო საკითხის თუნდაც ზედაპირულ გააზრებაში დაგვეხმარება. ენგელსი იხილავს ნაპოლეონის სამხედრო ექსპანსიას ეგვიპტეში, როდესაც ნაპოლეონის არმიას მამლუქთა არმია დაუპირისპირდა.

ნებისმიერი ცალკე აღებული მამლუქი სიმამაცით, იარაღის ვირტუოზული ფლობით და მხედრული ნიჭით გამოირჩეოდა. მამლუქს ათი ნაპოლეონის ჯარისკაცის განადგურება შეეძლო. ასე მამლუქისა და ასე ნაპოლეონის ჯარისკაცის დაპირისპირებისას გამარჯვებულის წინასწარ განსაზღვრა უკვე რთული იყო. ნაპოლეონის ათას დისციპლინირებულ ჯარისკაცს ათი ათასი მამლუქის განადგურება შეეძლო (და შეძლო კიდევ). ამ ისტორიულ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ორივე შემთხვევაში რაოდენობის ცვლილება იწვევს თვისების ცვლილებას. დიახ, რაოდენობა გადადის თვისებაში.

აქედან გასაგებია, რომ ჰეგელი წინააღმდეგია, მაგ., თვისება და რაოდენობა ორ დამოუკიდებელ განსაზღვრებად გამოეცხადოთ. ჰეგელისთვის თვისება გადადის რაოდენობაში და პირიქით.

თუ ჰეგელის ეს აზრები თქვენთვის მისაღებია, მაშინ იწყება ჯაჭვური რეაქცია.

მოხსნილი ხარისხი, თვისება, სახე – რაოდენობა;

მოხსნილი რაოდენობა – ზომა;

მოხსნილი ზომა – არსი;

მოხსნილი არსი – მოვლენა;

მოხსნილი მოვლენა – სინამდვილე;

მოხსნილი სინამდვილე – ცნება;

მოხსნილი ცნება – ობიექტურობა;

მოხსნილი ობიექტურობა – აბსოლუტური იდეა;

მოხსნილი აბსოლუტური იდეა – ბუნება;

მოხსნილი ბუნება – სუბიექტური სული;

მოხსნილი სუბიექტური სული – ზნეობრივი, ობიექტური სული;

მოხსნილი ზნეობრივი სული – ხელოვნება, შემოქმედება;

მოხსნილი შემოქმედება – რელიგია;

მოხსნილი რელიგია არის აბსოლუტური სული.

ასე იმლება ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა.

„არაფრისაგან, არაფრის გავლით, არაფრისაკენ“ . . .

ჰეგელის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანია არა შედეგი, არამედ შედეგის მიღწევის პროცესი. ესაა აზროვნების მეთოდი, რომლის გარეშე ვერავითარ მწვერვალს ვერ დავიპყრობთ. ფაქტობრივად, მან ობიექტის მოდელირების მეთოდი შექმნა. აი, ესაა სისტემური მიდგომა. ესაა ის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, რომლისაგან ე.წ. მესამე არაწრფივი, სისტემური, ევოლუციური პარადიგმა აშენდა, რაზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ჩვენი ყოფის არასიღრმისეული ანალიზისას იქნება შთაბეჭდილება, რომ არსებული საზოგადოება იყოფა ორ მკვეთრად პოლარიზებულ ნაწილად.

ერთ ნაწილს, უმრავლესობას, თითქოს ისე აქვს დაქვეითებული ასტრალურობა, სიფაქიზე, რომ ყველაზე უმსგავსო, უსახურ გარემოშიც კი შეუძლია ადაპტირება, კმაყოფილების მიღება. ამ დაქვეითებული გარემოს მიღმა არსებული უსაზღვრო, საინტერესო, ლამაზი სამყარო მისთვის

უცხოა იმ აზრით, რომ ეს სამყარო უბრალოდ არ სჭირდება. ის ზედმეტია მისთვის, ამიტომ ის იკეტება საკუთარ ნაჭურში, ბუნაგში და ამ დატბორილ სულიერ ჭაობს უკვე ღიდი ზანია მიეჩვია. მისი გონებრივი პოტენციალი მხოლოდ საკუთარი ბიოლოგიური ორგანიზმის თავალსაწიერით შემოიფარგლება. ასეთი არ ცდილობს ამაღლებას, საკუთარი „მე“-ს და ამით მთელი სამყაროს შეცნობას, ერთი მარტივი მიზეზის გამო – მას ჰგონია, რომ ის უკვე ამაღლებულია. მას, უკვე „ამაღლებულს“, არ სჭირდება შემოქმედება-განვითარება. მას ჰგონია, რომ ყველაფერი აქვს: სად დაიბნოს, პურის ნაჭერი, ჭიქა წყალი, გარშემო თავისივე მსგავსნი ჰყავს და ამ „ჯოგში“ ის თავს კმაყოფილად გრძნობს. კმაყოფილი არაფერს ქმნის, იმიტომ რომ ის კმაყოფილია, მას არ ეშინია სიმარტოვის, რადგან ჯოგში სიმარტოვის შეგრძნება უბრალოდ ქრება.

მეორე, ამაღლებული ასტრალურობის მქონე უმცირეს ნაწილს კი ეს უსაზღვრო რაოდენობის მცოხნავი ჯოგი უმძაფრებს მარტოობას. ასეთი „მე“ მარტოა საკუთარ „მე“-სთან, ის გრძნობს თავის გამორჩეულობას, განუმეორებლობას, საკუთარ არამსგავსებას არავისთან და არაფერთან. ასეთი ღრმადია დარწმუნებული, რომ არ იმყოფება თავის სულიერ სამყაროში, რადგან ჯოგის სული მისი სულიერი სამშობლო არ არის. სწორედ ამ გაუცხოებულ სამყაროში გრძნობს სიმარტოვის საშინელებას. ცნობიერება მას სთავაზობს განიხილოს ჯოგი და მისი სამყარო როგორც ობიექტი და ის ვალდებულია როგორც სუბიექტმა შეიმეცნოს ობიექტი – ჯოგი. ამ „ობიექტურობის“ შემეცნებას ის არა მარტო გამოყავს მარტოობიდან, არამედ უფრო ამძაფრებს მის მარტოობის ტკივილს. მას ენატრება არა ობიექტებთან ურთიერთობა, არამედ ურთიერთობა „შენთან“, „სხვასთან“, „ჩვენთან“. მაგრამ მას ეშინია „შენთან“ შეხვედრის, რადგან ვაი თუ შენც ობიექტი აღმოჩნდე. ეს მასში უსასრულო სევდას იწვევს, რადგან არ უნდა შეურიგდეს ამ უსახო მუდმივობას, მუდმივ წყურვილს, უაზროდ დინებად დროს. ასეთ შიშს ის უცილობლად მიჰყავს ისეთივე ბუნაგში, საკუთარ ნაჭურში. განსხვავება ისაა, რომ ამ ბუნაგში ჩაეკეტილთა სიმრავლე არ ქმნის ჯოგს. სამწუხაროდ, ასეთი საკუთარი მარტოობის სევდის მცოხნავ საქონელად იქცევა, რომელიც სულიერ საკვებს განმარტოებული დაეძებს.

ასეთი მსჯელობა თითქმის არსებული საშინელი რეალობის საფუძველს ააშკარავებს. ჩვენი აზრით, უბედურების სათავე თვით ამ მსჯელობის არსშია. საქმე ისაა, რომ არც საზოგადოების პირველ ნაწილს აქვს ისე დაქვეითებული ასტრალურობა, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, და არც მეორე ნაწილის ასტრალურობა ბრწყინავს ჩვენი ყოფის წყვდიადის ფონზე. ვიმეორებთ, ადამიანთა ისტორიაში მრავლადაა ფაქტები, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ „ჯოგის“ წვერებმა შექმნეს „ვეფხისტა და მოყმის“, „ჩაკრულოს“ ისეთი სულიერი შედეგები, რომელსაც მრავალი მარტოობის სევდით შეპყრობილი „ამაღლებული“ ასტრალურობის ინდივიდი მოაწერდა ხელს, როგორც ავტორი და იამაყებდა ამით. ასევე მარტოობის სევდით შეპყრობილი, უმაღლესი ასტრალურობის მქონე გალაკტიონის ერთი ლექსიც საკმარისია, რომ „ჯოგის“ სულიერი ვოლერი შეინგრეს.

ამ სიმარტოვის ბუნაგში მომწვედუელთა და „ჯოგში“ გაერთიანებულთა დაპირისპირების მოხსნა და ჰარმონიის მიღწევა სწორედ თავისუფლების ხარისხის ამაღლებითაა შესაძლებელი. თავისუფალთა ერთიანი მიზნისკენ სწრაფვით პიროვნებათა განვითარებისა და საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი იქმნება. სწორედ ესაა სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარების საწინდარი. სწორედ ამიტომ გვჭირდება ისეთი ფილოსოფია, რომელიც უსახური აზროვნებისგან გაგვათავისუფლებს და ეს თავისუფლება ჩვენი ყოფის სიმახინჯეს გაანადგურებს. ასეთი ფილოსოფია თავისუფლებისათვის ბრძოლა უნდა იყოს. ჩვენ ახალ სამყაროს ვერ შექმნიით. ეს სამყარო უკვე შექმნილია. ჩვენ ვალდებული ვართ შემოქმედნი ვიყოთ ამ სამყაროში.

სხვა გზა არ გვრჩება – თუ გვინდა მივალწიოთ მწვერვალს, უნდა ვიაზროვნოთ.

ერთხელ, მაიმუნი შეიკრიბნენ და დაფიქრდნენ – ხომ არ გავხდეთ ადამიანებიო. ყველა აღფრთოვანდა. ამ საკითხზე კენჭისყრა მოაწვევს. ერთი მაიმუნი წინააღმდეგი აღმოჩნდა. ჰკითხეს – რატომ

ზარ წინაღმდეგო? — მან ჩაახველა და ბოხი ხმით თქვა: კი, კარგი ცხოვრება აქვთ ადამიანებს, მაგრამ დაფიქრდით, თუ ადამიანები გავხვდებით, ზომ მოგვიწევს ჯერ სკოლაში სწავლა, მერე — უმაღლესში, მერე ვილაყ კანტების, ჰეგელის, ვაუას, აინშტაინების, ჰუსერლის და სხვა ათასი უბედურების შესწავლა, გვინდა ეს? მაიმუნები ღრმად ჩაფიქრდნენ. განმეორებითი კენჭისყრა მოაწვევს და ერთხმად მიიღეს დადგენილება — ვრჩებით მაიმუნებად.

ჩვენც ზომ არ მოვაწყობთ კენჭისყრა?

თუ არა და გავაგრძელოთ მსჯელობა.

ცხადია, თუ არსებობს იდეები, უნდა არსებობდეს ველი, არეალი, სადაც „განფენილია“ ეს იდეები.

სწორედ მეექვსე სუბსტანციაა იდეათა ველი.

შესაბამისად, ვიღებთ:

6. იდეათა ველი

5. ასტრალური ველი

----- ადამიანი

4. პლაზმა

3. აირი

2. თხევადი

1. მყარი

კვაზიპოსტერიორული ველი

მეშვიდე სუბსტანციაა კვაზიპოსტერიორული ველი.

ჩვენ მიერ შემოტანილი სახელწოდება „კვაზიპოსტერიორული ველი“ კანტის ფილოსოფიაზე დაყრდნობით წარმოიშვა.

კანტი თავისი გონების სიმაღლიდან ცდილობდა აეხსნა ურთულესი საკითხი — რა შეუძლია, რა პოტენციალი აქვს მეცნიერულ და ფილოსოფიურ ცოდნას. მისი აზრით, არსებობს ორი სახის ცოდნა: აპრიორული ცოდნა, რომელიც ჩვენში თავიდანვეა ჩადებული და აპოსტერიორული — გაცილებით შემენილი ცოდნა.

აპრიორული ცოდნის წყაროა ადამიანის თანდაყოლილი შემეცნების უნარი — განსჯა, გონი.

აპოსტერიორული ცოდნის წყარო კი გამოცდილება, ემპირიაა.

კავშირი აპრიორულ და აპოსტერიორულ ცოდნას შორის შემეცნებელი სუბიექტის პროდუქტიული წარმოსახვით ხდება.

თვით სუბიექტი აიძულებს აპრიორულ ცოდნას გავიდეს მისი საზღვრებიდან და ემპირიულ ცოდნასთან გაერთიანდეს. ამ „ზღვარს მიღმა“ გასვლას ლათ. ტრანსცენდენსია ეწოდება.

შესაბამისად, ჩვენი მეცნიერული ცოდნა ტრანსცენდენტულია არა თავისთავად, არამედ ემპირიულ ცოდნასთან გაერთიანებისას, ზედებისას.

სუბიექტის აქტივობისას, თითქოს აპრიორული ცოდნა ემპირიულს ედება.

აქ გასააზრებელია თვით სიტყვა ემპირია. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გამოცდილებას. ემპირია — ბუნებრივ პირობებში გრძნობითი ორგანოებით გარე სამყაროზე დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილება. ის ექსპერიმენტისგან იმით განსხვავდება, რომ ემპირიული ცოდნა არა სამყაროზე ზემოქმედების შედეგად, არამედ ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად მიიღება (აქ ცდაზე, ექსპერიმენტზე დაკვირვებაც იგულისხმება). კანტი დაკვირვებისას მიღებულ გამოცდილებას შემდეგნაირად განმარტავს — ეს არის „განსჯის“ პროდუქტი, რომელიც „გრძნობით“ არეალს, მასალას ეყრდნობა.

ალბათ, კანტი არ გვიწყენს, თუ ამ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით.

გარე სამყაროში ყველა მოვლენა, საგანი, ფენომენი მკვეთრად გამოსახული, თვალნათელი არაა. თანაც არსებობს მოვლენები, ფენომენი, რომელიც ჯერ არ მომხდარა, ასევე საგნები, რომლებიც ჯერ არ შექმნილა (ცხადია, მათზე დაკვირვება გრძნობითი ორგანოებით შეუძლებელია). მაგ., სანამ მიქელანჯელო დავითის ქანდაკებას შექმნიდა, თითქოს, ის მარმარილოს ბლოკში იყო მოთავსებული. ჭეშმარიტი ხელოვანი მასალაში (მარმარილოს ბლოკში) საგანს (დავითს) ვირტუალურად აღიქვამს, წარმოიდგენს. ამიტომ აღნიშნა მიქელანჯელომ – მე სკულპტურას კი არ ვქმნი, არამედ ქვას ზედმეტ ნაწილებს ვაცილებ.

ვირტუალური – შესაძლებელი, ისეთი, როგორიც გარკვეული პირობებისას შეიძლება იყოს.

საქმე უფრო რთულადაა, თუ უნდა გადაწყდეს ჯერ არშექმნილი, ვირტუალური, ქანდაკება სად უნდა დაიდგას, რა სიმაღლეზე, როგორი იქნება მზის განათებით გამოწვეული ეფექტი დღის განმავლობაში, დილით უნდა გამოჩნდეს ქანდაკება მაქსიმალური ბრწყინვალეობით თუ საღამოს . . .

შესაბამისად, შემოქმედი ქანდაკებასაც ვირტუალურად წარმოიდგენს და იმ ადგილსაც, სადაც იგი დაიდგება. ქანდაკებისა და მისთვის შესაბამისი ადგილის ვირტუალური წარმოსახვის შედეგად შემოქმედის ცოდნა ღრმავდება, ფართოვდება.

ამრიგად, ვირტუალური საგნისა და სივრცის ზედლების შედეგად ვირტუალურ სამყაროს ვიღებთ. ამ ვირტუალურ სამყაროზე ემპირიით ახალი ცოდნის მიღებაა შესაძლებელი.

ალბათ, იტყვიან – ხომ შეიძლება ჩატარდეს ექსპერიმენტი – შეიქმნას ქანდაკებისა და ქალაქის იმ უბნის მაკეტები, სადაც ის უნდა დაიდგას და ვირტუალური წარმოდგენა საჭირო აღარ იქნება – გეთანხმებით, ხშირად ასეც იქცევიან. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა ექსპერიმენტი ან ძალიან ძვირი ჯდება, ანდა საერთოდ შეუძლებელია.

მაგალითად, გასული საუკუნის პირველ ნახევარში მეცნიერები მივიდნენ ბირთვული იარაღის შექმნის იდეასთან და რეალურად შექმნეს ატომური ბომბი. ცხადია, ამ იარაღის გამოცდისათვის სპეციალური პოლიგონი მომზადდა; და თუმცა, არავინ იცოდა რა შედეგები მოჰყვებოდა ბომბის აფეთქებას, დამკვირვებელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამცავი სისტემაც აშენდა. დედამიწაზე ბუნებრივად ბირთვული აფეთქებები არ ხდებოდა, ამიტომ ამ საკითხზე ემპირიული ცოდნაც არ არსებობდა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აპრიორული ცოდნის ვირტუალური, წარმოსახვითი მოვლენის გააზრებით მიღებულ ცოდნასთან „ზედლებას, შერწყმას“. წინასწარ, აზრობრივად უნდა წარმოედგინათ ყველა ის მოვლენა, რომელიც აფეთქებას მოჰყვებოდა. სამწუხაროდ, ჩატარებული სამეცნიერო ექსპერიმენტებიდან გამოდინარე, ცოდნაც არასაკმარისი აღმოჩნდა; მეცნიერებს მეტი ყურადღება რომ გადაეტანათ საკუთარი წარმოსახვის უნარზე და აზრობრივად, წინასწარ წარმოედგინათ ბირთვული აფეთქება, შესაძლოა ცდის თანმდევი ნეგატიური შედეგები თავიდან აეცილებინათ. ბირთვული იარაღის გამოცდებმა რადიაციით დააბინძურა ხმელეთის ზედაპირი და ოკეანის წყლები. მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანეს ბირთვული იარაღის გამოცდა მიწის ქვეშ.

გასული საუკუნის 60-იან წლებში კოსმოსური ხომალდის მთვარეზე გაშვების შესაძლებლობა შეიქმნა. ამ იდეის თანახმად მთვარის ზედაპირის გამოსაკვლევად მასზე ექსპერიმენტული აპარატი უნდა დამჯდარიყო. პრობლემა მთვარის ზედაპირის შედგენილობის შესახებ ინფორმაციის არარსებობაში მდგომარეობდა; აპარატის დამზადებისას კი უნდა გაეთვალისწინებინათ მთვარის ზედაპირი მყარი იყო, თუ მტვრით დაფარული, რათა ის მტვერში არ ჩაფლულიყო. . . ეს პრობლემა ექსპერიმენტით – ოპტიკური ტელესკოპით – ვერ გადაწყდა. ამ ამოცანის ამოსახსნელად, მეცნიერები წარმოსახვით გადავიდნენ მთვარის ზედაპირზე და მსჯელობის შედეგად დაასკვნეს, რომ მთვარის ზედაპირი მყარია. და მართლაც, მთვარის ზედაპირი მყარი აღმოჩნდა.

ვმეორებთ, ვირტუალური წარმოსახვის გამოყენება რაციონალურია, როდესაც ექსპერიმენტი ან ძალიან ძვირი ჯდება, ანდა – საერთოდ შეუძლებელია.

ვინც მეცნიერების ისტორიით ოდნავ მაინც დაინტერესებულა, იმდროინდელი ბერძენი ფილოსოფოსების ექსპერიმენტისადმი გარკვეულ ქედმაღლურ დამოკიდებულებას შეამჩნევდა. თითქოს, ისინი ცდის ჩატარებას თაკილობდნენ, და არა ფილოსოფოსთა, არამედ ხელოსანთა საქმედ მიიჩნევდნენ. ფილოსოფოსები მეცნიერული ისტორიულ-მეტაფიზიკის გამოგონებისკენ არ ისწრაფოდნენ. იმის მიუხედავად, რომ მინის საგნები იმ პერიოდში უკვე არსებობდა, მათ არ ჰქონდათ ჩვეულებრივი ლუბა, ლინზა. . . მოგეხსენებათ, მრუდე ზედაპირიანი მინა უკვე ლინზაა. ცდისადმი ამგვარი დამოკიდებულების დასასრული გალილეო გალილელის ცდის ჩატარებით იწყება.

გალილეო გალილელის მიერ პიზას დახრილი კოშკიდან ჩამოგდებული ორი სხეული – ტყვია და ბირთვი (ტყვიაზე გაცილებით მძიმე) – ერთდროულად დაეცა მიწაზე. ამრიგად, გალილეიმ დაამტკიცა, რომ დედამიწა ერთნაირად იზიდავს მსუბუქ და მძიმე სხეულს, ამით მან უარყო მანამდე გავრცელებული აზრი, რომ მძიმე სხეულს უფრო მეტად იზიდავს დედამიწა, ვიდრე მსუბუქს. გალილელის ეს ექსპერიმენტი, ცდა ექსპერიმენტული ფიზიკის დაბადების თარიღად მიჩნეულია.

დღეს ჩვენ „ვიზრჩობით“ ინფორმაციის ოკეანეში, მაგრამ აზროვნების ის ღონე, რომელიც მწირი ინფორმაციის პირობებში ძველ ბერძნებს ჰქონდათ, ჩვენთვის სანატრელია.

ამრიგად, საეჭვო ხდება აზრი, რომ ინფორმაციის სიჭარბე აზროვნების ხარისხს აუმჯობესებს.

ექსპერიმენტის მიმართ ელინელი ფილოსოფოსების „არასერიოზული“ დამოკიდებულება შეიძლება შემდეგი ლოგიკით აიხსნას: თუ გაქვს უნარი, გაიაზრო რაიმე მოვლენა, ფენომენი და შენი მსჯელობის მართებულობაში დარწმუნებული ხარ, რაღა საჭიროა ცდით მისი შემოწმება?! ეს მან შეამოწმოს, ვისაც საკუთარი აზროვნების სრულყოფილებაში ეჭვი ეპარება. აქ არა მარტო ლოგიკაა, არამედ უფრო მეტიც – რწმენა საკუთარი აზროვნების მაღალი დონის მიმართ. თუმცა, ელინები კაცობრიობის მიერ დაგროვილ ემპირიულ ცოდნას მშვენივრად იყენებდნენ.

არქიმედეს ცნობილი კანონი ემპირიულია. აბაზანიდან გადმოღვრილმა წყლის რაოდენობამ წამოაძახებინა მას „ვერიკა“, მაგრამ ის აბაზანაში ცდის ჩასატარებლად კი არა, ჰიგიენური მოსახრებით ჩაწვა. **ის აზრი, რომ თანდაყოლილი – აპრიორული, ცდისეული (აპოსტერიორული) და წარმოსახვითი სამყაროზე ემპირიული ცოდნა ურთიერთკავშირშია, ნათელია.** თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად ცდის ჩატარებას, არც ესაა სადისკუსიო.

ცხადია, ცდის ჩატარებამდე ამ ექსპერიმენტის შედეგების წინასწარ, მაქსიმალურ გააზრებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, თუ ექსპერიმენტი არაეთიკურია. მაგ., განვიხილოთ ის ექსპერიმენტი, რაც ბატონმა ვალოდია ულიანოვმა (შემდგომში ამხანაგმა ლენინმა) მოუწყო საკუთარ ხალხს (და არა მარტო საკუთარს). ლენინს რომ გონებრივი ანალიზი პატიოსნად ჩაეტარებინა, წინასწარ, წარმოსახვით წარმოედგინა ის შედეგი, რაც მის მიერ შექმნილი სახელმწიფო სისტემის დანერგვას მოჰყვებოდა, მილიონობით ადამიანი უაზროდ არ გაიწირებოდა.

დიახ, სოციალისტური რევოლუციის ექსპერიმენტი არა მარტო საშიში, არამედ არაეთიკურიცაა. სამწუხაროდ, მთელი ჩვენი უახლესი ისტორია უგუნურ ადამიანთა (საკუთარი კეთილდღეობისაკენ სწრაფვის მიზნით) მხრიდან ხალხზე განხორციელებული გაუაზრებელი ექსპერიმენტებია.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ერთადერთ შვილს ლამანშის გადაცურვა სურს. ეს განზრახვა რომ წარმატებით აღსრულდეს, ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორის გააზრებაა აუცილებელი. მანძილის ფაქტორი – საჭიროა საცურაო აუზში ცურვით გადაიღახოს ლამანშის შესაბამისი მანძილი; ასევე ექსპერიმენტით – აუზში შესაბამისი ტემპერატურის შექმნით შესაძლებელია ლამანშის წყლის ტემპერატურის პრობლემის გათვალისწინება; თუმცა, ექსპერიმენტი (ცდის ხელისშემშლელი პირობების მოდელირებისას) დინებების, ნისლის, ქარის, ზეგავლენის სრული გათვალისწინება ურთულესია. რჩება ერთი გზა – აზრობრივად, შეძლებისდაგვარად წარმოიდგინოთ ის სამყარო, რასაც ლამანშის სრულტე ეწოდება და ამ წარმოსახვითი სამყაროზე „ემპირიით“ მიღებულ ცოდნას დაეყრდნოთ.

ამრიგად, დამატებითი ცოდნის მიღება შეიძლება ვირტუალურად წარმოდგენილ სამყაროზე „დაკვირვებითაც“, რაც ახალი ცოდნის საფუძველი ხდება.

და თუ საკუთარი შვილის ბედი ჩვენთვის ძვირფასია, მაშინ ქართველმა ხალხმა, მოყვასმა რა დაგიშავათ, რატომ ატარებთ მათზე გაუაზრებელ ექსპერიმენტებს?!

ალბათ, კანტი არ გვიწყენს თუ შევთანხმდებით, რომ ასეთ ცოდნას კვაზიპოსტერიორული ვუწოდოთ.

ამრიგად, იდეის რეალიზების მცდელობისას, იდეის განხორციელების დაწყებამდე აუცილებელია ქმედების გეგმისა და შედეგების წინასწარი გააზრება. ქმედების შედეგის წინასწარ აზრობრივ წარმოსახვას კვაზიპოსტერიორული გონივრულობა ვუწოდოთ.

კვაზიპოსტერიორული აზროვნების დიდოსტატები იყვნენ ელინი ფილოსოფოსები. მათ უნიკალურად შეედოთ ქმედების შედეგის აზრობრივი წარმოდგენა. დღეს ფიზიკაში ამას აზრობრივ ექსპერიმენტს უწოდებენ.

შესაბამისად, იდეის წვდომის შემდეგ, მისი შესაბამისი ქმედების და შედეგების წინასწარი გააზრებით კვაზიპოსტერიორულ ველში გადასვლა ხდება. სწორედ, ეს კვაზიპოსტერიორული ველია ჩვენი სამყაროს შემეცნების მოდელის მეშვიდე სუბსტანცია.

შესაბამისად მივიღეთ:

7. კვაზიპოსტერიორული ველი

6. იდეათა ველი

5. ასტრალური ველი

----- ადამიანი

4. პლაზმა

3. აირი

2. თხევადი

1. მყარი

კანონზომიერება

კვაზიპოსტერიორულ ველში სამყაროს ფენომენთა გააზრებას სამყაროს კანონების შემეცნებასთან, ზოგად კანონზომიერებასთან მიეყვარათ. შესაბამისად, კანონზომიერებათა ველი სამყაროს ფენომენთა, მოვლენათა კანონების ნაკრებია; და მიზნისკენ სვლისას, ჩვენი ქმედების მიზანშეწონილობას სწორედ ამ კანონზომიერებათა გააზრების ხარისხი განსაზღვრავს. კანონზომიერებათა ველი მენტალური, ირეალური სამყაროს უკანასკნელი სუბსტანციაა. შესაბამისად, ჩვენი სამყაროს შემეცნების მოდელი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

8. კანონზომიერების ველი.

7. კვაზიპოსტერიორული ველი.

6. იდეათა ველი

5. ასტრალური ველი

----- ადამიანი

4. პლაზმა

3. აირი

2. თხევადი

1. მყარი

პირველი ოთხი სუბსტანცია რეალურ (ხილულ) სამყაროს წარმოადგენს. შემდეგი ოთხი – ირეალურ (უხილავ) სამყაროს. მათ ზევით კი არსებობს ზერეალური, ანუ ღვთაებრივი სამყარო. სანამ ზერეალურ სამყაროს მიწიერ გააზრებას გაგებდავდეთ, აუცილებელია განვიხილოთ, ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ სამყაროს შემეცნების მოდელს რა პრინციპი დაედო საფუძვლად.

აუცილებელია, უპირველესად შევთანხმდეთ, თუ რას ვგულისხმობთ ცნება „ველში“ (ასტრალური ველი, იდეა ველი, კვაზიაპოსტერიორული ველი, კანონზომიერების ველი).

პლატონის თანახმად, იდეები ჰყიდა „სივრცეში“. ხოლო იმ „არეალს“, სადაც სუბსტანციები განთავსებული პირობითად ველი ვუწოდეთ.

შევეცადოთ, სუბსტანციათა შორის ურთიერთკავშირი უფრო მარტივად წარმოვიდგინოთ. ამისთვის მიახლოებითი, ყოფითი მაგალითი, ალევორია გამოვიყენოთ.

განვიხილოთ რეალური, ხილული სამყაროს სუბსტანციები: მყარი, თხევადი, აირი, პლაზმა. მყარის მოდელად წარმოვიდგინოთ მაგიდაზე დადებული ყინულის ნაჭერი. თხევად, ანუ უფრო მაღალ სუბსტანციაში გადასასვლელად მას ენერგია (სითბოს სახით) უნდა გადაეცე. როცა მყარი ენერგიას მიიღებს, სითხედ გადაიქცევა. სითხე უფრო პლასტიკური, განფენადი, გამჭოლია, ვიდრე მყარი (ამ შემთხვევაში ყინული). გამოდის, რომ მეორე სუბსტანცია უფრო ენერგეტიკული, უფრო განფენადი და უფრო გამჭოლია, ვიდრე პირველი. თუ სითხეს გადაეცემ ენერგიას, ის აორთქლდება. ორთქლი, აირი უფრო განფენადი და გამჭოლია, ვიდრე სითხე. ე.ი. მესამე სუბსტანცია უფრო ენერგეტიკულია და გამჭოლი, ვიდრე მეორე. ჩვენ არავითარი მიზეზი არ გვაქვს, ეს ლოგიკა რვავე სუბსტანციაზე არ გავავრცელოთ.

აქედან დასკვნა – სამყაროს შემეცნების მოდელში ყველაზე ენერგეტიკული, ყველაზე უფრო გამჭოლი კანონზომიერების ველია, რომელიც ქვედა სუბსტანციებს განჭოლავს. მართლაც, კანონზომიერებას ყველგან აღმოაჩენთ, უმდაბლეს მყარ სუბსტანციაშიც კი. კვაზიაპოსტერიორული ველი განჭოლავს მის ქვევით არსებულ სუბსტანციებს, მაგრამ ზედა სუბსტანციის განჭოლვა არ შეუძლია, თუნდაც იმიტომ, რომ მასთან შედარებით ნაკლებად ენერგეტიკულია და ა. შ. გამოდის, რომ კანონზომიერებათა ველი განიფინება ყველა სუბსტანციაში: კვაზიაპოსტერიორულ, იდეათა, ასტრალურ და რა თქმა უნდა, ყველა რეალურ სუბსტანციაში. იდეათა ველი განჭოლავს ასტრალურს და ხილულ სუბსტანციებს. ასტრალური, ანუ გრძნობათა ველი განჭოლავს პლაზმას, აირს, თხევადს და მყარს. აქედან გამომდინარე, უმდაბლეს სუბსტანციას, მყარს ყველა მის ზევით არსებული სუბსტანცია განჭოლავს. აქ შეიძლება ადამიანს უკმარისობის განცდა გაუჩნდეს. გასაგებია, რომ მყარში, მის წყობაში არის კანონზომიერება, არის იდეაც, მაგრამ როგორ გავიგოთ მყარში ასტრალური ველის არსებობა, ანუ მგრძნობელობა. რა გრძნობა უნდა იყოს ქვაში? გავიხსენოთ გამოთქმა – ქვასავით უგრძნობი. მაგრამ, სანამ ჩვენ მიერ შექმნილ მოდელში შეცდომის ძიებას დაიწყებთ, მანამდე ქვაში გრძნობა მოვიძიოთ. უპირველესად შევთანხმდეთ ცნებაზე - მგრძნობელობა. შეგრძნება არის შემფოთებაზე რეაგირება. ადამიანს გააჩნია შეგრძნება და აღიქვამს მაგ., სინათლეს; თუმცა, მას სინათლის მხოლოდ რამოდენიმე ასეული ფოტონის (სინათლის რაოდენობა) აღქმა შეუძლია, ხოლო კაჟის უბრალო ქვის შემადგენელი – სილიციუმი სინათლის ერთი ფოტონსაც კი აღიქვამს. ადამიანი მხოლოდ სითბოს ერთი გრადუსით ცვლილებას გრძნობს, ხოლო იგივე სილიციუმი და სხვა კრისტალები კი სითბოს მეთასედი გრადუსის ცვლილებასაც აფიქსირებს (მოგვიანებით შევეხებით იმას, თუ კიდევ რა შეუძლია კრისტალს). თქვენ იტყვიან: – „მე სხვა გრძნობები მქონდა მხედველობაში, მაგ., სიყვარული, იუმორი“ . . . გიპასუხებთ: მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც სიყვარულისა თუ სილამაზის შეგრძნება არა აქვთ, იუმორზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. . .

როგორც ჩვენი მოდელიდან ჩანს, სამყაროს შემეცნება „სამყაროს სიმეტრიის ღერძიდან“ – ადამიანიდან იწყება. ადამიანს შეუძლია მშვენიერი თუ არამშვენიერი, ეთიკური თუ არაეთიკური. . . აღიქვას და საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს – მშვენიერებით აღფრთოვანდეს და უმსგავსოებაზე აღშფოთდეს.

როგორც აღვნიშნეთ, კონკრეტული ადამიანის ასტრალური ველი სხვადასხვა ფენომენს სხვადასხვა სიფაქაზით აღიქვამს. მაგ., არაფაქიზი სმენის ადამიანს უჭირს ვივალდის ან ვაგნერიის ამაღლებულ რიტმთა ჰარმონიის შეგრძნება, დალტონიკი აისის სილამაზეს, მშვენიერებას სრულად ვერ იგრძნობს.

ალბათ, რომელიმე ფენომენის მიმართ დაქვეითებული მგრძნობელობა თითოეულ ჩვენგანს ახასიათებს და ეს ადამიანურია; თუმცა, არსებობს ფასეულობათა ის უმაღლესი კატეგორია, რომლის მიმართაც მგრძნობელობის დაქვეითება სხვა არაფერია, თუ არა გულგრილობა, ანუ ბოროტება.

სამშობლოს ბედის მიმართ მგრძნობელობადაქვეითებული ადამიანი გულგრილი, ანუ ბოროტია.

შესაბამისად, მიზნისკენ სვლისას დაუშვებელია თანამებრძოლად ისეთი ადამიანის შერჩევა, რომელსაც დასახული მიზნისადმი ასტრალურობა დაქვეითებული აქვს. და თუ სუბიექტს სამშობლოს მიმართ მგრძნობელობა, ასტრალურობა დაქვეითებული აქვს თანამებრძოლად კი არა, ოპონენტადაც არ უნდა განვიხილოთ. მსგავსი რიტმები ერთმანეთს იზიდავენ და ჩვენ ერთმანეთს აუცილებლად მოვებნით; განათლების, სქესის, წარმომავლობის მიუხედავად, ნებისმიერი, ვინც ქვეყნის მიმართ ამაღლებულ ასტრალურ რიტმს ამჟღავნებს, ჩვენი ჯიშისაა.

სულითა და აზროვნების სტილით ახლოს მდგომ ადამიანებს კონგენიალური (ლათ. *coni* – ერთად და *genius* – გონი, სული) ეწოდებათ. თქვენ არ გადადეთ ეს წიგნი, თქვენ მას კითხულობთ, და ეს არაა შემთხვევითობა, რადგან ჩვენ კონგენიალურნი, ანუ ერთი რიტმის მატარებელნი ვართ. ეს ერთნაირ რიტმთა მიზიდვის კანონონზომიერებაა; და როდესაც ერთნაირი ასტრალური რიტმის მატარებელ ადამიანთა შეხვედრა ხდება, უცილობლად იბადება კითხვა – როგორ მივაღწიოთ მიზანს? – რა გქნათ, რა ვაკეთოთ. არა, ეს არაა ჩერნიშევსკის, გერცენის მიერ აღწერილი მოუმიწევებელი ინტელიგენციის მუდმივი კითხვა – რა ვაკეთოთ? – ვინაა დამნაშავე?

ამაღლებული მგრძნობელობის მქონე ადამიანის ხმა ამ კითხვის დასმისას იმ რწმენით, იმ რიტმით, იმ ფოლადისებრი სიმტკიცითაა გამსჭვალული, რომელიც კითხვაზე პასუხის პოვნის იმედის საფუძველია. და თუ თქვენც ამ რიტმის მქონენი ხართ – სამშობლოს ბედის მიმართ ასტრალურობაამაღლებული ადამიანების მოძებნა გმართებთ, საერთო მიზანს – განვითარებადი, თვითრეგულირებადი სახელმწიფოს შექმნას – მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ.

სხვა სიტყვებით, ირეალურ სამყაროში ადამიანის პირველი ნაბიჯი რიტმის შეგრძნებით იწყება; მაგ., მშვენიერის ან სიმაზინჯის მიმართ – პოზიტიური ან ნეგატიური რიტმის წარმოქმნით. ამ შემთხვევაში ადამიანი ასტრალურ, ანუ გრძნობიერ ველში გადადის; აღგზნებულ, შემფოთებულ მდგომარეობას ის მისი ასტრალურობის შესაბამის ადამიანთან მიჰყავს. მას სურვილი უჩნდება, თავისი აღგზნება (მშვენიერის ან უმსგავსოს მიმართ) სხვას გაუზიაროს ან საკუთარ თავთან დიალოგში შევიდეს. იწყება დიალექტიკა.

ადამიანი დიალექტიკას იდეების წვდომამდე მიჰყავს და ის იდეათა ველში გადადის; იდეათა რეალიზების სურვილს პიროვნება კვაზიაპოსტერიორულ მდგომარეობაში გადაჰყავს, სადაც, იდეის განხორციელების მოსალოდნელ შედეგს ვირტუალურად წარმოიდგენს; ადამიანი იდეათა ჰარმონიას, წესრიგს – კანონზომიერებას შეიგრძნობს; და ის უკვე უმაღლეს სუბსტანციაში, კანონზომიერების ველში ხვდება. აღწერილი სვლა გარე სამყაროს შემეცნებისთვის აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი.

ადამიანს უამრავი სურვილი თუ იდეა უჩნდება, მაგრამ მათი რეალიზება ხშირად ვერ ხერხდება. ნათელია, რომ იდეების განსახორციელებლად ირეალურ სამყაროში აზრობრივი ნაგარდი არასაკმარისია. ამ გააზრებამ ადამიანი **ზერეალურ, ანუ ღვთიურ სამყაროსთან** მიიყვანა, რომელიც ყველაფერს განჭოლავს და გამსჭვალავს; ხილულსაც და უხილავსაც, რეალურსაც და ირეალურსაც და რომლის გარეშე არაფერი აღსრულდება.

ზერეალური სამყარო

რა არის ეს უმაღლესი?

ვინ შექმნა ყველაფერი?

ამ უკიდურესო სამყაროში ადამიანი მაინცდამაინც აქ, დედამიწაზე რატომ გაჩნდა? საიდანაა ადამიანი საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შეცნობის, ან აზროვნების უნარი? მატერიალისტური, ათეისტური გაგებით დედამიწაზე სიცოცხლე სრულიად შემთხვევით წარმოიშვა და ადამიანის არსებობას არც ლოგიკა, არც აზრი, არც მიზანი არ გააჩნია, ის უბრალო შემთხვევითობაა. შესაბამისად, მსოფლიო ისტორია ქაოსური მოვლენების მხოლოდ ჩამონათვალია.

მართლაც, რაა ადამიანი – შემთხვევით გაჩენილი განვითარებული ცხოველი, შემთხვევით წარმოქმნილი აზროვნების უნარით? იქნებ ეს მასზე უფრო მაღალი ინსტანციის, აბსოლუტური გონის მიერ შექმნილი უმაღლესი არსებაა, რომელიც ამ სამყაროში განსაკუთრებული მისიითაა მოვლენილი.

მოეუხმოდ ჯანსაღ აზრს, ლოგიკას.

ბუნების უკიდურეს რაციონალობას მატერიალისტიცა და იდეალისტი მეცნიერებიც ერთხმად აღიარებენ. ბუნებაში უსარგებლო, შემთხვევითი და ზედმეტი არაფერია. მაშ, გაუგებარი რამ ხდება! – ამ უკიდურესად რაციონალურ სამყაროში იბადება ადამიანი, რომელიც სიცოცხლისათვის განკუთვნილ ხანმოკლე დროში, უდიდეს ინტელექტუალურ და სულიერ პოტენციალს აგროვებს და ეს საოცარი სიმძლავრე, უმოკლეს დროში უკვალოდ ქრება.

გამორიცხულია, რომ რაციონალურმა ბუნებამ ასეთი გაუგონარი, უგუნური გამფლანგველობა დაუშვას – ადამიანის უნიკალური სიმძლავრე უაზროდ გაანადგუროს და მის მიერ შექმნილი ფასდაუდებელი პოტენციალი საფლავეში ჩაუშვას.

მაშინ, ხომ სამყარო აბსურდის თეატრი იქნებოდა, სადაც ბუნება მკვდარი მატერიისგან უდიდესი ძალისხმევით მოაზროვნე, უმაღლესი ორგანიზაციის სიცოცხლეს ქმნის, ადამიანის სახით, რათა შემდეგ ეს შედეგრი გულებრილად და მეთოდურად გაანადგუროს და კვლავ უსიცოცხლო მატერიად აქციოს.

დამერწმუნებით, მართლაც, უაზრობაა!

ადამიანის გონება, სიცოცხლის ფენომენის შემდეგ, მეორე კოსმოსური ფენომენია და მისი უსულო ბუნების შემთხვევით პროდუქტად განხილვა, უბრალოდ რომ ვთქვათ, შეურაცხყოფელია.

მაშ, რა ხდება ადამიანის სიკვდილის შემდეგ?

იქნებ ის, რასაც ადამიანის სიკვდილს ვუწოდებთ (ჩვენი გონების, სამყაროს ამ უდიდესი პოტენციალის), უმაღლესი ინსტანციის მხრიდან ჩვენი შემდგომი გამოყენებისათვის – ჩვენთვის შეუცნობადი, ამაღლებული გონიერი ცხოვრებისათვის – მზადება?

ამ ცოდვილ მიწაზე მცხოვრები ადამიანები, კანის ფერის, ეროვნების, სქესის, ინდივიდუალობის მიუხედავად, დარწმუნებულნი ვართ, რომ ადრე თუ გვიან, – „ყველა იქ ვიქნებით“.

ამიტომ ვერ გავექცევით კითხვას – არის თუ არა სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ? რა გველის იქ, ნუთუ არაფერი?

იქნებ მატერიალისტები ცდებიან და არსებობს შემდეგი ეტაპი, მეორე ცხოვრება?

იქნება თუ არა ის მეორე ცხოვრება მსგავსი იმ უფერული არსებობისა, რაც დღეს აქ გვაქვს. დამეთანხმებით, ასეთი უსახური ცხოვრება ერთხელაც საკმარისია!

ეს საკითხი დასაბამიდან აწუხებდა ადამიანს.

სოკრატესათვის ფილოსოფია მარტო სიცოცხლის კი არა, იმის გააზრება და წვდომაცაა, რასაც სიკვდილს ვუწოდებთ.

„მართლაცდა, ვინ იცის, რა არის სიკვდილი? იქნება ის უდიდესი სიკეთეა ადამიანისათვის?“

„რამდენი რამ გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ სიკვდილი სიკეთეა! მართლაცდა, ორში ერთია, სიკვდილი ან არარაობად ქცევა, ასე, რომ მკვდარი ვერაფერს ვერ გრძნობს, ანდა თუ ძველ გადმოცემებს ვერწმუნებით, სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არა გარდაცვალება, სულის ფერისცვალება და აქედან სხვა ქვეყნად გარდასახლება. . .

სიკვდილი უფრო წყალობაა . . . მეორე მხრივ, თუ სიკვდილი მხოლოდ გარდაცვალებაა და სულის სხვა ქვეყნად გადასახლება . . . რა შეიძლება იყოს ამაზე ღიღებულის!“

“კეთილი კაცის ზეგრი კეთილია, როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც, და რომ ღმერთი მზრუნველობას არ აკლებენ მას.“

სიკვდილმისჯილმა სოკრატემ სასამართლოზე თავისი საბოლოო სიტყვა ასე დაასრულა: „თუმცა უკვე დროა, წავიდეთ: მე – რათა მოვკვდე; თქვენ – რათა იცოცხლოთ, ხოლო ვისი ზეგრი უკეთესი, არა-ვინ უწყის, გარდა უფლისა.“

შეძლებს კი ადამიანის გონება შეწვდეს ამ ფენომენის არსს?

ადამიანთა უმრავლესობას საკუთარ თავზე მცირედით ამაღლების უნარიც არა აქვს; არ შეუძლია საკუთარი სულიერი ბუნება აღიქვას, ანუ ამ ცოდვილ მიწაზე საკუთარი არსებობის ჭეშმარიტი მიზანი გაიაზროს.

ადამიანი დარწმუნებულია, რომ ფიზიკური სხეული არის მისი ნამდვილი, ჭეშმარიტი არსი – „მე“ და ამ ფიზიკურ „მე“-ს მოთხოვნილებებისადმი დამორჩილების მიდრეკილება აქვს. თუმცა, ხანდახან საკუთარ თავში მეორე, სხვა, ამაღლებულ „მე“-ს გრძნობს და ეს ორი განსხვავებული „მე“ როგორღაც ეტევა ერთში, იმაში, რასაც ადამიანი ჰქვია.

თითქოს, ადამიანში ორი არსება ცხოვრობს – ერთი, რომელიც საკუთარ თავში ცხოველურ ბუნებას მოიცავს და მეორე – მისგან განსხვავებული – სულიერი. ადამიანის ეს ორმაგი ბუნება მიგვანიშნებს, რომ ის, თითქოს გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, ანუ საქმე გვაქვს ერთ ადამიანში მოქცეულ ორ – წარმავალ (მატერიალურ) და მარადიულ (იდეალურ) არსებასთან. ალბათ, ადამიანის განვითარება მატერიალურიდან სულიერისაკენაა მიმართული; მაგრამ ვაი თუ პირიქით?

ამ ურთულეს კითხვას, როგორმე უნდა გავცეთ პასუხი.

მართლაც, როგორ ხერხდება, რომ ერთ არსებაში ალტრუიზმი და ეგოიზმი, ხელგამლიწობა და სიძუნწე, გულმოწყალება და სისასტიკე, სიყვარული და სიძულვილი, კეთილშობილება და მუხანათობა, მშვიდობისაქენ სწრაფვა და აგრესიულობა, სიმამაცე და ლაჩრობა, გონებაგახსნილობა და სისულელე ერთდროულად არსებობს. საშინელება მაშინ იწყება, როდესაც ქვეყნა ბუნება მძლავრობს ზენაზე, ცხოველური – ამაღლებულზე; ასეთი ზნეობადაქვეითებული ადამიანი ცხოველზე საშიშია, რადგან მას გონება აქვს და დიდ საშიშროებას, სწორედ, ეს ზნეობაგამოცლილი გონება წარმოადგენს; ცხოველი ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრობს, ის თავის მსგავსს „უაზროდ“ არ ანადგურებს, ამას მხოლოდ ადამიანი ახერხებს და ამით ის ცხოველზე უარესია.

თუმცა, ამაღლებაც მხოლოდ ადამიანის თვისებაა. ისტორიამ იცის ადამიანის დიდი სულიერი მეტამორფოზა – სავლე-პავლე, მარიამ მაგდალინელი, ფრანცისკო ასიზელი, . . .

ტალახში ჩაწოლილი ცხოველისაგან განსხვავებით, დაცემულ, წუმპეში ჩაფლულ ადამიანს, თავის აწევით ვარსკვლავიანი ცის აღქმა მაინც შეუძლია; ვარსკვლავიანი ცის დანახვა კი წარმოშობს კითხვას – რაა ის უმაღლესი სუბსტანცია, აბსოლუტური გონი, რომელიც ამ საოცარ წესრიგს ქმნის? . . . მორწმუნე ადამიანისათვის ამ უმაღლესი სუბსტანციის არსებობა ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, ადამიანთა დიდი ნაწილისათვის, რომელიც ამ სამყაროს მატერიალისტური თვალთახედვიდან უყურებს, იდეათა იდეის, აბსოლუტური გონის, ღმერთის არსებობა საეჭვოდ რჩება.

მათთან ამ თემაზე დისკუსია ურთულესია, რადგან ურწმუნობაა მათი რწმენა.

სამყაროს განსხვავებული პოზიციიდან შევხედოთ.

სამყაროს, სიცოცხლის, ბიოლოგიური ევოლუციის, კანონზომიერების მატერიალისტური თვალსაზრისით განხილვისას, ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები გამოგვაქვს, ან საერთოდ ლოგი-

კურ ჩიხში ვექცევით. მატერიალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები უფრო დამაჯერებელ ახსნას მოითხოვს.

ბუნებაში მოქმედებს ე.წ. თერმოდინამიკის მეორე კანონი – ენტროპიის კანონი (წესრიგის შემცირების ზომა), რომლის მიხედვითაც სისტემა უწესრიგობისაკენ, ანუ ენტროპიის ზრდისაკენ მიისწრაფვის.

მართლაც, დაუკვირდით: ყველაფერი უწესრიგობისაკენ მიისწრაფვის – ოდესღაც აშენებული სახლი აუცილებლად დაინგრევა, დაიშლება, უწესრიგოდ დაყრილი აგურების გროვად გადაიქცევა. სახლი კი არა, პირამიდებიც იშლება.

სისტემებისათვის კი მართებულია ორი კოსმოგონიური დასკვნა:

1. სამყაროს აქვს საწყისი. (ეი არაფერისაგან გაჩნდა ყველაფერი) საწყისი რომ არ ჰქონოდა, მაშინ მუდმივი უსასრულო ქაოსი, უწესრიგობა უნდა ყოფილიყო და საერთოდ არ წარმოიქმნებოდა პლანეტები, ვარსკვლავები, გალაქტიკები და – თერმოდინამიკის მეორე კანონის თანახმად – მთელ სამყაროში ყველგან ერთნაირი ტემპერატურა იქნებოდა, რაც აღიწერება ტერმინით – „სამყაროს სითბური სიკვდილი“.

2. ჩვენი სამყაროს შეუქცევადი სწრაფვა უმაღლესი წესრიგიდან უწესრიგობისაკენ ნიშნავს, რომ საწყის მომენტში ის იმყოფებოდა მაქსიმალურ შესაძლო წესრიგში. ასეთი იდეალური წესრიგი არ წარმოიშობოდა თვითნებურად და უმიზნოდ. ეი არსებობდა რაღაც მაორგანიზებელი ფაქტორი, რომელმაც ქაოსიდან საოცარი წესრიგი შექმნა.

არსებობს ჩვენი სამყაროს წარმოქმნის საყოველთაოდ მიღებული და საკმაოდ დასაბუთებული მოდელი, რომლის ძირითადი საყრდენია მეცნიერთა მიერ დაფიქსირებული ე.წ. „წითელი წანაცვლება“, რელიქტურული გამოსხივება (კოსმოსური ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც შემორჩენილია სამყაროს ფორმირების პერიოდიდან და ყველა მიმართულებით ერთნაირ ინტენსივობას ინარჩუნებს). ამის საფუძველზე მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე – სამყარო ფართოვდება და ეს გაფართოება რაღაც წერტილიდან უნდა დაწყებულიყო.

აქედან გამომდინარეობს, რომ სამყაროს აქვს საწყისი. მანამდე არაფერი იყო და ის, რამაც სამყარო შექმნა, კონცენტრირებული იყო წერტილში ნულოვანი რადიუსით. ნულოვანი რადიუსი ნიშნავს, რომ არ იყო სივრცე, შესაბამისად, არ იყო არც მატერია, არც დრო და ამ ნულოვანი რადიუსის წერტილში მოხდა აფეთქება, რაც საფუძვლად დაედო სამყაროს, მის გაფართოებასა და ჩამოყალიბებას.

ამ დასკვნას მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება, მათი აზრით, ამ აფეთქების შედეგად წარმოიქმნა ელემენტარული ნაწილაკები, მათგან ატომები, რომელთა მეშვეობით მოგვიანებით შეიქმნა ვარსკვლავები, პლანეტები, გალაქტიკები, ორგანული ბუნება, ადამიანები.

მაგრამ რა აფეთქდა, რატომ აფეთქდა, ამაზე მეცნიერები მორცხვად ღუშან და დამაჯერებლად ვერაფერს ამბობენ.

რა თქმა უნდა, გამოჩნდა მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც „დიდი აფეთქების თეორიას“ არ იზიარებდა. რა უნდა გაეკეთებინათ მათ? უნდა წარმოედგინათ ახალი! ასე დიდადა „სიმების (S) თეორია“. ამ თეორიის თანახმად, ელემენტარული ნაწილაკები სულაც არ არიან ნაწილაკები და არიან სიმები. დიას, სიმები, რომლებიც სხვადასხვა სიხშირით ირხევიან და, შესაბამისად, არიან მრავალფეროვანნი. თეორია უნივერსალური უნდა ყოფილიყო, მას ყველაფერი უნდა აეხსნა. მაგრამ ამის ნაცვლად „სიმების თეორია“ ხუთ თეორიად დაიშალა, ეი. ის სულაც არ იყო უნივერსალური. და მისმა მოწინააღმდეგე ე.წ. სუპერგრაวิตაციული თეორიის წარმომადგენლებმა „სიმების თეორიას“ სარკასტულად ყველაფერისა კი არა, „არაფერის თეორია“ უწოდეს.

ჩვენი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამების მსგავსად, სუპერგრაავიტაციული თეორია და სიმების თეორია ღიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძირითადი განსხვავება სივრცის განზომილებებია.

ყველა უთანხმოებას თავისი საფუძველი აქვს. ეს უთანხმოება კი იმით დაიწყო, რომ „მოუსვენარმა“ აინშტაინმა სამ განზომილებას (სიგრძე, სიმაღლე, სიგანე) დაუმატა მეოთხე განზომილება – დრო, რითაც

ისედაც რთული სამყაროს გააზრება უფრო გაართულა. „სიმბოთ თეორიის“ აქტიურ მხარდამჭერებს ეს ეცოტავათ: თუ გაართულება, გაართულება იყოს და მოითხოვს მეზუთე განზომილების შემოტანა, ოღონდ, რაა ეს მეზუთე, „პატიოსან“ ხალხს ვერ გააგებინეს. „პატიოსანმა“ ხალხმა იფიქრა: ალბათ, ასეა საჭირო და იმიტომ! „სიმბოთის თეორიის“ ავტორებმა ისარგებლეს „პატიოსანი“ ხალხის გულუბრყვილობით და სასწრაფოდ შემოიტანეს მეექვსე! ამის შემდეგ ისევ ჩათვალეს: თუ თავხედობაა, თავხედობა იყოს და შემოიტანეს მეშვიდე! ძლივს გაჩერდნენ 10 განზომილებაზე! „სუპერგრაფიკული თეორიის“ ავტორებმა – ასე არ უნდაო და, შემოიტანეს მეოთხემეტე განზომილება! დროებით დაზავდნენ. ე.ი. ამ თეორიებში ძირითადი განსხვავება ერთ განზომილებაშია.

„სიმბოთის თეორიის“ გადასარჩენად მის ავტორებს დასჭირდათ პარალელური სამყაროს არსებობის იდეის შემოტანა. ამან, თავის მხრივ, იმ ერთი განზომილების შემოტანა მოითხოვა, რისთვისაც „სუპერგრაფიკული თეორიის“ მომხრეებს დასცინოდნენ. ეს მათთვის საშინელება იყო. სხვა გზა არ რჩებოდა. მათ სასოწარკვეთილი ნაბიჯი გადადგეს და აღიარეს მეოთხემეტე განზომილების აუცილებლობა. ადვილი წარმოსადგენია ის სინარჯის ყიფნა, რითაც სუპერგრაფიკაციის მომხრეებმა უპასუხეს. როდესაც დაწყნარდნენ, „სიმბოთის თეორიის“ ავტორებს ზუთივე თეორიის გაერთიანების შესაძლებლობა გაუჩნდათ. მოწინააღმდეგეთა იდეები უკვე ავესებდნენ ერთმანეთს.

რა მოუვიდა სიმს, სამყაროს აშენების მათთვის უცვლელ მასალას? ავტორების აზრით, ისინი გაიწვლნენ და ერთმანეთში გადაიხლართნენ. შექმნეს ბადე, უფრო სწორად, მემბრანის მსგავსი რამ შეიქმნა ე.წ. **მემბრანის**, შემოკლებით **M** თეორია.

ალბათ იკითხავთ – რა არის ეს 11 განზომილება? პასუხი მხოლოდ ასეთი იქნება – ესაა ის, სადაც ჭკუამხიარულ, კარგად ნაკვებ ინდივიდს არაფერი ესაქმება. დანარჩენები კი დაგვალა მისმა რეალურად წარმოდგენის მცდელობამ!

მაგრამ ჯერ სადა ხართ! თურმე ნუ იტყვით და ამისთანა თერთმეტგანზომილებიან სამყაროში, ერთი მხრივ, სიმი შეიძლება უსასრულოდ გაიჭიმოს, მეორე მხრივ, ის სისქეში 10⁻²⁰ მმ-ია. ასეთი სიმებისაგან „მოქსოვილი“ მემბრანა, თავის მხრივ, ქმნის ბუშტის მსგავს სფეროს. ჰიპერსივრცის მეორე ბოლოში შეიძლება იყოს სხვა ბუშტი, რომელიც ქმნის პარალელურ სამყაროს. თუ ეს ასეა, მაშინ ადვილად იხსნება, რატომაა გრაფიკული ველი ასე სუსტი სხვა ველებთან შედარებით და საკუთარი სიმბოთით რატომ არ ვისრისებით? – თურმე ნუ იტყვით და, იმ მეორე ბოლოში არსებულ ბუშტში გრაფიკული ველი, მართლაც, უძლიერესია, ის შეიძლება გამოიპაროს იქიდან და სანამ ჩვენამდე მოვა, სუსტდება. სხვა პასუხი არ არსებობს.

თერთმეტგანზომილებიანი სამყარო საეცა სხვადასხვანაირი მემბრანებით. რომელიმე მათგანზე შესაძლებელია სიცოცხლეც არსებობდეს, მაგრამ ის სხვა სამყაროა, ჩვენ იქ არა ვართ. თურმე, მაღალგანზომილებიან სივრცეებში ძლიერი ტალღები წარმოიქმნება, ანუ ის სულაც არაა წყნარი სივრცე. ესაა უზარმაზარი ტურბულენტური ტალღები. რა მოხდება, თუ ისინი დაეჯახებიან ერთმანეთს? აი, ის კითხვა, რისთვისაც ასეთი აბსურდის აღწერა დაგვჭირდა. ასეთი ორი მემბრანის ბუშტის დაჯახებისას ხდება ის აფეთქება, რის შედეგადაც გაჩნდა ჩვენი სამყარო. მემბრანის ბუშტების ზედაპირი გლუვი არაა, მას ბორცვები აქვს. ორი ასეთი ბუშტის შეჯახება მემბრანების ბორცვების მონგრევასა და მატერიის გროვად გადაქცევას იწვევს. „მემბრანის თეორიით“ დრო აფეთქებადმე არსებობდა. ამ მემბრანებში ფიზიკის განსხვავებული კანონებია. ჩვენი სამყარო ერთ-ერთი ასეთი მემბრანაა, პატარა ბუშტი ბუშტების ოკეანეში. შეიძლება ლაბორატორიაში შეიქმნას ახალი სამყარო, რომელიც უსასრულობამდე გაფართოვდება, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვიგრძნობთ. ის საკუთარ სივრცეში სხვა განზომილებაში გავა. აქ, თითქოს ჯადოსნური წრე იკრება. ამ მსჯელობით ჩვენი სამყაროს წარმოშობა, თითქოს აიხსნა, მაგრამ პარალელური სამყაროები, სიმები, მემბრანები ვინ ან რამ შექმნა, ისევ გაურკვეველი რჩება.

რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მეცნიერებს ასეთი წარმოდგენა აქვთ სამყაროს წარმოშობაზე.

რა თვალსაზრისითაც უნდა განიხილავენ მეცნიერები სამყაროს შექმნის საკითხს, მაინც უპასუხოდ რჩება მთავარი კითხვა – რა იყო აფეთქების მიზეზი და როგორ იყო ნულოვანი რადიუსის წერტილში, ანუ არაფერში კონცენტრირებული ის უზარმაზარი ენერგია, რომლის აფეთქებამაც მთელი სამყარო წარმოშვა.

ცხადია, ნულოვან რადიუსში, სადაც სივრცე არ არსებობს, მატერიის კონცენტრაცია შეუძლებელია. შესაბამისად, იქ კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო წმინდა პოტენციური ენერგია მატერიის გარეშე. აფეთქების მიზეზი იყო რაღაც და ეს რაღაც არამატერიალური, ანუ იდეალური უნდა ყოფილიყო.

ე.ი. მატერიის პირველსაწყისი, წყარო იყო იდეა. მატერია იდეამ შექმნა.

სამყაროს შემეცნების ჩვენი მოდელის თანახმად, ზერეალური სამყაროს უმთავრესი სუბსტანციაა **შესაძლებლობის ველი**. თუ გავიხსენებთ, რომ პოტენციური ენერგია ქმედების შესაძლებლობას ნიშნავს, მაშინ გასაგები ხდება, რომ ამ წერტილში კონცენტრირებული იყო **ყველაფრის შექმნის შესაძლებლობა**, აბსოლუტური, უნივერსალური პოტენცია, ღმერთის ყველაზე მაღალი და სრულყოფილი ქმნილება – ლოგოსი. ლოგოსი არის ყოვლისმომცველი ინფორმაციული ბაზა, ყველა ფორმა და საშუალება სულიერი და მატერიალური სამყაროს შესაქმნელად. ლოგოსში კონცენტრირებულია აბსოლუტური გონი, ყველა ცოდნა, იდეა, აზრი.

სიტყვა (ლოგოსი) შესაძლებლობაა. მართლაც, წარმოიდგინეთ, რომ მწყურვალმა ადამიანმა წყალი გთხოვთ; თქვენ წყალი არა გაქვთ, მაგრამ წყლის ადგილმდებარეობა სიტყვიერად შეგიძლიათ მიასწავლოთ. აქედან გამომდინარე, სიტყვა (ლოგოსი) წარმოგვიდგება, როგორც იდეათა იდეა, რომელიც საკუთარ თავში შეიცავს ყველაფრის და, რა თქმა უნდა, განვითარების შესაძლებლობასაც. ამით ალბათ, გასაგები ხდება – **„დასაბამიდან იყო სიტყვა (ლოგოსი), და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“** (იოანე 1. 1.). ანუ თავდაპირველადვე არსებობდა სიტყვა, როგორც შესაძლებლობა, ყველაფრის შექმნის შესაძლებლობა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო ყველაფრის შექმნის შესაძლებლობა. ამრიგად, არსებული სამყარო არის აღსრულებული, განხორციელებული შესაძლებლობა.

სამყაროს წარმოქმნა და მისი ჩამოყალიბება, თითქმის სიცოცხლის წარმოსაქმნელად თავიდანვე საგანგებოდ იყო მომზადებული. მთელი რიგი არაშემთხვევითი კავშირებისა, რომლებიც სამყაროს მიკრო და მაკროდონეებზე არსებობს, სწორედ ამაზე მიგვითითებს.

ავიღოთ ერთ-ერთი ფუნდამენტური მუდმივა – ელექტრონის მასა. ის რომ მცირედით მეტი ყოფილიყო ვიდრე არის, მაშინ სამყარო სულ სხვა სახის იქნებოდა.

საკმარისია, ამ სამყაროს შემქმნელ უმაღლეს გონს (ლოგოსს) პროტონისა და ნეიტრონის ფუნდამენტურ მუდმივებს შორის უსასრულოდ მცირე განსხვავება დაეშვა, მივიღებდით არასტაბილურ წყალბადს. ამ შემთხვევაში გამოირიცხული იქნებოდა მძიმე ელემენტების შექმნა, შესაბამისად, სიცოცხლის წარმოშობა. საკმარისია, გრავიტაციულ და სუსტ ურთიერთქმედების კონსტანტებში სულ მცირე განსხვავება ყოფილიყო, სამყარო იქნებოდა ორგანული სიცოცხლის გარეშე. საკმარისია, ელემენტალურ ნაწილაკთა მასათა ფარდობაში ან ელექტრომაგნიტური და ძლიერი ურთიერთქმედების კონსტანტებში სულ მცირე განსხვავება ყოფილიყო, ვიდრე არის, მაშინ სიცოცხლისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტები არ წარმოიქმნებოდა და ა.შ.

გამოდის, რომ ჩვენი სამყარო უსასრულოდ დიდი რაოდენობის ვარიანტთა შორის ერთადერთი ვარიანტია, რომლის პირობებშიც არსებული სიცოცხლის წარმოშობაა შესაძლებელი. ყველა სხვა ალტერნატიული ვარიანტი, სულ მცირე გადახრითაც კი, შექმნიდა ჩვენი სამყაროსაგან სრულიად განსხვავებულ სამყაროს უსასრულო კომბინაციით, მაგრამ ყველა შემთხვევაში – სამყაროს, დღეს არსებული სიცოცხლის გარეშე.

ჩვენი სამყარო უდიდესი არქიტექტორის, უდიდესი ხელოვანის ღმერთის წინასწარგამიზნული შემოქმედების ნაყოფია.

მართლაც, ყველასთვის ცნობილია, რომ სიცოცხლისათვის დედამიწაზე აუცილებელია წყალი. ცოცხალი უჯრედების მასის 80% წყლისაგან შედგება. წყალს განსაკუთრებული თვისებები, ანომალიები ახასიათებს. ის სტრუქტურით ყველა სხვა სითხისაგან განსხვავდება. გამოდის, რომ ვიღაცამ, უდიდესი აზრით, წყალი ასეთი ანომალიით განხრავს შექმნა. არ იქნებოდა ეს ანომალია, არ იქნებოდა არსებული სიცოცხლე, არ ვიქნებოდით ჩვენ . . .

წყალი არის საოცარი, უკუმშვადი სითხე. მას ნულიდან ოთხ გრადუსამდე ინტერვალში გათბობისა და გაცივებისას მოცულობის გამოვლენებლად არაკანონზომიერი ცვლილების უნარი აქვს; უნიკალური კუთრი სითბოტევადობა და მოლეკულათა სპეციფიკური პოლარობა ანიჭებს უნარს, სხვადასხვა სითხისა და მყარი სხეულისათვის კარგი გამხსნელი იყოს. ასეთი მაღალი ხსნადობის უნარის გარეშე სიცოცხლე არ გაჩნდებოდა. წყალს კიდევ ერთი – ინფორმაციის „ჩაწერის“, დამა-

ხსოვრების – უნიკალური თვისება აქვს. მხოლოდ წყალს აქვს სიცოცხლისათვის აუცილებელი – წყალბადური ბმები. წყალი განსაზღვრულ როლს თამაშობს ფოტოსინთეზში. სინათლის გავლენით, წყლის დაშლისას წარმოიქმნება თავისუფალი ჟანგბადი, სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტი. წყალში ეფექტურად მიმდინარეობს ორგანული ნივთიერებების სინთეზი. წყლის მოლეკულას აქვს ორიგინალური სტრუქტურა – წყალბადის ორი ატომი ჟანგბადის ატომის მიმართ ასიმეტრიულადაა განლაგებული. არ იქნებოდა ეს ასიმეტრია, არ იქნებოდა სიცოცხლე, არ იქნებოდა ადამიანის გონი, ანუ ის უნიკუმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აღქმა, დამახსოვრება, შედარება, გააზრება, წარმოდგენა, მიხვედრა, პროგნოზირება, შემეცნება.

არსებობს ამ ფენომენზე მაღალი, უფრო ძლიერი რამ?

ყველივე ეს უმაღლეს აბსოლუტურ გონს რომ არ შეექმნა, მაშ, სამყაროს არსებობის შესახებ ვინ გაიგებდა? არადა, რა აზრი აქვს სამყაროს, თუ მისი არსებობის შესახებ არავის ეცოდინება? მისი შემეცნებელი, აღმქმელი გონის გარეშე სამყაროს შექმნას აზრი, მიზანი არ ექნებოდა. გონის გარეშე სამყარო კოსმოსური აბსურდი იქნებოდა.

დღეს მეცნიერებას სამყაროს სრული სურათის მატერიალისტური, ათეისტური დასაბუთება არა აქვს. პარადოქსია, რომ მატერიალისტები მაინც ჯიუტად ღებანან საკუთარ პოზიციას. მათმა ავადმყოფურმა გონებამ შექმნა ცნება „სიკვდილი“, „დასასრული“, რომელიც ბუნებას საერთოდ არ ახასიათებს; და ამ მოგონილი სამყაროთი, რომელშიც კონკრეტული ადამიანი უკვალოდ ქრება, სხვასაც და საკუთარ თავსაც აშინებენ.

რას იზამთ, თითოეული მათგანი საკუთარი შემეცნების შესაძლებლობის ზღვარზე, როგორც სამყაროს, ასევე კონკრეტული ადამიანის დასასრულს წარმოიდგენს.

გარწმუნებთ, როცა მეცნიერება ყველა წინააღმდეგობას გადალახავს და საბოლოოდ მიაღწევს მწვერვალს სახელწოდებით – „ცოდნა“, მას იქ უმცროსი ძმის – მეცნიერების შეხვედრის ათასეული წლების ლოდინით მოქანცული თეოლოგია დახვდება.

ორში ერთია:

ან მოაზროვნე ადამიანი და მისი გონი, ხილული და უხილავი სამყაროს ეს უნიკალური ფენომენი, გარკვეული მიზნითაა შექმნილი ამ ცოდვილ მიწაზე, ან ადამიანი სიკვდილის შემდეგ გადადის არაფერში, უბრალოდ ქრება, როგორც ამას უგუნური ადამიანები წარმოიდგენენ.

სიკვდილის არსებობაში დარწმუნებული ადამიანისათვის სამყარო უაზრობაა, თვით ადამიანი კი ამ უაზრობაში დროებით, შემთხვევით მოხვედრილი სუბიექტი, რომლის არსებობას არავითარი აზრი, მიზანი არ გააჩნია.

ყველა ჩვენი უბედურების ძირითადი საფუძველი ცხოვრებისადმი სწორედ ამგვარი მატერიალისტური მიდგომაა.

როგორ დავარწმუნოთ გაუაზრებელი სუბიექტი, რომ

ადამიანი, სიცოცხლის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, მეორე კოსმოსური ფენომენია და მისი აღქმა უსულო ბუნების შემთხვევითი შემოქმედების ნაყოფად, რომელიც აუცილებლად ქრება, მსუბუქად რომ ვთქვათ, თვით ადამიანის არსის შეურაცხყოფაა.

ჩვენში სამყაროს შემეცნების ორი ფორმა არსებობს: ცნობიერი და არაცნობიერი. ასევე არსებობს რაღაც მექანიზმი, რომლის საშუალებით პირველი გადადის მეორეში და, პირიქით. არაცნობიერს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად „ავტომატურ რეჟიმში“ ფუნქციონირება შეუძლია. საინტერესოა, რომ არაცნობიერის დონეზე საკუთარი „მე“-ს უკვდავებაში თითოეული ჩვენგანი დარწმუნებულია. დავუკვირდეთ, ბავშვობაში, როდესაც არაცნობიერი მძლავრობდა ცნობიერზე, უკვდავების ეს რწმენა უდიდესი იყო, სიკვდილზე ფიქრი ზომ აზრადაც არ გვქონია.

საიდან გვქონდა ეს რწმენა?

საქმე ისაა, რომ ჩვენმა არაცნობიერმა იცის ის, რაზეც ცნობიერს წარმოდგენაც არა აქვს. ზოგადად, ცნობიერის და არაცნობიერის ეს ერთობა არ შეიძლება ბიოლოგიური ევოლუციის შედეგად წარმოშობილიყო, რადგან ბიოლოგიას, მატერიალურ ბუნებას, ამ უაღრესად რაციონალურ მექანიზმს, ეს უბრალოდ არ ესაჭიროება.

თითქოს ცნობიერება, მახსოვრობა რაღაც უფრო მაღალი კანონზომიერების მეურვეობის, დაცვის ქვეშ იმყოფება. საკითხის საფუძვლიანი გააზრებისათვის უნდა შევჩერდეთ ისეთ საოცრებაზე, როგორიცაა მესხიერება.

მაგალითად, ფრანგი მხატვარი ფრანსუა ღერენი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ

შემოქმედება არ არის მარტო აღმოჩენათა უსასრულო კიბე, ის მრავალი თაობის კოლექტიური მესხიერებაცაა.

მესხიერებაში მარტო ის ფენომენი არ იგულისხმება, რაც ეგვიპტელებმა ქვასა თუ უძველეს პაპირუსებზე იორეგლიფებისა და კრიპტოგრამების სახით დაგვიტოვეს. არც მარტო ბერძნული მითები, ან მეტალის ფირფიტებზე ამოკაწრული რომის სამართალი, მიქელანჯელოს დავითის ქანდაკება, ცალხაზიანი რვეულის ფურცელზე ოდესღაც ჩაწერილი გალაკტიონის ლექსი, კომპაქტ დისკზე ჩაწერილი ჩარლი ჩაპლინის მუსიკა . . . არა, მესხიერება გაცილებით რთული ფენომენია.

მესხიერების გარეშე შეუძლებელია აზროვნება, შემოქმედება. წარსული აწმყოში, რეალობაში მხოლოდ მესხიერებით შემოღის.

ადამიანთა ისტორიაში ცნობილია ფენომენალური მესხიერების მქონე ადამიანთა სახელები. ცნობილია, რომ **თემისტოკლე** სახეზე ცნობდა ათენის ოციათას მოქალაქეს და ასსოვდა მათი სახელები. ამავე უნარს ფლობდნენ (ან იბრალებდნენ) **ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, სპარსეთის მეფე კიროსი** . . . შეიძლება მითია, მაგრამ ფაქტია, რომ გენიალურ მათემატიკოსს ლეონარდ ეილერს ასსოვდა ასამდე რიცხვის ექვსამდე ყველა ხარისხი და **ა. იოფეს** — მთელი ლოგარითმული ცხრილი, ანუ 30 მილიონი ციფრი. მოჭადრაკე **ალეიზინს** შეეძლო „ბრმად“ ეთამაშა ჭადრაკი ერთდროულად ორმოც პარტნიორთან. მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ვინმე **ე. გაონს** შეეძლო. მან ზეპირად იცოდა 2500 წიგნი, შეეძლო დაუფიქრებლად, უშეცდომოდ გაეხსენებინა რა რომელ გვერდზე ეწერა და რომელ აბზაცში.

ეს მხოლოდ მცირე მაგალითებია.

აზროვნება, მესხიერება, სიზმარი იმ ერთი არსის გამოვლინების მრავალფეროვნებაა, რომელიც ერთი სიტყვით — გონით შეიძლება გამოიხატოს. უნიკალური მესხიერება გენიალობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ამ უნარით დაჯილდოებული ადამიანების უმრავლესობას კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი, ფასეული არაფერი შეუქმნია; და ეს იმ დროს, როცა გენიოსებად შერაცხულნი ხშირად მესხიერების ხარისხით ვერ დაიკვეხნიდნენ. . .

პირდაპირი კავშირი ნიჭი — მესხიერება, მესხიერება — ნიჭი, არ არსებობს.

ურთიერთკავშირი ტვინის ზომასა და ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს, ან რასების ტვინის საშუალო ზომებსა და ინტელექტს შორის ასევე არაა აღმოჩენილი. ყოველ შემთხვევაში ევროპელები, ამ თვალსაზრისით, პირველნი არ არიან.

ტვინის საშუალო წონა ევროპელებისათვის შეადგენს 1361გ. კერძოდ, გერმანელებისათვის — 1291გ. შვეიცარიელებისათვის — 1327გ. იაპონელებისათვის — 1374გ, ბურიატებისა კი 1508გ.

ნუ დაგვაიწყდება რომ, ნეანდერტალელი ადამიანის ტვინის მოცულობა 13%-ით მეტი იყო ვიდრე ჩვენი.

ფარაონების ტვინის წონა, რაღაც 2–3 ათასი წლის მანძილზე, პირველი დინასტიიდან XVIII დინასტიამდე, შემცირდა 1414გ. დან 1377გ.-მდე, იმ დროს როცა, ეგვიპტე მენტალური აღმავლობის გზაზე იდგა.

თეორიულად დადგენილია, რომ ნორმალური ადამიანის ტვინის მილიონობით წიგნში ჩატეული ინფორმაციის დამახსოვრება შეუძლია. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ინფორმაციის დამახსოვრებასა და შემოქმედებითი აზროვნების უნარს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს.

დღევანდელი მეცნიერება ამტკიცებს, რომ მეხსიერება, აზროვნება და სიზმარი ჩვენს ორგანიზმში კალიუმისა და ნატრიუმის იონების არსებობითაა განპირობებული. ჩემი აზრით, ადამიანის არსისათვის ესეც შეურაცხყოფელია.

ჩვენს ორგანიზმში არსებული ნატრიუმის და კალიუმის იონები აბსოლუტურად ისეთივეა, როგორიც სოკრატეს, რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის ბიოლოგიურ ორგანიზმებში იყო. განსხვავება ჩვენსა და ჩამოთვლილ გენიოსთა აზროვნების ხარისხს, შემოქმედებას შორის ნათელია.

საოცარია, რომ აფრიკულ ტომში, უხსოვარი დროიდან, მამიდან შვილზე სიტყვიერად გადადიოდა ინფორმაცია ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის, როგორც სამმაგი ვარსკვლავის შესახებ. ამ სამეულის მეორე ვარსკვლავი მხოლოდ მეოცე საუკუნეში აღმოაჩინეს. მესამე ვარსკვლავი კი ისე მცირეა, რომ თანამედროვე ტელესკოპშიც არა ჩანს და კვლავ აღმოჩენას ელის. ის, რაც კოპერნიკმა „აღმოაჩინა“ შემერებმა უკვე იცოდნენ. უფრო მეტიც, მათ მზის სისტემის მეთუ პლანეტის შესახებაც ჰქონდათ ინფორმაცია, მაშინ, როდესაც ჩვენ მეცხრე პლანეტა 1930 წელს აღმოვაჩინეთ.

საიდან ჰქონდათ მათ ეს ცოდნა, აზროვნება?

ამის ასახსნელად ვისაც ეხალისება ნატრიუმისა და კალიუმის იონებს დაეყრდნოს. ჩვენ ამ საკმეში თანამოაზრედ ვერ გამოვადგებით.

მაშ, რა განსაზღვრავს აზროვნების უნარს?

გავიხსენოთ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი ფაქტები ამ ფენომენთან დაკავშირებით.

დავიწყეთ ყველაზე ილუზიული, ყველაზე საინტერესო საკითხით – სიზმარი.

სიზმარი

სიზმართან დაკავშირებით ღეკარტე ასეთ დასკვნამდე მივიდა: „სიზმარს მაშინაც ვნახავდი, სხეული რომ არ მქონოდა“.

ჩვენც ვეთანხმებით, შესაძლებელია ყველაფერი სიზმრისეული უსხეულოდაც არსებობდეს.

არსებობს ჩუან ძის მოთხრობა:

ბრძენმა ნახა სიზმარი, რომ ის პეპელაა. გაღვიძებული დიდხანს ცდილობდა ნანახის გააზრებას, ბოლოს დაიბნა: მან ან ნახა სიზმარი, რომ იყო პეპელა, ან ახლაა პეპელა და ხედავს სიზმარს, რომ ჩინელი ბრძენია.

ჩვენ გვგონია, რომ სიზმარი, რომელსაც ვხედავთ ნაცნობი, თუ უცნობი პირების მონაწილეობით, მხოლოდ ჩვენი, მაგრამ ის შეიძლება სხვა ადამიანების სიზმრებთან იყოს კავშირში. ხშირად ადამიანები ერთსა და იმავე სიზმარსაც ხედავენ. ადამიანთა სიზმრების ერთობას ხსნის **კარლ გუსტავ ოუნგის არქეტიპების თეორია: არსებობს უნივერსალური სიმბოლური სახეები, საერთო კონკრეტული ადამიანისა და კაცობრიობის კოლექტიური ქვეცნობიერისათვის (არაცნობიერისათვის).**

ჩნდება შეგრძნება, რომ ძილში მცირე დროით სხვა სამყაროში გადავდივართ და კვლავ უკან ვბრუნდებით.

ალბათ, სიზმარი მიგვანიშნებს, რომ ცნობიერებას ფიზიკური სხეულის გარეშე არსებობა, რეალური და ირეალური სამყაროს დამოუკიდებლად აღქმა ძალუძს. თუმცა, ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს – ღმერთმა სიზმარი იმიტომ შექმნა, რომ ძილის დროს მოწყენილები არ ვიყოთო.

რაში სჭირდებათ ადამიანებსა და ცხოველებს ძილი?

ამ საკითხზე მრავალი თეორია არსებობს, რომელთა უარყოფა ან მტკიცება შეუძლებელია. მათ შორის არის **დოქტორ მედისის** (ინგლისი) თეორია, რომელიც ბიოლოგიურად, ფსიქოლოგიურად ან სხვა რომელიმე ასპექტში ძილის აუცილებლობას არ ადასტურებს და ძილს უაზრობად, უსარგებლოდ მიიჩნევს.

ძილის საჭიროების გამოკვლევისთვის ბრიტანეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში მკვლევარებმა ადამიანთა ჯგუფზე ჩატარეს ექსპერიმენტი. აღმოჩნდა, რომ 72 საათიანი უძილობა ადამიანთა კუნთებსა და სხვა ორგანოებზე უარყოფითად არ მოქმედებს, ტვინისათვის კი ძილი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სიზმარიც თურმე აუცილებელია.

ადამიანს შეუძლია ძილი სიზმრით და მის გარეშეც. დღეს უკვე არსებობს ისეთი ფაქტიზი სენსორული სისტემა, რომელიც ადამიანის სხეულზე მაგრდება და კუნთის უძირკვეთი მოძრაობის, იმპულსის დაფიქსირება შეუძლია. თუ ცნობილია, რომელი კუნთი რა მოძრაობაზეა პასუხისმგებელი, ძილის დროს ტვინიდან წამოსული იმპულსების შესაბამისი კუნთის რეაქციის მიხედვით შესაძლებელია შეიქმნას იმ მოძრაობის კომპიუტერული მოდელი, რასაც ადამიანი ძილში ასრულებს. თვალის ქუთუთოზე დამაგრებული სენსორი თვალის გუგის მოძრაობას აფიქსირებს. თვალის გუგის უძრაობა უსიზმრო ძილზე მიგვანიშნებს. სიზმრის ხილვისას კი, თვალის გუგის ამოძრავებით სენსორიც ამოძრავდება. საკმარისია სენსორზე მიმაგრებული პატარა ჩაქუჩი მცირე ძალით შეეხოს ადამიანს, რომ სიზმარი ხელოვნურად შეწყდება და ძილი უსიზმროდ გაგრძელდება.

როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, 72 საათიანი უძილობა ორგანიზმზე კვალს არ ტოვებს, თუმცა, სიზმრის გარეშე ძილს დამანგრეველი შედეგი ახლავს თან, მას ვერავინ უძლებს. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სიზმარს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ძილის დროს ადამიანი არჩევს, ახარისხებს დღის განმავლობაში მიღებულ ინფორმაციას და მანამდე დაგროვილს ადარებს.

ბუძემწოვართა წინაპრებმა 140 მილიონი წლის წინ დაიწყეს სიზმრის ხილვა, ანუ მიიღეს სწავლის უნარი, რაც ბუნებრივი შერჩევისათვის, სიცოცხლისათვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. მათ პლანეტაზე ყველა მთავარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ნიშის დაკავება, შევსება ასე მოახერხეს. გამონაკლისია ჭიანჭველაცხამია. ის ბუძემწოვარია, მაგრამ სიზმარს არ ხედავს, რის გამოც ის გადაშენებადია.

გალეიძებისას ზოგჯერ გვევლინება, რომ სიზმარი არ გვინახავს, სინამდვილეში ენახეთ, მაგრამ ვერ დავიმახსოვრეთ.

აქედან დასკვნა: **არასაკმარისი რაოდენობის სიზმრების ხილვა არასრულფასოვანი ძილია.**

სიზმარი ისაა, რისთვისაც გვძინავს.

ჯერ თვალაუხელო კატის კნუტი სიზმარში თავს ესხმის ან გაურბის ვიღაცას, რასაც მეცნიერული სენსორული მექანიზმი აფიქსირებს. სენსორის გარეშეც ცხადად ჩანს, თუ როგორ იღიმის, ან უცაბედი ტირილით როგორ იღვიძებს ახალშობილი ბავშვი. . . გამოდის, რომ ისიც ხედავს სიზმრებს. . . საოცარია, საიდან იღებს ეს არსება ინფორმაციას იმ სამყაროზე, რომელიც არასდროს უნახავს? – ვცადოთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

უხსოვარ დროში გადასვლა შესაძლებელია, როგორც არქეოლოგიით, ასევე გენეტიკით. იმაზე დაყრდნობით, რასაც „ევოლუციურ მახსოვრობას“, ანუ გენეტიკურ მახსოვრობას უწოდებენ. სწორედ მას შეუძლია მიგვიყვანოს, როგორც ადამიანთა ისტორიის, ასევე ორგანული სიცოცხლის საწყისთან. ცნობილია, რომ გენების 98% საერთო გვაქვს შიმპანზესთან, ხოლო კარტოფილთან ერთი გენი მაინც გვაკავშირებს. ეს თეორიულად შესაძლებელს ხდის სამყაროში ორგანული სიცოცხლის წარმოქმნის „გენეტიკური მექანიზმების“ შესწავლას. თუმცა, ეს მექანიზმება პასუხისმგებელია იმ „ბიოლოგიური წყობის“ წესზე, რაც შიმპანზეს გენებთან ადამიანის მსგავსებით და განსხვავებით გამოიხატება და არა სამყაროს აღქმის მახსოვრობაზე, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა.

ვერავითარი „გენეტიკური მეხსიერება“ ვერ ახსნის იმ მოვლენას, რომელიც დიდი ხანია მისტიკის ბურუსშია გახვეული და რომელზეც მგრძნობიარე ადამიანები შიშნარევი კრძალვით ლაპარაკობენ.

23 წლის საშუალო კლემენსი თავს იმით ირჩენდა, რომ მდინარე მისისიპზე მცურავი გემის - „პენსილვანიის“ მესაჭე იყო. იმავე გემზე მსახურობდა მისი უმცროსი ძმა. ერთხელ სემს საშინელება ესიზმრა: ოთხ სკამზე გადებულ რკინის კუბოში იწვა მისი ძმა მკერდზე თეთრი ყვავილების თაიგულით. დილით საშუალო სიზმარი დას მოუყვა, თვითონ კი დაივიწყა. დამ, ამ მგრძნობიარე ქალბატონმა გადაწყვიტა, მიემართა სიზმრების ამხსნელისათვის, მაგრამ ის ადგილზე არ დახვდა. მისმა მდივანმა დაეთარში ჩაიწერა სიზმარი და ქალბატონს შეჰპირდა, რომ პასუხს წერილობით შეატყობინებდა. აქ მთავარი ისაა, რომ სიზმარი დაფიქსირდა. რამდენიმე ხნის შემდეგ საშუალო შელაპარაკება მოუვიდა გემის კაპიტანთან და იძულებული გახდა საშუალოდ სხვა გემზე გადასულიყო. მალე მან შეიტყო, რომ მეფისის რაიონში გემი „პენსილვანია“ ჩაიძირა. დაიღუპა 150 ადამიანი. საბედნიეროდ დაღუპულთა შორი მისი ძმა არ აღმოჩნდა. საშუალო ძმა იპოვა ჰოსპიტალში და ექსი დღე და ღამე არ მოსცილებია მას. დაძაბულობისაგან გადაღლილ საშუალოდ ღრმა ძილით ჩაიძინა. სანამ მას ეძინა, ძმა გარდაიცვალა. როდესაც საშუალომა გაიღვიძა, დაინახა: ოთხ სკამზე გადებულ რკინის კუბოში იწვა მისი ძმა მკერდზე თეთრი ყვავილების თაიგულით.

ეს ამბავი აღწერილი აქვს საშუალო კლემენსის ბიოგრაფს ალბერტ პეინს. საშუალო კლემენსი მარკ ტვენის ფსევდონიმითაა ცნობილი.

ცნობილია ვატერლოოს ბრძოლის წინ ნაპოლეონის სიზმარიც. იმპერატორს ძილში გამოეცხადა ყველა მისი გამარჯვება ბრწყინვალე ქალბატონების სახით დიდების სიმბოლოებით ხელში, მაგრამ უკანასკნელი ქალბატონი სისხლში იყო გასვრილი, ხელში კი ბორკილები ეჭირა.

როდესაც დანტე ალიგიერი გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ დამამთავრებელ მესამე ნაწილს, „სამოთხეს“ აკლდა მეცამეტე ლექსი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ დანტემ ვერ მოასწრო ამ ლექსის დაწერა. მეცამეტე ლექსის დაწერა სთხოვეს დანტეს შვილებს, პოეტებს იაკობსა და პიეროს. მათ დაიწყეს ლექსის წერა. ამბის შემდგომი განვითარება აღწერილი აქვს ცნობილ მწერალ ბოკაჩიოს. სიზმარში იაკობს დანტემ ურჩია შეეწყვიტა ლექსზე მუშაობა, მოჰკიდა ხელი და მიიყვანა იმ სახლთან, სადაც გარდაიცვალა. შეიყვანა ერთ-ერთ ოთახში და უთხრა, რომ ლექსი გობელენის ქვეშ, საიდუმლო ნიშაში ინახებოდა. იაკობს გამოეღვიძა. მიუხედავად შუალამისა, ის მამამისის მეგობარ პიერ ჟიარდინოსთან წავიდა და ლექსის მოსაძებნად გაყოლა სთხოვა. მათ ადვილად მიაგნეს სიზმარში ნანახ კედელს, გობელენს და მის უკან საიდუმლო ნიშას, სადაც მტკრიანი ქალაღდები ელაგა. იქ აღმოჩნდა მეცამეტე ლექსი.

ასე დასრულდა უკვდავი „ღვთაებრივი კომედია“.

1917 წელი. პირველი მსოფლიო ომი. ბავარიის ფეხოსანთა პოლკის კაპრალს შიკვრუბერს სძინავს სანგარში და ესიზმრება, რომ მისი სისხლიანი გვამი ჩამარხულია მიწაში, გაგარვარებული რკინის ნამსხვრევებს შორის. შემფოთებული იღვიძებს და მთვარეულივით მიემართება მოწინააღმდეგის, ფრანგების პოზიციისკენ. მას ვერც ოფიცრის ბრძანება, ვერც თანამებრძოლთა ყვირილი აფხიზლებს. თითქოს არ ესმის, რომ მოწინააღმდეგე ყოველ წამს შეიძლება შეამჩნიოს. ამ დროს ფრანგული მხარე ხსნის საარტელერიო ცეცხლს. კაპრალი ფხიზლდება და თავქუდმოგლეჯილი გარბის უკან, თავის სანგარში. იქ მას საზარელი სურათი ხვდება. სანგარს ყუმბარა დასცემია და მიწაზე გაგარვარებული მეტალი და თანამებრძოლთა სისხლიანი გვამები ყრია.

სიზმარმა გადაარჩინა სიკვდილს კაპრალი, რომელიც ოციოდე წლის შემდეგ მილიონობით ადამიანის განადგურების მიზეზი გახდება, არა როგორც კაპრალი შიკვრუბერი, არამედ, როგორც ნაციის ფიურერი, ფსევდონიმით ჰიტლერი.

უცნაური სიზმარი ნახა პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა. თითქოს ის შევიდა თეთრი სახლის აღმოსავლეთ ოთახში და იატაკზე მამაკაცის გვამი დაინახა. გაკვირვებულმა დაცვას ჰკითხა მიცვალებულის ვინაობა. დაცვამ სთხოვა დაეტოვებინა ოთახი, რადგან ახლახან მოკლეს პრეზიდენტი და მას უფლება არა აქვს იმყოფებოდეს იქ. გაკვირვებული ლინკოლნი ცდილობდა აეხსნა დაცვისათვის,

რომ აქ რაღაც შეცდომაა, რომ ის თვითონაა პრეზიდენტი და არავისა აქვს უფლება დაატოვებინოს ოთახი.

დღილი პრეზიდენტი ამ სულელურ სიზმარს ღიმილით უყვებოდა თანაშემწეს, რომელმაც იმ კვირის დღის განრიგი შემოუტანა, სადაც კვირის ბოლოს მისი თეატრში წასვლა იყო აღნიშნული. არც თანაშემწეს და არც პრეზიდენტს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ თეატრში ეს ვიზიტი ლინკოლნისათვის უკანასკნელი აღმოჩნდებოდა.

შემდგომი მსჯელობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძილში იდეების დაბადებისა და განვითარების ფაქტს. ამ მხრივ საინტერესო თარიღია 1619 წლის 9-10 ნოემბრის ღამე. სწორედ ამ დღეს 23 წლის ფრანგი ახალგაზრდა ღრმა ძილისაგან უცნაური შეგრძნებით იღვიძებს. მის დღიურში ჩნდება ჩანაწერი: „სიზმარში ვნახე არა მარტო მთელი ჩემი ცხოვრება, არამედ, ჭეშმარიტების სულმა გამანდო ყველა მეცნიერების ურთიერთკავშირის საიდუმლო“.

ძინებს არაფრით გამორჩეული ახალგაზრდა და იღვიძებს მე-17 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი – რენე დეკარტე. თითქმის ოთხი საუკუნეა მისი შრომები თანამედროვე მეცნიერთათვის უცვლელი ორიენტირია. დეკარტეს სიზმრის შემდეგ ევროპული ინტელექტი შემოქმედებასა და სიზმარს შორის ურთიერთკავშირით სერიოზულად ინტერესდება.

ნილს ბორს, თანამედროვე აზროვნების განვითარების ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერს, მისი უმთავრესი პოსტულატების იდეა ძილში მოუვიდა.

ელემენტების პერიოდულობის ჩაწერის საბოლოო ფორმა მენდელეევა სიზმარში ნახა.

არაა გამორიცხული, რომ სიზმრის ფენომენი მოგვეხმაროს გავერკვეთ, თუ საზოგადოდ, როგორ ხდება იდეების წარმოქმნა, განვითარება. რატომაც, რომ ინდივიდში ან ჯგუფში იბადება, იხვეწება იდეა და ხდება მისი განვითარების სრულყოფილი თეორიის შექმნა.

დასაფიქრებელია გახმაურებული შემთხვევები:

ჰიერონიმუს ბოსხი (1460-1516), ნიდერლანდელი მხატვარი. მის ტილოებზე გამოსახულია პრეისტორიული ხვლიკი. ნახატი საკმაოდ დეტალურადაა შესრულებული. გასაკვირი აქ, თითქოს არაფერია, გარდა იმისა, რომ ამ ხვლიკის ძვლები ბოსხის სიკვდილიდან სამასი წლის შემდეგაა აღმოჩენილი და სპეციალისტების მიერ აღდგენილია ხვლიკის სრული სურათი. მეცნიერმა კიუვემ დაამტკიცა, რომ ესაა 60 მილიონი წლის წინ გადაშენებული ხვლიკის სახეობა.

ჯონათან სვიფტი „გულივერის მოგზაურობაში“ მოიხსენიებს პლანეტა მარსის ორ თანამგზავს, რომელთა დანახვა მხოლოდ თანამედროვე, მძლავრი ტელესკოპით შეიძლება.

როგორ ახერხებს ადამიანის გონება შეწვდეს იმას, რისი დანახვა, შეგრძნება ამ რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია, ან სხვა დროსა და სივრცეში ხდება.

1883 წ. 27 აგვისტო. დღის დაძაბული შრომით გადაღლილი ჟურნალისტი ედვარდ სემსონი გაზეთ „ბოსტონ გლოუზს“-ის რედაქციაში დიდხანს შემორჩა და ჩაეძინა. ღამის ორ საათზე ის საზარელმა სიზმარმა გამოავლინა; ესიზმრა, თითქოს რეპორტიორად იყო გაგზავნილი კუნძულ პრალომზე (ინდონეზიის არქიპელაგი), რომელიც კუნძულ იავასა და სუმატრას მახლობლად მდებარეობდა (რეალურად ჟურნალისტი სემსონი ინდონეზიაში არასდროს ყოფილა). სიზმარში ჟურნალისტი კუნძულზე დატრიალებული უდიდესი კატასტროფის მომსწრე გახდა – ამ კუნძულზე არსებულმა ვულკანურმა მთამ გააქტიურება დაიწყო. ამოფრქვეული ლავისაგან ზღვის სანაპირო აღუდდა. გაისმა უძლიერესი აფეთქების ხმა და კუნძული ოკეანეში ჩაიძირა. მიწისძვრამ ზღვის ისეთი დევლა გამოიწვია, რომ სანაპიროსთან მდგარი გემებიც გაანადგურა. კატასტროფას 40000 ადამიანი შეეწირა.

ეს კომმარული სიზმარი გამოვლინებულმა სემსონმა ხელში მოხვედრილ პირველსავე ქაღალდზე ჩაწერა. ეს შემთხვევით აღებული ფურცელი კი ოფიციალური ქაღალდი აღმოჩნდა გრიფით – „სასწრაფოდ ნომერში“. სიზმრიდან გაოგნებული ჟურნალისტი რედაქციიდან გამოვიდა და განტვირთვისათვის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ღამის ბარში შევიდა, რედაქციაში აღარ დაბრუნებულა. დღილი მორიგე რედაქტორმა მაგიდაზე ეს ქაღალდი ნახა და ნომერში ჩაუშვა. გაზეთი გამოვიდა. ეს საშინელი ინფორმაცია ათეულობით გაზეთმა გადაეჭდა, მაგრამ მსგავსი კატასტროფის დამადასტურებელი არავითარი ცნობა არ მოსულა. გაზეთი ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულეს, მთავარი დამნაშავე სემსონი კი საშუალოდან გაანთავისუფლეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ინფორმაცია ინდოეთის ოკეანეში მომხდარი გიგანტური

კატასტროფის შესახებ, რომელიც სემსონის ნანახ სიზმარს დეტალებში იმეორებდა, იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ ჩაიძირა კუნძული კრაკატაუ. სემსონი სამუშაოზე სასწრაფოდ აღადგინეს. კატასტროფიდან 20 წლის შემდეგ კი ჟურნალისტს ესტუმრა პოლანდიის გეოგრაფიული საზოგადოების დელეგაცია. მათთან საუბარში გაიკვია, რომ ჩაძირული კუნძულის – კრაკატაუს სახელწოდება ადგილობრივი აბორიგენების დიალექტზე „პრალომე“-ად გამოითქმებოდა.

აქ, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ იმ ურიცხვ შემთხვევათაგან, რაც ადამიანთა ისტორიაში დაგროვდა. ზოგი ინტუიციურად ხვდება აღნიშნული თემის სერიოზულობას, ზოგი ინფანტილიზმად მიიჩნევს. ისეთებიც არიან, ამ საკითხის შესწავლას რომ უღრმავდებიან. ჯერ ნუ მივაქცევთ ყურადღებას მკვეთრად განსხვავებულ აზრებს და ვცადოთ, ზედაპირულად მაინც გავერკვეთ რა ხდება.

როდესაც პირველი მისიონერები ეცნობოდნენ აფრიკის ველურ ტომებს, მათ ზოგიერთ ტომში სიამაყე შეამჩნიეს, რაც ევროპელი მისიონერებისა და მათი თანმხლები პირების მიმართ საკუთარი უპირატესობის განცდაში გამოიხატებოდა.

არც სარკე, არც მძივები, არც ის ზომალდი, რითაც ჩავიდნენ მისიონერები, მათზე შთაბეჭდილებას არ ახდენდა. ისინი აცხადებდნენ, რომ „ღმერთის რჩეულნი“ იყვნენ. რაში გამოიხატებოდა ეს უპირატესობა, ამას საიდუმლოდ ინახავდნენ. შთამბეჭდავმა ქრთამმა – არაყმა და იარაღმა, შედეგი გამოიღო და ერთი ტომის ბელადმა ჩურჩულთი გაანდო უდიდესი საიდუმლო, რომ „ღმერთები“ ახალ, განსხვავებულ სამყაროს სიზმრის სახით მხოლოდ მათ უგზავნიდნენ, ანუ სიზმარს მარტო ისინი ხედავდნენ და რა უსუსურები არიან მისიონერები, რომლებიც მოკლებულნი არიან „ღმერთების“ ამ საჩუქარს.

ადვილი წარმოსადგენია ევროპელების გამხიარულება და აფრიკელთა შოკი, როცა შეიტყვეს, რომ სიზმრებს ევროპელებიც ხედავენ. მაშინ მათ ევროპელებს ღრმად დამაფიქრებელი კითხვა დაუსვეს:

– თუ ღმერთები თქვენ მხარესაც არიან, რატომ ხართ ისეთი უსუსურები, რომ თოფის, ზომალდის, ტანსაცმლისა და სხვა უამრავი ნივთის გარეშე სიცოცხლე არ შეგიძლიათ?

ამ, თითქოს პრიმიტიულ, მსჯელობას გარკვეული ლოგიკა აქვს. მართლაც, ჩვენ არ ძალგვიძს შინაგან ძალებზე დაყრდნობით, ექსტრემალურ პირობებში საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება.

– ვერც ერთი ჩვენგანი ერთ კვირასაც ვერ გაძლებს ისეთ პირობებში, როგორშიც ისინი მშვენიერად გრძნობენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ნეტარებას განიცდიან თბილი შხაპისაგან, როგორსაც ჩვენ. საქმე მარტო იმაში არაა, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ხვლიკის საკვებად გამოყენებას, ან ქვის ბუნიკიანი ხის შუბით ლომთან მიახლოებას. არა, ჩვენი ფსიქიკის უსუსურობას მთელი სიგრძე-სიგანით მხოლოდ იმ პირობებში შევიგრძნობთ, როდესაც ბუნებასთან პირისპირ მარტო აღმოვჩნდებით. დადგენილია, რომ ჯუნგლები იქ შემთხვევით მოხვედრილ ადამიანს უკან არ აბრუნებს, რადგან მას ფსიქიკის მოშლა ეწყება – გიჟდება, ლოგიკას, ორიენტირს, ნებისყოფას, სიფრთხილეს კარგავს და თვითონ ხდება სხვისი საკვები.

ჩვენ ბუნების მიმართ უკიდურესად გაუცხოებულნი ვართ. **ჩვენი მოშლილი, უსუსური ფსიქიკა მხოლოდ არსებობასთან არის შესაბამისობაში და არა სიცოცხლესთან.**

იმ აფრიკულ ტომს ჩვენთან შედარებით უდიდესი უპირატესობა, მართლაც, აქვს და ეს უპირატესობა მისი ბუნებრივი სიცოცხლისუნარიანობაა.

თუ ჩვენი ფსიქიკისთვის რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ღმერთების“ მიერ გამოგზავნილი საჩუქარი – ძილი, სიზმარი – ამას ნებისმიერი ფსიქიატრი აგვიხსნით. ზოლო როგორაა დამოკიდებული ფსიქიკაზე ლოგიკა, სამყაროს შემეცნება, ანუ აზროვნება, ყველასთვის ნათელია.

ახლა გავიაზროთ როგორ და სად ხდება იდეების გენერირება და შემდეგ კომპლექსურად მივუღებთ პრობლემას.

იღგა ჰაშიმის სევდა
მწარე ნისლივით ვრცელი.
მას ბურუსებზე ხვევდა
თეთრი ობობას ქსელი.

მართლაც, ამ რაფინირებული, ექსპრესიული აზროვნების ახსნა ნატრიუმისა და კალიუმის იონებით წარმოუდგენელია. აქ მთავარია, ამ იონებს სივრცესა და დროში ვინ, ან რა მართავს. ხოლო სივრცე და დრო მარადიულია. აინშტაინის ფარდობითობის თეორიიდან გამომდინარე, წარსული მხოლოდ მახსოვრობა არაა. წარსული არსებობს რეალობაშიც. ის სტატიკურ მდგომარეობაში არ ქრება, ანუ წარსული ინფორმაციის სახით არსებობს რაღაც თავისებურ სათავსში, რაღაც სივრცეში, რომელსაც ჯერჯერობით ინფორმაციის არე, სივრცე ვუწოდოთ. ამ სათავსში ყველა ჩვენი ქმედება, თითოეული ნაბიჯი დაფიქსირებული. მათ შორის უკვე დიდი ხნის წინ დაფიქსირებულიც და წარმოიდგინეთ, არა მარტო ჩვენი . . . ამ საგანძურთან კი ხელი მხოლოდ ჩვენს ტვინს მიუწვდება.

ტვინი არის ის ერთადერთი მატერიალური, რასაც ხელი მიუწვდება იდეალურთან, გარდამავალი ფენომენია მატერიალურსა და იდეალურს შორის.

სად და რის ხარჯზე ხდება აზროვნების რეალიზება.

ჩვენ ხშირად ვივიწყებთ ტელეფონის ნომერს, სახელს, დათქმულ შეხვედრას, დანაპირებს და ამას ასაკს ვაბრალებთ. ერთი შეხედვით, თითქოს ეს ასეცაა, თუმცა დაფიქრდეთ, ამას ხომ 16 წლის ასაკშიც მშვენივრად ვახერხებდით! მახსოვრობას ტვინი განკარგავს. მას კი, ირკვევა, რომ არაფერი ავიწყდება, ახსოვს ჩვენი ყოფის ყოველი წამი. ყველანაირ ექსტრემალურ სიტუაციაში წარმოუდგენლად სწრაფად და ეფექტურად იწყებს ქმედებას. ნაპოლეონმა კარგად იცოდა ექსტრემალურ პირობებში საკუთარი გონების ეფექტურად ამუშავების ხარისხი. აქედანაა მისი ცნობილი ფრაზა: „ჩავებათ ბრძოლაში და მერე ვნახოთ“.

ჰკითხეთ მას, ვინც ერთხელ მაინც იღგა სიკვდილის პირისპირ, და გეტყვით, როგორ მყისიერად ჩაიქროლა თვალწინ მთელმა მისმა ცხოვრებამ, იმ ეპიზოდებმაც კი, რომელიც იქამდე არასდროს გახსენებია.

ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა აჩვენა: კალატოზები, რომლებმაც დიდი სახლის ქვის ფასადი რამოდენიმე წლის წინ ააგეს, ჰიპნოზის ზემოქმედებით იხსენებენ 37-ე რიგში მე-14 ქვის თითოეულ ბზარს და მიკროდუქტს. ამ ფენომენს დიდი ხანია იყენებენ კრიმინალისტიკაში. მოწმემ, რომლის თვალწინ წამის მეთოდში ჩაიქროლა მანქანამ ისე სწრაფად, რომ მან მანქანის მარკის შემჩნევაც ვერ მოასწრო, ჰიპნოზის ქვეშ არა მარტო მანქანის მარკას, არამედ ნომერსა და უკანა კარზე ნაკაწრის ფორმასაც კი იხსენებს.

თითქოს, მახსოვრობა სადღაც სეიფშია შენახული და მასში არსებულ სრულ ინფორმაციას მხოლოდ მაშინ გასცემს, თუ უკიდურესი აუცილებლობა მოითხოვს.

ტვინს აქვს თვისება, საბუდამოდ დააფიქსიროს ყველა წამი, მოვლენა. ეს დიდი ხანია იციან მეცნიერებმა, მაგრამ ვერ გაურკვევიათ, სად იმყოფება ტვინში მახსოვრობის ეს ყულაბა. მათ არ დარჩენიათ შეუსწავლელი ტვინის არც ერთი უბანი, მაგრამ „ყულაბის ადგილს“ ვერ მიაგნეს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის მთელ ტვინშია გაბნეული და იმავდროულად არსადაა. იბადება გიჟური იდეა – იქნებ მახსოვრობის ეს ყულაბა არა ჩვენში, არამედ ჩვენ გარეთაა.

„საოცრება ბუნებას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ჩვენს წარმოდგენას ბუნებაზე“. (წმ. ავეუსტინე)

თუ მახსოვრობა ჩვენ გარეთაა, მაშინ იქვე უნდა იყოს იდეათა საგანძური; რომელსაც ჩვენ ასტრალური ველის მეშვეობით ვწვდებით.

ადამიანს ამაღლებული ცნობიერება ან აქვს, ან – არა. იმის მიხედვით, ადამიანს სჭირდება თუ არა ცნობიერება და ცდილობს თუ არა მის ამაღლებას, ის ადამიანური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება. შესაბამისად, მისი გადასაწყვეტია, იქცეს ადამიანად, თუ დარჩეს „ცხოველად“.

ადამიანში არის **წმინდა ენერგეტიკა**, ის მიწიერისგან განსხვავებული „მე“, რომელიც ბიოლოგიურ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. მას ახასიათებს ინტელექტი, ინტუიცია, ნებისყოფა, მეხსიერება, თვითშემეცნება, ანუ ყველაფერი ის, რასაც გოეთე „ღვთაებრივ არსებას“ უწოდებს. ეს ყველაფერი იმ უდიდესი ენერგეტიკული პოტენციალის, სიმძლავრის ნაწილია, რაც ადამიანში ღვთისაგანაა ჩადებული.

ბიოლოგიური არსების უჯრედების ცვლასა და ახალი უჯრედებით შევსებას, და არა მარტო ამას, სწორედ ეს ენერგეტიკული ველი განკარგავს, როგორც მატრიცა.

ანრი ბერგსონი — ინტუიციური ფილოსოფიის ფუძემდებელი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ფიზიკური ქმედება მთლიანად ტვინის დაუეკავშიროთ. ის ტვინის შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება.

„ვინც სერიოზულადაა დაკავებული მეცნიერებით, რწმუნდება იმაში, რომ სამყაროს კანონები უმაღლესი გონის კვალს ატარებს, გონისა, რომელიც იმდენად აღემატება ადამიანისას, რომ ჩვენ, ჩვენი მოკრძალებული შესაძლებლობებით, ვალდებული ვართ მის წინაშე მადლიერებით და პატივისცემით დავხაროთ თავი.“ — ა. აინშტაინი.

გავიხსენოთ **სომნამბულიზმი**.

ეს ფენომენი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ გრძნობათა აღქმის მექანიზმი უშუალოდ შემეცნებაშია და ფიზიკურ სხეულზე არაა დამოკიდებული. ამ ფენომენის მატარებელ ადამიანებს „მოვარეულებს“ უწოდებენ. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ცნობიერი არ ფუნქციონირებს. ამის მიუხედავად, ასეთი ძილის დროს მოძრაობა მაღალ დონეზეა მოწესრიგებული, ადამიანი შეუცდომლად გადაადგილდება სიმაღლეზე, მაგ., სახლის ლავგარდანზე, რომელზე გავლასაც ფიზიკურ მდგომარეობაში შიშისაგან ვერ გაბედავდა. ცხადია, ადამიანი ამ დროს არაცნობიერად, ასტრალური ველის მეშვეობით მოქმედებს. დაფიქსირებულია, რომ სიზმარში მიღებული დამწვრობის კვალი გავლიერებულმა შეიძლება იმავე ადგილას აღმოაჩინოთ.

ცნობილია, რომ ცხოველთა სამყაროს ზოგიერთ წარმომადგენელს (ხვლიკებს, სალამანდრას, ზოგიერთი სახეობის კიბოსნაირებს) რეგენერაცია ახასიათებთ — კუდის ან კიდურის დაკარგვისას ახალი ეზრდება.

ადამიანს ასეთი რეგენერაციის უნარი არ გააჩნია, თუმცა დაზიანებული ქსოვილის აღდგენა მასაც შეუძლია (შინაგანი ორგანოების ნაწილი, დაკარგული სისხლის თავდაპირველი მოცულობა და ა.შ.).

რეგენერაციის ფენომენს, თითქოს რაღაც სხვა, ჩვენთვის გაუგებარი რამ მართავს. დაკარგული კიდური რეგენერაციისას დიდი სიზუსტით აღდგება. რეგენერაცია იწყება იმ უჯრედიდან, რომელიც კვეთის ადგილას მდებარეობს. ორგანიზმის ფორმირება (მორფოგენეზი) ღმრის დონეზე მიმდინარეობს.

ღმრ-ს რამდენიმე წამის წინ დაკარგულ კიდურზე, თითქოს ინფორმაცია არ უნდა ჰქონდეს. ან უნდა ვიფიქროთ, რომ მოკვეთილი ორგანოს კვეთის ადგილას მდებარე უჯრედის ღმრ-ი უკანასკნელ მომენტში, ჰოლივუდის ფილმის გმირივით, სიცოცხლის უკანასკნელ წამს, მთელი ძალების დაძაბვით, სხეულში დარჩენილ ღმრ-ებს ამ საშინელ ფაქტზე ინფორმაციას გადასცემს. ისინი კი, როგორც სამხედრო შტაბი, ამ ინფორმაციას გადასცემენ ყველგან, სადაც კი „ხმა მიუწვდებათ“, რის შედეგადაც კიდურის აღდგენის თაობაზე მთელი ორგანიზმი იღებს გადაწყვეტილებას და შემდეგ უდიდესი სიზუსტით, სინქრონულად, ორგანიზმებულად იწყებს აღდგენას.

ღმრ-ს, თითქოს მხოლოდ ბიოლოგიური წყობის მეხსიერების „მექანიზმი“ აქვს. თუ ეს ასეა, მაშინ მას აქვს უნარი, მოახდინოს რეაგირება ბიოლოგიური წყობის დარღვევის ფაქტზე და ასტრალური სივრცის მეშვეობით მიაწვდინოს „ხმა“ „იმას“, ვინც მთლიანი ბიოლოგიური სისტემის შემადგენელ ყველა განსხვავებული წყობის უჯრედებს შორის ურთიერთობას, ჰარმონიას განაგებს, ანუ პასუხისმგებელია მთლიანი სისტემის ორგანიზაციაზე. ცხადია, ეს შეუძლებელია, თუ მას შემო-

ქმედებითი აზროვნების უნარი არ გააჩნია. ეს რაღაც უფრო მაღალი ინსტანცია უნდა იყოს, ვიდრე ბიოლოგიური მატერიაა. მის გარეშე ბიოლოგიური სისტემა საკუთარ თავს ვერ აღადგენს. ის, რაც მატერიაზე მაღლა დგას, მხოლოდ იდეა შეიძლება იყოს. ამრიგად, თავის მხრივ, კონკრეტული ბიოლოგიური სიცოცხლის მორგანიზებელი მიკროიდეა ემორჩილება, ანუ კავშირშია მთლიანი სამყაროს სიცოცხლის განმკარგავ უდიდეს მაკროიდეასთან. კიდეურის დაკარგვაზე „საზრიანად“ ეს მიკროიდეა რეაგირებს, უკავშირდება მაკროიდეას და იწყება მთლიანობის აღდგენა; რაც მართავს და აიძულებს დნმ-ს (იმავე ასტრალური სივრცის მეშვეობით, უკუკავშირით), მუდმივ რეჟიმში იმოქმედოს. სიცოცხლის იდეა დნმ-ის საშუალებით ყველა პროცესს უწყვეს კონტროლს. ე.ი. არსებობს ის, რამაც იცის, რა აკეთოს. ის მართავს ამ ქვეყანაზე ურთულეს კონკრეტულ ბიოლოგიურ მექანიზმს, ანუ იმას, რასაც ცოცხალი არსება ჰქვია.

გავიხსენოთ ე.წ. „ფანტომური ტკივილი“. მართალია ადამიანს არა აქვს უნარი დაკარგული კიდეური აღიდგინოს, მაგრამ ადამიანი გრძნობს დაკარგული სხეულის ნაწილს და სტკივა ან ექავება კიდეური, რომელიც წლების უკან დაკარგა. აქედან დასკვნა: – ფიზიკურმა სხეულმა დაკარგა კიდეური და არა ასტრალურმა, არა იმან, რასაც ადამიანის სიცოცხლის იდეა ჰქვია.

ადამიანს უნარი აქვს შეწვდეს ამ ასტრალურ სხეულს და სიცოცხლის იდეას. სხვანაირად არ აიხსნება უნარი, თვითშთავონებით იმოქმედოს საკუთარ ორგანიზმზე და ტკივილის ან სიცივის აღქმის ბლოკირება მოახდინოს. რადგან ცოცხალი ორგანიზმების წყობა, ფუნქციონირება არსით ერთნაირია, ეს გვაფიქრებინებს, რომ მათ ერთი და იგივე პირველწყარო, პირველადი ენერგია, იდეა მართავს.

ენერგია, იდეა არ ქრება, ის უკვდავია.

ადამიანი ისაა, რაც აზროვნებს, რაც გრძნობს და არა ნახშირწყლების, ცილებისა და კალოუმის იონების დროებითი მატერიალური გაერთიანება.

ნივთიერებები, ქიმიური ელემენტები დედამიწაზე განსაზღვრული რაოდენობითა და პროპორციითაა წარმოდგენილი. ამიტომ ვიმეორებთ, იმის ალბათობა, რომ ფოსფორისა და რკინის ზუსტად ის ატომებია ჩემს სხეულში, რომლებიც შოთა რუსთაველის ბიოლოგიურ სხეულში იყო, ნულისგან განსხვავებულია. ე.ი. შემოქმედებას, აზროვნებას, მენსიერებას არა ატომები და იონები, არამედ არამატერიალური რამ განსაზღვრავს. ადამიანის ფიზიკური სხეული სიცოცხლის იდეის დროებითი გამოსახვის ფორმაა. სიცოცხლის ყველა მახასიათებელი: გონი, აზროვნება, მენსიერება, სიყვარული, რწმენა მუდმივი, არამატერიალური ფენომენია. მატერიალური ფორმა არაა მნიშვნელოვანი. ამიტომ იმ მოვლენის დროს, რასაც ადამიანები სიკვდილს უწოდებენ, მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. მთავარი არ იკარგება. მთავარი არის, იყო და იქნება. გავიხსენოთ დაოს ფილოსოფია – „ის, რაც აღწევს თავის ზღვარს – გადადის მის საწინააღმდეგოში“. ხილული უხილავში გადადის და, პირიქით. ანუ იდეა გადადის მატერიაში და მატერია – იდეაში. სამყაროში არაფერი იკარგება, შესაბამისად, ის, რასაც ჩვენი გაგებით სიკვდილი ჰქვია, ბუნებას არ ახასიათებს. სამყარო არ იცის რაა სიკვდილი.

გავიხსენოთ:

ჩვენი ღმერთი გვამების კი არა, ცოცხალთა ღმერთია.

გამოდის, რომ ადამიანის გონი ამ მატერიალურ სამყაროში იმიტომ იქმნება, რომ ადაპტაციის პერიოდი აქ გაიაროს და უფრო ჰარმონიულ, ორგანიზებულ სამყაროში ორიენტაციისათვის მოემზადოს. თითქოს ის ირეალურ და ზერეალურ სამყაროში სიცოცხლისათვის საგანგებოდაა შექმნილი.

აქვე შევთანხმდეთ, რომ ხილული და უხილავი სამყაროები (რომელსაც პირობითად ირეალური ვუწოდებთ) რეალურია, ხოლო ღვთიური – ზერეალური.

ღმერთი, ესაა „სუბსტანციათა სუბსტანცია“, იდეათა იდეა, ესაა უსასრულო შესაძლებლობა, უსასრულო განზომილება. მისი გააზრება ჩვენს უბადრუკ სამგანზომილებიან სივრცეში შეუძლებელია.

ლია. მისი მოქცევა სამყაროს შემეცნების მოდელში, უბრალოდ რომ ვთქვათ, მკრეხელობაა. ის მის გარეთაა, თუმცა ყველაფერი და, რა თქმა უნდა, ჩვენც, მის უდიდეს გავლენას განვიცდით.

დაფიქრდეთ ღმერთზე სამყაროს შემეცნების ჩვენი მოდელის კუთხით. თუ ის სამყაროს მოდელის გარეთაა, როგორ შემოდის ჩვენში, როგორ თავსდება იმ კანონზომიერებაში, რომელიც ჩვენ მერვე სუბსტანციად ვაღიარეთ. გავიხსენოთ ისეთი ფენომენები, როგორიცაა: **სიყვარული, რწმენა, მშვენიერება და ის კითხვა, რაც არასდროს გვასვენებს – რაა ჩემი ცხოვრების აზრი, რისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე.**

სიყვარული რომ უდიდესი ენერგიაა, ამას ადამიანი კი არა, ბატიც გრძნობს. გაიხსენეთ, რა თავგანწირვით იცავს ის თავის ჭუკს . . . თუ ვერ დაგარწმუნეთ, მაშინ ააგლიჯეთ რომეოს ჯუღილეტა და რაც მოხდება, შექსპირზე უკეთ ვერაინ აღწერს.

გასარკვევი ერთი რამაა, სიყვარული ჩვენში გენერირდება, თუ ის გარედან შემოსული ენერგიაა. მივეცეთ უმარტივეს ლოგიკას. სიყვარული ჩემში გენერირებადი ენერგია რომ იყოს, მაშინ მე მისი მართვა შემეძლებოდა. შემეძლებოდა სიყვარულის დაგროვება – დროებით არავის შევიყვარებდი, დავაგროვებდი სიყვარულის ენერგიას და წლის ბოლოს ვინმეს დიდი ღობით შევიყვარებდი. აბა სცადეთ, არაფერი გამოგივათ . . . სიყვარული დაუკითხავად მოდის და ვერ გაგირკვევია, რატომ გიყვარს ის, ვინც გიყვარს. . . ე.ი. ის უფრო მაღალი ინსტანციაა, ვიდრე ირეალური სამყაროს სუბსტანციები. სიყვარული კანონზომიერებაზე მაღლა დგას, ანუ ზერეალურიდან მოდის.

სიყვარული მაგიური ძალაა.

თუ მის გახედნას შეეცდები – გაგანადგურებს.

თუ მასზე ბატონობას შეეცდები – დაგიმონებს.

თუ მის გააზრებას, წვდომას შეეცდები – გრძნობათა ქაოსში აღმოჩნდები.

ეს ისაა, რისგანაც და რისთვისაცაა შექმნილი სამყარო.

ის პირველსაწყისია, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის სამყარო, რომელსაც ჩვენი გონი სწვდება.

სიყვარული ის ერთადერთია, რაც გონებას აღვიძებს, შემოქმედებით ფანტაზიას ამბაფრებს, რაც გვამაღლებს და გვათავისუფლებს.

ეს ის ენერგიაა, რომელიც განჭოლავს მერვე სუბსტანციას – კანონზომიერების ველს, გადადის კვაზიაბოსტერიორულში, იდეათა ველში და აღწევს იმას, რასაც ჩვენ ასტრალურ ველს და „სიმეტრიის“ ღერძს – ადამიანს ეუწოდებთ. მისი შესაძლებლობა, პოტენციული ყველა სუბსტანციის შესაძლებლობას აღემატება. ღმერთი სიყვარულია და ეს ღვთიური ენერგია არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, ე.ი მასზე მაღლაა. **სიყვარულს ყველაფერი შეუძლია.**

ჩვენ მიერ გააზრებული სამყაროს მიღმა რწმენა, სიყვარული, მშვენიერება, სილამაზე, ცხოვრების მიზანი, აზრი და სხვა მრავალი ფენომენი. ყოველივე ეს უმცირესი ანარეკლია იმ უდიდესი პოტენციალისა, რასაც ღმერთი ეწოდება.

მართლაც, გაუგებარია, როგორ შესწვდება სუბიექტი ღვთიურ საჩუქარს – მშვენიერებას, თუ მას ასტრალურობა დაქვეითებული აქვს. შესაბამისად, თუ ვერ აღიქვა რაა მშვენიერება, როგორ მიხვდება რაა სიმახინჯე, უმსგავსოება, ანუ ის, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია. მშვენიერების აღქმა, მართლაც, შეუძლებელია იმ ფაქიზი მატერიის გარეშე, რომლისაგანაც ასტრალური ველია მოქსოვილი. მშვენიერებას სურნელი რომ ჰქონდეს, ის ფრანგული სუნამოს შანელ-5-ის სურნელზეც ათასჯერ მომხიბვლელი იქნებოდა.

მაშ, ამ ალეგორიით იმ ცხოვრებას, რაც ჩვენ გარშემოა, ისეთი მძორის სუნი უნდა ასდიოდეს, რომ ფაქიზი ასტრალური ველის მქონე ადამიანი კი არა, საერთოდ უგრძნობი სუბიექტიც კი ვერ გაუძლებდა და მის რადიკალურ ცვლილებას მოისურვებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შეგრძნებას უფრო ამაღლებული რამ სჭირდება.

ჩვენ ამ უზამსობას ვგრძნობთ და მას ვერასდროს შევეჩვევით. ჩვენი ასტრალური ველი უკიდურეს პროტესტს აცხადებს და მათი მოძებნისაკენ გვიბიძგებს, ვისაც სიმახინჯე ჩვენსავით აღიზიანებს, რათა ერთად მოვძებნოთ ის მენტალური ჰიგიენის საშუალება, რომელიც ამ სიბინძურისაგან გაგვბანს.

სწორედ ირეალური სამყაროს ამ პირველ სუბსტანციას, ანუ ალგზნებას გადავყავართ იმ სუბსტანციაში, რასაც გააზრების, მახსოვრობის შეწვდომილ და შეუწვდომელ იდეათა ოკეანეს, ანუ მეორე სუბსტანციას ვუწოდებთ.

სწორედ აქ, ჩვენ შორის, უნდა აღსრულდეს სოკრატეს დიალექტიკა, ანუ მიზნობრივი დიალოგი, რომელიც იმ იდეასთან, იმ მიზანთან მიგვაახლოებს, რასაც ჩვენი ოცნების საქართველო ჰქვია. ამ მიზნის გარეშე ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი ინფანტილიზმი ან შულერობაა.

რისთვის შექმნა ღმერთმა საქართველო, რა მისია აკისრია მას, არც ისე ადვილი გასააზრებელია, როგორც ჩვენს უგუნურ თანამოქალაქეებს ჰგონიათ. უძრავლესობა ამ პრობლემით არც კი ინტერესდება. როგორ გავაგებინოთ მათ, რომ

მიზნის გარეშე განათლება, პატიოსნება, ღირსება, ზნეობა, რწმენა არ არსებობს.

ამ იდეას, მიზანს, იდეათა ველში შესვლის გარეშე, კვაზიპოსტერიორული და კანონზომიერების ველის გარეშე ვერ შევწვდებით. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა. მხოლოდ ამ კანონზომიერებითაა შესაძლებელი დაქვეითებული აზროვნების ადამიანსაც კი გავაგებინოთ მიზანი – საქართველოს იდეა. ამ იდეის გააზრების გარეშე ჩვენ სილატაკის ჭაობიდან ვერასდროს ამოვალთ. შესაბამისად, რაიმე მიზნის მიღწევას ვერ შევძლებთ, თუ ზერეალურ სამყაროს სუბსტანციათა სუბსტანციების – სიყვარულის, რწმენის, მშვენიერების, სილამაზის . . . ანარეკლს ჩვენს ცოდვილ მიწაზე ვერ, ან არ აღვიქვამთ.

მხოლოდ ზერეალურ სამყაროშია ის უნიკალური ფენომენი, რომელსაც შესაძლებლობის, ანუ ოცნებათა აღსრულების სივრცე შეიძლება ვუწოდოთ.

სიცოცხლის აღსრულება

მართლაც, დავფიქრდეთ, რამდენი იდეის რახარუხი გვაქვს გონებაში, არც ოცნებების ნაკლებობას ვუჩივით, მაგრამ მათი განხორციელება არ ხდება, შედეგი არ ჩანს. როგორ შევწვდეთ ღვთაებრივი სამყაროს სუბსტანციას, შესაძლებლობის ველს – ოცნებათა აღსრულების სივრცეს? – აი, ის კითხვა, რომელზეც ჩვენ უცილობლად უნდა გავცეთ პასუხი. ადამიანი რწმენის, სიყვარულის გარეშე ვერ გადავა იმ უმაღლეს სივრცეში, რომელსაც ზერეალური, ღვთიური სამყარო ქმნის. რწმენისა და სიყვარულის გარეშე მიწიერი ცოდნა, განსწავლულობა უსუსური ცნებებია. ამიტომ დასაფიქრებელია კანტის მიმართვა თავისი მოწაფეებისადმი, რომელიც ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

– **მე მირჩევნია ნაკლები იცოდეთ და მეტი გწამდეთ, ვიდრე პირიქით.**

რა თქმა უნდა, ამ რწმენაში უპირველესად, საკუთარი თავის რწმენა იგულისხმება, რომელიც ასევე ღვთისაგან მოდის. რწმენა, ალბათ ისაა, რომელიც ჩვენ გვაიმედებს, რომ გამოიმუდუნებულ შესაძლებლობებზე მეტი, ამაღლება შეგვიძლია. ვინ გითხრათ, რომ თქვენ ღმერთები არა ხართ! – ეს ქრისტეს სიტყვებია.

შესაძლებლობის ველის გასააზრებლად ისევ ბერძნული გენიალური ფილოსოფიური აზროვნება თუ გვიშველის.

არისტოტელეს აზრით, რამის შესაქმნელად მასალაა საჭირო. ესეც ერთ-ერთი ბანალობაა. შევეცადოთ ამ ბანალობაშიც საინტერესო აღმოვაჩინოთ. მაგალითად, მინდა გავაკეთო ქანდაკება ანდა – სფერო. ამისათვის გამოდგება მარმარილო, ხე, პლასტელინი, სპილენძი, წყლის წვეთი, ან ჰაერი

(ჰაერის ბუშტი წყალში სფეროს ჰგავს) და მრავალი სხვა საშუალება. კონკრეტულ შემთხვევაში, თუ სპილენძისაგან ვაკეთებ სფეროს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: სპილენძი, როგორც მატერია, სფეროს შექმნის საშუალებაა.

როგორც აღვნიშნეთ, სფეროს შესაქმნელად მრავალი მასალა გამოდგება. მაგალითად, არსებობს ბუნების ფენომენი, ე.წ. სფეროსებრი ელვა. ესაა ჩვეულებრივი ელვასავით მნათი სფერო, პრინციპი, რითაც ის ბუნებამ შექმნა, დღემდე ცალსახად არაა დადგენილი. მაგრამ ის არსებობს, და რადგან არსებობს, ის გარკვეული მასალისგან, მატერიისგან არის შექმნილი.

ცხადია, ატომსაც გარკვეული, ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი ფორმა აქვს. (წყალბადის ატომს სფეროდ წარმოიდგენენ). ატომთა ფორმისა თუ იმ მატერიის შესახებ მსჯელობას, რისგანაც ისინი არიან შექმნილნი, სხვაგვარი აზროვნება სჭირდება, რადგან მის ასახსნელად ყოფითი ანალოგები არ არსებობს. თუმცა, ერთი რამ ცხადია – ის, რისგანაც ელემენტარული ნაწილაკები არიან შექმნილნი (მატერია), მათი შექმნის საშუალებაა.

ზოგადად გამოდის, რომ მატერია რაღაცის შექმნის საშუალებაა.

თუ მატერია საშუალებაა, მაშინ გამოდის, რომ ფორმა (ჩვენ შემთხვევაში სფერო), საგნის არსია, ეიღოსია.

ცალკეული საგნისათვის არსი არის ფორმა, მატერია კი მისი შექმნის ნივთიერი საფუძველი.

ფორმა გამოისახება ცნებით – სფერო, პირამიდა . . .

საგნები შეიძლება განვასხვაოთ მასალის (ვერცხლის ან სპილოს ძვლისაგან) და ფორმის (სფერო, ჩანგალი . . .) მიხედვით.

ფორმა – საგანთა განმასხვავებელი ერთ-ერთი ზღვარია.

როგორც ვთქვით, ფორმა გამოისახება ცნებით. ცნება „სფერო“ არსებობს, მაშინაც, როცა ის სპილენძისაგან ჯერ არ ჩამოუსხამთ.

როცა მატერია განხორციელებულ საგნად გადაიქცევა, მაშინ მატერია ფორმის გარეშე არ არსებობს, ისევე, როგორც ფორმა – მატერიის გარეშე.

თითოეულ საგანს აქვს ოთხი პირველმთხვენი: იდეა (ფორმა), მატერია (სუბსტრატი), ქმედება (მოძრაობის საწყისი) და ქმედების მიზანი („ანუ ის, რისთვისაც“). მიზანს კი ეიღოსი, ფორმა განსაზღვრავს.

ეიღოსი განსაზღვრავს მატერიის გადასვლას საგანში, რეალობაში.

ყოფიერების განხორციელების საშუალება მატერიაა, ის არის სუბსტრატი მრავალფეროვან საგანთა ზოგადი ერთობის საფუძველი. როგორც აღვნიშნეთ, სპილენძისაგან შეიძლება დავამზადოთ სფეროც, ქანდაკებაც. . . ამრიგად, სპილენძი, როგორც მატერია, საერთოა სფეროსა და ქანდაკებისათვის, მათი ერთობის საფუძველს ქმნის.

აქ უმნიშვნელოვანესია ის, რომ პირველადი მატერია არისტოტელეს ესმის, როგორც რამის შექმნის უნარი, პოტენცია, წმინდა შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, არისტოტელემ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე – რა იყო მაშინ, როცა არაფერი იყო, გასცა პასუხი: – იყო შესაძლებლობა.

რას ნიშნავს შესაძლებლობა?

მაგალითად, ანტიკურ ხანაში წარმოდგენაც არ ჰქონდათ მრავალ საგანზე, მოვლენაზე, ფენომენზე (მობილური ტელეფონი, ბეთპოვენის მეხუთე სიმფონია, ვაჟას პოეზია), თუმცა, არსებობდა მათი შექმნის შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა მათი რეალიზაცია, შექმნა. ასევე დღეს შესაძლებლობის, პოტენციის სახით ყველა ის საგანი არსებობს, რაც მომავალში შეიქმნება.

XX საუკუნის დასაწყისში ფიზიკოსებმა (ჰაიზენბერგმა, პლანკმა და ა.შ.) განსაკუთრებული ყურადღება სწორედ არისტოტელეს ამ თვალსაზრისის მიაქციეს.

მათ გამოითქმის დასკვნა: – მიკრომოვლენა, მაკროელსაწყოსთან ურთიერთობაში შესვლამდე, არსებობს, როგორც მიკროშესაძლებლობა.

სხვა სიტყვებით – ზერეალურ სამყაროში უნდა არსებობდეს პირველადი მატერიის, შექმნის შესაძლებლობა.

2300 წლის წინ არისტოტელემ უმნიშვნელოვანესი დასკვნის გამოტანა შეძლო

– **რეალობა ეს აღსრულებული, განხორციელებული შესაძლებლობაა.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის „პირველად იყო სიტყვა“ იგივეა, რაც **თავდაპირველად იყო შესაძლებლობა.**

ადამიანის მიერ შესაძლებლობის ველის წვდომა სურვილის აღსრულების აუცილებელი პირობაა. მას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეწვდებით, თუ ჩვენში ზერეალური სამყაროდან სიყვარულის, რწმენის, მშვენიერების აღქმის ღვთაებრივი ენერგია შემოვა.

ჩვენ ამ შემეცნების მოდელზე დაყრდნობით უპირველესად უნდა შევწვდეთ იმ ზოგად კანონზომიერებას, რომლის იგნორირებამაც უსუსურობამდე, სილატაკემდე, დღევანდელ საქართველომდე მიგვიყვანა.

აზროვნების ბუნებრივ კანონზომიერებაში მოქცევა დოგმატური აზროვნებისაგან მოწოდებას სულაც არ ნიშნავს. ამ **კანონზომიერების უარყოფა ქაოსის დამკვიდრების საფუძველია.**

სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მიზნისაკენ სავალ ყველა გზას შემოსაზღვრულობა ახასიათებს. მდინარესაც აქვს საზღვარი, კალაპოტი და, თუ მას მოშლით, მდინარის ნაცვლად ტბას ან ჭაობს მიიღებთ. ჩვენ ორიენტირებული სვლისთვის ცოცხალი მდინარე გვჭირდება და არა ჭაობი. ვიძეოვრებთ, ამ ცოდვილ მიწაზე თავისუფლების გარდა ყველაფერს თავისებური საზღვარი სჭირდება.

სამყაროს შემეცნების მოდელი დაგვეხმარება ჩვენი აზროვნება კანონზომიერების საზღვრებს არ გასცდეს. შემეცნების მოდელის გამოყენებით შევძლებთ ავხსნათ თუ რატომ გავჩნდით ამ სამყაროში, რატომ ვართ ამ დღეში. . . და ისიც კი, თუ რატომ ღირს ასეთი ძვირი ბაზარში ყველი.

როგორც აღვნიშნეთ, ამაღლებულ, საერთო მიზნის აღსრულებას შესაძლებლობის ველში შეღწევა სჭირდება, რასაც სიყვარულის, რწმენის, მშვენიერების აღქმის გარეშე ვერ შევძლებთ.

იმის მიუხედავად, რომ ეს ფენომენები ჩვენი მიწიერი სამყაროს კანონზომიერების მიღმა დგას, მათი გააზრება მაინც ვცადოთ.

ზემოთ განხილული მასალიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

სამყარო შეიქმნა ნულოვანი რადიუსის მქონე წერტილიდან და ამ წერტილში არ იყო არც სივრცე, არც დრო, არც მატერია, იყო მხოლოდ წმინდა ენერგია მატერიის გარეშე – სამყაროს შექმნის შესაძლებლობა, იდეა, ანუ ის, რაც დაფიქსირებულია იოანეს სახარებაში.

თავდაპირველად იყო იდეა, შესაძლებლობა – აბსოლუტური გონი, უღიადესი კანონზომიერება; კანონზომიერება, რომელშიც შეცდომა გამორიცხულია. ამიტომაც სამყარო უკიდურესად რაციონალური. აბსოლუტურმა გონმა, აბსოლუტურმა შესაძლებლობამ, უმაღლესმა კანონზომიერებამ, აბსოლუტური წესრიგის იდეამ – უღიადესმა სიკეთემ, რასაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ, შექმნა ეს სამყარო.

იდეა გადადის მატერიაში, მატერია – იდეაში.

მას ღმერთის მიერვე შექმნილი სამყაროს უნიკუმი – ადამიანის გონი აღიქვამს.

ჩვენი აზრით, სამყაროს და მასში ადამიანის ადგილის გააზრების მთავარი ორიენტირი ოთხთავშია მოცემული.

ცხადია, ამ არამიწიერი ცოდნის მცირედის წვდომასაც კი უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. ამის მიუხედავად, ზნეობრივი ადამიანისათვის ეს შინაგან მოთხოვნილებას უნდა წარმოადგენდეს. მისკენ სწრაფვის აუცილებლობა თვით ოთხთავის არსია, ის ხომ ჩვენთვის, ადამიანებისთვის შეიქმნა.

სწორედ, მან მოგვიწოდა ვიყოთ ჭეშმარიტების მაძიებელი; შევეცადოთ, შევწვდეთ ოთხთავის სიბრძნეს. სიტყვებით: „**კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ვეღარ იტვირთავთ**“ (იოანე 16, 12), მიგვანიშნა, რომ სრულ ჭეშმარიტებას მიწიერ ცხოვრებაში ვერ შევწვდებით; თუმცა, იმის გააზრების მცდელობა, რაც ოთხთავით მოგვეცა, ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანისათვის აუცილებელია.

შესაბამისად, დავფიქრდეთ, რას ნიშნავს

„**არავინ ასულა ზეცად, გარდა ზეცით ჩამოსული კაცის ძისა, რომელიც არის ცაში**“ (იოანე 3, 13).

მართლაც, თუ იქ ქრისტეს გარდა ვერავინ ავა, მაშ, სადაა თუნდაც ქეთევან წამებული? რაც მან სამშობლოს, ქრისტეს სიყვარულისათვის გადაიტანა, განა ადამიანის შესაძლებლობას არ სცილდება? მეტი რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ მარადიული ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს?

გავიხსენოთ, „**ნეტარ არიან გლახაკი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი**“ (მათე 5, 3).

აქ, თითქოს შეუსაბამობაა, რადგან, ერთი მხრივ, ცაში ქრისტეს გარდა ვერავინ ავა და მეორე მხრივ, ყველა სულით გლახაკი ცაშია.

ან რას ნიშნავს „სულით გლახაკი“? – არა, აქ შეუსაბამობას როდი აქვს ადგილი, გაუგებრობის მიზეზი მხოლოდ ჩვენი აზროვნების სისუსტეში უნდა ვეძიოთ.

შევეცადოთ მცირედში მაინც გავერკვეთ.

მეცნიერები უკვე შეთანხმდნენ, რომ არსებობს პარალელური სამყაროები და არაა აუცილებელი ეს სამყაროები ერთმანეთისაგან დიდი მანძილით იყვნენ დაცილებულნი. ისინი, თითქოს განჭოლავენ ერთმანეთს. ჩვენს გარემომცველ სამყაროს ამ კუთხით შევხედოთ. ერთი მხრივ, არსებობს ჩვენი შემეცნებისათვის მისაწვდომი, მიწიერი, ხილული ანუ რეალური და ასევე უხილავი, ირეალური სამყარო. მეორე მხრივ, არსებობს ჩვენი შემეცნებისთვის უკიდურესად ძნელად აღქმადი ღვთიური სამყარო.

გრაფიკულად ეს შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

2. ღვთიური, ზერეალური სამყარო

1. მიწიერი, ანუ რეალური და ირეალური სამყარო

რადგან მიწიერი – რეალური, ირეალური – და ღვთიური სამყარო თვისობრივად ერთმანეთისგან განსხვავდება, მათ შორის რაღაც ბარიერი უნდა არსებობდეს. სხვა შემთხვევაში ეს ერთი და იგივე სამყარო იქნებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზედა, ღვთიური სამყარო განჭოლავს ქვედას, მიწიერს, რადგან ის უსასრულოდ მძლავრი წმინდა ენერგია და აბსოლუტურად ზეფაქიზი „სუბსტანციათა სუბსტანცია“. მიწიერს ღვთიურის განჭოლვა არ შეუძლია.

ღვთიურ ზეფაქიზ, ზედღიერ სამყაროში მიწიერი სამყაროს მატერიისა და ფორმის არსებობა აზრს კარგავს. ამის მიუხედავად, მათ აქვთ საერთო არსი – იდეა, რადგან უმაღლესმა შექმნა უმაღლესი და, შესაბამისად, ის უდიდესი ღვთიური იდეით გაჟღინთა, განმსჭვალა.

ამ სამყაროებს შორის არსებული ბარიერის დაძლევა, გარკვეული „ენერგიის“, პოტენციის, შესაძლებლობის, ასე ვთქვათ, წმინდა ენერგიის განსაზღვრული „რაოდენობის“ დაგროვებას საჭიროებს.

გავიზრდეთ რას ნიშნავს ბარიერი და მისი დაძლევა.

ლოგიკური საყრდენი ბარიერის არსში გასარკვევად კვანტური გააზრებაა. ელემენტარული ნაწილაკის ენერგეტიკულ ღონეებს შორის არის ე.წ. „აკრძალული ზონა“ (ბარიერი). ნაწილაკს ერთი დაბალენერგეტიკული ღონიდან მეორე, მაღალენერგეტიკულ ღონეზე გადასასვლელად – ამ ბარიერის დასაძლევად – გარკვეული ენერგია სჭირდება. აკრძალულ ზონაში „საფეხურები არ არსებობს“.

მარტივად რომ ვთქვათ, თქვენ ვერ იყიდით თქვენთვის სასურველ ნივთს, თუ მისი ღირებულების შესაბამისი თანხა არ გაქვთ. ერთი თეორიკ რომ გაკლდეთ, თქვენთვის სასურველ ნივთს ვერ შეიძენთ. ასევე, თუ ნაწილაკმა ბარიერის გადასალახად საჭირო ენერგია არ მიიღო, ის ამ ღონეზე ვერ გადავა, ვერ დამკვიდრდება. ამ აზრს ფიზიკოსები ასე გამოთქვამენ – ამ გადასვლის ალბათობა უსასრულოდ მცირეა.

ეს კვანტური ლოგიკა, როგორც მოდელი, მიწიერიდან ღვთიურ ღონეზე გადასვლის გასააზრებლად გამოვიყენოთ.


მიწიერ სამყაროში სიცოცხლისათვის აუცილებელი, უდიდესი სიკეთის, წმინდა ენერგიის განსაზღვრული ნაწილი ადამიანში ღმერთმა თავიდანვე ჩადო. მან ადამიანს მისცა რაღაც „ჭურჭელი“, სათავსი, სადაც ამ უდიდესი სიკეთის, წმინდა ენერგიის მიღება, აკუმულირებაა შესაძლებელი. ალბათ, ეს ქმნის ადამიანის არსს. ამ წმინდა ენერგიის გარეშე ადამიანი არშემდგარია.

გრაფიკულად გამოსახული გამუქებული ზაზი არსით არ განსხვავდება სხვა ღონეებისაგან. ჩავთვალოთ, რომ ჩვენ ამ ღონეზე ვიმყოფებით.

ენერგეტიკულად უკიდურესად ქვედა ღონეები უახლოვდება იმას, რასაც ჯოჯოხეთს ვუწოდებთ, ხოლო ენერგეტიკულად ამაღლებული ზედა ღონეები კი – მიწიერ სამოთხეს.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე გააზრებით, ის არეალი, რომელსაც დაბალ პირველ ღონეს, (რეალურ, ირეალურ) სამყაროს ვუწოდებთ, წარმოადგენს პარალელურ სამყაროთა ერთობლიობას. ისინი ერთმანეთს სივრცეში „განჭოლავენ“. გრაფიკულად ჩვენი სამყარო და მისი პარალელური სამყაროები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მიწიერი, რეალური და ირეალური სამყარო



პარალელური სამყაროები

1. მიწიერი, რეალური და ირეალური სამყარო

პარალელური სამყარო

ერთი სამყაროდან მეორე პარალელურ სამყაროში გადასვლაც გარკვეულ ენერგიის ცვლილებას საჭიროებს (ნახაზი 2). აღსანიშნავია, რომ ეს ენერგია გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პირველი ღონიდან მეორეზე, ღვთიურზე გადასვლისათვის საჭირო წმინდა ენერგია (ნახაზი 1).

მიწიერი (რეალური და ირეალური) ეს პარალელური სამყაროები ერთმანეთთან შეთავსებადია, როგორც მატერიის, ასევე ფორმის მიხედვით, რადგან ისინი ჩვენი სამყაროს ერთიან სისტემას წარმოადგენენ; თუმცა, მათ შორის უნდა არსებობდეს გარკვეული განსხვავებაც; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ერთი და იგივე სამყარო იქნებოდა და ცნება პარალელური აზრს დაკარგავდა. ეს განსხვავება ძირითადად სივრცითა და დროით გამოიხატება. ვიმეორებთ, როგორც მე-2 ნახაზიდან ჩანს, მცირე ბარიერები მათ შორისაც არის.

ბუნებრივია, იბადება კითხვა – საიდან იცით, რომ ყველაფერი, რაც აღწერეთ, ჭეშმარიტებაა?

- გულწრფელად გასახუბოთ;
- არ ვიცით.

ეს არავინ იცის და ამ ცოდვილ მიწაზე ვერავინ დაიტრახებს, რომ ის ჭეშმარიტებას ფლობს.

დიახ, ვერავინ ახსნის რატომღა სამყარო მოწყობილი ისე, როგორც არის. თუმცა, ეს მისი გააზრების მცდელობაში ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის.

დაგვეთანხმებით, რომ ზუსტი მეცნიერება, კერძოდ ფიზიკა, და მისი უკიდურესად საინტერესო ნაწილი – კვანტური ფიზიკა, ყველაზე წარმატებული დარგია. ყველაფერი – მობილური ტელეფონიდან არდაწყებული და კოსმოსური ზომადღით არდასრულებული, კვანტურ ფიზიკას ეყრდნობა. როგორც აღვნიშნეთ, ამ წარმატების მთავარი საფუძველი ერთ წინადადებაში შეიძლება ჩაეთიოს:

– შემოქმედებითი მკვლევარისათვის არა აქვს მნიშვნელობა ნებისმიერი წარმოდგენილი მოსაზრება, თორიან ჭეშმარიტია თუ არა, ეტევა თუ არა საღი აზროვნების არეალში, გასაგებია თუ არა, მოსაწონია თუ არა, დახვეწილია, თუ დაუხვეწავი . . . დიახ, შემოქმედებითი მკვლევარს თავდაპირველად ყოველივე ეს არ აინტერესებს, რადგან ხდება, რომ იმ ჭეშმარიტებას დღეს მაინც ვერ შესწავლება.

მისთვის უმნიშვნელოვანესია:

შეუძლია თუ არა ამ მოსაზრებას, თორიას, მოდელს ახსნას რა ხდებოდა, რა ხდება და დიდი ალბათობით იწინასწარმეტყველოს რა მოხდება.

მოდელს მეტი არაფერი მოეთხოვება.

შეგახსენებთ: როცა ნილს ბორმა ატომის მოდელი წარმოადგინა, მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რეალურად როგორი იყო ატომი. თუმცა მის მიერ წარმოდგენილმა მოსაზრებამ, მოდელმა ახსნა რა ხდებოდა, რა ხდება, რა მოხდება (მაგ., ქიმიური თუ ბირთვული რაქციების არსი და განვითარება).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ სამყაროს მოდელსაც ამ რაციონალური კუთხით შევხედოთ.

მთავარია, მოდელმა მცირედით მაინც ახსნას: რაა სიზმარი, დე-ჟავიუ, მახსოვრობა, როგორ ხდება წინასწარმეტყველება, რაა „სიკვდილი“. . . რათა ჩვენი დაბნეულობის ხარისხი შევამციროთ და, შესაბამისად, ქმედითუნარიანობა შევგვმატოთ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოდელის გამოყენება ვცადოთ:

ცხადია, ჩვენი ცხოვრების უსუსურობა, განვითარების დაბალი დონე გვაფიქრებინებს, რომ მიწიერი სამყარო – პარალელური სამყაროებით – უმდაბლესია, და მის ქვევით უფრო დაბალი საფეხური არ არსებობს.

ზოგადად, განვითარება ქვევიდან ზევით სვლას ნიშნავს, ანუ უმდაბლესიდან – უმაღლესისაკენ და ეს კანონზომიერია.

დიახ, სიცოცხლისაკენ, ღვთისაკენ სვლა, უმდაბლესიდან უნდა დაიწყო. ამიტომ ღმერთმა მაღალ ღონეზე (სამოთხეში) შექმნა ადამიანი, მაგრამ ცოდვა-დაცემის შემდეგ დაბალ ღონეზე გადაიყვანა, რათა საკუთარი ძალისხმევით კვლავ ამოღებულიყო. შესაბამისად, ჩვენი სამყარო უმდაბლესი ღონე, პირველი საფეხურია სიცოცხლის იმ კიბეზე, რომელიც ღვთისაკენ, უმაღლესი სიკეთისკენ მიდის. უმდაბლეს ღონესა და მომდევნო, ღვთიურ სამყაროს შორის, როგორც აღვნიშნეთ, ბარიერია და იქ, ისევე, როგორც კიბის საფეხურებს შორის, „არაფერია“, ანუ ვერაფერს დაეყრდნობი. ორ საფეხურს შორის არის „აკრძალული ზონა“ იმ მატერიისათვის, რისგანაც შექმნილია ჩვენი ფიზიკური სხეული. ასტრალური სხეულისათვის ღვთიური ღონე შეთავსებადი და მიღწევადია იმ შემთხვევაში, თუ ის თავისი სიფაქებით ზღვრულ მდგომარეობას გადალახავს. უფრო ნათლად: გავიხსენოთ პლატონის მსჯელობა. წარმოიდგინეთ ქალბატონები – შავგვრემანი, ქერა, მაღალი, დაბალი . . . ვცადოთ, განვასხვაოთ ქალბატონები, ვთქვათ ქალური სილამაზის მიხედვით; მათ შორის

ყველაზე ლამაზი ქალური სილამაზის ზღვარს მიუახლოვდება. თუ თქვენ შეძლებთ, წარმოიდგინოთ ის სილამაზე, რომელიც ამ ზღვარს სცილდება, ეს უკვე ქალური სილამაზის, ქალურობის იდეაა. ასტრალური სხეულიც თუ შესაძლებლობის ზღვარს გადააბიჯებს, ის უკვე ასტრალურობის იდეაა. მხოლოდ ასეთი ასტრალურობის მქონეს უნდა უნარი მიიღოს უმაღლეს დონეზე გადასასვლელად საკმარისი წმინდა ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა. ღვთაებრივ სამყაროში ასეთი ასტრალურობის იდეის მქონე სხეულის, ფორმის იდეაც გადადის.

იკვეთება მეტად მნიშვნელოვანი კითხვები: **მიწიერი სამყაროდან ღვთიურ სამყაროში გადასასვლელად საჭირო წმინდა ენერგიის დასაგროვებლად საკმარისია თუ არა ადამიანის ერთი სიცოცხლე?**

ან იქნებ, ადამიანი მხოლოდ დაბალ დონეზე – ამ ცოდვილ მიწაზე – არსებობისათვისაა განწირული?

ღვთის უდიადესი მადლი და წყალობაა, ის რომ მან მიწიერ სამყაროში, ღვთიურ სამყაროში გადასასვლელად საკმარისი წმინდა ენერგიის დაგროვების საშუალება მოგვცა.

ვიმეორებთ, დაბადების მომენტში ღმერთმა ადამიანში ამ სამყაროში არსებობისთვის აუცილებელი წმინდა ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა ჩადო. ბარიერის გადასალახად საჭირო წმინდა ენერგიის მიღება, ღვთიური ღონის შესაბამისი წმინდა ენერგიის დაგროვება მხოლოდ „მე“-ს სურვილზე, „მე“-ს მენტალობაზეა დამოკიდებული. მენტალობის ღონეს კი, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ასტრალურობის სიფაქიზე განსაზღვრავს.

ვცადოთ, ამ კუთხით ავხსნათ ზემოთ ნახსენები ფრაზები იოანეს (3.13) და მათეს (5.3) სახარებიდან.

მათეს სახარებაში ნახსენები სულით გლახაკი – მთხოვნელს, ჭეშმარიტების მაძიებელს ნიშნავს. . . და „ითხოვეთ და მოგეცემათ. . .“, ეს პირველი საფეხურია, რათა ავმადლდეთ.

ამრიგად, ჩვენ რეალურ სამყაროში წმინდა ენერგიის გარკვეული „ულუფით“ ვიბადებით (გაიხსენეთ კანტის მოსაზრება აპრიორულ გონზე). ჩვენ ცნობიერად და არაცნობიერად, ჩვენი ზნეობისა და განათლების მიხედვით, ან ამ ენერგიის შენარჩუნება-დაგროვებას ვცდილობთ, ან უაზროდ ვფანტავთ. რეალობიდან გამოდინარე, ერთი ცხოვრება ისეთი რაოდენობის წმინდა ენერგიის დაგროვებისთვის, რაც პირველი ღონიდან (მიწიერიდან), ამაღლებულ მეორე დონეზე (ღვთაებრივზე) გადასასვლელად საკმარისი, თითქმის მიუღწეველია.

მართლაც, ეყოფა თუ არა ადამიანს ერთი სიცოცხლე, რათა ეს ენერგია დააგროვოს?

– ნუთუ ის უმოკლესი დრო, რაც ამ ცოდვილ მიწაზე ადამიანის ყოფნისთვისაა განკუთვნილი, საკმარისია, რათა ის ამაღლდეს?

აი, ეს კითხვებია ჩვენი გონების უმთავრესი ძიების საგანი.

– არა, ალბათ, ერთი სიცოცხლე ამისთვის არაა საკმარისი.

– ნუთუ უმაღლეს კანონზომიერებას ეს გამოჩნა?

– არა, მისი შეცდომა დაუშვებელია, ეს ჩვენ გვაქვს თვალზე ლიბრი გადაკრული.

გავახილოთ თვალი.

მიწიერი მატერია არამდგრადია, ამიტომ ის ადრე თუ გვიან იშლება. თუმცა, ჩვენს ასტრალურ და მენტალურ „მე“-ს, როგორც უნიკალურ ღვთიურ ფენომენს, წმინდა ენერგიის იმ რაოდენობის მიღება შეუძლია, რასაც ჩვენი მენტალური არსი იტევს და ეს ღვთის უდიადესი წყალობაა. ცხადია, ჩვენ მიერ მისაღები წმინდა ენერგიის მთავარი კრიტერიუმი, საზომი ჩვენი ზნეობრივი და გონებრივი განვითარებაა, რომლის ძირითადი პრინციპები მოცემულია ათ მცნებასა და ოთხთავში.

დიახ, ქრისტიანობა ჩვენგან არა მარტო პატიოსნებას, არამედ განათლებასა და ზნეობას მოითხოვს, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ეს იგივერი ცნებებია იმ გაგებით, რომ ზნეობის არსის შექმნა-

ჩვენთვის ღმერთი, ქრისტე ყველგანაა, ბალახში ღმერთი ჭეშმარიტი ბალახია, ხეში ჭეშმარიტი ხე, ჩემში ჭეშმარიტი მე, საქართველოში ჭეშმარიტი საქართველო.

სწორედ ამ გზით, ჩვენი ასტრალურობის, ზნეობისა და ინტელექტის ამაღლებით ადამიანში უფრო მეტი და მეტი უღიადესი, უფაქიზესი ენერგიის აკუმულირება ხდება.

ღიახ, რაც უფრო ფართოა შენი სიყვარულის არეალი, მით უფრო ამაღლებული ხარ, ანუ მით მეტია შენში აკუმულირებული წმინდა ენერგია და, რაც მაღალდება, მით უფრო უახლოვდება სიყვარულის იდეას – ღმერთს.

ყველასთვის ცნობილია, რომ ცოდვათა მონანიებით შესაძლებელია ღმერთამდე მყისიერი ამაღლება; ღიახ, ეს შესაძლებელია.

მაგრამ გვესმის კი ცნება მონანიების არსი?

მონანიება პიროვნებისაგან ზეამაღლებული აზროვნების დონეზე გადასვლას მოითხოვს. საკუთარი არსის ობიექტური აღქმა და შეფასება მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი. და ეს პროცესი მარტივი ნამდვილად არ გახლავთ. გაეცხენოთ ქილონის სიტყვები: – „შეიცან თავი შენი და შეიცნობ სამყაროს“. და თუ ვინმე მთელი სამყაროს მყისიერი შეცნობის შესახებ პრეტენზიას აცხადებს მაშინ . . .

მაგრამ თუ თქვენ მონანიებაში მხოლოდ ჩადენილი ცოდვების ჩამოთვლასა და ბუღალტრულ აღრიცხვას გულისხმობთ . . .

ზოგი კი დარწმუნებულია, რომ ამაღლებას სამშობლოს სიყვარულის – ღვაწლის გაღების გარეშე შეძლება. სწორედ ამ თავხედურ, მკრეხელურ აზრს მიჰყავს ეს ადამიანები იმ ცნებასთან, რასაც კოსმოპოლიტიზმს უწოდებენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სხვათა შეყვარებას სამშობლოს სიყვარულის გარეშე შეძლებენ და თავს მსოფლიო-მოქალაქეებად აცხადებენ.

სხვა ქვეყნის შვილებს ვერ ვაკადრებ, მაგრამ ჩემს თანამემამულე „კოსმოპოლიტებს“ ვეკითხები: როგორ ესმით მათ ქრისტეს სიტყვები – **როგორ შეიყვარებ ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავ, თუ არ გიყვარს შენი ძმა, რომელსაც ხედავ?**

მართლაც, როგორ ახერხებთ მთელი სამყაროს შეყვარებას, ღმერთის შეყვარებას, რომელსაც თქვენი მზერა ვერ სწვდება, იმ სიყვარულის გარეშე, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია?

სიყვარული ხომ სიყვარულის საგანზე მზრუნველობას ნიშნავს. სანამ საქართველო ამ უსუსურ მდგომარეობაშია, ვის აქვს უფლება განაცხადოს, რომ სამშობლოს სიყვარული აღასრულა და უკვე შემდეგ საფეხურზე გადასვლის უფლებაც მოიპოვა?!

რა თქმა უნდა, ასევე შეუძლებელია სამშობლოს კეთილდღეობისათვის ღვაწლის გაღება, თუ უგულებელყოფ ყველაფერს, რაც შენი ქვეყნის გარეთაა.

გამოსავალი ერთია – **მხოლოდ სამშობლოს სიყვარულმა შეიძლება მოგვცეს ძალა სამყაროს, ღვთის სიყვარულამდე ავმაღლდეთ.**

ღმერთმა სამშობლო, მიწიერი არეალი, იმისთვის მოგვცა, რომ ღვთის მიერ ჩვენში ჩადებული სიყვარულის პოტენციური მაქსიმალურად გამოვავლინოთ.

ღიახ, როგორც ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი, მოყვასი სიყვარულით – ქრისტეთი – უნდა აღვიქვათ, ასევე, მითუმეტეს, სამშობლოს არსში სიყვარული – ქრისტე – უნდა დავინახოთ და სანამ ღვთის წინაშე წარვსდგებით, მანამდე ერთმანეთს, ანუ საქართველოს უნდა გავუსწოროთ თვალი.

ამიტომ შექმნა ღმერთმა სამშობლო. ის ღმერთივით ერთადერთია.

აქ გავიხსენოთ ანატოლ ფრანსის საინტერესო მოთხრობა.

ერთ ქალაქში ერთი ჯამბაზი ცხოვრობდა, რომელიც ქალაქის მოედანზე ჟონგლიორობით ირჩენდა თავს. გავიდა დრო, ჯამბაზი დაბერდა და ჟონგლიორობით თავის რჩენა აღარ შეეძლო. მოზუცი ჯამბაზის გასაჭირი მონასტრის ბერებმა შეიტყვეს და მონასტერში შეიკედლეს. ბერებმა შეამჩნიეს, რომ ის ხშირად კელიაში განმარტოვებას არჩევდა და მისი უცნაური საქციელით დაინტერესდნენ; ერთხელაც, ბერებმა ჯამბაზს კელიის კარის ღრიჭოდან თვალთვალი დაუწყეს და უცნაური რამ დაინახეს: ჯამბაზი ღვთისმშობლის ხატის წინ თავდაყირა მდგარი ჟონგლიორობდა. აღშფოთებულმა ბერებმა მონასტრის წინამძღოლს მოუხმეს. წინამძღოლმაც შეიხედა ღრიჭოში და ჩაფიქრებულმა ბერებს მიმართა - ყველა ისე ლოცულობს, როგორც შეუძლია. გაკვირვებული ბერები კელიის კარებს მიაწყდნენ და საოცრების მოწმენი გახდნენ: ხატიდან ღვთისმშობელი დაეშვა, ჟონგლიორს მიუახლოვდა და სახეზე ჩამოღვეთილი ოფლი საკუთარი კალთით შეუმშრალა.

ჩვენც გავაკეთოთ ჯერ ის, რაც აუცილებელია! მერე ის – რაც შესაძლებელია და მივხედებით, რომ შეუძლებელი შეგვქნება!

და მაშინ მოხდება საოცრება – ღვთისმშობელი დაეშვა და საკუთარი კალთით მოგვწმენდს სახიდან ოფლს.

ღიახ, სამშობლოს სიყვარულის გარეშე, უფლისაკენ სვლას ვერავინ შეძლებს.

ღიახ, არსებობს რეალური, ირეალური და, რაც უმთავრესია, ზერეალური, უმაღლესი კანონზომიერების, აბსოლუტური გონის სამყარო. ეს უმაღლესი თავისთავში მოიცავს ისეთ „სუბსტანციათა სუბსტანციებს“, როგორიცაა: სიყვარული, რწმენა, მშვენიერება, სილამაზე, შესაძლებლობა და ჯერ კიდევ ჩვენთვის მიუწვდომელი სხვა უსასრულო რაოდენობის „სუბსტანციათა სუბსტანციები“, რომლებსაც მიწიერი კანონზომიერებით ვერ შესწვდები.

ამას სამშობლოს სიყვარულის გვერდის ავლით ვერასდროს შეძლებთ.

ალბათ, ამ შეგნებამ მიიყვანა დიდი პატრიოტი, ძლიერი გონების მქონე კარდინალი რიშელიე, ვიქტორე, კარდინალი, ანუ უაღრესად რელიგიური ადამიანი, აზრამდე – **ჯერ სამშობლო, საფრანგეთი და შემდეგ საკუთარი სულის ხსნა**. რიშელიეს ამ მოსაზრებაზე მე ნუ დამიწყებთ დისკუსიას. ეს მისი გამონათქვამია და პრეტენზიითაც მას მიმართეთ.

მე კი ის ვიცი, რაც ვაჟამ მითხრა:

– „**ღმერთო სამშობლო მიტოვებ, მძინარიც ამას ვდუღუნებ**“.

ღიახ, წმინდა ენერგიის დაგროვება მხოლოდ ასე ხდება. ამაღლება იქიდან იწყება, სადაც დაიბადე, საიდანაც ამ სამყაროს შეცნობა დაიწყე.

სწორედ ესაა გზა ამაღლებისკენ, ღვთისკენ.

ესაა ადამიანში ადამიანის დაბადების ერთადერთი გზა.

ადამიანში ადამიანი.

ეს არაა პარადოქსი, ტავტოლოგია. ეს არშემდგარი ადამიანის შესაძლებლობის რეალიზებას – ადამიანად დაბადებას – ნიშნავს.

ადამიანიდან – პიროვნებად, პიროვნებიდან – ეთიკურ ზეადამიანამდე!

ურთულესია ეს გზა.

უპირველესად გასარკვევია, რას ნიშნავს არშემდგარი ადამიანი, ანუ სუბიექტი, ინდივიდი.

ახსნა ისევ სახარებაში ვეძიოთ.

... როცა ჯვარცმის შემდეგ პეტრე და მისი თანმხლები ქალები ქრისტეს სამარხთან მივიდნენ, მათ ლოდი გადაგორებული დახვდათ, სამარხი – ცარიელი, რამაც ისინი ძლიერ შეაშფოთა. ამ დროს მათ გამოეცხდათ ორი მამაკაცი ბრწყინვალე სამოსელით და გაისმა ხმა: „**რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებში?**“ (ლუკა 24. 5).

ქრისტე მუდმივი სიცოცხლეა. მაშ, ვინ არიან მკვდრები? – იქნებ სამარხში სხვა გვამებიც იყო?

– **არა. მკვდრებში სხვა რამ იგულისხმება.**

დავფიქრდეთ:

როცა ერთმა მოწაფემ ქრისტეს მიმართა: „**უფალო, ნება მიბოძე, ჯერ მივიღე და დავმარხო მამაჩემი.**“ (მათე 8. 21)

დაუკვირდით, აქ მშობლის დამარხვაზე, ღმერთის ათი მცნებიდან მეხუთე მცნების აღსრულებაზე საუბარი;

„**ხოლო იესომ მიუგო მას: „შენ მე გამომყევ, და მკვდრებს მიანდე თავიანთი მკვდრების დამარხვა“** (მათე 8. 22), (ლუკა 9.60).

– შეუსაბამობაა?

– არა.

ქრისტეს ყველა სიტყვა უდიდესი სიკეთე და ჭეშმარიტებაა. ვცადოთ, მცირედს მაინც შევწვდეთ მისი ჭეშმარიტებიდან.

ჩვენი მშობლები, შვილები, ძვირფასი ადამიანები, ჩვენი სამშობლო ქრისტეს გაცილებით მეტად უყვარს, ვიდრე ჩვენ.

იქნებ, ჩვენ მართლა მკვდრები ვართ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და მეხუთე მცნება აქ არაფერ შუაშია.

ვცადოთ გარკვევა.

გავიხსენოთ სამყაროს შემეცნების ჩვენი მოდელი.

იქ ხილული სამყაროს უკანასკნელი სუბსტანციის – მყარის ქვევით არაფერია. ზევით ირეალური სამყარო, მის ზევით კი ღვთაებრივი ზერეალური უსასრულობაა.

აქ იბადება კითხვა – სადაა ჯოჯოხეთი?

ჩვენ მიერ წარმოდგენილ სამყაროს შემეცნების მოდელში გვაქვს ჩემი შემეცნებისთვის მისაწვდომი რეალური და ირეალური მიწიერი სამყარო და ზერეალური, ღვთიური სამყარო. ცხადია, ჯოჯოხეთის არსებობა ღვთიურ, სიკეთის და სიყვარულის სამყაროში გამორიცხულია. რჩება ჩვენი მიწიერი, ანუ რეალური და ირეალური სამყარო. მაშინ, ჯოჯოხეთი აქ უნდა იყოს, რადგან მის ქვევით არაფერია.

ჯოჯოხეთია ჩვენი ცხოვრება, რასაც გარშემო ვხედავთ, არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით და ამ ჯოჯოხეთს ჩვენივე უაზრობითა და უმიზნო ქმედებით ვქმნით. სწორედ ეს ხილული სამყაროა ის, რასაც ჩვენ ჯოჯოხეთს ვუწოდებთ და ამ სამყაროში არა მარტო მკვდრები მარხვენ საკუთარ მკვდრებს, არამედ მკვდრები ახალ მკვდრებსაც ბადებენ. და შესაბამისად, ცნება „სიკვდილი“ უაზრობაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ უკვე მკვდრად ვიბადებით და მკვდარი აღარ შეიძლება მოკვდეს.

იკითხავთ: – როგორაა ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთი, როდესაც ამ მიწაზე მე კმაყოფილებას განვიცდი, თუნდაც შემწვარი კარტოფილის მირთმევით, ეროტიკული ფილმების ნახვით . . . **დასკვნის გამოტანას ნუ იჩქარებთ.**

ალბათ, უმრავლესობა ასევე ფიქრობდა, ფიქრობს და იფიქრებს მომავალშიც.

კაცობრიობის ისტორიას აზრობრივად გადაავლეთ თვალი და მიხვდებით:

თქვენს წარმოდგენაში არსებული ქვესკნელი, ანუ „ჯოჯოხეთის“ კუპრის აბაზანები და გამდნარი გოგირდი ინფანტილური, ბავშვური საღიზმი, კურორტის აბაზანებია იმასთან შედარებით, რაც ჰიროსიმასა და ნაგასაკში დატრიალდა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მილიონზე მეტი გრადუსის ტემპერატურის სიმხურვალე, რასაც ბირთვული იარაღი ქმნის? აღულებული წყლის მაქსიმალური ტემპერატურა 100 გრადუსზე მეტი არაა, გოგირდი დნება 114 გრადუსზე, დუღს 445 გრადუსზე. თუ ხვდებით განსხვავებას მილიონსა და რაღაც 445 გრადუსს შორის? და ჭკუამხიარული პასუხი – ჩემთვის სულერთია 100 გრადუსზე შემწვავენ, თუ მილიონზე – ჩვენი ინფანტილიზმის კიდევ ერთი ნათელი დასაბუთებაა.

რადიაციული გამოსხივებით დამწვრობისა და სასიცოცხლო ორგანოთა გადაგვარებისას გან-
კითარებულ ტკივილთან შედარებით, ეშმაკის ჩანგლის ჩხვლეტა ალბათ, გამაჯანსაღებელ მასაჟს
შეიძლება შევადაროთ.

გისაუბრიათ თანაგრძნობით შიდასი ან სხვა უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანთან? თუ
არა, მაშინ გაიხსენეთ ყურის, კბილის, თირკმელში კენჭის გავლის ტკივილი . . . და მცირედით მაინც
შეიგრძნობთ იმას, რასაც ჯოჯოხეთი ჰქვია.

რა ხდებოდა ბოლშევიკებისა და ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკებში, თქვენ ჩემზე უკეთ
მოგეხსენებათ.

ნიურნბერგის პროცესზე გაიხსენეს საკონცენტრაციო ბანაკში მომხდარი ერთ-ერთი, კიმეორებ,
მრავალთაგან ერთი შემთხვევა. (მ. კვესელავა. „ასერგასის დღე“)

ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა გართობის მიზნით ხის მერხზე შიშველი ტყვე
გულაღმა გააკრა. მუცელზე თუნუქის ვედრო დაადო. ზევიდან აგურები დაადო და ვედროს შიგნით გვამების
ჭამით გასუქებული ვირთხა მოათავსა. როდესაც ვირთხამ იწრიალა და გამოსაძრომი ვერ იპოვა, დაიწყო
ცოცხალი ადამიანის მუცლის დაფლეთა, ღრღნა და ბოლოს, გასისხლიანებული, ადამიანის ნაწლავებში
გაბლანდული ძლივს გამოძვრა.

ამ პროცესს, გამწარებული ადამიანის ღრიალს, კომენდანტი და მისი ხელქვეითები ჩაბჟირებადღე ხარხ-
ართ ეხმაურებოდნენ.

ამას ვერცერთი ქვემიწიერი, ჯოჯოხეთის სატანა ვერ მოიფიქრებდა თუნდაც იმ მარტივი მიზეზ-
ის გამო, რომ უბრალოდ ფანტაზია არ ეყოფოდა.

თუ რა ხდებოდა საბჭოთა იმპერიის ბანაკებში, ვერ აღვწერ, რადგან ეს ნორმალური ადამიანის
აზროვნების ზღვარს სცილდება.

დაუკვირდით — დანტე ალეგიერმა ფხიზელი თვალით შეხედა რა მიწიერ ცხოვრებას, თავის
უკვდავ ნაწარმოებში მშვენიერი ჯოჯოხეთი გამოუვიდა. მისთვის სამოთხის აღწერა რომ გვეთხოვა,
ალბათ ვერ შეძლებდა. გაცებული იკითხავთ — რატომ? — იმიტომ, რომ სამოთხის მსგავსი რამ
ამ ცოდვილი ცხოვრების დაბალ ღონეზე ურთულესი წარმოსადგენია, რადგან მისი მსგავსი რამ აქ
უბრალოდ არ არის.

ჩვენს სამყაროში არსებობს ზემოთ ნახსენებზე უფრო დაბალი ქვეღონეები, სადაც მკვდრებიც
კი სიკვდილს ნატრობენ.

მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ იძულებული ვარ ვაჟას პოემიდან ამონარიდი შეგახსენოთ.

წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
რიგში ვიყოდი სადამდე.

.....

ერთ წამს ხელ ვინმამ დამტაცა,
ტარი ჩამიდვა ხანჯრისა,
შავხედენ, მუცალი იყო,
ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
გულზე ემჩნევა ნიშანი
მე-ღ იმის ბრძოლის წამისა,

.....

კლდედ იდგა, გაუტეხლად
ცრემლ არ ჩამოდის თვალისა,
“ — მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მომკალო, — მითხრა ხვეწნითა. —

.....

დაევჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,

კაცის ზორც იყო წვნიანი,
 ესჭამდი, მზარავდა თუმცაღა
 კაცის ხელ-ფეხი ძელიანი.
 „რასა ვსჩადიო? – ვსჯავრობდი, –
 უმსგავსი, შაჩვენებული

.....
 „კიდევ მიმირთვით აღუდას
 წვენი-ხორცი გაცხელებული!“
 მიმატეს კაცის ულვაშით
 წვენი-ხორცი შანელებული

რა ღანტე, რის ღანტე, ჯოჯოხეთის ამგვარი შემზარავი, მისტერიული აღწერა მხოლოდ ვაჟას შეუძლია.

ნუ გიკვირთ – რა, არ ვკლავთ და ვჭამთ ერთმანეთს? საღლა ვეძებთ ჯოჯოხეთს ან ეშმაკს?!

მართლაც, როდესაც არსებულ ჯოჯოხეთს გაიაზრებ, გაოცებს ეშმაკის გულუბრყვილობა: ნუთუ ის დარწმუნებულია, რომ შეუძლია გვაცდუნოს, ანუ უფრო ცუდებად გვაქციოს, ვიდრე ვართ? ჩვენი აზრით, ამ სამყაროში ეშმაკი უფუნქციოა, რადგან მისი საბუთაო ადგილი, მისთვის განკუთვნილი საშტატო ერთეული, გაუქმებულია. მისი მომსახურება აღარავის სჭირდება, რადგან საზოგადოება თვითმომსახურებაზეა გადასული.

დიახ, უზნეო, გაუნათლებელ ქმედებას, ანუ ჩვენს გაუაზრებელ მიწიერ არსებობას მივყავართ იქ, იმ უმდაბლეს ქვედონეზე. ყოველგვარი წარმოდგენა ჯოჯოხეთზე, აზრს კარგავს, რადგან რეალობა უფრო სასტიკია, ვიდრე თვით წარმოსახული ჯოჯოხეთი.

დასკვნა: **სანამ საქართველო ამ დღეშია, ასეთი არსებობა, თქვენი არ ვიცით, და ჩვენთვის უბრალოდ ჯოჯოხეთია. დიახ, ჩვენ უკვე ჯოჯოხეთში ვართ და ჩვენი უაზრო, გაუნათლებელი, უზნეო არსებობით შეიძლება იმ ქვედონეზეც დავეშვათ, რასთან შედარებითაც ჯოჯოხეთზე ჩვენი წარმოდგენა, მართლაც, ინფანტილიზმად მოგვეჩვენება.**

თუმცა, ღმერთი ხომ უსაზღვრო სიკეთეა. ეს გვაძლევს უდიდეს იმედს. ღვთის უსასრულო სიკეთე გვიხმობს უდიდეს ბედნიერებაში – სიცოცხლეში.

დიახ, ის არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე!

ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვაქვს – სიცოცხლისაკენ, ღვთისაკენ!

დაეუბრუნდეთ კითხვას – რა ხდება მაშინ, თუ ადამიანის შინაგანი „მე“ ვერ აგროვებს წმინდა ენერგიას?

დიახ, ყოველ ადამიანშია თანდაყოლილი ღვთიური ნაპერწკალი, წმინდა ენერგიის განსაზღვრული ულუფა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს ენერგია არაა საკმარისი მიწიერი სამყაროდან ღვთიურ სამყაროში გადასასვლელად. ამიტომაც ადამიანი ასეთი არშემდგარი, ანუ „მკვდარი“ ადამიანი და, როდესაც მისი სუსტი, არამდგრადი მატერია იშლება, მისი „მე“, არსი, სული კი არ ქრება, არამედ უკან, მიწიერ სამყაროში ბრუნდება. ღმერთი მას შანსს უსასრულო რაოდენობით აძლევს, რათა მან საკმარისი რაოდენობის წმინდა ენერგიის დაგროვება შეძლოს.

სხვა ლოგიკური, მიწიერი ახსნა არ არსებობს. სხვა შემთხვევაში არ იხსნება, რას ნიშნავს „სულის უკვდავება“.

თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ის, რასაც ჩვენ „სიკვდილს“ ვუწოდებთ, არის ერთი მკვდარი არსებობიდან ახალ მკვდარ არსებობის ფაზაში გადასვლა, ანუ ჩვენ ვიცვლით საცხოვრებელ ადგილს სოლომიდან გომორში. თუმცა განსხვავება მაინც არის. ახალი ფაზა წინა ფაზაში დაგროვილი ან გაფანტული წმინდა ენერგიის შესაბამისი რაოდენობით იწყება. მუდმივია ერთი – ღვთის კანონ-

ზომიერების შესაბამისად, ისევ გვეძლევა შანსი, საკუთარი „მე“ წმინდა ენერგიით შევავსოთ და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ღვთიურ სამყაროში გადასასვლელად საჭირო წმინდა ენერგიას არ დაეგროვებთ.

ისევ კითხვა — ახალი მკვდარი ფაზის დაწყება იმავე მიწიერ დონეზე ხდება, თუ არა?

— არა, რადგან შეუძლებელია ერთ ფაზაში, კონკრეტული ენერგიის მქონე ადამიანმა ისე იცხოვროს, რომ ამ ენერგიას არც მიუმატოს და არც დააკლოს რამე, ამ ხდომილების ალბათობა ნულს უახლოვდება.

ახალი ფაზა იწყება წინა დონისაგან განსხვავებულ, სხვა პარალელურ სამყაროში. იმისდა მიხედვით, ადამიანმა წმინდა ენერგია დააგროვა თუ გაფანტა, ის ხვდება არსებულზე ზედა — მაღალენერგეტიკულ, ან ქვედა — დაბალენერგეტიკულ დონეზე. უაზრო ცხოვრებას ადამიანი გადაჰყავს უფრო და უფრო დაბალ ქვედონეებზე; და ალბათ, აქედან იწყება ის, რასაც ჯოჯოხეთს ვუწოდებთ.

ამრიგად, ადამიანი სხვადასხვა ფაზებით შესაბამის პარალელურ სამყაროებში გადადის. ზედა, უფრო მაღალ, წმინდა ენერგიების შესაბამის პარალელურ დონეებზე მიწიერი ტვირთი სუსტდება. ნისლივით ქრება ავადმყოფობა, უგუნურობა. . . .; მატულობს სიყვარული, საკუთარი თავის და ღმერთის რწმენა. ეს ის მდგომარეობაა, რასაც ჩვენ ამ ცოდვილ მიწაზე ბედნიერებას, ანუ სამოთხეს ვუწოდებთ, რის აღწერასაც ჩვენი უსუსური ფანტაზია ვერ შეწვდება. ეს ის უმაღლესი მიწიერი, ამაღლებული ენერგეტიკული მდგომარეობაა, საიდანაც უმაღლეს, ღვთაებრივ მეორე დონეზე კვანტური ნახტომი უკვე მაღალაღმათურია.

ამგვარად ხდება უმაღლეს კანონზომიერებასთან, ღმერთთან მიახლოება და ბოლოს, უდიადეს სიკეთეს, სრულყოფილებას ვაღწევთ, ვუერთდებით ქრისტეს, ანუ ვხვდებით ისეთები, როგორადაც ღმერთმა თავიდანვე ჩაგვიფიქრა. შემდეგ კი ქვევით ამ ჩანაფიქრის აღსრულებისთვის ჩამოგვიშვა და სრულყოფით, ამაღლებით მასთან ზეცაში დაბრუნების შანსი, არჩევანი მოგვცა.

და უკვე გასაგები ხდება ჩვენთვის იოანე 3.13.

„არავინ ასულა ზეცად, გარდა ზეცით ჩამოსული კაცის ძისა, რომელიც არის ცაში.“

სანამ ღვთიურ სრულყოფას არ მიაღწევთ, სანამ ქრისტესავით არ განიწმინდებით, სანამ ქრისტეში არ „გაიხსნებით“, ზეცას ვერ შეწვდებით, ვერ მიიღებთ მარადიული სიცოცხლის წყაროს.

ეს არაა მერეხელობა ეს თვალსაზრისი ჩვენ არ გვეკუთვნის, ეს ქრისტიანობაში განღმრთობის, ანუ თეოზისის საყოველთაოდ ცნობილი აზრია.

განღმრთობას ვერ მივაღწევთ: თუ არ დავიცალეთ მიწიერი, ქვენა აზრებისაგან, იდეებისაგან; თუ ჩვენი სული სრულად არ განიწმინდა უმსგავსო, მახინჯი აზრობრივი, უფორმო და უშინაარსო არსისაგან. თუ სულის „ჭურჭლის“ დაცლა არ მოხდა, ღვთიურ, წმინდა ენერგიას ვერ მივიღებთ.

მართლაც, **საგსე ჭურჭელს წვეთსაც ვერ დაამატებთ. თუ „ჭურჭელი“ არ დაიცალა, არ გათავისუფლდა, მისი შევსება შეუძლებელია. არ არსებობს სხვა გზა, სხვა მექანიზმი, რომელიც უმაღლესამდე მიგვიყვანს და მოგვცემს იმ ენერგიას, რითაც „ზეცას“ შევწვდებით.** ახლა უკვე გასაგები ხდება (მათე 5. 3)

„ნეტარ არიან სულით გლახაკნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.“

დაიხ, ეს არსით იგივეა, რაც იოანე 3.13. და არავითარ შეუსაბამობას ადგილი არა აქვს.

როგორც აღვნიშნეთ, გლახაკი, მთხოვნელი, თავმდაბალი. ამ კონტექსტში განიხილება არა მატერიალური საკვების, არამედ სულიერი საკვების, სული წმინდის მადლის, ქრისტეს წმინდა ენერგიის მთხოვნელი.

სამყაროს უნიკუმი, ადამიანი, სულიერად განვითარებადი, ურთულესი არსებაა. ადამიანის ბუნების ნაწილი უკვე გამოქვდავებულია, დანარჩენი კი ჩვენთვის ჯერაც დაფარულია. მისი შემეცნების ხარისხი, სამყაროს შემეცნების ჩვენი მოდელის თანახმად, იმაზეა დამოკიდებული, თუ ადამიანს

რამდენად შესწევს უნარი, აღიქვას ის ვიბრაციები, რიტმები, რომლებიც ზედა სუბსტანციებიდან ჩვენს სამყაროში, ადამიანის ასტრალურ ველში უსასრულო მრავალფეროვნებით შემოდის.

განუვითარებელი ადამიანი მხოლოდ ფიზიკურ, უხეშ რხევებს: დღე-ღამის, სიცხე-სიცივის, ტკივილისა და ფიზიოლოგიური კმაყოფილების ვიბრაციების ცვალებადობას აღიქვამს. რაც შეეხება ამაღლებულ, ფაქიზ, ასტრალურ და მენტალურ ვიბრაციებს, განუვითარებელისათვის, ასტრალურობის დაბალი დონიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ შეუმჩნეველია. თუმცა, მას ასტრალური ველის დახვეწის თანდაყოლილი პოტენციალი აქვს და რაც უფრო მეტი რიტმის აღქმის სურვილი უჩნდება, მით უფრო უახლოვდება მისი შემეცნება მენტალური (იდეათა) ველის რიტმს.

ერთ განცალკევებულ, საზოგადოებიდან თვითნებურად გარიყულ ადამიანს საკუთარი ასტრალური ველის დახვეწის, გაფაქიზების მცირე შანსი რჩება. ადამიანის ასტრალური რიტმის ეფექტურად დახვეწა-გაძლიერება ამაღლებული მიზნის გარშემო გაერთიანებულ ზნეობრივ ადამიანთა ჯგუფის მძლავრ რიტმს შეუძლია. როგორი ნიჭიერიც უნდა იყოს ადამიანი, ის დიდი შემოქმედი ვერ გახდება; მაგ., მათემატიკოსი ან კომპოზიტორი, თუ შესაბამისი ამაღლებული რიტმის ველში არ მოხვდა, მნიშვნელოვან შედეგს ვერ მიაღწევს; და არა აქვს მნიშვნელობა ამ რიტმში შესვლა პირდაპირი, უშუალო, ადამიანური სიახლოვეთ ხდება, თუ ამაღლებული რიტმის მქონე ადამიანების შემოქმედების ნაყოფის ზეგავლენის მეშვეობით.

უფრო ნათლად: მე უშუალო კონტაქტი არ მქონია რენესანსის პერიოდის უდიდეს მხატვრებთან, მაგრამ მათი შემოქმედების ნაყოფი – ფერწერული ტილოები, სკულპტურა, არქიტექტურა . . . მათი ჯამური რიტმის მატარებელია და სწორედ ეს უდიდესი რიტმი აფაქიზებს ჩემს ასტრალურ ველს. მე ვხდები უფრო მეტი, ვიდრე მათთან შეხვედრამდე ვიყავი და ეს მცირედი ამაღლება, წმინდა ენერგიის მიმღები „მექანიზმის“ დახვეწისათვის, შემდგომი განვითარების საწინდარია.

„ვინ ვარ მე, რა გავაკეთე? – მე ყველაფერი შევკრიბე და გამოვიყენე, რაც ღვინაზე, რაც გავიგონე და საკუთარი დაკვირვებით აღვიქვი. ჩემი შემოქმედება მრავალი განსხვავებული ინდივიდის – გაუნათლებლისა თუ ბრძენის, ჭკვიანისა თუ სულებლის – მიერაა ნაკვები. სიყმაწვილემ, მოწიფულობამ, სიბერემ – საკუთარი აზრები, შესაძლებლობები, იმედები, ცხოვრების მანერა გადმოიტანა. ხშირად ვიმედი იმას, რაც არ ღამითესია. ჩემი შემოქმედება კრებითი არსების შემოქმედებაა და მას სახელად ჰქვია – გოეთე“.

ამიტომ იყო ის უნივერსალური ადამიანი. კაცობრიობა გოეთეს იცნობს, როგორც პორტრეტისტს, პეიზაჟისტს, არქიტექტორს, დრამატურგს, ლირიკოსს, პროზაიკოსს, მეფარისტს, კრიტიკოსს, პუბლიცისტს, მსახიობს, რეჟისორს, თეატრის დირექტორს, გრავიორს, წიგნის მკინძავს, ალქიმიკოსს, ფრენოლოგს, ანატომისტს, ოსტეოლოგს (ძვლების მკვლევარი), ბოტანიკოსს, ფიზიკოსს (ელექტრომაგნიტიზმი, ოპტიკა, კრისტალოგრაფია), ფილოსოფოსს, ასტრონომს, გეოლოგს, ოურისტს, ისტორიკოსს, ხელოვნებათმცოდნეს, სახელმწიფო მოღვაწეს, ფინანსისტს, ბიბლიოთეკის დირექტორს, მოგზაურს.

ვიმეორებთ, – „ჩემი შემოქმედება კრებითი არსების შემოქმედებაა და მას სახელად ჰქვია – გოეთე.“ აი, ეს არ ესმის ბევრს, ამიტომ მხოლოდ საკუთარი, სუბიექტური ხედვით ცდილობენ უმეცრების ბურუსში ხელის ცეცებით გზის გაკვლევას და ორიგინალობაზე ოცნებობენ. სწორედ ამ პატივმოყვარეობასა და ამპარტავნებას მიჰყავს ასეთი ადამიანები ინფანტილიზმამდე. მათ ავიწყდებათ, რომ

არ არსებობს ახალი ცოდნა, რომელიც ძველს არ ეყრდნობა!

ჩვენში სამშობლოს სიყვარულის ასტრალურ ველს რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის . . . ჯამური რიტმი საოცრად ხეწის, აფაქიზებს და ხდება უფრო მაღალ, წმინდა ენერგიის შესაბამის ღონეებზე გადასვლა.

და იწყება სასწაული: გამარჯვების, სამშობლოს გადარჩენის უდიდესი ჟინით, მიზნით შეპყრობილი მებრძოლი ჭრილობით გამოწვეულ ტკივილისაც ვერ გრძნობს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ

„სივრცე“ ტკივილის გარეშე? ამით უზენაესი მიგვანიშნებს, რომ არსებობს არეალი, ამაღლებული ღონე, სადაც არაა ტკივილი.

როდესაც ადამიანის აღზნება გადის (ამაღლებული ასტრალური მდგომარეობიდან დაქვეითებულიში გადადის) და მას მიწიერი შეგრძნება უბრუნდება, მხოლოდ ამის შემდეგ შეიგრძნობს ტკივილს და ჭრილობის დანახვაზე შოკში ვარდება.

ასევე, მეცნიერი ან ხელოვანი, თუ იგი მთელი არსით პრობლემის გადაწყვეტის, შემოქმედების პროცესშია ჩართული, ვერ გრძნობს შიშშილს, დაღლას – ივიწყებს ფიზიკურს, მატერიალურს; და ის მთლიანად ამაღლებული ასტრალური და მენტალური ვიბრაციების სამყაროში იმყოფება.

თუ ადამიანი სამშობლოს სიყვარულით და მისთვის ღვაწლის გაღების მიზნითაა შეპყრობილი, ის საკუთარ პოტენციალს, შემოქმედებით უნარს სრულად ამოქმედებს და სამშობლოსათვის შეუძლებლის გაკეთებას შეძლებს.

ამრიგად ცხადია, თუ რა როლს შეასრულებს ეთნოსის, ერის, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარებაში სამშობლოს სიყვარულით შეპყრობილ პიროვნებათაგან შემდგარი ის მთავარი ქვესისტემა, რომელიც ქვეყნის არსის, იდეის რიტმის მქონეა.

ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად, ერთდროულად სამ სამყაროში არსებობს – ფიზიკურში, ასტრალურსა (გრძნობათა) და მენტალურში (აზრობრივში).

ადამიანი, როგორც ურთულესი ბიოლოგიური სისტემა, შედგება უფრო მცირე ქვესისტემებისაგან. უჯრედი უმარტივესი ცოცხალი ქვესისტემაა. ის, თითქოს საკუთარი ცხოვრების წესით ცხოვრობს. მას, თითქოს საკუთარი სული აქვს. უჯრედი შედგება მოლეკულებისაგან, რომლებიც განიცდიან ასიმილაციას; მათ დროთა განმავლობაში შეიძლება დატოვონ უჯრედი; ახალმა მოლეკულებმა შეცვალონ ძველი; თვით უჯრედებიც იცვლებიან, მაგრამ მათი არსი, იდეა უცვლელი რჩება. მათ ჩვენთვის გაუცნობიერებელი ვიბრაცია, მეხსიერება, აზრი მართავს. ჩვენ იგივეს არ ვგრძნობთ, რასაც უჯრედი. ჭრილობის მიღებისას, ჩვენთვის გაუცნობიერებელი, უჯრედის უნიკალური მექანიზმი უკავშირდება მთლიანი ორგანიზმის ზემოქანის, რომელიც, თავის მხრივ, იმ უნიკალურ ფენომენს უკავშირდება, რასაც მეხსიერება, გონი ეწოდება და ამ გონის ქმედებით, ჩვენგან დამოუკიდებლად, ინტენსიური პროცესი იწყება. სხვაგვარად არ იხსნება ის საოცრება, რომ ჩვენი მხრიდან ყოველგვარი თხოვნისა თუ ბრძანების გარეშე ჭრილობის აღდგენა მიმდინარეობს და საშიშროების გავლის შემდეგაც კი უჯრედები ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებენ, ამიტომ რჩება ჭრილობის შემდეგ ნაჭდევი, ამონახურცი.

რა მართავს ამ პროცესებს?

გავიხსენოთ, უჯრედი შედგება მოლეკულებისაგან. ის, თავის მხრივ – ატომებისაგან. ატომები და მისი შემადგენელი ნაწილები – იმ ელემენტარული ნაწილაკებისაგან, რომლებიც ავსებენ ასტრალურ ველს, რაც, თავის მხრივ, უკვე იდეათა სამყაროს წარმოადგენს.

იქ, სადაც არის ეს რხევები, რიტმები, ვიბრაციები, ანუ ელემენტალური ნაწილაკები, არის ასტრალური ველი. მატერიალური ნაწილაკები ერთმანეთს უშუალოდ არ ეხებიან. მათი ურთიერთქმედება ველის ვიბრაციის მეშვეობით მიმდინარეობს, ანუ არსებობს ადამიანის ნაწილაკობრივი სხეული და ამ ნაწილაკებს შორის არსებული ასტრალური სხეული. ნაწილაკობრივი ადამიანი ასტრალურის „ღუბლიკატია“.

ასტრალურ სხეულს ხელეწიფება მიიღოს ადამიანის იდეის შემქმნელი წმინდა ენერგია. მას, თავის მხრივ, მართავს მთავარი არქიტექტორი, „იდეათა იდეა“ – ღმერთი და ესაა „მე“-სა და შემოქმედის ერთობა, რაც ნებისმიერ ორგანიზმს აშენებს. სწორედ ეს ღვთიური კავშირი, ერთობა აკავშირებს ორგანიზმის ნაწილაკებს, უჯრედებს, ორგანოებს ერთმანეთთან.

გამოდის, რომ ასტრალური ველი არის სიცოცხლის ძალის გამტარი. ის არა მარტო მზის ენერგიას, არამედ კოსმოსიდან წამოსულ ზეფაქიზ ენერგიასაც ვიბრაციების სახით იღებს.

გრძნობები: ტკივილი, სიხარული, ტანჯვა, სიყვარული . . . ჩვენს ცნობიერებაში ასტრალური ველით შემოდის.

ადამიანთა უმრავლესობა ზეფაქიზ სამყაროს რიტმებს, ვიბრაციას ვერ აღიქვამს; თუმცა, ზეფაქიზი სამყარო არსებობს და მგრძნობიარე ადამიანები მას აღიქვამენ. სოკრატე, ვაჟა, გალაკტიონი. . . მათით ვიზრდებით. . . და არ არსებობს ახალი ცოდნა, რომელიც ძველს არ ეყრდნობა.

იმის მიუხედავად, რომ მენტალურ სხეულს სრულყოფილად ვერ „ვხედავთ“, მის მცირე ნაწილს მაინც შევიგრძნობთ. ყველა დადებითი და უარყოფითი ემოცია, გრძნობა, ჟინი, გატაცება ამ ველის მეშვეობით შემოდის. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ვიღაც ცდუნებასაა აყოლილი, ეს არამართებულია. ყველაფერს ასტრალური სივრცით შემოსული მენტალი განკარგავს. სხეული კი მხოლოდ გამტარია და არა პასუხისმგებელი. მეცნიერული თვალთახედვით, თქვენ უშუალოდ საყვარელ ადამიანსაც კი ვერ ეხებით, თქვენ შორის ყოველთვის არის ის, რასაც ჩვენ ფიზიკურ ვაკუუმს, ეთერს, ფლუიდს, ასტრალურ სივრცეს ვუწოდებთ. თქვენში მისდამი სიყვარული და მისი სითბოც კი ასტრალურად შემოდის, შემდეგ კი მენტალით აღიქმება.

ასტრალური სხეული ადამიანის უმაღლესთან დამაკავშირებელი მექანიზმია. ის აღძრავს აზროვნების ან გამოთავყვანების სურვილს, ასტრალური სხეულის კავშირი მენტალურ სივრცესთან ვიბრაციით, რიტმით მყარდება. ის კი, უკუკავშირით, ისევ ასტრალურის გავლით, ჩვენში აღძრავს ვიბრაციას — რა შეიძლება და რა — არა. ტრავმული მაშინ იწყება, როცა ადამიანი ამ რიტმს ვერ გრძნობს.

„მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა“. (ვაჟა)

თავდაპირველად, მენტალურთან შედარებით, ასტრალური სხეული ისევე უხეშია, როგორც აგური, გაზაფხულის ნიაფთან. ასტრალურს სხეულს, მენტალურ ველთან შედარებით, მეტი სიმკვრივე აქვს. ამიტომ მენტალური ველი განმსჭვალავს ასტრალურს. ასტრალური სხეულის სიმკვრივეზე ჩვენ გარშემო არსებული რიტმი მოქმედებს. ამ რიტმს შეუძლია გააუხეშოს ან გააფაქიზოს ასტრალური ველი. შესაბამისად, შესაძლებელია ასტრალური ველი ისე გაფაქიზდეს, ამაღლდეს, რომ მისი სიმკვრივე მენტალურს მიუახლოვდეს.

მთავარია მივხედეთ:

განუვითარებული ადამიანის მენტალი ვერ აღწევს იდეათა, კვაზიპოსტერიორულ, კანონზომიერების და შესაძლებლობის ველში. მხოლოდ აქტიური, შემოქმედებითი ლოგიკა ქმნის ორიგინალურ, მდგრად მენტალურ სხეულს. მხოლოდ ამ გზით ხდება ის უკვდავი. ამის შემდეგ იბადება ის, რაც არასდროს ქრება. ამრიგად, მთავარია ღვთისთმომადლებული გონება დომინირებადი გახდეს. ის ქმნის ადამიანს და ეს შესაძლებელია, რადგან ყველაფერი, რაც ჩემშია და ჩემ გარეთ, „ცურავს, ლივლივებს“ იმაში, რასაც მსოფლიო სულს ვუწოდებთ. და თუ ვინმე, საკუთარ თავს ამ სულის ნაწილად არ მიიჩნევს, ის არშემდგარი, არდაბადებული, მკვდარი ადამიანია.

შესაბამისად, განუვითარებელი ადამიანის მენტალი არამდგრადია და სხვისი აზრების მექანიკურად მიღება მის მდგრადობას ვერ ზრდის.

ნებისმიერი რელიგიის საფუძველი არა მარტო ზნეობრივი, არამედ გონებრივი „აღზრდა“, ადამიანის ადამიანად ქცევა, ანუ ახლიდან დაბადებაა. ადამიანის ადამიანურობის ხარისხს მისი აზროვნების დონე განაპირობებს. ამიტომ მხოლოდ „კარგად“, „ზრდილობიანად“ მოქცევა, წყნარად ცხოვრება არაა საკმარისი, უმთავრესია თუ როგორ ვაზროვნებთ და რაა ჩვენი აზროვნების შედეგი.

ჩვენი მომავალი — ვიქნებით არშემდგარი, მრავალჯერ მკვდრადშობილი, თუ მარად ცოცხალი, ჭეშმარიტი ადამიანი, მხოლოდ ჩვენზე და ჩვენ მიერ შექმნილ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ღმერთმა ეს უდიადესი არჩევანი — მარადისობა, თუ მუდმივი „არარაობა“ — გვიწყალობა.

შესაბამისად, ჩვენი მენტალობის ხარისხი განსაზღვრავს, ვიცოცხლებთ თუ მკვდრებად დავრჩებით.

ყოველი ჩვენგანი წმინდა ენერგიის გარკვეულ რაოდენობას ფლობს და ამ ენერგიის შესაბამის ღონეზე იმყოფება (ნახაზი 1. ღონე 1). სანამ ადამიანი უმაღლეს ღონეზე გადასავლელად საჭირო სიკეთისა და სიყვარულის, წმინდა ენერგიის განსაზღვრულ რაოდენობას არ „დააგროვებს“, სიცოცხლეში – უმაღლეს ღონეზე (ნახაზი 1. ღონე 2) – გადასვლა არ მოხდება.

დაუპბრუნდეთ ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს – საკმარისია თუ არა ერთი ცხოვრება, რათა ადამიანმა შემდგომ ღონეებზე გადასასვლელად საჭირო „ენერგია“ დააგროვოს? ვთქვათ, ჩემთვის განკუთვნილ მიწიერ ცხოვრებაში ვერ მოვასწარი შესაბამისი ენერგიის დაგროვება, მაშინ რა ხდება, ვქრები? – არა, როგორც აღვნიშნეთ, ღვთის უდიადესი სიკეთე ისაა, რომ ადამიანს ამ ცოდვილ სამყაროში წმინდა ენერგიის დასაგროვებლად უსასრულო რაოდენობის შანსი ეძლევა; შესაბამისად, თუ ამაღლებისათვის ერთი ცხოვრება არ გვყოფნის, მაშინ, ჩვენი აზრით, სიცოცხლისაკენ სწრაფვას თავიდან ვიწყებთ.

დამაფიქრებელია ერთი გარემოება: ქრისტიანობის პროტესტანტულ გააზრებაში გამოიკვეთება გამორჩეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც, როგორც ამბობენ, „იქ მოხვდებიან“, ხოლო დანარჩენნი ამას ვერასდროს ეღირსებიან. გამოდის, რომ ღმერთმა ზოგისთვის გაიმეტა სიკეთე და ზოგისთვის, რატომღაც – არა. ეს ღვთის სიკეთეზე ჩვენს წარმოდგენას ეწინააღმდეგება: ის ხომ აბსოლუტური სიკეთეა და შეუძლებელია ადამიანს ამაღლებისათვის მხოლოდ ერთ შანსს აძლევდეს. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული წარმოდგენილ დავითის 62 ფსალმუნში ვკითხულობთ:

“ღმერთო, ღმერთო ჩემო, შენდამი აღვიმსოთ; სწყურიან შენდამი სულსა ჩემსა; **რაოდენჯერმე არს ხორცი ესე ჩემი ქუეყანასა ამას შინა უდაბნოსა, და უგზოსა და ურწყულსა?** ესრეთ წმიდასა შინა გერეუნო შენ, რათა ვიხილო მე ძალი და დიდებაი შენი. (ფსალმუნი 62 2.; ბ 3)

აქ ნათლად ჩანს, რომ ადამიანი ღმერთს მიმართავს კითხვით: რამდენჯერ უნდა მოვიდე ხორციელად ამ უბადრუკ „უდაბნოსა, და უგზოსა და ურწყულსა“ მიწაზე, „რათა ვიხილო მე ძალი და დიდებაი შენი“ (ანუ ღვთაებრივი სამყარო).

იგივე ფსალმუნი სტოკჰოლმის გამოცემაში (1991 წელი) წარმოდგენილია ასეთი სახით:

“ღმერთო! შენ ხარ ჩემი ღმერთი, ცისკრის ჟამიდან გემებ, სწყურიხარ ჩემს სულს. შენზე ნაღვლობს ჩემი სული უკაცრიელ და გამოფიტულ, უწყლო მიწაზე. ასე ვიხილე წმიდაში, რათა მენახა სიძლიერე და პატიოსნება შენი.“ (ფსალმუნი 62 2.; 3)

რატომღაც წინადადება – „**რაოდენჯერმე არს ხორცი ესე ჩემი ქუეყანასა ამას შინა უდაბნოსა, და უგზოსა და ურწყულსა?**“ – ამოღებულია.

ფსალმუნში ამგვარი ცვლილების შეტანა ჩვენს კონსტიტუციას ხომ არ გაგონებთ?

ამ კუთხით საინტერესოა დავითნის ეს ადგილიც – „ვიდრე მთები დაიბადებოდნენ და შექმნილი დედამიწასა და სამყაროს, და უკუნითი უკუნისამდე შენ ხარ ღმერთი. კაცს დააბრუნებ ზრწნადობისათვის და ეტყვი: „დაბრუნდი, ძენო ადამიანო! რადგან ათასი წელი შენ თვალში, ვითარცა გუშინდელი დღე, რომ გადაიარა, და მესამედი ღამისა“ ფსალმუნი (89 (90), 2-4).

დავფიქრდეთ რას ნიშნავს – **კაცს დააბრუნებ ზრწნადობისათვის** . . . ეს ჩვენი მიწიერი გააზრებით, ადამიანის მიერ დაგროვილი წმინდა ენერგიის შესაბამის ღონეზე შემდგომი „ზრწნადობისათვის“ გადაყვანას უნდა ნიშნავდეს, რათა მან გაიაზროს ღვთიური კანონზომიერება და ამაღლდეს, შეწვდეს მის სიკეთეს.

„დაბრუნების“ არსი ასევე მოცემულია მათეს სახარებაში (17, 10-13).

ჰკითხეს მას მოწაფეებმა და უთხრეს: „რატომ ამბობენ მწიგნობარნი, პირველად ელია უნდა მოვიდესო?“ ხოლო მან უპასუხა და თქვა: „ელია, მართლაც, პირველად მოვა და აღადგენს ყოველს; მაგრამ გეუბნებით თქვენ: ელია უკვე მოვიდა, და ვერ იცნეს იგი, არამედ, როგორც უნდოდათ, ისე მოექცნენ. იგივე ტანჯვა ელის მათგან კაცის ძესაც. მაშინ მიხვდნენ მოწაფეები, რომ იოანე ნათლისმცემელზე ელაპარაკებოდა მათ“.

ნათლად ჩანს, რომ ელია ბრუნდება იოანეს სახით და ის ამიტომ ვერ იცნეს. დიახ, სული უკვდავია. ამას არაცნობიერად მრავალი ზღვება.

მაგალითად, არტურ შოპენჰაუერის აზრით: — „ვერობა დედამიწის ის ნაწილია, სადაც ბრძოდ და ჯიუტად სწამთ, რომ ადამიანი არაფრისაგან შეიქმნა და ეს დაბადება არის მისი პირველი მოვლინება ამ მიწაზე.“

სულის მრავალგზის გარდასხეულებაში დარწმუნებულნი იყვნენ სოკრატე, პლატონი, პითაგორა. ცხოვრების ბოლოს სოკრატემ განაცხადა — მე ეჭვი არ მეპარება იმის არსებობაში, რასაც ახალ სიცოცხლეს უწოდებენ. იმაში, რომ ცოცხლები მკვდრებისგან აღდგებიან. პითაგორას კი მისი წარსული ცხოვრებებიც კი ახსოვდა.

ვოლტერი — ორჯერ დაბადება ერთხელ დაბადებაზე გასაკვირი როდია.

ბენჯამენ ფრანკლინი — თუ აღმოვაჩინე, რომ ამ სამყაროში ვარსებობ, მაშინ მწამს, რომ ამა თუ იმ ფორმით მე მუდმივად ვიარსებებ.

გოეთე — დარწმუნებული ვარ, რომ მე ამ სამყაროში უკვე ათასჯერ ვიყავი, როგორც — ახლა, და იმედი მაქვს ასევე ათასჯერ დავბრუნდები.

ონორე დე ბალზაკი — ყველა ადამიანი გაივლის წინარე ცხოვრებას . . . ვინ იცის, სამოთხის მკვიდრმა რამდენი სხეულებრივი ფორმა გაიარა, სანამ მას იღუპალი სიჩუმის ფასეულობასთან მიიყვანდნენ, რომლის ვარსკვლავიანი სივრცეც მხოლოდ სულიერი ცხოვრების წინარე მდგომარეობაა.

გრაფ ტოლსტოი — ჩვენ სიზმარით ვავივლით ათას ცხოვრებას. ასევე ეს ცხოვრება არის მეათასედი იმ ცხოვრებისა, სადაც უფრო ნამდვილი, რეალური ცხოვრებიდან შემოვიდვართ. სწორედ ამ რეალური ცხოვრებიდან, გამოვდით და იქვე ვბრუნდებით, როცა ვკვდებით. ჩვენი ცხოვრება უფრო ნამდვილი ცხოვრების ერთი სიზმარია და ასე გრძელდება უსასრულობამდე. უკანასკნელ, ნამდვილ ცხოვრებამდე, ანუ ლეითურ სიცოცხლემდე.

პოლ გოგენი — როცა ირღვევა ფიზიკური სხეული, სული ცოცხლობს, დევრადირდება ან მაღლდება იმისდა მიხედვით, ღირსეულად თუ უღირსად ცხოვრობდი.

ერიკ ერიკსონი — მოდი, ნუ დავხუჭავთ თვალებს: ჯანმრთელად მოაზროვნე ადამიანი სულის სიღრმეში დარწმუნებულია, რომ ის ცოცხლობდა და ასევე იცოცხლებს ამ ცხოვრების შემდეგ.

დასაფიქრებელია სიკვდილმისჯილი სოკრატეს უკანასკნელი სიტყვები: „. . . მართლაც, ვინ იცის, რა არის სიკვდილი? იქნებ ის უდიდესი სიკეთეა ადამიანისათვის? რამდენი რამ გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ სიკვდილი სიკეთეა! მართლაც, ორში ერთია, სიკვდილი ან არარაობად ქცევაა, ისე, რომ მკვდარი ვერაფერს გრძნობს, ანდა თუ ძველ გადმოცემებს ვერწმუნებით, სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არა გარდაცვალება, სულის ფერისცვალება და აქედან სხვა ქვეყნად გარდასახლება . . . სიკვდილი უფრო წყალობაა . . . მეორე მხრივ, თუ სიკვდილი მხოლოდ გარდაცვალებაა და სულის სხვა ქვეყნად გარდასახლება . . . რა შეიძლება იყოს ამაზე დიდებული . . . კეთილი კაცის ხვედრი კეთილია, როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც, და ღმერთები მზრუნველობას არ მოაკლებენ მას. . . თუმცა დროა, წავიდეთ: მე — რათა მოვკვდე; თქვენ — რათა იცოცხლოთ, ხოლო ვისი ხვედრია უკეთესი, არავინ უწყის, გარდა უფალისა.“

არაცნობიერად მრავალი სხვა მოაზროვნე თუ უგუნური მიდის მარადიული სიცოცხლის აზრთან. დაფიქრდეთ:

თუ მთელი ეს ხილული და უხილავი სამყარო ღმერთის შექმნილი და მისი ნაწილია, როგორ შეიძლება ის გაქრეს?! და განა სულს ეს მით უმეტეს არ ეხება?!

ამ მსჯელობის თანახმად ან სული მუდმივია, ან ღმერთის მარადიულობა ეჭვქვეშ დადგება.

და თუ მეორედ დაბადებას არ აპირებ, მაშინ პირველად რად დაიბადე, ნუთუ მხოლოდ იმიტომ რომ მოკვდე?

ქართულ ცნობიერებას მცენარის სიკვდილიც კი ვერ წარმოუდგენია. ქართველი ადამიანი ამბობს: „ხე დავრგე და ვერ იხარაო“.

„მრწამს, მარად მიწამება მუდმივ სიცოცხლე სულისა“ . . . (ვაჟა)

მართლაც, რა არის სიცოცხლე?

„უთხრა მათ იესომ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუკი არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში“ (იოანე 6, 53); „ვინც ჭამს ჩემს ხორცს და სვამს ჩემს სისხლს, ის ჩემშია, ხოლო მე – მასში“ (იოანე 6, 56).

ჩვენი აზრით, ქრისტეს ხორცის ჭამა და სისხლის სმა წმინდა ენერგიის იმ რაოდენობის მიღებას ნიშნავს, რომელიც ქრისტემდე აგვამალლებს. მანამდე კი ჩვენ მხოლოდ ვარსებობთ და არ ვცოცხლობთ. აქ განსხვავება არსებობასა და სიცოცხლეს შორის ნათელია.

იგი მკვდრებს უწოდებს სწორედ იმით, ვინც სიცოცხლისაკენ არ ისწრაფვის.

აქედან გამომდინარე, მიწიერ, რეალურ და ირეალურ სამყაროში მხოლოდ ჩვენი მკვდარი მატერიალური სხეულის ცვლა მიმდინარეობს. სხეული იცვლება სხვადასხვა დონეებზე გადასვლისას, და რა საოცარიც უნდა იყოს, ეს პროცესი ამ არსებობის დონეზეც მიმდინარეობს, სადაც ამჟამად ვიმყოფებით.

ადამიანის სხეულის შემადგენელი უჯრედები პერიოდულად იცვლება ახლით. უფრო ნათლად – თქვენ ბავშვობაში სულ სხვა უჯრედებისაგან შედგებოდით, ვიდრე დღეს. სხვა სიტყვებით, თქვენ სხეული ტანსაცმელივით გამოიცვალეთ და ეს პროცესი არც კი გიგრძენიათ. ალბათ, ერთი დონიდან მეორე დონეზე გადასვლისას, თითქმის ანალოგიური ხდება. ამას ქართველი ადამიანი არააღიარებდად ხვდებოდა და ამიტომაც, ქართულ ენაში არსებული სიტყვა გარდაცვალება, თავისთავად, არსებობის ერთი ფორმის მეორეთი შეცვლას ნიშნავს და არა გაქრობას. ადამიანი მხოლოდ ფორმას იცვლის, სული კი მარადიულია. აქ ადგილი აქვს ერთ არსებობას, რომელიც გარკვეული დროით სხვადასხვა დონეზე მრავალჯერადად არსებობს. შესაბამისად, ამ ერთი არსებობისას თუ ადამიანი იმ რაოდენობის წმინდა ენერგიის დაგროვებას შეძლებს, რაც ზერეალურ დონეზე გადასასვლელადაა საკმარისი, ის იმ მარადიულობაში შედის, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

სხვა შემთხვევაში, ამ მოდელიდან გამომდინარე, სულის უკვდავება, მისი არსის მარადიულობა ვერ იხსნება.

დასკვნა ერთია, ადამიანის არსის წყვეტადობა არ ხდება. ის იყო, არის და იქნება.

დროა დავივიწყოთ ტერმინი „memento more“ და შევცვალოთ ის ტერმინით „memento vi-tam“.

ამ ლოგიკის თანახმად, თითოეულ დონეს უსასრულო რაოდენობის ქვედონეები, პარალელური სამყაროები უნდა ჰქონდეს, რომლებიც ასევე განჭოლავენ ერთმანეთს და მთლიანობაში პირველ დონეს, ანუ რეალურ და ირეალურ სამყაროს ქმნიან.

უფრო ნათლად: ვთქვათ, ადამიანი ხილული სამყაროს რომელიმე დონეზე, მრავალი პარალელური სამყაროებიდან ერთ-ერთში იმყოფება. მას, როგორც იდეას, შეუძლია სხვა დონეზე გადასვლა და იქ მატერიალიზება, შემდეგ ისევ, როგორც იდეას, საწყის დონეზე დაბრუნება და ხელახლა მატერიალიზება.

თუ ეს ასეა, მაშინ ამ მოდელით შეიძლება აიხსნას ის ფენომენი, რასაც სიზმარს ვუწოდებთ.

როგორც ცნობილია, ძილის დროს ცნობიერი არ ფუნქციონირებს და ადამიანის „მე“ იდეის მდგომარეობაში გადადის. შესაბამისად, ადამიანს იდეით რეალური და ირეალური სამყაროს პარალელური დონეებზე გასვლა შეუძლია. რას წარმოადგენს ჩვენი სამყაროს პარალელური სამყაროები? – არსით – თითქმის იგივეს, რასაც გარშემო ვხედავთ, მხოლოდ სხვა სივრცესა და დროში. ალბათ, ამ სამყაროებში მიწიერი საქართველოც არსებობს სხვადასხვა დროსა და სივრცეში, თანაც მრავალ კომბინაციაში. არსებობს წარსულის – დავითის ძლიერი საქართველო, ამჟამინდელი – დასუსტებული საქართველო, მომავლის – უდიდესი შესაძლებლობის საქართველო. შესაბამისად, შეიძლება თქვენ სიზმრით ნებისმიერი დროის საქართველოში „იმოგზაუროთ“ და უკან დაბრუნდეთ. არსებობენ ამაღლებული მგრძნობელობის ადამიანები, რომელთაც ეს ძილის გარეშეც შეუძლიათ.

წარმოდგინეთ ჩვეულებრივი ყოფა, ვთქვათ, მაგიდასთან მჯდომი მეგობარს ესაუბრებით და ყავას მიირთმევთ. ამ დროს სპონტანურად, არაცნობიერად, უსწრაფესად, პარალელურ სივრცეში გადადიხართ და ისევ უკან ბრუნდებით. აინშტაინის ფარდობითობის თეორიის თანახმად, ამ გადასვლა-დაბრუნების პროცესში დრო სხვაგვარად მიედინება; თქვენი ცნობიერი დროის ამ განსხვავებული დინების აღქმას ვერ ასწრებს; იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მცირე წინსწრებით, ადრე, ბრუნდებით საწყის სივრცეში, ცნობიერი უკვე განვლილ სიტუაციას ახლიდან აღიქვამს და თქვენ გაკვირვებული ხართ — ეს ხომ უკვე იყო, ეს ხომ მე უკვე ვნახე, შევიგრძენი?! სწორედ, ამ „უცნაურობას“ უწოდებენ დეჟავიუს. უმაღლესი, თითქოს, ამით სამყაროს მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს.

რაც შეეხება ჩვენს მეხსიერებას, გონს, ეს იმ ღვთაებრივი აბსოლუტური მეხსიერებისა და გონის ნაწილია, რომელიც მთელ სამყაროს განჭოლავს. შესაბამისად, ჩვენი არსი აბსოლუტური გონის იმ „ოდენობითა“ განმსჭვალული, რაც ინდივიდის განვითარების დონეს, ჯგუფისა თუ საზოგადოების აზროვნების დონეს შეესაბამება.

ამ მოდელით თქვენ თვითონ შეგიძლიათ ახსნათ მაგ., როგორ ნახა ლინკოლნმა სიზმარში საკუთარი სიკვდილი, მარკ ტვენმა — საკუთარი ძმის უბედურება და სხვა „აუხსნელი“ ფენომენები. ამავე მოდელით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ მიიჩნევს ჩვენი რელიგია თვითმკვლელობას დიდ ცოდვად. თუ სუბიექტი საკუთარ ცხოვრებას უაზრობად მიიჩნევს და თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას იღებს, ის ღვთის უდიდეს მადლს — წმინდა ენერგიის დაგროვებას — უარყოფს. სუბიექტი იმდენად დაქვეითებულ ენერგეტიკულ მდგომარეობაშია, რომ თვითმკვლელობის უაზრობასაც კი ვეღარ აანალიზებს. მასში შემორჩენილი წმინდა ენერგიაც „იფანტება“. და შესაბამისად, გადადის უმაღლესი ენერგიის შესაბამის პარალელურ სამყაროში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, მკვდრებიც კი სიკვდილს ნატრობენ.

თვითმკვლელობა უზრდელობა — ღმერთთან დაუპატიჟებლად სტუმრობაა. თუ მაინც ვერ დარწმუნეთ, გეტყვით — თვითმკვლელობა ნიშნავს, რომ სიღვდრი მართალია.

იბადება კითხვა: არსებობს თუ არა ჩვენთვის ძვირფასი, გარდაცვლილ, ანუ სხვა დონეზე მყოფ, ადამიანებთან შეხვედრის შესაძლებლობა? — ამ მოდელიდან გამომდინარე, შეხვედრის ალბათობა ნულს უახლოვდება. ვინაიდან, პარალელურ სამყაროთა რიცხვი უსასრულოა და იმისი ალბათობა, რომ მაინცდამაინც იმავე დონეზე მოხვდებით, სადაც თქვენი ახლობელია, უსასრულოდ მცირეა.

ამ სურვილის ასრულების ერთადერთი შესაძლებლობა, გზა არსებობს: როცა უდიადესი წმინდა ენერგიის იმ რაოდენობას დააგროვებთ, რაც უმაღლეს ღვთაებრივ დონეზე გადასასვლელადაა საკმარისი, იქ შეიცნობთ საკუთარი მარადიულობის არსს. ამ უმაღლესი დონიდან ყველა დონე ხელის-გულივით ცხადად ჩანს, ჩვენი ახლობლების აღქმა და მათთან კავშირი იქიდანაა შესაძლებელი.

ღმერთთან მისვლა ერთმანეთის პოვნას ნიშნავს.

სწორედ ამგვარად შეძლებთ თქვენს ახლობლებს ამაღლებაში დაეხმაროთ, სიცოცხლეში გადასვლის გზა დაანახოთ. რა თქმა უნდა, ეს ჰიპოთეზა გახლავთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორედ ამაშია სულთა მარადიულობის, სამყაროს მთლიანობის არსი.

ვიმეორებთ, ეს არის მხოლოდ ჰიპოთეზა, ანუ ჩვენი წარმოდგენა ხილული და უხილავი სამყაროს წყობაზე.

ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან თემებზე კვლავ გვექნება საუბარი. ამჟამად კი დავუბრუნდეთ ჩვენთვის უმთავრეს საკითხს.

რაც უფრო მრავლის მომცველია შენი სიყვარული, მით უფრო ამაღლებული ხარ, ანუ მით მეტია შენში აკუმულირებული წმინდა ენერგია და რაც უფრო მაღლდები, მით უფრო უახლოვდები სიყვარულის იდეას, უმაღლესს — ღმერთს.

სიყვარული

„ეს არის ჩემი მცნება, რათა გიყვარდეთ
ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ.“
(იოანე 15, 12)

რას წარმოადგენს სიყვარული? შევძლებთ სიყვარულის ღვთაებრივი ენერგიით შესაძლებლობის ველის გარღვევას?

შევცადოთ პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

ქრისტიანული რელიგიის საფუძველი სიყვარულია.

“სიყვარული არასოდეს მთავრდება; თუმცა წინასწარმეტყველნი გაუქმდებიან, ენები შეწყდებიან, ცოდნა გაუქმდება“. . . (I კორინთელთა 14, 8).

“ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი“ (I კორინთელთა 14, 13).

“სიყვარულია უმეტესი“, დიახ, ღმერთი სიყვარულია და სწორედ ესაა საყოველთაო იდეათა იდეა, რომელიც ყველაფერს განჭოლავს, რომლის გარეშეც ყველაფერი არაფერია!

შევცადოთ ვუპასუხოთ უმთავრეს კითხვებს, – ვის შეუძლია სიყვარული? სიყვარულია თუ არა ის, რასაც ადამიანთა უმრავლესობა განიცდის და სიყვარულად მიიჩნევს? როგორ წარმოგიდგენიათ, განა ამაღლების გარეშე, არშემდგარი ადამიანის შეგრძნებებს შეიძლება სიყვარული ვუწოდოთ?

ჩვენ ღმერთმა წმინდა ენერგიის ნაპერწკალი სიყვარულის პოტენციალის სახით გვარგუნა და ესაა ღვთის უდიადესი საჩუქარი. სწორედ ესაა ის, რაც ამაღლებას შეგვაძლებინებს. ისიც ცხადია, რომ, რათა ადამიანი პიროვნებად შედგეს მიღმა გასვლა, ამაღლებაა აუცილებელი.

ამაღლება კი თვითწარმადგებას, აპრიორული გონიდან აბსტრაქციულში გასვლასა და კვანძიანობისგან გათავისუფლებას მოითხოვს. ეს მხოლოდ ღვთიური სიყვარულის იდეის წვდომითაა შესაძლებელი. მხოლოდ ასეთ პიროვნებას აქვს შემდგარ ადამიანად დაბადების პოტენციალი;

და, თითქოს, მოჯადოებულ წრეს მივაღექით, – ამაღლება სიყვარულის იდეის წვდომას ითხოვს და პირიქით.

რით გავარღვიოთ ეს ჩაკეტილი წრე? – ჩვენ ღმერთმა ამაღლების უმძლავრესი მექანიზმი დაგვანათლა, – ჩვენ ხელგვეწიფება გავთავისუფლდეთ, საკუთარ თავზე ავმაღლდეთ!

ძალაუფლება საკუთარ თავზე ხომ უმაღლესი ძალაუფლებაა.

საკუთარ თავში ბოროტება მუდმივად, ნებისყოფის მობილიზებით, მისხალ-მისხალ უნდა განადგუროთ და ღმერთი სიკეთითა და სიყვარულით თავად შეგვავსებს! სწორედ ესაა ღვთის უდიადესი საჩუქარი, სიყვარულის იდეის წვდომის შანსი! და თუ ეს შევძელით, ჩვენ უკვე ამაღლებული, შემდგარი პიროვნება ვართ.

და თუ ადამიანმა ეს ვერ შეძლო, ანუ არშემდგარად დარჩა, ის სიყვარულის იდეას ვერასდროს შეწვდება; ვერსადროს აღმოაჩენს საკუთარ თავში სიყვარულის ღვთიურ ნაპერწკალს და ვერსდროს მიხვდება, რომ:

“კაცთა და ანგელოზთა ენებზედაც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღერიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი. წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემიძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ. მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო

გლახაკათვის და დასაწყავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია“ (I კორინთელთა მიმართ, 13, 1 –3).

დასკვნა: თუ ჩვენ საკუთარ სულში ბოროტებას დავთრგუნავთ, გავანადგურებთ და ღვთიური სიკეთით, სიყვარულით აღვივლებით, მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ ტრანსცენდენტაციას; და შევიგრძნობთ შემდგარი ადამიანის უსაზღვრო თავისუფლებას;

სწორედ, ესაა არჩევანის უდიადესი უფლება, რაც ღმერთმა მოგვანიჭა;

არჩევანი – თავისუფლებისათვის ბრძოლა თუ ბოროტების მონებად დარჩენა – ჩვენი გასაკეთებელია!

სწორედ ამადღებულ, შემდგარ, თავისუფალ ადამიანს შეუძლია უყვარდეს, უყვარდეს შვილი, ოჯახი, სამშობლო და ღვაწლი გაიღოს მათთვის.

ჩვენ გვაქვს შანსი სამყაროს შემდგარ პიროვნებად მოვევლინოთ!

ნუ დავრჩებით ბოროტების მონებად!

სიყვარული არის სიყვარულის ობიექტის აბსოლუტური ფასეულობის უშუალო, პირდაპირი აღქმა, რაც მისადმი მოწიწებულ დამოკიდებულებას ბაღებს და, მიუხედავად მასში არსებული ყველა ნაკლისა, მის არსებას სიხარულით ვიღებთ.

არშემდგარ ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ხშირად სიყვარული ტანჯვისა და წუხილის მომგვრელია თითქოს გამოდის, რომ გულგრილნი ნაკლებ უბედურნი არიან. ეს არაა სიყვარული!

და თუ ჩვენ შემდგარი პიროვნება ვართ, თუ ჩვენი რჩეული ჭეშმარიტად გვიყვარს, მისთვის უანგარო სამსახური ჩვენ აუცილებელ მოვალეობად მიგვაჩნია; სიყვარულისთვის, ბედნიერებისათვის ხომ მისი მხოლოდ არსებობაც კი საკმარისია.

პიროვნებად შემდგარ დედას შვილი ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარს და ჯერ კიდევ ახალშობილის პირველი ღიმილით დედის სული რაღაც შეუცვლელი, უსაზღვრო, მარადიული წმინდა ნათელით ივსება...

ამრიგად, ჭეშმარიტი სიყვარული კონკრეტული ცოცხალი არსების რელიგიური აღქმაა. როცა უანგარო სიყვარული შეგვეძლო, ჯერ კიდევ არ იყო ჩვენი სული ბოროტებით გაჟღენთილი, მაშინ ხომ გვწამდა, რომ დედა ყველაზე ლამაზია.

იმის მიუხედავად, ხდება თუ არა ამას შეყვარებული, ჭეშმარიტი სიყვარული, თავისი არსით, რელიგიური გრძნობაა. სწორედ ეს გრძნობაა ქრისტიანული რელიგიის საფუძველი.

საყვარელ ადამიანში ღვთაებრივ ანარეკლს – სიყვარულის იდეას – ვხედავთ, რაც ჩვენივე ამბებების, განვითარების, გაზრდის საწინდარია.

„თუმცა შენ დაგთმო, ვინლა ვჰპოვო, სად გავიზარდო“?

მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ აზრს – სად გავიზარდო.

პლატონი დიალოგში „ნადიმი“ ეროტიკულ სიყვარულს, ეროსს განიხილავს, როგორც რელიგიური გრძნობისკენ გადაღებულ პირველ ნაბიჯს, საფეხურს; მეორე საფეხურია ფილია, მესამე ალაპე – ღვთაებრივი სიყვარული. არშემდგართ ეჩვენებათ, რომ ეროტიკა ყველაზე მარტივად მისაღწევია. სიყვარული მხოლოდ თავისუფალთ შეუძლიათ! ლამაზ სხეულსაც ვერ შეიყვარებთ, თუ თავისუფალი არა ხართ, თუ სიყვარულის იდეას ვერ შეწვდით; ვერც ლამაზ სულს აღმოაჩენთ და ვერც ადამიანის არსის ღვთიურ – ჭეშმარიტ სიყვარულამდე – ამადღებით!

სწორედ, ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან ეროტიკა და ფიზიოლოგია.

ამრიგად, თავისუფალი ადამიანის ილუზორული „გაღმერთება“ ამადღებულ შემდგარ სიყვარულში გადაიზრდება.

თავისუფალ ადამიანში ჭეშმარიტი სიყვარულის მეორე ბუნებრივი ჩანასახი მეგობრული, დამბური, ოჯახის, გვარ-ტომის, ერის, სამშობლოს სიყვარულია.

სიტყვა „მოყვასის“ პირველადი აზრი, არსი, ფუძე სწორედ სიყვარულია.

ამ შემთხვევაში „მე“ შეიცავს დამოკიდებულებას „შენ“-თან, ანუ ერთობას – „ჩვენი“. ამრიგად, „მე“ და „შენ“ ვართ „ჩვენი“. ესაა დამოკიდებულება „ახლობლებს“, ანუ ჯგუფის თავისუფალ წევრებს შორის; მიუხედავად ამისა, შეიძლება ამ ჯგუფში იერარქიის აუცილებლობაც არსებობდეს, ანუ იყოს ჯგუფის მიზნისაკენ წარმმართველი, ამაღლებული ნებისყოფის ადამიანი, ლიდერი, მაგრამ ისიც „ჩვენი“ იყოს.

აქ მჟღავნდება პრინციპული თანასწორობის ფარდობითობა. აქ თითოეული იცავს სხვის „უფლებას“ თავის „უფლებასთან“ თანაფარდობაში. აი, ეს არის ჩვენი რელიგიის საფუძველი.

“გიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი“

ესაა უდიადესი ჭეშმარიტების პრინციპი.

ეს პრინციპი სოციაუმის შიგნით, უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ურთიერთ-პატივისცემაში აისახება.

ეს თავისუფალთა ურთიერთობაა, რომლის საფუძველიც სიყვარულია.

ამრიგად, „მოყვასი“ უკვე „მე“-ს მსგავს არსებად აღიქმება. მასაც ვუსურვებ ყველაფერს, რაც ჩემთვის მინდა, თუნდაც იმიტომ, რომ მისი სიკეთე, კარგად ყოფნა, სიმძლავრე ჩემს სასიცოცხლო ენერგიას ზრდის, ამაღლებს.

“შენ“-ში უკვე „მე“-ს ვიპოვებ, სხვა „მე“-ს, ანუ იმას, რაც „ჩემი“ ნაწილია.

შესაბამისად, „მოყვასი“ არა მარტო ახლობელი, არამედ სხვა ჯგუფიდან, ეთნოსიდან ერიდანაც შეიძლება იყოს, თუ ის თანაგრძნობასა და სიყვარულს ამჟღავნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მტრულ განწყობას სიყვარულის ენერგია უნდა დაუხვედროთ. და თუ მისი აგრესია მატულობს, ამით იზრდება ჩვენი სიმტკიცე, სიყვარული; ამრიგად გამოდის, რომ აგრესიული გარემო კიდევ უფრო გვაძლიერებს, გვაძლიერებს. და თუ, სიყვარულის იდეას შევწვდით, მართლაც, უნდა „გიყვარდეს მტერი შენი“.

ესაა ქრისტიანული სიყვარულის უდიდესი ძალა, ანუ „ღია“ ის, ვისაც ჯგუფებს შორის ყველა ბარიერის გადალახვა შეუძლია.

ესაა ძალა, რომლის ძირითადი არსი „ჩვენსა“ და „სხვას“ შორის ბარიერის წაშლაა.

ესაა ფორმულა, რომელიც გენიალური, რელიგიური სიმარტივით თავისუფალ ადამიანთა ურთიერთობაში ევოლუციას გამოსახავს.

ეს სიყვარულის რელიგია!

აქ თავისუფალთა მორალური ცნობიერება რაციონალიზმის საფუძველია.

აბსტრაქტული რაციონალიზმის ხასიათის მქონე იყო სოკრატეს აზრი: **გიყვარდეს მტერი მეგობრებზე არანაკლებ.**

“სიყვარულში“ ის ზოგადად „სიკეთის კეთებას“ გულისხმობდა. ის კონკრეტულს კი არ განიხილავდა, ზოგადზე ფიქრობდა. ის უნივერსალურს, ზოგადს გვამცნობს იმ იმედით, რომ კონკრეტულს ჩვენ თვითონ მივხვდებით.

ამაღლების, სიყვარულის იდეის წვდომის გარეშე, გიყვარდეს „კაცობრიობა“, ანუ „ზოგადი ადამიანი“, არარეალურია; არათავისუფალს, ზოგადის შემეცნება არ შეუძლია!

სიყვარულის საფუძველი მხოლოდ კონკრეტული შეიძლება იყოს, რომელიც ზოგადში გადადის.

სიყვარულის არსი ქრისტიანულ ცნობიერებაშია ბოლომდე გახსნილი, როგორც კონკრეტული უნივერსალიზმი, რომელიც თავისუფალ ინდივიდთა მრავალფეროვნებას მოიცავს. ის არა მარტო ყველაფრის საფუძველია, არამედ ყველაფერს განკარგავს.

„თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“.

„სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყმობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს; ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს“ (I კორინთელთა, 13, 4-7).

სიყვარული არის მოთმინება, სხვისი უფლებების აღიარება, შეყვარებულის ინტერესების საკუთარ ინტერესებზე მაღლა დაყენება.

როცა გვიყვარს, რას ვეძებთ მასში?

ნუთუ მარტო პირადი სიხარული გვინდა მისგან?

ანუ გვჭირდება სუბიექტი, რათა პირადი მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ? – ეს არაა სიყვარული! ეს ბიოლოგიური აქტია, გეფხანება და იფხან! . . . და შემდეგ რჩება არაფერი . . . სულიერი სიცარიელე, უკმარისობის ცივი ნალველი, უაზრობით გაჟღენთილი საკუთარი სამყაროს „სულის ბოღვა“.

ბოროტების მონათა კავშირი სიყვარული არ არის!

სიყვარული თავისუფალ სულთა ერთობაა!

თავისუფალ სულთა შერწყმა, სულთა ერთობის აქტი, უსაზღვრო ღვთიურ ენერგიას ათავისუფლებს, რომელიც სამყაროს სიხარულითა და ბედნიერებით ავსებს! და იწყება იდეალური ჰარმონია.

როცა მე მისთვის მინდა ყველაფერი, სიცოცხლის ჩათვლით, აი, ეს ავსებს ყველაფერს. ეს მავსებს მეც და მაერთიანებს სამყაროსთან, ეს მაპოვნიებს ჩემს თავს და ჩემს ადგილს ამ მთლიანობაში. მხოლოდ ესაა სიყვარული.

სიყვარული ჩვენი ეგოიზმის ბარიერის გადალახვაა! სიყვარული სპობს ბარიერს „მე“-სა და „სხვა“-ს შორის. სიყვარული ნამდვილ სიხარულს განგვაძლევინებს და ჩვენს ცხოვრებას აზრს ანიჭებს. იწყება იდეალური ჰარმონია.

ემალღებით და ცნებები სუბიექტური და ობიექტური, უბრალოდ, აზრს კარგავს.

აი, ესაა ბედნიერება!

სიყვარული ბედნიერებამდე ამაღლების ერთადერთი წყარო, ერთადერთი გზაა და ამ ბილიკზე სვლა მარტივი როდია.

და თუ „სიყვარული ღრეობითია“ . . .

„სიყვარული არასოდეს მთავრდება; თუმცა წინასწარმეტყველნი გაუქმდებიან, ენები შეწყდებიან, ცოდნა გაუქმდება“ (I კორინთელთა 14, 8).

„ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი“ (I კორინთელთა 14, 13).

. . . და მაინც, ეს უცნაურობა, „სულის ლაბირინთი“, ადამიანში ყველაზე პირადულია და ობიექტურ ჩარჩოში არ თავსდება. ამავე დროს, ეს ისაა, რასაც ადამიანი აბსოლუტურ რეალობად აღიქვამს; ადამიანი ამ ქვეყანაზე სიყვარულისთვის გაჩნდა!

ქრისტიანი ადამიანი საკუთარ არსს, საყრდენს, თავშესაფარს ქრისტიანობაში ჰპოვებს, რადგან ქრისტიანული რელიგია – სიყვარულის რელიგიაა.

სიყვარული შემოქმედებითი პოტენციალის გაღვივებაა, უძლეველი სიკეთის ძალაა, საკუთარ არსში სხვისი სიხარულით მიღებაა, სხვისი არსის საკუთართ შევსების სურვილია, სხვისთვის საკუთარი სამსახურის უანგარო შეთავაზებაა, მისი სიხარულით ტკობაა, მისი ბედნიერებით ბედნიერების განცდაა. . .

– სულის დღესასწაულია!

სიყვარული საკუთარი თავის ფლობას – თავისუფლებას მოითხოვს!

ჩვენი ვალია ერთმანეთს საკუთარი თავისა და სხვისი არსის ამოცნობაში დავეხმაროთ, რათა ჩვენთვის ხილული გახდეს ის, რაც ყველას ადამიანებად გვაქცევს. ესაა მცდელობა გულისყური მივაპყროთ ჩვენს გულისთქმას, გამჭვირვალე გავხადოთ სული და მისი აღქმისუნარიანობა გავამახვილოთ, ანუ კონკრეტული სიყვარულიდან უნივერსალურ სიყვარულამდე გავიზარდოთ და სიყვარული საერთო ცხოვრების წესად ვაქციოთ!

სიყვარული, როგორც ადამიანთა სულის განაწესი – აღმოჩენაა, რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებას ეკუთვნის და ქრისტიანულ ცნობიერებას აყალიბებს.

ბუდისტური ცნება – „ისიც შენა ხარ“ ყველა სულიერში „მე“-ს განთავსებას ნიშნავს. დიდი მნიშვნელობისა და ღრმა აზრის მიუხედავად, ეს არაა სიყვარულის კონსტიტუცია, განაწესი, რადგან იქ არა ჩანს „შენ“, ანუ სხვა არსება, რომელიც სიყვარულის ობიექტი უნდა იყოს. ამიტომ ამ ბუდისტურ ფრაზაში სიყვარული კი არ იგულისხმება, არამედ ყველაფერი უსახო განზოგადებაში იფანტება. როდის მივხვდებით, რომ

საკუთარი თავის შეცნობა – ღმერთის შეცნობას ნიშნავს.

სიყვარულის შეცნობაც ღმერთის შეცნობას ნიშნავს.

„ვინც ამბობს, ნათელში ვარო, მაგრამ თავისი ძმა სძულს, ბნელშია დღემდე“ (I იოანე, 2, 9).

„თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი სძულს, ცრუა, ვინაიდან თუ თავისი ძმა არ უყვარს, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (I იოანე, 4, 20).

სიყვარულის გენიალურობა იმაშია, რომ ღმერთი შეიძლება ბავშვში გამოვლენდეს, გაიხსნას და „განათლებულთა და ჭკვიანთათვის“ მიუღწეველი აღმოჩნდეს.

“ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (მათე 18, 3).

ქრისტიანმა იცის, რომ მისი სიცოცხლის ჭეშმარიტი აზრი და მიზანი სიყვარულის იდეის შეცნობაა.

სიყვარულის მოპოვება ბატონობით, იძულებით, კანონით შეუძლებელია. კანონმა საზოგადოებაში მხოლოდ „სამართალი“ შეიძლება დაამკვიდროს, მაგრამ არა რწმენა და სიყვარული – უდიადესი სიმართლე.

სიყვარული ადამიანის სულში ღვთის ანარეკლის გაბრწყინებაა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბოროტების აღზევა სიყვარულის უარყოფის შედეგია.

თუ სულში ღვთის ანარეკლი მოგვევლინა, შენს იდეალს ვერაფერი შეარყევს.

მოაზროვნე ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის ხდება რაღაც ახალი, მაგრამ თუ დაუუკვირდებოთ, ამ ახლის არსი მუდმივი და უცვლელია. სიახლე მხოლოდ ამ მუდმივის და უცვლელის ძიების გზაშია.

სიყვარულშიც, როცა თავისუფალ ადამიანთა შეხვედრა ხდება, ჩნდება რაღაც ახალი – მთლიანი სული – რომელიც სამყაროს ღვთიური სიწმინდით, სიყვარულის ენერგიით, ამდიდრებს. ამ საოცარმა ფემონენმა არ იცის ასაკი, განათლება, დრო და სივრცე.

უკან იხევს ყველაფერი ცხოველური, რაც ადამიანშია.

ჯერ კიდევ ევკლიდური პირამიდების მშენებლობისას, ამ ფენომენით შეპყრობილმა ადამიანმა, რომლის სახელი ისტორიას არც შემორჩენია, პაპირუსზე გადაიტანა ის აღფრთოვანება, რომელიც მასში, ალბათ, ერთი შეხედვით არაფრით გამოჩნეულმა ქალმა გამოიწვია. მცირეა იმ პაპირუსის შემორჩენილი ნაგლეჯი, მაგრამ ესაა ადამიანის, ანუ პოეტის დაბადების უდიდესი ფაქტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

**„სხივდება მისი სათნოება
და ანათებს მისი კანი.
დამატორობელია მისი შემოხედვა,
ტკბილმოუბარია მისი ტუჩები . . .“**

უღმბობელი დროის მიერ განადგურებულ პაპირუსზე ჩანაწერი აქ წყდება, მაგრამ ფაქიზი სულის ადამიანისთვის ესეც საკმარისზე მეტია, რათა მიხვდეს

– სიყვარულის არსი პირამიდების გრანდიოზულობაზე მალლა დგას!

ადამიანში გაჩნდა რაღაც ამაღლებული. მის სულში მოხდა საოცარი გარდასახვა და პოეტში დაიბადა რაღაც აბსოლუტურად ახალი, რომელსაც კაცობრიობამ სინაზე უწოდა.

ადამიანმა დაინახა ადამიანი!

მოთავდა „მე“-ს ერა. დაიბადა უდიდესი „შენ“. „მე“ და „შენ“ . . .

ადამიანის სულში სხვისი დაბადება განუხაზღვრელი ფასეულობაა – „მე“-ში „შენ“-ის გახსნის უდიდესი სიხარული.

ეს რომ აღიქვა, მხოლოდ გონება არ არის საკმარისი. ყველა დროის ტრუბადურებისა და პოეტების შინაგან სამყაროს მხოლოდ გონებით ვერ ახსნი; ვერ გაიგებ, თუ როგორ შეიძლება ის ერთხელ ნახო, მხოლოდ ერთხელ, და მერე მთელი ცხოვრება გიყვარდეს და შენი ენერგია, ნიჭი, სისხლი, ხორცი და სული მას შეაღიოს.

ჩვენი აზრით, ახალი ეპოქა – „აღორძინება“, ბრწყინვალე ხუროთმოძღვრებით, გამოგნებელი ფერწერით, ახლი ქვეყნების აღმოჩენით კი არა, სიყვარულით დაიწყო!

დანტე ალიგიერი 20 წლის იყო, როცა პირველად

იხილა ბიატრიჩე „შემოსილი უკეთილშობილესი მეწამული ფერის ტანსაცმლით“. მხოლოდ სიყვარულმა შეაცნობინა მას ის უძლეველი ძალა, **„რაც ამოძრავებს მზესა და ვარსკვლავებს“**. ამ სიტყვებით მთავრდება „ღვთაებრივი კომედია“ და იწყება განუმეორებელი ეპოქა – ეპოქა ადამიანის აღორძინებისა – რენესანსი.

როცა 23 წლის პეტრარკა ავინიონის ერთ-ერთ ეკლესიაში ლაურას შეხვდა, ეს საოცარი გოგონა 20 წლის იყო (უკვე გათხოვილი). ამ შეხვედრიდან 42 წლის შემდეგ მან დაწერა: „1327 წლის 6 აპრილს, პირველ საათზე მე შევედი იმ ლაბირინთში, საიდანაც არ არის გამოსავალი“.

კალმით ხელში მოკვდა პეტრარკა. ის წერდა: „არაფერზე ფიქრი აღარ შემიძლია, ვფიქრობ მხოლოდ მასზე“.

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, კატულუსი, მორიგი ქალის ღალატის შემდეგ უცებ მიხვდა: „მოტყუებული გულით სიყვარული შეუძლებელია! სიცრუეში სიყვარული ქრება, რჩება მხოლოდ ვნება“.

. . . დიას! შეყვარებული „შენ“-ში იმას ხედავს, რაც სხვისი თვალისთვის უხილავია. რაც სხვისთვის „არაფრით გამორჩეულია“, შეყვარებულისათვის საოცრებათა-საოცრებაა. ჩვეულებრივი ნახშირი – აღმასად, აღმასი კი ბრილიანტად აქციოს – ეს სიყვარულის საოცარი უნარია.

პეტრარკამ სიყვარულით „ღვთიური სილამაზის ანარეკლი“ იხილა. აღორძინება სიყვარულით დაიწყო.

ახალი დროება . . .

„ოთხი წლის წინ მე თქვენ მშვენიერებად მეჩვენებოდით, დღეს კი აღმოვაჩინე, რომ თქვენ უფრო მეტი ხართ, ვიდრე მშვენიერება“ – წერდა დიდრო სოფი ვილიამსს. დიდრომ 30 წლის განმავლობაში სოფის 553 წერილი მისწერა. დიდროში სიყვარულმა გახსნა ის ძალა, რამაც მას ფილოსოფიური შრომები, კომედიები, რომანები, „ენციკლოპედია“ შეაქმნევინა და ის ევროპის აზროვნების, შემოქმედებითი ცხოვრების უდიდეს მოვლენად აქცია.

აქედან იწყება ის მეტამორფოზა, რომელმაც ახალი ცივილიზაცია შექმნა.

თავისუფალ ადამიანთა გრძნობის ისტორია ადამიანის ამაღლების, ზეობის ისტორიაა. ის სიყვარულის ისტორიაა.

ყოფიერების, სამყაროს შეცნობა ერთ ადამიანთან ურთიერთობით იწყება.

ეს განასხვავებს თავისუფალი ადამიანისგან ზოგიერთ პოლიტიკოსს, რომელიც შეუძლებელს ცდილობს – ყოფიერება და მასში საკუთარი ადგილი მრავალი ადამიანით შეიცნოს.

მრავალთან ურთიერთობა პირიქით, სამყაროს შეცნობის ხარისხს ამცირებს და რაც მრავალრიცხოვანია მათი კვლევის ობიექტი, მით მცირეა ის სარკმელი, საიდანაც ისინი რაიმის შეცნობას ცდილობენ.

თქვენ ვერ დამისახელებთ მკვლევარს, ვინც ვარსკვლავის აღმოჩენას ერთდროულად ათასი კი არა, ორი ტელესკოპით მაინც შეძლებს.

აღმოჩენა მხოლოდ ერთით შეიძლება . . .

ადამიანის უსუსურობა – შეუცნობელი შიში, ლოგიკის დარღვევა, მარტოობა, გარიყულობა, იმის შეგნება, რომ მისი პოტენციალი, ძალა, გონება, სხეული, სისხლი ანგარების გარეშე არავის სჭირდება, მასში სიმარტოვისა და განწირულობის გადალახვის სწრაფვას წარმოშობს.

იწყება იმ ჭეშმარიტი სიკეთის ძიება, რომელიც მუდმივ ფასეულობას წარმოადგენს.

ნებისმიერ რელიგიაში ღმერთი განიხილება, როგორც უდიდესი სიკეთე, ზემოაღი ფასეულობა, სადაც პიროვნების მარტოობა ქრება, რადგან ის ყველგან და ყოველთვის შენთანაა. სწორედ ეს განსაზღვრავს ადამიანის სულიერ პოტენციალს და ადამიანის სულის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, სიყვარული, როგორც რეალობა, იმის მიხედვით განიხილება, თუ განვითარების რა დონეზე, ევოლუციის რომელ საფეხურზე იმყოფება ადამიანი. შესაბამისად, ცხოვრებას აზრს თვით ადამიანი ანიჭებს.

ჩვენ გვაქვს შანსი სამყაროს შემდგარ პიროვნებად მოგვევლინო!

ნუ დავრჩებით ბოროტების მონებად.

სიყვარული ადამიანის სულიერი სრულყოფის, ჭეშმარიტებისა და ერთობისკენ სწრაფვის უნარი.

ადამიანი აბსოლუტურად მარტოა, თუ ის მეორეს, სხვას არ ეხმარება. ადამიანის კულტურა, ინტელექტი, სილამაზეც კი სიყვარულისა და სხვისი დახმარების მცდელობით განისაზღვრება.

მთავარი ისაა, რამდენადაა მზადა პიროვნება სიყვარულისთვის, რამდენად აქვს მას სიყვარულის განზოგადებისა და განვრცობის უნარი, რადგან ღმერთის შეცნობა, მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი.

გრძნობათა შორის უდიდესი სიყვარულია. ღმერთის სიყვარული ღმერთთან შერწყმას ნიშნავს. ცხოვრების აზრის სიდიადის აღქმაში სწორედ ეს გვეხმარება.

ზოგჯერ ჩვენ ვერც კი ვიაზრებთ, რომ მთელი ცხოვრება, ყოველი ქმედება, წვრილმანიც კი, ღმერთის შემეცნებისკენაა მიმართული.

რელიგიის არსი ჭეშმარიტების რწმენაა. ჭეშმარიტების რწმენა ჭეშმარიტ ქმედებას ითხოვს.

თუ სუბიექტი რწმენით განსმჭვალული არ არის, ის ჩემთვის არაქრისტიანია, თუნდაც ეკლესიას ჩოქვით უვლიდეს და მთელ ცხოვრებას პირჯვრის წერაში ატარებდეს.

და თუ ვინმე ბოროტებას სიყვარულით აღუდგება წინ, თუ მას უყვარს მოყვასი თვისი, ის ჩემთვის ქრისტიანია და არა აქვს მნიშვნელობა, მას აბრაამი ჰქვია, თუ იბრაჰიმი.

უმაღლეს ჭეშმარიტებას მხოლოდ გონებით ვერ შეიცნობთ, ამისთვის სიყვარულია აუცილებელი. ამიტომ ნუ ვებრძვით მას, ვინც აზროვნებამ სხვა ფორმულირებასთან მიიყვანა, არამედ შევეცადოთ მასში სიყვარული გაგავლივით და ის ჭეშმარიტებასთან უჩვენოდ მივა.

სიყვარულის, რწმენის გარეშე შეუძლებელია ბოლომდე გავიზრდეთ უმაღლესი რეალობა, უმაღლესი ერთობა – ღმერთი. სამყაროს მმართველი უზენაესი ძალა ჩვენი ლოგიკის, გააზრებისა და მგრძნობელობის არეალს მიღმაა, ამიტომ არ შეიძლება ის კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

რეალურ, ირეალურსა და ზერეალურს შორის ანტაგონიზმი გამორიცხულია.

ჩვენი სამყაროც დაპირისპირებათა ერთიანობაა და ის სიკეთესა და ბოროტებას მოიცავს. სიკეთისა და ბოროტების წინააღმდეგობრივი არსი მუდმივ დაპირისპირებულობას, სიცოცხლეს განაპირობებს.

ურწმუნოთა აზრით, ბოროტების დათრგუნვა შეუძლებელია.

ჩვენ, სიყვარულსა და რწმენაზე დაყრდნობით, კატეგორიულად ვაცხადებთ – ბოროტების დათრგუნვა შესაძლებელია!

ასეთი პასუხი მათთვისაა გასაკვირი, ვისაც სიყვარული ფსევდოსიყვარულში ერევა, ჩვენთვის კი მარტივი და მისაღებია, რადგან

უმაღლეს სიკეთეს – ღმერთს – ყველაფრის საფუძვლად განვიხილავთ.

ფსევდოსიყვარული

„თქვენა ხართ, მართლებად რომ მოგაქვთ თავი კაცთა წინაშე, მაგრამ ღმერთი იცნობს თქვენს გულს, რადგან ის, რაც მაღალია კაცთა შორის, სიბილწეა ღმერთის წინაშე.“

(ლუკა 16, 15)

ურთულესი პრობლემების წინაშე ვდგავართ და ბუნებრივად გვებადება კითხვა:

განა ისეთი რა ადამიანური თვისება გვაკლია, რომ ჩვენი ცხოვრება ბოროტებით გაიჟლინოს?

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი გვაქვს, რათა ადამიანურად ვიცხოვროთ. გვაქვს უძველესი ისტორია, ჭეშმარიტი რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება, ვართ განათლებულნი და არც მოაზროვნეთა ნაკლებობას განვიცდით. ტემპერამენტი და ნორმალური ცხოვრებისკენ სწრაფვაც არ გვაკლია.

შედეგი პარადოქსულია – ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვდეგრადირდებით.

გაკეთდეს აუცილებელი არჩევანი პროგრესსა და რეგრესს შორის, პირველადი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემა!

ცხოველურ არსებობას დავუბრუნდეთ, თუ ადამიანურისკენ ვისწრაფოთ? – ჩვენს ნაცვლად ამ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს.

ორი გზა, ორი პოლუსი. . . მესამე არ არსებობს.

უკან დაბრუნება ნებისმიერი ფორმით, მტკიცუნელია. ასეთ არჩევანს, უკან დახევას ტანჯვასთან, ფიზიოლოგიურ, ან ფსიქიკურ სიკვდილთან – სიგიჟესთან უცილობლად მივყავართ.

სანამ იმ ამაღლებულ მდგომარეობას მივალწვედეთ, როდესაც ეჭვი, დამარცხების შიში, შემოფოტება მინიმალური გახდება, დიდი და რთული გზაა გასავლელი. პროგრესისაკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი შიშის დაძლევის, ენერგიის ხარჯვასა და ტკივილის გადატანას მოითხოვს.

ყოველი ძირითადი ადამიანური თვისება ჩვენ მიერ არჩეული პოლარობით განისაზღვრება.

ადამიანი მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება. პასიური ადაფტაცია, მეტასტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება, ფაქტობრივად შეუძლებელია. ადამიანი ან ქვევით ეშვება (შესაძლოა ეს დაშვება მთელი ცხოვრებაც გაგრძელდეს) ან პროგრესირდება. ამ პროცესის შეჩერება ნებისმიერი მიმართულებით (ინსტინქტური მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი), გამორიცხულია. არშემდგარი ადამიანი ცხოველმდე შეუჩერებელივ ეშვება.

განსაკუთრებით ინტენსიურია ის მოთხოვნილებანი, ის ვნებანი, რომელთა სათავე ადამიანის სხეულში კი არა, მის არსშია (პატივმოყვარეობა, ჟინი, შურისძიება. . .), მისთვის ბიოლოგიური მოთხოვნებიც კი არ არის უმთავრესი.

დევრადირების გზაზე მდგარი ადამიანი გარემომცველ სამყაროსთან ჰარმონიას კარგავს. დაქვეითებული ადამიანი, თითქმის ცხოველი, ვერ ახერხებს ბუნებასთან შერწყმას, რადგან მას ინტელექტი არ გააჩნია და ამავე დროს ინსტინქტები ისეთ ღონეზე არა აქვს განვითარებული, რომ მცენარესავით ან მგელივით ბუნებასთან ჰარმონიაში შევიდეს. რაც უნდა დაქვეითებული იყოს არსება, მას პრობლემები ეწყება. საკმარისია ცხოველური მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, რომ მასში მომენტალურად სულმდგალი ადამიანისთვის დამახასიათებელი სურვილები იჩენს თავს – ვიღაცას აჯობოს, თავს დაესხას, გაექცეს. . .

ამრიგად, შესაძლოა, როგორც პოტენციური, ასევე რეალური დამნაშავე წარმოიქმნას. თანდაყოლილი, მაგრამ დაქვეითებული აზროვნების უნარი მას საშუალებას არ აძლევს მიხვდეს – რომელი მოთხოვნილების კულტივირებაა საჭირო და რომელია გასანადგურებელი.

ადამიანს შიმშილის და გამრავლების ინსტინქტი დაბადებიდან დაჰყვება. ასევე თანდაყოლილია ზნეობის პოტენციალი.

ეთიკის თვალსაზრისით, არსებობს ადამიანების (სუბიექტი, ინდივიდი) კატეგორია, რომელთა ზნეობის განვითარებასა და კორექტირებაზე გარემომცველი სოციალური კულტურა გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს. ასევე არსებობს ადამიანების (პიროვნება, ზეადამიანი) კატეგორია, რომლებიც თვითონ ახდენენ ზემოქმედებას გარემოზე, ქმნიან ეპოქას (აღნიშნული საკითხი ქვემოთ იქნება განხილული).

დაქვეითებული კულტურის ატმოსფეროში მცხოვრები არსების ფსიქიკის პრობლემების განხილვისას გასაოცარი ის კი არ არის, თუ რატომ გიჟდება ზოგიერთი, არამედ ის, თუ უმრავლესობა ფსიქიკურ დარღვევებს როგორ გადაურჩა.

ნებისმიერი რელიგია სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს და არა აქვს მნიშვნელობა, სრულყოფილია თუ – არა, თეისტურია თუ – ათეისტური.

დაზვეწილ და ბარბაროსულ კულტურებსაც ერთი და იგივე ფუნქცია აკისრია. განსხვავება მხოლოდ პრობლემის გადაჭრის გზებსა და ეფექტურობაშია.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფსიქიკური დარღვევისას ნეგატიური ქმედება სპონტანურად მიმდინარეობს და სუბიექტი ინტენსიურ რეგრესს განიცდის, ზოლო მაღალი რწმენის, კულტურის, ინტელექტის მქონე პიროვნების მიერ პრობლემების გააზრება და გადაჭრის გზების ძიება კი ინტენსიური პროგრესის საფუძველია. ამრიგად, ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა პროგრესისა და რეგრესის ინტენსივობას განაპირობებს.

ყოველი ადამიანი მეტ-ნაკლებად იდეალისტია და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. იდეალიზმში ზომ ადამიანის იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იგულისხმება, რომელიც ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ჩარჩოს გარეთ გადის.

ვიმეორებთ, თითქოს ყველაფერი გვაქვს, რათა ბედნიერად ვიცხოვროთ და იმავედროულად მუხლმოდრეკილი უბედურები ვართ. ამ პარადოქსის ახსნა მარტივად შეიძლება:

ან სულელები ვართ, ან არც ისე სრულყოფილები, როგორც გვგონია.

პირველის აღიარება ძნელია, ამიტომ მეორეზე შევჩერდეთ.

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების განვითარების საფუძველი რწმენასა და ზნეობაშია, რაც, თავის მხრივ, უსიყვარულოდ საფუძველს მოკლებულია.

სიყვარული ჩვენი ბედნიერების ქვაკუთხედაა.

სიყვარულის გრძნობის დაქვეითების აღიარება კი ფსიქიკის მოშლის აღიარებაზე უფრო რთულია.

მართლაც, თუ ვინმემ გვითხრა, რომ ჩვენ ჩვენთვის ძვირფასი არსება, შვილი, ოჯახი, სამშობლო არ გვიყვარს, უმძიმეს პირად შეურაცხყოფად მივიღებთ და პასუხიც მზად გვაქვს:

– ეს უბედური მასწავლის როგორ მიყვარდეს შვილი, ოჯახი, სამშობლო?

მართლაც, საშინელებაა. უმჯობესია პრობლემა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

არის თუ არა სიყვარული ის, რასაც სიყვარულად აღვიქვამთ?

ამჯერად ობიექტურობა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. შეიძლება ჩვენი მომავალი სწორედ ობიექტურობის სიღრმემ გადაწყვიტოს. სიყვარულის უმაღლეს საფეხურს – მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულს უკვე შევხებით, ამჯერად სიყვარულის პირველ საფეხურზე შევჩერდეთ.

მრავალი ჩვენგანი მიიჩნევს, რომ სიყვარულში ძირითადი პრობლემა ჩვენი სიყვარულის ობიექტად ქცევაა და არა ბოროტების დათრგუნვით სიყვარულის იდეის წვდომა, საკუთარ არსში სიყვარულის უნარის განვითარება. შესაბამისად, ერთი ყურადღების მიპყრობას მაქსიმალური სოციალური დონის, ძალაუფლების, სიმდიდრის მიღწევით ცდილობენ, სხვანი კი – მიმზიდველობით (სხეულს მაქსიმალურად უვლიან და მანერების დახვეწას ცდილობენ). ამრიგად, ჩვენ „სიყვარულის ობიექტად ქცევის“ საფუძველად ფულის, პოპულარობის, სექსუალობის ნაზავს ვიზრებთ (ჩვენთან ზომ მიმზიდველობას მოდა განსაზღვრავს). ეს ჩვენი „კულტურის“ შედეგია. აქედან გამომდინარე, გავრცელებულია აზრი:

– სიყვარული ადვილია – ძნელია იპოვო ის, ვისაც შეიყვარებ და ვინც შეგიყვარებს.

ეს აზრი ძირითადად, ურთიერთმომგებიანი გაცვლის იდეას, ანუ ღვეზის – „ყველაფრის შოვნა შეიძლება“ – ეფუძნება.

ჩვენი „ბედნიერება“ იმ ალტაცების მსგავსია, რასაც სუპერმარკეტის ვიტრინის დათვალირება იწვევს (ჩვენთან ზომ მიმზიდველობას მოდა განსაზღვრავს). ერთი პრობლემა რჩება – რის უფლებას გვაძლევს საფულე, შეგვიძლია თუ არა ყიდვა? მთავარია ბაზრის მოთხოვნებში გავერკვეთ, ანუ იმაში, თუ რას გვთავაზობენ და რა შეგვიძლია შევთავაზოთ.

დასკვნა: ისინი ერთმანეთს „შეიყვარებენ“, თუ ღარწმუნდებიან, რომ „ბაზარში“ ის საუკეთესო „პროდუქტი“ იპოვეს, რომლის „ყიდვაც“ არსებული რესურსებით შეუძლიათ, ანუ – ურთიერთმომგებიანი გაცვლა.

რა თქმა უნდა, არც ის ავიწყდებათ, რაც უძრავი ქონების შეძენისას მნიშვნელოვანია – პერსპექტივა (დაშენება, მიშენება, სარდაფი . . .), ანუ მზითევი, ნათესავები. . .

შესაძლებელია მეორე კომბინაციაც.

ორი ადამიანი შემთხვევით ხვდება ერთმანეთს; მათ შორის აღმართული უცხოობის კედლის დანგრევის უფლებას ორივე სპონტანურად იძლევა; უცებ, „ხვდებიან“, რომ ეს „ისაა“ და იწყება აღფრთოვანება; „იზოლაცია“ მთავრდება, თუ რეალობა სექსუალობაზე მათებურ წარმოდგენას ემთხვე-

ვა, მათი აღტაცება აპოგეას აღწევს და, რაც მთავარია, კონტაქტის რეალიზაცია იწყება. ერთმანეთს ჰპირდებიან ყველაფერს, რისი გახსენება და მოფიქრებაც შესაძლებელია. ამგვარი ურთიერთობები ხანმოკლეა. ურთიერთობის „ნგრევა“ იწყება ანტაგონიზმით, ამას მოწყენილობა მოჰყვება, რაც იმ პირველადი აღფრთოვანებისაგან შემორჩენილ მცირე ნაპერწკალს აქრობს და რჩება არაფერი.

თავდაპირველი იმედისა და აღფრთოვანების მიუხედავად, არ არსებობს სხვა სახის ქმედება, კავშირი, რომელიც ასეთი „სიყვარულივით“ უცილობელი კრახისთვისაა განწირული.

რა გვებიდგებს ასეთი შეცდომისაკენ? – ალბათ ის, რომ ბოროტების მარწმუნებში მყოფ, არშემდგარ ადამიანს ჰგონია „საკუთარი თავი შეიცნო“ და სხვისიც ესმის; თვლის, რომ საკუთარი წარსული გაიაზრა და მომავლის შესაძლებლობებიც განჭვრიტა; და კიდევ, ყველაზე მნიშვნელოვანი – მან შეიცნო თავი, როგორც მთლიანობისაგან განცალკევებულმა, ანუ იგრძნო საკუთარი უსუსურობა.

იყო განცალკევებული – სამყაროს აქტიური შემეცნების უუნარობას ნიშნავს.

გაუბედოტ და ბიბლიურ ადამს და ევას ამ კუთხით შევხედოტ.

როცა ადამმა და ევამ სიკეთის და ბოროტების ნაყოფი იგემეს, ანუ მოკვდავნი გახდნენ, მხოლოდ მაშინ იგრძნეს სიშიშველე, სირცხვილი, შიში.

რამ შეაშინა ისინი? – გენიტალიების დანახვამ? – რაღაც მარტივი ახსნაა.

ალბათ, მათი შემფოთების მიზეზი განცალკევებულობის შეგრძნება, ანუ გაუცხოება იყო, რადგან გაჩნდა „მე“ და „შენ“.

იქ, სადაც არის „მე“ და „შენ“, ერთობა, სიყვარული არ არსებობს. სიყვარულის არარსებობა ნათლად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ ადამი ევას გამტყუნებით ცდილობს თავის მართლებას და მისი დაცვა აზრადაც არ მოსდის.

სირცხვილის, უსუსურობის, დანაშაულისა და განგამის საფუძველი სწორედ სიყვარულის არარსებობაა, ანუ ბარიერის არსებობა – „მე“-სა და სხვას შორის.

ადამიანში ჩადებულია განცალკევებულობის გადალახვის უდიდესი, დაუოკებელი წყურვილი. გამოქცაბულის ადამიანში, ეგვიპტელში, ფინიკიელ ვაჭარში, რომაელ ჯარისკაცში, იაპონელ სამურაისა და ჩვენში, სწორედ ეს თვისებაა საერთო.

ეს არის ადამიანის ადამიანურობის არსი.

ამ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობის ისტორია რელიგიისა და ფოლოსოფიის ისტორიაა.

ახალდაბადებული განცალკევებულობის პრობლემისაგან აბსოლუტურად დაცულია, რადგან მას „მე“-ს შეგრძნება არ გააჩნია. ის დედასთანაა და დედის ფიზიკური არსებობით მარტობაც უკან იხევის.

გადის დრო და აზრთან ერთად, მარტობის შიშის თანხლებით, იბადება „მე“, და თუ ეს ხდება არშემდგარ, აგრესიულ საზოგადოებაში, რომელიც მზადაა ადამიანში ყველაფერი ადამიანური გაანადგუროს, მაშინ „საშველად“ გულისხმობა, სიყვარულის უარყოფა, ნარკოტიკი მოდის.

ამ უბედურებაზე პასუხისმგებელი ვართ მე, შენ, ჩვენ და არა უზნეო, უგუნური არშემდგარი ადამიანები.

ალსანიშნავია პითაგორელ ქსენოფილეს პასუხი კითხვაზე – **როგორ ჯობია აღვზარდოტ შეილი?**

პასუხი – **ის სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა გააჩინოტ.**

დავიძახოტოტ, საზოგადოების, სახელმწიფოს უკიდურესად დაქვეითებისას, გაუსაძლის პირობებში ადამიანი მიზანს კარგავს, რაც, უპირველესად, სიყვარულის ენერგიის არმიღებით იწყება. ადამიანში ამ ენერგიის ნაკლებობა ნარკომანიის მოახლოებასაც ნიშნავს.

მიზნის გარეშე არაა განვითარება, შემეცნება ეცემა. პრიმიტიული განვითარების ღონეზე მყოფი ხალხიც მარტივ „ხსნას“ ნარკოტიკულ გაბრუებაში ეძებს. ნარკოტიკი სამყაროს გვაიწყებს

და მართლობის შიშიც ღრობით ქრება. დაუკვირდით, ადამიანებს ნარკოტიკის მიღება ჯგუფურად მოსწონთ, ამ ღროს მართლობისგან გაქცევა უფრო „ეფექტურია“.

სიყვარულმოკლებული ადამიანი ყოველთვის რაღაც დაჯგუფებისაკენ, „საზოგადოებისაკენ“ მიისწრაფვის. ნარკომანისათვის ჯგუფთან თანაარსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მართლობის შესამსუბუქებლად ეს ყველაზე მარტივი საშუალებაა. აქ ინდივიდუალური „მე“ დიდი რაოდენობის „მე“-ებში ითქვიფება, ქრება. მხოლოდ პრიმიტივი ცდილობს ბანდას შეეკედლოს, ჯოგს მიეკუთვნოს, უსახურ მასაში ჩაიძიროს, ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნას. ის ამ ქმედებას მარტივად ხსნის: თუ მე ისეთივე ვარ როგორიც სხვა, თუ ჩემი აზრი, გრძნობა განსხვავებული არ არის, თუ ჩემი ჩვევები, ტანსაცმელი, ქმედება სრულ შესაბამისობაშია ჯგუფთან, მაშინ გადარჩენილი ვარ და მე მართლობის საშინელება აღარ მეძუქრება. ამ შიშის გავლენით ჯგუფთან შემგუბრობისა და კონფორმიზმის ჩამოყალიბებაც იწყება და ჯგუფთან შეთვისებაც მარტივია.

ამ შიშს თავისი მიზნების განხორციელებისთვის წარმატებით იყენებს, როგორც დიქტატორული რეჟიმი (ძალის, ტერორის გამოყენებისას), ასევე დემოკრატიული სისტემა. ისინი ადამიანთა მართლობის შიშის გასაძლიერებლად აქტიურ პროპაგანდასა და შთაგონებას მიმართავენ.

პრინციპი ასეთია – შენ ჩვეულებრივი ხარ, სხვისგან არაფრით განსხვავდები, ამიტომ შენისთანები მოძებნე და ხმა არ ამოიღო. განსხვავება ისაა, რომ დემოკრატიულ წყობაში ჯგუფისგან განცალკევება შესაძლებელია, ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობისას კი ამას მხოლოდ გმირები და მოწამენი ახერხებენ.

ამ განსხვავების მიუხედავად, დემოკრატიული საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც კონფორმიზტულია და მათ გაერთიანებისკენ სწრაფვას სიყვარულის დეფიციტი იწვევს; ვინაიდან, ყველას ერთობა საშიშია, დემოკრატიული ელიტა მცირერიცხოვანი ჯგუფების შექმნას უწყობს ხელს და ეს პროცესი საკმაოდ დახვეწილად მიმდინარეობს. ადამიანთა უმრავლესობა ვერ იაზრებს, რომ ის კონფორმიზმის ტყვეა და ღრმად არის დარწმუნებული საკუთარ ინდივიდუალობაში; ასეთი მიიჩნევს, რომ მისი პირადი აზრი, უბრალოდ, საზოგადოების აზრს ემთხვევა. ინდივიდუალობის გამოსახატავად ფეხზე, ჭიაზე ბეჭდებსა და მძივებს იკეთებენ, მაისურზე საკუთარ ინიციალებს იწერენ, სხეულზე დრაკონებს იხატავენ. . . საკუთარ თავს ხან სოციალისტურ, ხან ლიბერალურ პარტიას მიაკუთვნებენ. მათ ეს ყველაფერი თვითდამკვიდრების დევიზისთვის სჭირდებათ: „მე სხვა ვარ“! და იმავედროულად, არსით მასიგან არ განირჩევიან.

რელიგიურ კონტექსტში ჩვენი განურჩევლობის საფუძველი ისაა, რომ ყველანი ღვთის შვილები ვართ და, ამასთანავე, ყოველი ჩვენგანი უნიკალურია და საკუთარ თავში სამყაროს მოიცავს. ესაა ჩვენი უნიკალური დუალიზმი.

სწორედ ადამიანის ინდივიდუალობის უნიკალურობაა მოცემული თაღმუდშიც:

„ვინც გადაარჩენს ერთ სიცოცხლეს, გადაარჩენს მთელ სამყაროს, ვინც ღუპავს ერთ სიცოცხლეს, ღუპავს სამყაროს“.

ამ შემთხვევაში ერთობა ინდივიდუალობის განვითარების აუცილებელ პირობად განიხილება.

არც ერთი ადამიანი მეორისათვის მიზნის მიღწევის საშუალება არ უნდა იყოს. ყველა თანაბარია იმდენად, რამდენადაც ისინი ერთი მიზნისკენ მიისწრაფვიან.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ დღევანდელი საზოგადოების უმრავლესობა გათანაბრებაში ერთობას კი არა, ერთნაირობას გულისხმობს. საბავშვო ბაღშივე გვაჯგუფებენ და ჯგუფის ნაწილი ვხდებით, ყოველგვარი განსაკუთრებულობა ისჯება. ქორწილი და ქელეხიც კი კოლექტიურ აქტად იქცა. ჩვენ ვუყვრებით ერთნაირ ფილმებს, კვითხულობთ მხოლოდ გაფორმებით განსხვავებულ გაზეთებს, ვცდილობთ კაცი და ქალი არა ერთობად, არამედ ერთნაირებად წარმოვიდგინოთ. არა მარტო ნიუთების, არამედ ადამიანების სტანდარტიზაციაც მიმდინარეობს. ჯგუფურ კონფორმიზმი კი ალკოჰოლიზმის, სექსუალური ძალადობის, შიზოფრენიის საფუძველად გვევლინება, და ბოლოს სიყვარულიც ქრება. და ჩვენდა სამწუხაროდ, აღარავის ახსოვს რომ

ადამიანი ინდივიდუალური არსებაა, რომელსაც მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს.

ერთობა მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი. ეს ის იდეალური ძალაა, რომელიც ინარჩუნებს ოჯახს, ერს, ქვეყანას. მის გარეშე კაცობრიობა არსებობას შეწყვეტდა.

დამაფიქრებელია სხვა სახის ნეგატიური ფსიქოლოგიური სიმბიოზი. ამ დროს ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას, ობიექტები განმხოლოებული არიან და რატომღაც, ეს მოვლენა „სიყვარულის“ სახელით მოიხსენიება. ესაა „სიყვარულით“ შექმნილი ოჯახის სიმბიოზი, ანუ ერთის მიერ მეორის ფსიქოლოგიური დაქვემდებარება.

ალბათ, უძველესი იქნებოდა, ასეთი კავშირი მაზოხიზმით აგვეხსნა. ადამიანი იზოლაციას გაურბის და მეორეს დაქვემდებარებაში ხვდება, მეორის ცხოვრების ნაწილად იქცევა. ასეთ ოჯახში მმართველი და განმკარგველი ერთია. ის შეიძლება იყოს შვილი, ქმარი, ცოლი. დაქვემდებარებულს თავისი ინტერესი აქვს. მას არ სჭირდება რისკი, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, გადაწყვეტილების მიღება. ის მარტო არასდროს არ არის, მისთვის მარტოობის დაძლევის საზღაური თავისუფლების დაკარგვაა და ისიც ამ „წამებას“ ირჩევს. საკუთარი უნებისყოფობის, ფსიქიკის სიმყიფის ეშინია და „ბატონისა“ და „მათრახის ძალის“ სიდიადეს აღიარებს. ასეთები რელიგიურ კერპთაყვანიშნულებად მდიდრები.

მართლაც, ასეთი სუბიექტი არამარტო სხეულს, არამედ სულსაც ადვილად თმობს. დაუკვირდით და ამ პათოლოგიის საოცარ მრავალფეროვნებას შეამჩნევთ. უბედურებით, ავადმყოფობით, დაზარალებლობით. . . სიამოვნების მიღებისას მათი მაზოხიზმი მჟღავნდება. საფუძველი კი ერთია – ადამიანი საკუთარ „მე“-ს თმობს და ვიღაცის ან რაღაცის იარაღი, მონა ხდება.

მარტოობას სადისტიც გაურბის. ისიც სხვაზეა დამოკიდებული.

ზშირად ერთი და იგივე პიროვნება ერთის მიმართ სადისტიცა და მეორის მიმართ მაზოხისტი. ეს განსაკუთრებით სამსახურებრივ ურთიერთობაში იკვეთება. უფრო რთული სოციალური დამოკიდებულებაც არსებობს.

ყველა ამ პათოლოგიის ერთადერთი გამანადგურებელი და საკუთარი „მე“-ს შენარჩუნების ერთადერთი გარანტი მხოლოდ სიყვარულია, როგორც იზოლაციის გარღვევის საშუალება.

მხოლოდ სიყვარულით ერთობა მიგვიყვანს ბედნიერებამდე და გაქრება პარადოქსი: ბედნიერების ცნება არსებობს, ბედნიერი კი ძნელი საპოვნელია!

სიყვარულის თვისებაა გასცე და არ მოითხოვო. რას ნიშნავს „გავცე“? – უმრავლეს შემთხვევაში, „გასცე“ ნიშნავს რაღაც მოიკლო, მსხვერპლი გაიღო.

ვაჭარი საქონელს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა, თუ რაღაცაში ცვლის. თუ ის იძლევა და არ იღებს, უბედურია. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ „გაცემა“ არასასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი, „ზნეობრივი“ პროცესია და „მსხვერპლზე“ შეგნებულად მიდის.

“გაცემის” სხვა გააზრებაც არსებობს – როცა „მე“ საკუთარ ძალას ვგრძნობ და ეს ძლიერება სიხარულით მაგსებს; როცა „ჩემში“ სასიცოცხლო ძალა ვეღარ ეტევა და ვაფრქვევ ვიხარჯები, მხოლოდ მაშინაა „გაცემა“ „მიღება“-ზე უფრო სასიხარულო, რადგან ამ აქტში ჩემი სიცოცხლე მჟღავნდება და მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი!

ეს ნათლად ჩანს სიყვარულში. „სიცოცხლის“ გაცემა თუ შეგიძლია, ბედნიერი ხარ!

მდიდარი ის კი არ არის, ვისაც ბევრი აქვს, არამედ ის, ვისაც სიხარულით „გაცემა“ შეუძლია.

გაიღო საკუთარი „მე“ – ყველაზე დიდი ფასეულობის, აზრების, სიხარულის, ინტერესის, გაგების, იუმორის. . . – ცხოვრების ნაწილის გაცემას ნიშნავს და, ამასთანავე, ნიშნავს იყო ყველაზე ცოცხალი. სიცოცხლის გაღება, სხვაში რაღაცას აცოცხლებს და „ის“ უკან გიბრუნდება. სხვა დანარჩენი გარიგება, ვაჭრობა, კმაყოფილებაა, რაც გინდათ ის დაარქვით, მაგრამ არა ბედნიერება, არა სიყვარული.

გაცემის აქტი საერთო სიხარულს, საერთო ცხოვრებას ბადებს.

შენში ადამიანი მაშინ იწყება, თუ სიყვარულს — სიყვარულით, ნდობას ნდობით პასუხობ.

სიყვარული — სიყვარულის ობიექტზე აქტიური მზრუნველობაა, პასიური „მზრუნველობა“ სიყვარული არ არის.

სიყვარული — პასუხისმგებლობაა და არა ვალდებულება. პასუხისმგებლობა მისთვის მუდმივ მზადყოფნას ნიშნავს. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, პასუხისმგებლობა დათრგუნვასა თუ მიკერძოებაშიც გადაიზარდოს.

სიყვარული — პატივისცემაა და არა შიში ან გაღმერთება. პატივისცემა კი მხოლოდ თავისუფალს, დამოუკიდებელს შეუძლია.

ვინმეს შეცნობა, მისი არსის აღქმა, თუ ზრუნვით არ არის მოტივირებული, მაშინ ასეთი შეცნობა ობიექტის უფლებების შემლახველი და შეურაცხყოფელია.

შენთვის ძვირფასი ადამიანის სრულად აღქმას მხოლოდ სიყვარულით შეძლება. მხოლოდ სიყვარული გაიძულებს გასცდე პირად ინტერესს და ისე დაინახო სხვა, ანუ საკუთარი თავიც მისი თვალთ დაინახო. აქედან იწყება ადამიანი.

სიყვარულით ხედვას — შემეცნებას, კიდევ ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. როცა სიყვარული „მე“-სა და „შენ“-ს შორის ბარიერს ანგრევს, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. „ადამიანის საიდუმლოს“ გაგება, ადამიანის „სულში ჩახედვა“ — უფაქიზესი შემეცნება, ყველა არსებულ საიდუმლოთა შორის — ყველაზე დიდი საიდუმლოა და ვხვდებით, მართლაც,

ვის ვიცნობთ ყველაზე მეტად?

— ვინც გვიყვარს.

ვის არ ვიცნობთ?

— ვინც გვიყვარს.

ის სულ გვაოცებს, რადგან სიყვარული და შემეცნება არათავსებადი და ალოგიკურია. ნუ დავივიწყებთ, რომ ის კვლევის ობიექტი კი არა, ჩვენთვის უძვირფასესი ადამიანია.

ეს ადამიანის უსასრულოდ შემეცნების საწყისია.

ახლა, განვიხილოთ ორი ეგოისტი ადამიანის ალიანსი. ასეთი დუეტის ეგოისტური ურთიერთობა შორსაა სიყვარულისგან, ამიტომ ან სწრაფადვე იშლება, ან ერთმანეთისგან მათი გაუცხოება ხდება. მათ თავის გასამართლებლად მრავალი მიზეზი მოჰყავთ: — პარტნიორის არასექსუალობა, რომ მისი პარტნიორი არაფრის მშოვნელია, აუტანელი ხასიათი აქვს და ა.შ.

მათ იშვიათად თუ გაასხენდებათ ასეთი კავშირის არასტაბილურობის მთავარი მიზეზი — სიყვარულის დეფიციტი. ავიწყდებათ, რომ, როგორც უმოქმედობისაგან, ასევე ფსიქიკური იმპოტენციისაგან ადამიანს მხოლოდ სიყვარული კურნავს.

არსებობენ მშობლებზე პათოლოგიურად დამოკიდებული სუბიექტებიც. ჩამოუყალიბებელი ადამიანი ქვეცნობიერად სიყვარულს ეძებს, რომელიც ახლომანად მხოლოდ მშობლის სიყვარულის სახითაა. ამიტომ ამგვარი სუბიექტი შესაძლოა მთელი არსით, აზრობრივად და რეალურად დედაზე ან მამაზე იყოს კონცენტრირებული. იგი არ წყდება დედის მკერდს, თუნდაც უკვე ლუდით გაუღენთილი, გაუპარსავი ცენტნერამდე იწონიდეს. ის მუდმივი ბავშვია და დედის მზრუნველობას, სიყვარულს, სითბოს, დედის მუდმივ აღფრთოვანებას საჭიროებს. ის ხანდახან პარტნიორსაც პოულობს, ოღონდ ისეთ ქალბატონს, რომელშიც დედის ინსტინქტს დაინახავს. მისი მოთხოვნილებაა უყვარდეთ, როგორც საყვარელი ფუნჩულა არსება, ხოლო თავის მხრივ, ვინმეს შეყვარება აზრადაც არ მოსდის.

დაუუკვირდეთ, რა უნიკალურ სიმბიოზს წარმოადგენს ორსული ქალი; ის ერთდროულად ერთიცაა და ორიც; დედა კვებავს, იცავს ბავშვს, რომელიც ერთდროულად დედისა და სამყაროს შემადგენელი ნაწილია; და ბავშვი, ჯერარდაბადებულიც კი, დედის სიცოცხლეს უსაზღვრო სიყვარულით

ამდიდრებს. დედას შვილის გადასარჩენად უანგარო თავგანწირვა შეუძლია, თუმცა, ხშირად პათოლოგიურ, ირაციონალურ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს; ზოგჯერ დედა მთელი არსით ცდილობს შვილის დასაკუთრებას. ასეთი შვილი უკვე განწირულია. მას დედის ბრძანების გარეშე სუნთქვაც კი ეკრძალება. იგი თავისუფლებას – ჭეშმარიტი სიყვარულის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს კარგავს და ვერასდროს ვერავის შეიყვარებს.

ერთი შეხედვით, პარადოქსია: დედა შვილს სიცოცხლეს ჩუქნის, ამავე დროს, მას განვითარების საშუალებას არ აძლევს, პიროვნულად თრგუნავს და ანადგურებს. დედას სიყვარულით საოცრების ჩადენა შეუძლია, მაგრამ დაკოდეზასაც მასზე უკეთ ვერავინ ახერხებს.

უფრო საშინელია მამაზე დამოკიდებული სუბიექტი: ის შედარებით თავისუფალია, მაგრამ მას სიკვდილამდე გაჰყვება მამის ავტორიტეტის სიმძიმე. ასეთი ყოველთვის ვილაცაზეა დამოკიდებული, ვილაცით მუდმივად აღფრთოვანებული, ეძებს ბანდის მეთაურს, კერპთაყვანისმცემლობამდეც დადის, მაგრამ კერპი დროებითია და ეწყება ძიება, პოულობს როკვარსკვლავებს, გამოჩენილ ფეხბურთელებს. . . და მათ ეთაყვანება. მისი ინტერესების სფეროში ქალიც კი არ შედის, რადგან ის მისთვის ნაკლებსაინტერესო ობიექტია. მისთვის უმთავრესია კერპი. ასეთი „დეუტის“ არსებობა გამოწვეულია აკვიატებით და არა სიყვარულით.

დაქვეითებული კულტურის საზოგადოებაში „სენტიმენტალური“ სიყვარული უმაღლეს ღონეს აღწევს. წარმოსახვით პირთან არშემდგარი ურთიერთობის სიყვარულად წარმოდგენა უდიდეს ფასეულობას იძენს. ასეთები სულგანაბულნი მისჩერებიან სატელევიზიო კინოსერიალების გმირებს, მათ სიყვარულსა და პრობლემებს ისე განიცდიან, რომ ეკრანზე ნახულს მეგობრებთან არჩევენ, ანაღიზებენ. ასეთებს ვინმე კი არა, სხვისი სიყვარული უყვართ და სულის სიღრმეზე განიცდიან.

ასევე ხშირია წარსული სიყვარულით გატაცება, გახსენებითა და მოგონებებით ცხოვრება. მათ მუდმივი იმედი აქვთ, რომ მომავალშიც ვინმეს, ოდესმე, გატაცებით შეიყვარებენ.

დეუტის უცნაური დამოკიდებულებაც არსებობს. არ ვიცი რა დავარქვა ასეთ ალიანსს, ალბათ, ნევროზული „სიყვარული“. ასეთებს პრობლემებისგან გასათავისუფლებლად, თვითდარწმუნებისთვის, მათი გაგებით, გვერდზე მათზე უარესის ყოფნა სჭირდებათ. ამ როლს შესაძლოა მეუღლე ასრულებდეს, რომელსაც, მათი აზრით, არაფერი შეუძლია, ვერაფერს ახერხებს და თუ რამე ისე არ არის, ყველაფერში მეუღლეს ადანაშაულებს: – „შენ რომ ჩემთვის დაგეგმავებიანა. . .“, „დედენერატი ხარ. . .“ ეს დეუტი ყველაზე დიდხანს გრძელდება. ასეთი სუბიექტი ცოლს არასოდეს მიატოვებს, რადგან დადანაშაულების პროცესი მისი ცხოვრების აზრია. ასევე ექცევა შვილს. შვილისგან იმას მოითხოვს, რასაც თვითონ ვერ მიაღწია და მუდმივად ჭკუისდამრიგებლის როლში გვევლინება.

ფსევდომორწმუნენიც გარკვეულ ფენას წარმოადგენენ. მათ არა აქვთ მიზანი, მათი პრინციპი ბედნიერების მიღწევა როდია, არამედ ღმერთს პარტნიორად მიიჩნევენ. მას ლატარიაში, კაზინოში დიდი ფულის მოგებასა და არასასურველი პიროვნების განადგურებასაც კი სთხოვენ.

როდესაც საზოგადოებაში რწმენა და, შესაბამისად, კულტურა დაქვეითებულია, მაშინ ამ საზოგადოების საშუალო ადამიანი წარმოადგენს სუბიექტს, რომელიც ორიენტირის გარეშე მოძრაობს, ქმედებს. სიყვარულის უნარს ზომ კულტურა განსაზღვრავს; სიყვარულის ხარისხი რჩეულის, ოჯახის, მოყვასის, სამშობლოს მიმართ სწორედ საზოგადოების კულტურის შესაბამისია; დაქვეითებული კულტურის პირში, სუბიექტი ეროტიკული სიყვარულის უნარსაც კი მოკლებულია და რაც მას სიყვარული ჰგონია, სინამდვილეში ჭეშმარიტი სიყვარულის პაროდიაა.

რაც უნდა ლამაზი და დახვეწილი იყოს მწარმოებლის მიერ შექმნილი საქონელი (ავტომანქანა, ფეხსაცმელი, ქუდი . . .), მას არვითარ ფასი არ ექნება, თუ ბაზარზე მისი მოთხოვნილება არ არის.

ასევე ადამიანის შემთხვევაში – თუ საზოგადოებას არ შეუძლია ადამიანის ენერგია, პოტენციალი, შრომისუნარიანობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, ფასი არც ადამიანს ექნება.

ამგვარად, ჩვენ თანამოქალაქის შემოქმედების დამთრგუნავ საზოგადოებად ვიქცევით; შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ახალი მატერიალური და სულიერი პროდუქტის შექმნა არ ხდება და მხოლოდ არსებული რესურსების გასხვისება მიმდინარეობს.

ჩვენ საკუთარი სამშობლოს, მისი მომავლის პოტენციალის მჭამელი და მწუწნავი მატლები, პარაზიტები გავხდით.

არ არსებობს ინსტრუქცია, რეცეპტი, მაგრამ არსებობს ის აუცილებელი პირობები, რომლის გარეშე სიყვარულამდე მისვლა შეუძლებელია.

პირველია დისციპლინა. დისციპლინა არ არის ჰობი, „დღეს მეზარება ხვალდან დავიწყებ“. . . თუ მოეშვით და დისციპლინა დაკარგეთ – ყველაფერს დაკარგავთ, სიყვარულის ჩათვლით.

მეორე – ნებისყოფა. ეს უფრო დეფიციტია, ვიდრე დისციპლინა. თუ ნარკოტიკი, სიგარეტი ან სასმელი სულის სიდრემდე გიტაცებთ, რაღაცას სიყვარულზე მაღლა აყენებთ, ე.ი. არ გიყვართ.

მესამე – მოთმინება. სწრაფი რეალიზაციის ძიება შემოქმედებით პოტენციალს აქვეითებს. ირაციონალობა, დილეტანტიზმი მიზნისაკენ მოუთმენელი სწრაფვის შედეგია. ზერაციონალობამდე, შემოქმედებამდე, აღმშენებლობამდე, ანუ ღიად სიყვარულამდე რწმენით უნდა მივიდეთ.

მეოთხე – სიმამაცე. ტკივილის გადატანის, გულგატეხილობის დათრგუნვის უნარი. სიმამაცეს თვითრწმენა მართავს, სიმამაცე თავზეხელაღებულობას გამოირიცხავს, ის საიმედოობის გაზრდის გარანტია.

მეხუთე – აქტიურობა. შეყვარებულს აქტიურობის შესუსტება მხოლოდ ძილის დროს ეპატიება (თუმცა ზოგიერთი შეყვარებული ძილშიც აქტიურია).

დავფიქრდეთ კიდევ ერთ საკითხზე, თუ გაქვთ შიში, რომ არ შეგიყვარებენ – თქვენ, უბრალოდ, სიყვარულის გეშინიათ.

სიყვარული – რწმენის აქტია.

სამართლიანობასა და სიყვარულს ერთმანეთში ნუ აურევთ. – „მე ხომ მიყვარს, კეთილი ინებოს და იმანაც შემიყვაროს!“ – ეს უბრალოდ ვაჭრობაა.

ვერ გადაარჩენთ მოყვასს, თუ შეეცდებით არჩევანი მის მაგივრად გააკეთოთ.

დასკვნა: თუ დისციპლინა, ნებისყოფა, მოთმინება, სიმამაცე, აქტიურობა გვაკლია – **ოჯახს, ერს, სამშობლოს, ღმერთს ვერასდროს შევიყვარებთ!**

მაგრამ არსებობს ის მარადიული საფუძველი, რომლის გარეშე არც ნებისყოფა, არც მოთმინება, არც სიმამაცე არ არსებობს. ამ საფუძვლის სახელწოდებაა **რწმენა**.

რწმენა

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“;
(იოანე 14,6)

„რწმენა“ – ალბათ, ამ ცნებაში ადამიანის ის თავისებური სულიერი მდგომარეობა იგულისხმება, როდესაც ჩვენ თანახმანი ვართ, ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რაც ჩვენთვის თავისთავად ხილული არ არის.

ალბათ, რწმენა ნიშნავს ვირწმუნო ის, რისი მტკიცების სფეროში მოქცევაც შეუძლებელია, ანუ რის შესახებაც დამაჯერებელი თეორია არ არსებობს.

რაც უნდა დადებითად ამაღელვებელი იყოს რწმენის ეს დიდებული, იდუმალებით მოცული განმარტება, ის ჩვეულებრივ მოკვლევაში მაინც შეუცნობელ ეჭვსა და უარყოფის ელემენტებს აჩენს. შევეცადოთ, რწმენის აზრი პოსტულატის ფორმით ჩამოვყალიბოთ:

ჩვენი დაჯერებულობის უდრეკელობა არის რწმენა.

ერთი შეხედვით, რწმენის ასეთი გააზრება ლოგიკურია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დროს ნები-სყოფა იძაბება, ეს კი აუცილებელია, რათა დარწმუნდე, არ მოიდრიკო, აღიარო ის, რაც შემეცნები-სათვის საეჭვო რჩება.

ალბათ, ერთეულებისთვისაა საკმარისი ასეთი რწმენით პირდაპირი ამაღლება. სამწუხ-აროდ, ასეთი ამაღლება ბევრისთვის მიუღწეველია; და დამაეჭვებელი დამაეჭვებლად რჩება, არადამაჯერებელი – არადამაჯერებლად.

ვირწმუნოთ ის, რაც ლოგიკით საეჭვოა – საკუთარ გრძნობასთან, სურვილთან, აზრთან კომპრო-მისს ნიშნავს. ეს პირდაპირი გზაა კონფორმიზმადე. კონფორმიზმმა, ანუ შემგუებლობამ სადამდეც მიგვიყვანა, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ამიტომ ვართ ტანჯულნი და ქედმოღრეკილნი.

ჩვენ საკუთარ გონებაზე ვძალადობთ. უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ თავთან მუდმივ „დიპლო-მატიურ მოლაპარაკებაში“ ვართ და ვცდილობთ საკუთარი თავი დავარწმუნოთ იმაში, რაც გულის სიღრმეში მაინც საეჭვო რჩება. ამ მდგომარეობას შინაგან გაორებადღე მიგყვართ. ეს გაორება მეც და თქვენც ნათლად გვინახავს:

გაიხსენეთ ეკლესია, თუ რა მოწიწებით უჭირავს სანთელი ხელში საკუთარი მოყვასის მტერს ან რა სინაზითა და სიფაქიზით იწერს პირველს არშემდგარი ადამიანი.

როდესაც გონებაში ეჭვი ბოლომდე არ გაფანტულა, შეუძლებელია რწმენის ჭეშმარიტება მი-ვიღოთ, შეუძლებელია ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვთქვათ „დიახ“ ან „არა“.

მხოლოდ არშემდგარ, გაუაზრებელ ადამიანებში შეიძლება ამგვარი „რწმენის ჩანერგვა“; ჩვენ ასეთი „რწმენის“ დამკვიდრების ვერც აუცილებლობას ვხედავთ და ვერც დამსახურებად ჩავუთვ-ლით ვინმეს ამგვარ მცდელობას. სწორედ მათი „დამსახურებით“ ჩამოყალიბდა მერყევ, გაუწონას-წორებელ, არშემდგარ ადამიანთა „საზოგადოება“, რომელიც კრიმინალური ელიტისათვის სასიც-ოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ასეთ მდგომარეობაში თვითშემეცნების მსურველი ადამიანისათვის სიტყვა „მწამს“ ხშირად, თუ მკაცრად ჩავიხედავთ საკუთარ სულში, ნიშნავს „მართალია არა მწამს, მაგრამ ძალიან მინდა მწამდეს; მინდა დავარწმუნო საკუთარი თავი იმაში, რომ „მწამს“.

შეიძლება ღრმად ვცდებით, მაგრამ ასეთი „რწმენა“ ცოდვად მიგვაჩნია ღმერთის, ანუ უდიადესი სიმაღლის წინაშე. შეიძლება ეს ცოდვა სულაც არ არის და ადამიანის ერთ უნიკალურ, მიწი-ერი ცხოვრებისაგან მიღებულ თავისებურებას ეფუძნება. ეს თავისებურება ყველაზე ნათლად დევიდ ჰიუმმა გამოხატა.

ჰიუმის აზრით, პრაქტიკული, ყოველდღიური ცხოვრება რწმენაზეა დამყარებული. უფრო ნათე-ლი რომ გახდეს, შემდეგ მაგალითის მოგიყვანთ: როდესაც საღამოს დასაძინებლად ვწევბით, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ გავიღვიძებთ და დღე დავგვიხვდება. თუ მკაცრად მივუდგებით ამ ცხად ჭეშმარიტებას, აღმოჩნდება, რომ საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მარ-თლაც, ვინმემ რომ ამ ჭეშმარიტების „დამტკიცება“ მოგვთხოვოს, მივხვდებით, რომ მტკიცებულების მოყვანა შეუძლებელია.

მართლაც, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, რომ ღამის განმავლობაში დედამიწას მეტეორი არ დაეცემა და დღე-ღამის ასტრონომიული მონაცვლეობა და ხანგრძლივობა არ დაირღვევა; ან კიდევ, უბე-დური ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი უაზროდ აშენებული ან მოუვლელობით დაზიანებული სახლი არ დაინგრევა; ასევე სახლშიც კი არავინ არის დაცული იარაღიანი, ნიღბიანი ბანდიტის თავდასხმისაგან. ჩვენ რომ ამ შესაძლო უბედურებათა შესახებ ვიფიქროთ, საერთოდ ვერ

დავიძინებთ და სიცოცხლეც შეწყდება. ამიტომ, ყოველგვარი „მტკიცების“, „ლოგიკის“ აუცილებლობას უგულებელვყოფთ და მშვიდად, უდრტყინველად ვიძინებთ. ამრიგად, ცხოვრებისეულ რწმენას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჩვენც ამით ვხელმძღვანელობთ და არა „ბუნების კანონებით“, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი „მწამს“ არაფრით არის გარანტირებული.

როგორც ჩანს, იქ, სადაც მტკიცება შეუძლებელია, რწმენა გვშველის.

ცხოვრება დაფუძნებულია რწმენაზე, რომლის „მტკიცება“ უაზრობაა.

თითქოს ზემოთ აღწერილ რელიგიური რწმენის ფორმულირების აღქმაში ასეთი მსჯელობა უნდა დაგვენდაროს. ამაზე მეტი, თითქოს არაა საჭირო, რათა დავასკვნათ:

რწმენის საფუძველი არის იმისი გააზრება, რომ არსებულზე ღრმა წვდომა ჩვენთვის მიუღწეველია, ამიტომ ის მტკიცებულების გარეშე უნდა მივიღოთ.

პიუმის შემდგომ, ცივილიზაციამ ცნება ალბათობა გაიზარა. მოდით, ზემოთ აღწერილი მაგალითები ალბათობის ცნების გათვალისწინებით განვიხილოთ. ის ფაქტი, რომ ხვალ გათენდება, არც მკაცრ მტკიცებას, არც რწმენას არ მოითხოვს. უბრალოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდია ალბათობა იმისა, რომ ხვალ გათენდება, ხოლო ალბათობა იმისა, რომ დედამიწას მეტეორი დაეცემა იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ამ პროცესის ალბათობა ნულის ტოლად მივიჩნიოთ.

ასეთი ხელოვნური, „მეცნიერული“ მიდგომა რელიგიური რწმენის მიმართ პროტესტის გრძნობას იწვევს, უარეს შემთხვევაში კი მას „სოფიზმამდე“, ფალსიფიკაციამდე, შესაბამისად, ურწმუნობამდე მივყავართ.

რელიგიაზე, რწმენაზე, ღმერთზე ალბათობით საუბარი მკრეხელობა და უაზრობაა. შესაბამისად, არაფრამდე მიგვიყვანს.

ჩრება ავტორიტეტზე დაფუძნებული რწმენა. ასეთი რწმენის ძირითადი აზრი შემდეგშია: ბავშვს დამოუკიდებლად არსებობა უჭირს, ამიტომ ის შეუცნობლად უჯერებს მშობელს, სწამს მისი. ბავშვი სამყაროს დამოუკიდებლად ვერ „აყნობიერებს“, მას ამისათვის მშობელი ან მასწავლებელი, ანუ ავტორიტეტი სჭირდება.

დასკვნა: ჩვენ ჯერ ბავშვები ვართ, ამიტომ „ასეა საჭირო და მიტომ!“

ასეთ ავტორიტარულობას „რომის პაპის უცოდველობასთან“ მივყავართ. ეჭვს არ იწვევს, რომ რწმენის ამგვარი ახსნა, ანუ სუფთა ფსიქოლოგიური რწმენა, თითქოს ისტორიულადაც გამართლებულია და რეალობასაც ეხმიანება, რადგან ადამიანი ყველა რელიგიაში იმ ობიექტად მიიჩნევა, რომელმაც რწმენა თვალდაუპყრელად უნდა აღიაროს.

პირველ სტადიაში, როცა საქმე ეხება ბავშვს, ლოგიკაგანუვითარებელ არსებას, ავტორიტარული რწმენის არსებობა აუცილებელია. ასეთ ადამიანს რწმენისათვის „ზეციური საიდუმლოს მფლობელის“ არსებობა სჭირდება. რწმენასთან ასეთი მიდგომა გაუმართლებელია. ბავშვისთვის ავტორიტეტი აუცილებელია, მაგრამ ბავშვი იზრდება და მის ავტორიტარიზმზე დაფუძნებულ რწმენას ცხოვრების სირთულე ათეიზმად გარდაქმნის. ეს პროცესი თანდათანობით, შეუმჩნეველად, მუდმივად, მეთოდურად მიმდინარეობს.

განვიხილოთ კათოლიკე. მას სწამს პაპის უცოდველობის, აქედან გამომდინარე, ის თავს ვალდებულია მიიჩნევს ირწმუნოს და, თითქოს რწმენის საფუძვლის ძიება არ უნდა სჭირდებოდეს, ეს არ უნდა იყოს მისი საფიქრალი. თითქოს მან მიიღო, რაც რწმენამდე მისასვლელადაა აუცილებელი.

ცხადია, ამგვარად მიღებული რწმენა ადამიანის სულში ეჭვის გაჩენის შესაძლებლობას ტოვებს. ხომ შეიძლება იმაზე დაფიქრება, რომ „რომის პაპის უცოდველობა“ თვით პაპის გამოცხადებულია. აქედან გამომდინარე, ღოგმამ – „პაპი უცოდველია“, შეიძლება რწმენაში ბზარი გააჩნოს.

ავტორიტარულობის პირველწყაროდ აღიარების პრინციპით, ღვთის რწმენა, ღვთისმოშიშობა ან მისი ყოვლისშემძლეობის წინაშე მუხლის მოდრეკა, მორჩილება მრავალი ინტელექტუალისათვის დამაფიქრებელი და სათუთაა. ამ დაეჭვებამ შეიძლება მკრეხელობამდეც კი მიგვიყვანოს.

ღვთის მორჩილებისათვის აუცილებელია დარწმუნებულნი ვიყოთ მის არსებობასა და მის უმაღლეს სამართლიანობაში. მხოლოდ ეს მოგვცემს საფუძველს, ვირწმუნოთ მისი მოციქულის უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ზიარება.

ავტორიტეტის აუცილებელი და საჭირო აღიარება, საბოლოო ჯამში რწმენის დამაჯერებლობას, შემეცნებულ რწმენას უნდა ეყრდნობოდეს, რათა „სამყაროს ვეშაპზე ღვომის“ თეორიამდე არ დავიდეთ.

მცირერიცხოვან რჩეულთ ღმერთი ჭეშმარიტი, ციური ნათლით ეცხადება და ისიც იშვიათად. დანარჩენებისათვის მისი ხმა ისმის, როგორც ბოროტების ხმაურში მეგობრის ჩურჩული, ამიტომაც საჭირო განმარტობა, ჩაფიქრება, სიჩუმე.

არა აქვს მნიშვნელობა იმას, ჩვენამდე მისი ხმა როგორ მოდის – ძლიერად თუ სუსტად, ნათლად თუ გაუგებრად, ახლოდან თუ შორიდან. საბოლოოდ, ეს ის ჭეშმარიტი რეალობაა, რომელსაც საკუთარი არსითა და გონებით აღიქვამ.

მართლაც, დაუფკვირდეთ იმას, რასაც ვეყრდნობით. დასაფიქრებელი და ღრმად გასააზრებელია სპინოზას ლოგიკური მსჯელობა:

„ჭეშმარიტება თავისივე თავისა და შეცდომის საზომია“.

ვცადოთ და რწმენას ამ თვალთახედვით მივუდგეთ.

უმთავრესია ღმერთის თვითაღმოჩენა, საკუთრივ მისი მოვლინება ჩვენს სულში, მისი ხმის გაგონება და თუ ჩვენ ის აღვიქვით, ჩვენი ამაღლებაც მაშინ დაიწყება.

ამისკენ ილტვის, ისწრაფვის ჩემი და, ალბათ, თქვენი სულიც. ესაა ის, რაც ჩემში შინაგან, თავისუფალი ნებით აღიარებულ დამაჯერებლობას ქმნის. აქედან, ჩემთვის ფასეული და მისაღებია რწმენის მხოლოდ ერთადერთი განმარტება:

რწმენა არის ადამიანის სულის შეხვედრა ღმერთთან, ადამიანის სულში ღვთის მოვლინება.

არა აქვს მნიშვნელობა, ღმერთის ადამიანთან დამაკავშირებელი „გამტართა ქსელი“ რთულია თუ მარტივი, არც იმას, როგორია მასში გამავალი „ღენის სიმძლავრე“, რომელიც სულში უღიადეს „სინათლეს“ ანთებს, მთავარია, რომ ეს „სინათლე“ პირველწყაროდან, ე.ი. უმაღლესი ჭეშმარიტებისაგან, ანუ ღვთისგან მოდიოდეს.

მნიშვნელობა არა აქვს, თვით მორწმუნე მაშინვე შეიცნობს ამას, თუ მთელ სიცოცხლეს მონდომებს. დრო უკვე არაფერს შეცვლის, რადგან სულში რწმენის სინათლე უკვე დანთებულია. სხვანაირად ჩვენთვის ძნელი გასაგებია, როგორ გარდაიქმნება ურწმუნო – მორწმუნედ.

მართლაც, საოცარია, როგორ ინთება სულში რწმენა, როდესაც ურწმუნობის ატმოსფეროში ვსუნთქავთ და ვცხოვრობთ. ამ შემთხვევაში ამის „წმინდა ავტორიტეტებით“ ახსნა შეუძლებელია. თუნდაც იმიტომ, რომ ურწმუნო სუბიექტი ავტორიტეტს საერთოდ არ ცნობს, საერთოდ არ ესმის „წმინდა ავტორიტეტის“ აზრი. გამოდის, რომ ის განწირულია.

რჩება კითხვა, ნუთუ საშველი არ არის?

– არის.

ჩვენი აზრით, ეს არის ღმერთთან პირდაპირი კავშირი. ეს კავშირი შეიძლება საკმაოდ ბუნდოვანი იყოს ურწმუნო სუბიექტისთვის, მაგრამ ოდესმე ის ამას მაინც აღიქვამს.

იმ ფაქტის მოწმენი ჩვენც ვართ, როცა სიკვდილის პირას მისული ყველაზე ურწმუნო ათეისტიც კი მაინც იმ ღმერთზე იწყებს ლოცვას, რომელსაც მთელი ცხოვრება უარყოფდა. ასევე შესაძლებელია, რომ ბიბლიაში ამოკითხულმა რამდენიმე ფრაზამ ათეისტი უნებლიედ ჩააფიქროს და მან უღიადესი სიმართლის ბრწყინვალეობა შეიცნოს. ასეთს, უცებ, გონება ეხსენება, თვალი ეხილება და მისი სული უმაღლესი ჭეშმარიტების ძალას შეიცნობს.

ვისაც ეს, ან მსგავსი რამ არ უგრძნია, მე მას მორწმუნედ ვერ მივიჩნევ, თუნდაც ეკლესიის მიერ გამოცხადებულ ყველა წმიდა ავტორიტეტს თანმიმდევრულად აღიარებდეს.

გასაზრებელია ერთი მნიშვნელოვანი რეალობაც. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ქრისტიანულის გარდა, მრავალი რელიგიური მიმდინარეობაა გავრცელებული: იუდაიზმი, მაჰმადიანობა, ბუდიზმი, . . .

დავსვით კითხვა – საერთოდ, არსებობს თუ არა რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის მრწამსის „უპირატესობის მტკიცების“ ლოგიკური, დამაჯერებელი საფუძველი?

მაგალითად, შესაძლებელია თუ არა ჩვენი, ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის მტკიცება სხვა რელიგიასთან შედარებით?

შესაძლებელია თუ არა სხვა რელიგიის მიმდევარი ჩვენი რწმენის საფუძვლის უპირატესობაში დავარწმუნოთ?

ზოგიერთ შემთხვევაში მისიონერებმა ეს შეძლეს. ამ კუთხით მათი საქმიანობის შესახებ დავწერილებითი ინფორმაცია არა გვაქვს, მაგრამ გვეჩვენება, რომ მათ ყოველივე ამისათვის მხოლოდ „ავტორიტეტების გამოყენებით“ მიეღწიათ.

ალბათ, რომელიმე აფრიკული ტომის ამა თუ იმ რელიგიურ მრწამსზე მოქცევა „ავტორიტარულობის პრინციპით“ გახდა შესაძლებელი; თუმცა, ისიც ცხადია, რომ ასეთი მიდგომა აზრს კარგავს იუდაველებთან, მაჰმადიანებთან, ბუდისტებთან. . .

მათ, ჩვენი მხრიდან რამდენი „ავტორიტეტიც“ უნდა წავუყენოთ, იმდენივე „ავტორიტეტიც“ გვიპასუხებენ. ბიბლიას გვერდით თაღმუდს ან ყურანს დაუდებენ, რომის პაპს – დალაი-ლამას დაუყენებენ.

არც ის გვიშველის, რომ ყველაფერი ინფორმაციის ნაკლებობას დავაბრალოთ. თუ ბიბლია თარგმნილია მსოფლიოს ყველა ენაზე, ასევე თარგმნილია მათი წმინდა წიგნებიც. ასეთი გზით ვერ დავადგენთ, არსებობს თუ არა ჩვენ შორის საერთო ენა და გვაქვს თუ არა ერთი მიზანი, ან როგორი სახისაა ის. აქ მეცნიერული, ლოგიკური მსჯელობაც უძლურია.

“რაც ჩვენია, ის კარგია“ – ეს ლოზუნგი არ გამოგვადგება.

“დავიბადე საქართველოში და მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა ვიყო“ – რწმენას ვინმეს ვერც ეს ლოზუნგი შემატებს.

და აქ მტკიცებულების მიზნით ინფორმაციის მოყვანა, რომ მოსეს **ღმერთმა** მრავალი რამ გაანდო, და მათ შორის ისიც, რომ გაანადგუროს მან ყველა სხვა რწმენის ადამიანი, ხოლო ქრისტემ მოგვიწოდა – „გვიყვარდეს მოყვასი. . .“ – არაფრის მომცემია. ან ის, რომ მუჰამედი მდიდარ ქალბატონზე დაქორწინდა, ხოლო ქრისტეს მსგავსი რამ არ ჩაუდენია – ბავშვური მსჯელობაა.

ის დრო გავიდა, როცა ყველა სხვა რელიგიის მიმდევართ ბნელეთით მოცულად, ბრმადმორწმუნედ აღვიქვამდით. ამჟამად მსგავსი წარმოდგენა მხოლოდ ჩვენს სისუსტეს ადასტურებს; საზოგადოება კი ამ სისუსტეს რატომღაც, გულგრილად აღევნებს თვალს.

ქრისტეს სიყვარულმა სხვის მიმართ არ უნდა დაგვაბრმავოს. უდიადესი სიმართლე იმითმაცა უდიადესი, რომ ის ყველგან და ყველაფერშია.

შესაბამისად, ყველა რელიგიაში სიმართლის ელემენტების დანახვა შეიძლება და, ალბათ, აუცილებელიცაა.

ჩვენი რწმენის საფუძველს ის უნდა ქმნიდეს, რომ სიტყვა, რომელიც ქრისტესაგან გადმოგვეცა, აბსოლუტური, უდიადესი სამართალია, ამიტომ გვეჯერა, რომ ის ღვთის ხმაა.

ცხადია, ღვთის ხმა ყველას უნდა გაეგო და ამიტომ სხვა მიმდინარეობებს ცრუს ვერ ვუწოდებ და მგონია, რომ ვინც ამას აკეთებს, მას ეჭვი თვით ღმერთში შეაქვს. მნიშვნელოვანია, მრავალში ის ამოვარჩიო, რომელიც ჩემში ღვთის სიყვარულს მეტად ანთებს. ამიტომაცა, რომ ქრისტიანი ვარ, რადგან ჩემთვის სწორედ ესაა უმოკლესი გზა უმაღლესამდე. შესაბამისად, ჩემში არავითარ შემ-

ფოთებას არ იწვევს, თუ ვინმესთვის ღვთისაგან მიმავალი უმოკლესი გზა იუდაიზმი, პროტესტანტიზმი ან კათოლიციზმი.

გაიხსენეთ, **ჭეშმარიტება ზომ საკუთარი თავისა და შეცდომის საზომია.**

ღმერთზე და მის ჭეშმარიტებაზე, საბოლოო ჯამში, თვით ღმერთი მოწმობს.

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14, 6).

ჩვენ გვწამს ახალი აღთქმის, რადგან მისი საშუალებით, მასში შემონახული ქრისტეს ხატით, ჩვენ თვით ღმერთი შევიცანით; ახალი აღთქმით დავინახეთ ჭეშმარიტება. მრავალი ჭეშმარიტება გვაქვს წიგნებიდან ამოკითხული, მაგრამ მისი მსგავსი ვერსად ვიპოვეთ. ამიტომ მივიჩნიეთ მას წიგნთაწიგნად და თუ რომელიმე სხვა წიგნში გამოთქმულმა აზრმა აღგაფრთოვანათ, დაუკვირდით და მიხვდებით, თქვენი აღფრთოვანების საზომი აღმოჩნდება ის, თუ ეს წიგნი ახალ აღთქმასთან რამდენად ახლოსაა.

“წიაღში ჩაუვლებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი იქნებიან“. „აღარ დაუწყებენ სწავლებას ერთმანეთს, მეზობელი მეზობელს და ძმა ძმას: შეიცან უფალიო! რადგან ყველას შეცნობილი ვეყოლები დიდიდან პატარამდე“ (იერემია წინასწარმეტყველი, 31, 32 –33).

„ღმერთისგან ყველა განისწავლება“.

“ვერაგინ მოვა ჩემთან, თუკი მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, არ მოიყვანა, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“ (იოანე 6.44).

ეს ციტატები შემთხვევით არაა მოხმობილი. ეს ის სიტყვებია, რომელიც ყველაფერს ამტკიცებს. ამ სიტყვებშია ახალი აღთქმის გააზრების მთელი არსი, ახალი დამოკიდებულება ადამიანის სულსა და ღმერთს შორის, ამ დამოკიდებულების მუდმივად ახალი გააზრება, რომელიც შეიძლება ახალდაბადებულმაც კი შეიცნოს და, იმავე დროს, „მწიგნობართ“ გაგება გაუჭირდეთ.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საბოლოო დასკვნა ერთია:

ადამიანს უყვარს იმიტომ, რომ უყვარს, სწამს იმიტომ, რომ სწამს და სხვა ახსნა არ არსებობს.

შესაბამისად, ვისაც გვიყვარს საქართველო, იმიტომ რომ გვიყვარს, ვისაც გვწამს საქართველო, იმიტომ რომ გვწამს, შევეცდებით გავერკვეთ ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხში: რა როლს ასრულებს რწმენა, სიყვარული და იდეა სოციუმის, სახელმწიფოს ჩამოყალიბების და განვითარების საქმეში.

ყველა სხვას, ვისაც არ უყვარს და არ სწამს, გირჩევთ ნუ გააგრძელებთ ამ ნაშრომის კითხვას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თქვენ მაინც ვერაფერს გაიგებთ.

მატრიცა

რატომ მთავრდება უშედეგოდ ჩვენი ყოველგვარი მცდელობა? სად მივაგნოთ იმ იდეას, იმ მექანიზმს, რომელიც დღევანდელი მდგომარეობიდან გამოგვიყვანს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ჩვენი სამშობლოს ღირსნი გავხადოთ?

ამ ბნელ პერიოდში ჩვენი ხასიათი ორი ფაქტორის გავლენით ყალიბდებოდა.

პირველი — ესაა ის კრიმინალური წნეხი, რომელმაც ჩვენი ინტელიგენცია ფიზიკურად, სულიერად და მატერიალურად გასრისა, გაანადგურა და თუ რაღაც ნაწილმა სიცოცხლისუნარიანობა და ენერგია ჯერ კიდევ შეინარჩუნა, ეს მათ განსაკუთრებულ სიმამაცეზე მეტყველებს.

მეორე ფაქტორი რეალობას მოწვევტაა, რომელმაც ინტელიგენციაში მეოცნების, უტოპისტისა და, ამავე დროს, ტანჯულის კომპლექსი, დებრესია განავითარა. საარსებო მინიმუმისა და შრომის

დასციპლინის იძულებითი დაკარგვის ფონზე „შთამომავლობით“ ინტელიგენციის ქედმაღლური „აზროვნება“ ინფანტილიზმამდე დავიდა. ერთადერთი, რაც ფსევდოინტელიგენციას შემორჩა, ესაა ბავშვური ოცნება – სამშობლოს დაცვა, გადარჩენა ვიღაცის და რაღაცის დახმარებით.

ჩვენი საზოგადოების საერთო სულიერ მდგომარეობას განსაზღვრავს არა ერთი პიროვნების ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მაღალზნეობრივი სახე, არამედ,

საზოგადოების უმრავლესობის მიერ აღიარებულ ფასეულობათა თანაფარდობა კაცობრიობის მიერ აღიარებულ ძირითად ფასეულობებთან.

პრობლემის გასარკვევად გავიაზროთ: საიდან ჩნდება „ჩამორჩენილი“ ხალხი? რატომ ისინიც არ ვითარდებიან? რატომაა, რომ ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ზნეობაც არ მალდება?

რატომ გაქრა ზოგიერთი უძველესი ცივილიზაცია და რატომ გვეჯობიან რთული ტექნოლოგიებისა და სიმდიდრის შექმნაში ისინი, ვინც სახელმწიფოდ გუშინ ჩამოყალიბდნენ?

ცხადია, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ ამ საკითხს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

სამწუხაროდ, რთული პრობლემა მარტივად არ იხსნება.

გვახსოვდეს, თუ ის მარტივად გადაწყდა, ან პრობლემა არაა რთული, ან გადაჭრის გზა არაა ნაპოვნი და უბრალოდ, გვატყუებენ.

პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია იმავე დონეზე, რა დონეზეც ეს პრობლემა, ამოცანა წარმოიშვა. ამიტომ, საჭიროა შემეცნების უფრო მაღალ დონეზე გადასვლა, რათა შემდეგ ამ სიმაღლიდან პრობლემის გადაჭრა ვცადოთ.

ეს აზრი ალბერტ აინშტაინს ეკუთვნის. მისი აზრიდან გამომდინარე, ჩვენი მცდელობა, შევცვალოთ ჩვენი უსუსური და უაზრო ცხოვრება შემეცნების იმ დონით, რაც გვაქვს, შეუძლებელია.

საჭიროა ამაღლება. ვცადოთ.

ზუსტ მცენერებაში არსებობს რთული ამოცანის ამოხსნის ე.წ. **მატრიცული მეთოდი.**

დავიწყეთ ამ მეთოდის გააზრება მარტივი მსჯელობით, მაგალითით.

დავუშვათ, თქვენი ამოცანაა ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრა.

პირველი აზრი, რაც ადამიანს თავში მოუვა, ალბათ, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს – აქვე, გეოგრაფიულად უახლოეს რეგიონში, ვთქვათ, ჩეჩნეთში არის ნავთობის საბადო. აზერბაიჯანშიც ხომ არის და არის! გულმოდგინედ რომ მოვძებნოთ, ნავთობი და გაზი იქნებ ჩვენთანაც აღმოვაჩინოთ . . .

ამ შემთხვევაში, მოაზროვნე ადამიანი როგორ იწყებს მოქმედებას? ის აუცილებლად მოძებნის ყველა იმ პროფესიონალს, ვისაც ოდესმე ნავთობის მოძიებასთან რაიმე კავშირი ჰქონია. განსჯისათვის საკმარის დიდ ინფორმაციას შეაგროვებს (იხ. სქემა). ვთქვათ, მოისმინეთ ერთი – a_1 გეოლოგის აზრი. შემდეგ, a_2 , a_3 და ა.შ. a_n გეოლოგის რჩევა. ეს ინფორმაციები შეიცავს, როგორც დადებით, ისე უარყოფით პასუხს. რა თქმა უნდა, მათ შორის იქნება ასეთიც: „დარწმუნებით ვერაფერს გეტყვი“.

მიღებულ ინფორმაციას იწერო, მაგრამ ნუ აჩქარდებით და სავარაუდო ნავთობის საძიებლად ჯერ ნუ გაემართებით. დროებით თავი შეიკავეთ და დაფიქრდით მეორე მნიშვნელოვან საკითხზე – თუ აღმოჩნდა ნავთობი, შეძლებთ თუ არა საკუთარი რესურსებით ნავთობის ამოღება-გადამუშავებას? მოაზროვნე ადამიანი ყველა იმ ინჟინერს გაესაუბრობდა, რომელსაც ამ საკითხზე ინფორმაცია აქვს. ერთი - b_1 ინჟინერი მოგცემთ ინფორმაციას, სად მოიძიოთ მიწები, მეორე - b_2 - სად შეიძინოთ საბურღი კოშკი, მესამე - b_3 გვეტყვის: ყველაფერი გაიყიდა, ვერაფერს იშვოვით. . . ვიღაცა - b_n კი აგისხნით სად ვიშოვოთ ეს ყოველივე იაფად.

შემდეგ, ალბათ, იმ პროფესიონალებს - c_1 c_2 c_3 . . . c_n უნდა გაესაუბროთ, ვინც აგისხნით, ვთქვათ, რა სეისმოლოგიური ცვლელეები შეიძლება გამოიწვიოს ნავთობის ამოღებამ.

შემდეგ, ალბათ, არქეოლოგებსაც უნდა გაესაუბროთ, რომლებიც აგისხნიან, როგორ მოიქცეთ, რომ საძიებელ ტერიტორიაზე ის შესაძლებელი ისტორიულ-არქეოლოგიური საგანძური არ დაზიან-

დეს, რომლის ფასი შეიძლება ნავთობზე ძვირი აღმოჩნდეს. საჭირო იქნება ეკოლოგიური სამსახურის სპეციალისტებსაც გაესაუბროთ. . .

ბოლოს, ალბათ, უნდა მოიძიოთ ყველა შესაძლო სპონსორი ან ინვესტორი, ვინც ამ წამოწყებას დააფინანსებს. ერთი - Z_1 პატრიოტული მოსაზრებით (რაც ძალიან გვეუწყებოდა) ქველმოქმედებას შემოგთავაზებთ, მეორე - Z_2 მოგებიდან 10 % მოგთხოვთ, მესამე - Z_3 - 99%, ვიღაც - Z_n შეეცდება, საერთოდ, როგორც ჩვენს „ბიზნეს ელიტაში“ იტყვიან, „საქმე აგახიო“.

აი, თქვენ შექმენით საინფორმაციო ბაზა, რომლის გარეშე არც ერთი ამოცანა არ გადაწყდება. ასეთი ტიპის საინფორმაციო ბაზას ეწოდება მატრიცა, რომელსაც მათემატიკოსები ასეთი სახით წარმოადგენენ:

$$\left(\begin{array}{l} a_1, a_2, a_3, \dots, a_n \\ b_1, b_2, b_3, \dots, b_n \\ c_1, c_2, c_3, \dots, c_n \\ \dots \dots \dots \\ z_1, z_2, z_3, \dots, z_n \end{array} \right)$$

ცხადია, ამის შემდეგ ყველა დაკვირვებული მიხვდება, რომ ქმედებათა თანმიმდევრობის გააზრებაც აუცილებელია. საიდან დავიწყეთ საქმე? მაგალითად, ჯერ ინვესტორებს გავესაუბროთ, მერე გეოლოგებს, თუ პირიქით. თქვენ უკვე დაიწყეთ ამოცანის ამოხსნის იმ გზის ძიება, რასაც მათემატიკოსები ალგორითმს უწოდებენ.

ალგორითმი (ალ-ხორეზმი, რატომღაც ლათინურად ალგორითმად „თარგმნეს“) – ეს სიტყვა მათემატიკოს მუჰამედ ალ-ხორეზმის სახელთანაა დაკავშირებული და მათემატიკური ოპერაციების თანმიმდევრულ, იერარქიულ სისტემას ნიშნავს, ანუ რომელი ოპერაცია ჩაატაროთ პირველად და რომელი შემდეგ. დასმული რთული ამოცანის ამოხსნასთან მხოლოდ ასეთი საზრიანი სვლა მიგვიყვანს.

ალგორითმის გარეშე თქვენ უმარტივეს ართმეტიკულ ამოცანასაც კი ვერ ამოხსნით, სახელმწიფოს განვითარების ურთულეს ამოცანაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგალითად:

$$2+2 \times 2=?$$

თუ 2 მიუმატებთ 2-ს და გაამრავლებთ 2-ზე პასუხად მიიღებთ 8-ს.

თუ 2 გაამრავლებთ 2-ზე და შემდეგ მიუმატებთ 2-ს მიიღებთ 6-ს.

რომელია სწორი პასუხი? რა თქმა უნდა 6, რადგან ალგორითმი გვეუბნება ჯერ შეასრულე მათემატიკური ოპერაცია გამრავლება და მხოლოდ შემდეგ მიმატება.

დიახ, დღეს გაცილებით უფრო რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, ვიდრე $2+2 \times 2$ ან ნავთობისა და გაზის მოძიებაა – **ადამიანის ღირსების საკადრისი ცხოვრების, საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბება.**

ამ ამოცანის ამოხსნა მატრიცული მეთოდით ვცადოთ, რადგან, სამწუხაროდ, მეცნიერებას სხვა, უფრო ეფექტური მეთოდი ჯერ არ შეუქმნია. მაშ, მოვიძიოთ ყველა ის ინფორმაცია, რომელიც დაგვხმარება იმ ტრაგედიის გააზრებაში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა.

შესაბამისად, ჩვენ ვალდებული ვართ, უპირველესად ადამიანის არსში გავვერკვეთ. ეს უპირველესი ამოცანაა. ადამიანის არსში გარკვევის გარეშე, მისი კეთილდღეობის მიზნით, რაიმე სოციალური თეორიის შექმნა, მართლაც, ინფანტილიზმი და უპასუხისმგებლობაა.

მეორე – სოციუმის თვისებებისა და კანონზომიერების შესახებ კაცობრიობის ორმოცდაათსაუკუნოვანი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მეცნიერული ანალიზია.

მესამე – ის მეცნიერული მეთოდებია, რომლებიც ორიენტირის არჩევაში, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება.

ამრიგად, მყარი, მდგრადი მატრიცის შესაქმნელად მრავალი აუცილებელი საკითხია გასათვალისწინებელი – ისტორიული ადათ-წესებიდან არდაწყებული და ორი ადამიანის ურთიერთობით არდამთავრებული. სოციალური პრობლემის ამოხსნასთან შედარებით, ნავთობის პრობლემის მატრიცის შექმნა ბევრად უფრო რთულია.

შესაბამისად, საკუთარ თავს დავეუსვით უმთავრესი კითხვა – ნუთუ არ არსებობდა ადამიანთა ისტორიაში ეთნოსი, ერი, სახელმწიფო, რომელიც ჩვენსავით დეგრადირებულ ყოფაში აღმოჩნდა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეეძლო? თან გავითვალისწინოთ, რომ ისტორია არა მარტო ერების განადგურების, ნგრევის, არამედ მათი განვითარების, პროგრესის ასახვაცაა.

გასარკვევია მხოლოდ რომელ ისტორიაში უნდა ვეძებოთ პასუხს.

არსებობს ხელოვნების ისტორია, მეცნიერების ისტორია, ნუმიზმატიკის ისტორია, ავადმყოფობის ისტორიაც კი. ალბათ ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემაში გასარკვევად უნდა გავეცნოთ პოლიტიკურ – სამართლებრივ ისტორიას. აუცილებელია გავიგოთ, როგორ ცდილობდნენ ინტელექტუალური ადამიანები მსგავსი მდგომარეობიდან გამოსვლას. გავერკვეთ, მმართველობის როგორი ფორმები არსებობს და მხოლოდ ამ ინფორმაციის საფუძველზე გავცეთ პასუხი უმნიშვნელოვანეს კითხვებს:

არსებობს, თუ არა მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც სწრაფად გამოგვიყვანს ამ ქაოსიდან.

არსებობს, თუ არა ის ზოგადი სოციალური კანონზომიერება, რომელიც რეგრესსა თუ პროგრესს განსაზღვრავს.

პოლიტიკური სამართლის ისტორია

პირველყოფილი თემური წყობილება, ადამიანთა ჯგუფური ყოფა – ნადირობა, შემგროვებლობა, ნაირფეროვნებისთვის – კედელზე მხატვრობა; თითქოს იმ პერიოდის ცხოვრებისათვის საკმარისი უნდა ყოფილიყო ამ ქმედებებით შემოფარგვლა; თუმცა, არა, ადამიანს რაღაც აკლდა, კითხვები უჩნდებოდა, ეძიებდა, მის გარშემო არსებულ საგნებსა თუ მოვლენებში პასუხს ვერ პოულობდა და . . . ცას ახედა, დააკვირდა და აღმოაჩინა – თუ ძველ ბერძნულ ტერმინს გამოვიყენებთ – კოსმოსი, რომელიც, ქაოსისგან განსხვავებით წესრიგს ნიშნავს. აღფრთოვანდა მზის, მთვარის, ვარსკვლავების იდეალურად მოწესრიგებული მოძრაობით და ღმერთის ძებნაც იქ, კოსმოსში, ბუნებრივ წესრიგში დაიწყო.

წესრიგში მან ღმერთი დაინახა.

ადამიანი ამ ცოცხალ მიწაზე ისეთივე კანონზომიერების დამყარებაზე ოცნებობდა, ოცნებობს და მუდამ იოცნებებს, როგორიც ვარსკვლავიან ცაში აღმოაჩინა. ამას ადამიანი პირველყოფილი ურთიერთობებისასაც, ეთნოსის, ერის ჩამოყალიბების შემდგომაც და საზოგადოებისა და სახელმწიფოებრივი წყობის დამკვიდრების შემდგომაც ცდილობდა. მისი მიზანი იყო განესაზღვრა ადამიანთა ურთიერთობის ნორმები, დაედგინა მათი უფლება-მოვალეობანი, ანუ დაედგინა რა არის სამართალი, რა შეიძლება და რა – არა; ცდილობდა ღვთიურ კანონზომიერებაში გარკვევას და კანონზომიერების შესაბამისი ქცევის წესების აღმოჩენას, რათა ამ კანონზომიერების შესაბამისად ეცხოვრა.

ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში:

პეროდოტე თავის „ისტორიაში“ გვიამბობს: მის ეგვიპტეში ჩასვლამდე, ანუ ძვ.წ. V საუკუნეში, ეგვიპტის პირველი მეფიდან მოყოლებული, 341 თაობა შეიცვალა, – ეს დაახლოებით 11340 წელია და მიუღია ამ პერიოდის განმავლობაში, ქურუმების ღრმა რწმენით, ეგვიპტეს ადამიანები მართავდნენ.

მანამდე კი „ეგვიპტეში ღმერთები მეფობდნენ“, რომლებიც მოკვდავთა შორის ცხოვრობდნენ. ერთი მათგანი კი ყველაზე ძლიერი იყო.

ამ ღმერთში იგულისხმება ის, ვინც ადამიანთა შორის ჰარმონიული თანაარსებობის აუცილებელ კანონზომიერებას, ჭეშმარიტებას ფლობდა.

საინტერესოა, რომ ძველებრავალი გააზრებით, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს ებრაელ ხალხთან განსაკუთრებული „ხელშეკრულება“ აქვს დადებული. ღმერთი ებრაელი ხალხის მეფე, უზენაესი კანონმდებელი, მმართველი და მოსამართლეა. მოგეხსენებათ, ადამიანთა ამაღლებული ურთიერთობის შესახებ წმინდა მოძღვრება, კანონმდებლობა მოსემ პირდაპირ ღვთისგან მიიღო (მოსეს კანონები).

ძველჩინური თვალსაზრისით, დამაკავშირებელი წერტილი ცასა (უმაღლეს კანონზომიერებას) და ცისქვეშეთს (უბრალო მოკვდავთ) შორის, არის ის პერსონა, რომელიც იმ უდიდეს პოტენციალს, იმ შინაგან ძალას ფლობს, რაც მას უმაღლესი კანონზომიერების აღქმასა და ადამიანთა შორის მის დამკვიდრებას შეაძლებინებს. და, რა თქმა უნდა, ესაა იმპერატორი. ყველა დანარჩენი თანამდებობის პირი, მმართველი აპარატი და ა.შ. მხოლოდ დამხმარე პერსონალია. თუ იმპერატორს პოტენციალი, შინაგანი ძალები, რაიმე მიზეზის გამო უქვეითდება, მაშინ ის ვერ უძლებს ცის სიმბიძეს და ძალაუფლება უნდა დატოვოს, უნდა გადადგეს.

და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი „იმპერატორები“, პოლიტიკური ლიდერები უფრო უდიდესნი ყოფილან, ვიდრე ჩინეთის ყველა იმპერატორი ერთად აღებული, რადგან ჩვენს „იმპერატორებს“ ცის სიმბიძით პიჯაკებიც კი არ ეჭმუჭნებათ.

პოლიტიკურ-სამართლებრივი ფენომენის მითოლოგიური საფუძვლის გაცნობისას, შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ სამართლიანობისა და მართლმსაჯულების ღმერთი ძველ ეგვიპტეში – მათი (მა-ატ), ინდოარიულ წმინდა ჰიმნებში – რტა (რიტა), ჩინეთში უმაღლესი კანონზომიერება – დაო, ძველ საბერძნეთში – დიკე არსებითად ერთი და იგივეა. განსხვავებულ დროსა და სივრცეში, ერთნაირი აზრის, იდეის დაბადება კიდევ ერთხელ ადასტურებს იდეის ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობას.

სახელმწიფოს იდეის გააზრების გარეშე სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს დამკვიდრება, ჩამოყალიბება შეუძლებელია. სახელმწიფოს შექმნა დამკვიდრება გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვენს „პოლიტიკოსებს“ წარმოუდგენიათ.

აქ მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ სოციალურ ფილოსოფიაში გავრცელებულ ისეთ ტერმინზე, როგორიცაა – ბუნებრივი სამართალი და მოქმედი ანუ ე.წ. პოზიტიური სამართალი. ხშირად „ბუნებრივი სამართალში“ ღვთიურ სამართალს გულისხმობენ, რაც, ჩვენი აზრით, არამართებულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბუნება არავითარ სამართალს არ ადგენს. ვიმეორებთ – ბუნების მოვლენებს გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს; ადამიანი ამ კანონზომიერების ნაწილს შესწავდა და მას ბუნების კანონები უწოდა. სამართალს კი ადამიანი ადგენს, ან ბუნების კანონზომიერების გათვალისწინებით, ან – გაუთვალისწინებლად. პირველ შემთხვევაში, ადამიანის მიერ შექმნილი სამართალის ვარგისიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესწავდა ის ბუნების კანონზომიერებას. მეორე შემთხვევაში, საქმე გვაქვს ადამიანის მიერ ხელოვნურად გამოგონილ სამართალთან. შესაბამისად, გვაქვს სამი სახის სამართალი, – ღვთიური, ბუნებრივი – კანონზომიერების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული და გამოგონილი, ანუ ხელოვნური სამართალი.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ცნება „ბუნებრივი სამართალი“, რომელშიც ხანდახან ღვთიურ სამართალსაც გულისხმობენ; ამრიგად, ჩვენც იძულებულნი ვართ ეს ტერმინი გამოვიყენოთ და შევეცდებით კონტექსტიდან გამოვძინარე ცხადვყოთ, თუ რომელ სამართალზეა საუბარი – ღვთაებრივსა თუ ბუნებრივ სამართალზე.

დავუბრუნდეთ ისტორიას, ანუ იმ პერიოდს, როცა ადამიანები ჩვენს მმართველ ელიტასთან შედარებით „განუვითარებლნი“ იყვნენ და ამ პრობლემას უმაღლესი ზნეობისა და აზროვნების პრეროგატივად განიხილავდნენ.

ღვთაებრივი სამართალი, როგორც ადამიანთა მიწიერი ცხოვრების წესის სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველი, დიდი ალტაცებით, აღფრთოვანებით და მოკრძალებით არის აღწერილი „პტაჰოტების სწავლებაში“ (ძვ.წ. XXVIII ს.), „მკვდრების წიგნში“ (ძვ.წ. XXV-XXIV საუკუნეებში), თხზულებაში „ჰერაკლეოპოლისელი მეფის სწავლება შვილისადმი“ (ძვ.წ. XXIII ს.).

„პტაჰოტების სწავლებაში“ ჩანს, რომ 49 საუკუნის წინ მათ უკვე გააზრებული ჰქონდათ – „ღვთიური კანონზომიერებიდან გამომდინარე, ყველა თავისუფალის თანასწორობა“ და ისიც, რომ „არ არსებობს დაბადებიდან ბრძენი“. შესაბამისად, აუცილებელია ადამიანი იქცეოდეს არა საკუთარი მოსაზრების მიხედვით, არამედ „კა“-ს პრინციპით (კა – სიკეთისა და სამართლიანობის კრიტერიუმი).

ნაშრომში „ჰერაკლეოპოლისელი მეფის სწავლება შვილისადმი“, რომელიც 44 საუკუნის წინაა შექმნილი, ავტორი გვარწმუნებს, – ფარაონს მოეთხოვება არ გააკეთოს არაფერი არასამართლიანი, უკანონო.

– არ დაანგრიო სხვათა ძეგლები. . . არ ააშენო სამარხი სხვათა სამარხების ნაძუსრევი ქვით, საკუთარი ქვა გამოკვეთე, გახსოვდეს: დიდსულოვნება მეფეთა სამკაულია.

– ჭეშმარიტებას მიყევი და დიდი ღლე გექნება. ნუგეში ეცი მტირალს, არ დაჩაგრო ქვრივი, არ წართვა სამემკვიდრო. . . არ დასაჯო უბრალო. ნუ მოკლავ კაცს, – ეს შეცოდებად მოგიბრუნდება.

– ნუ გამოარჩევ დიდებულს უბირისაგან, არამედ დაიხლოვე ადამიანი, უნარიანი და ხელოვანი ყოველ საქმეში.

ირღვევა ეს პრინციპები – ირღვევა სახელმწიფო.

საინტერესოა, კიდევ რამდენი ათეული საუკუნე უნდა გავიდეს, რომ ამ აზრმა ჩვენი მმართველების ტვინამდე მიაღწიოს.

შუშერებისთვის (მეორე ათასწლეული ქრისტეს დაბადებამდე), ასევე ბაბილონში, სამართლის მცველი იყო ღმერთი **შამაში** და ვაი მას, ვინც ამ კანონს დააღრვევდა. შუშერისა და ბაბილონის მმართველებსა და კანონმდებლებს საკუთარი კანონების ღვთიური წარმომავლობა ღრმად სწამდათ. ეს ნათლად ჩანს ცნობილ ბაბილონურ პოლიტიკურ-სამართლებრივ ძეგლში – „**ჰამურაბის კანონები**“. „ცისა და ღედამიწის დიდი მსაჯულის, შამაშის ნებით, დაე, ბრწყინავდეს ქვეყანაში სამართლიანობა. ჩემი მმართველის, მარდუქის ბრძანებით ვერაგინ გააუქმებს ჩემს მითითებებს“ (ძვ.წ. XVIII საუკუნე).

სამართლებრივ საკითხებზე ძველი სპარსული თვალსაზრისი **ზოროასტრიზმშია** ასახული და განვითარებული. ამ რელიგიურ-ეთიკური მიმართულების ფუძემდებელია **ზარატუსტრა** (ზოროასტრი) (ძვ.წ. VIII საუკუნე). მოგვიანებით, მისი იდეები ვრცელდება ახლო აღმოსავლეთში, წინა აზიაში, ინდოეთში, საბერძნეთში. ზოროასტრიზმის მთავარი საფუძველი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისს – სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაა. სიკეთე დასაბამს ნათელი სამეფოს ღვთაება **ორმუზდიდან** იღებს. ბოროტების საწყისი კი ბნელეთის მმართველი **არიმანია**. სიკეთე და სინათლე ადამიანს ბოროტებისა და სიბნელის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ყოფიერების აზრი და მიზანი ამ ბრძოლაში აისახება. ზოროასტრიზმის თანახმად, სახელმწიფო ორმუზდის ციური სამეფოს მიწიერი განსახიერება უნდა იყოს, მმართველი კი – ორმუზდის მსახური. ეს მან უნდა დაიცვას ხალხი ბოროტებისაგან და სახელმწიფოში სიკეთე დაამკვიდროს.

ზოროასტრიზმის თანახმად, საზოგადოების ფენებზე დაყოფა ადამიანთა თავისუფალ ნებას ეფუძნება – აირჩიოს ესა თუ ის საქმიანობა. ყველა სოციალური ფენის სათავეში ყველაზე სათნო, გონიერი ადამიანი უნდა იდგეს. ორმუხდის მსახურთ (მმართველებს) ზარათუსტრა სიყვარულის, მიმტევებლობის, მშვიდობის დამკვიდრებისა და მოუწოდებდა.

ჯერ კიდევ ჰომეროსის „ილიადა“-სა და „ოდესეა“-ში (ძვ.წ. VIII საუკუნე), რომელზეც მთელი ელადა და შემდეგ მთელი ცივილიზებული სამყარო აღიზარდა, ზევსი ზნეობრივ-სამართლებრივი კუთხითაც არის წარმოდგენილი. ის არის საყოველთაო სიმაღლის (დიკეს) უმაღლესი მფარველი და სასტიკად სჯის მათ, ვინც ძალადობას სჩადის ან უსამართლო სასამართლოს მფარველობს.

ცნებები „დიკე“ (მარადიული სიმაღლე) და „თემისი“ (სამართალი), რომელიც პირველად ჰომეროსთან გვხვდება, მნიშვნელოვანი მახასიათებელია იმ ეპოქის სამართალგააზრებაში, რომელსაც დღეს „ჰომეროსის საბერძნეთს“, „ჰომეროსის საზოგადოებას“ უწოდებენ. სიმაღლე – დიკე ჰომეროსისთვის არის სამართლის – თემისის საფუძველი.

საბერძნეთში ზნეობრივ-სამართლებრივი აზროვნება ამგვარ საფუძვლებზე განვითარდა. მის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა შვიდმა ბრძენმა: **თალესმა, პიტაკმა, პერიანდრემ, ბიანტმა, სოლონმა, კლეობულემ და ქილონმა.**

„დაემორჩილე კანონზომიერებას“ – მოუწოდებდა ხალხს სპარტელი **ქილონი**.

მისი სიტყვებია: „**ვენდოთ კანონზომიერებას და არა ორატორებს**“. დიას, ეს ის ქილონია, ვისი აზრიც, აპოლონის ტაძარზე დელფოსში ამოიკვეთა – „**შეიცან საკუთარი თავი და შეიცნობ მთელ სამყაროს**“. ამ ფრაზას დღეს მთელი ცივილიზებული სამყარო იმეორებს.

სოლონი (დაახლოებით ძვ.წ. 638-559), ცნობილი ათენელი რეფორმატორი, სახელმწიფო მოღვაწე, კანონმდებელი და პოეტი. ეს მოაზროვნე ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა. ის იყო ხიდი **დემოსსა (ხალხსა)** და დიდგვაროვანთა შორის. **ხალხმა სოლონი არქონტად (ქალაქ-სახელმწიფოებში უმაღლესი თანამდებობის პირი)** აირჩია და არისტოკრატია და **ხალხს შორის შუამავლის როლი მიანიჭა**. მან შექმნა ოთხასთა საბჭო და ამით არეოპაგი (ათენის უმაღლესი პოლიტიკური და სასამართლო ორგანო) – არისტოკრატიის საყრდენი, შეარყია. **სოლონმა საბერძნეთში ცენზირებული დემოკრატია დაამკვიდრა**. თავის ელენქებში ის წერს: „**მე, როგორც მგელი, ვტრიალებდი ძაღლთა ზრავში**“. მას საზოგადოების ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფენები ჰქონდა მხედველობაში. **სოლონი მათ შორის ჰარმონიის დამკვიდრებას ცდილობდა, რათა სახელმწიფო არ დანგრეულიყო**. მან მქონეთა და არამქონეთა შორის კაბალური დამოკიდებულება აკრძალა. **სოლონი მიხვდა, რომ სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, შიგნიდან ინგრევა და ეს ნგრევა უკიდურესად გამძიდრებულ და უღარიბეს ფენათა შორის დაძაბულობის გამწვავებით იწყება**. ამის თავიდან ასაცილებლად მან გამოსცა კანონები, რომელიც ღარიბთა მიწების შესყიდვასა და ვალის დასაფარავად თანამოქალაქეთა მონებად გაყიდვას კრძალავდა.

ხის დაფეხზე ჩაწერილი ეს კანონები, ათენის მთავარ მოედანზე იყო გამოფენილი. ეს საბერძნეთის პირველი წერილობითი კანონები იყო. ამიტომ სოლონი ბერძენ ბრძენთა შვილეულში შევიდა და მისი სახელი ისეთი მმართველის სიმბოლო გახდა, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში ბრძნული კანონები შემოაქვს, ანუ გონიერულად მართავს სახელმწიფოს.

აი, რას წერს ისტორიკოსი ჰეროდოტე სოლონის შესახებ: **სოლონის სიბრძნე საბერძნეთის ფარგლებს მისივე სიცოცხლეში გასცდა და ლიდიაშიც მიაღწია**.

ლიდიის მაშინდელი მეფე კრეზე, უმდიდრესი ადამიანი იყო (დასავლეთში დღესაც არის გამოთქმა: – „**კრეზესავით მდიდარი**“). კრეზემ მიიწვია სოლონი, აჩვენა თავისი საგანძური და ქედმაღლურად ჰკითხა:

– გინახავს ჩემზე ბედნიერი ამ მიწაზე?

სოლონმა რამდენიმე თავისი თანამოქალაქე დაუსახელა, რომელთაც პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და ამ ცხოვრებიდან უბედნიერესნი წავიდნენ.

– როგორ ბედავ ჩემს ბედნიერებასთან მათი ბედნიერების გატოლებას? – აღშფოთდა კრეზე.

– მეფეო – მიმართა სოლონმა – შენი ბედნიერება იმით გაიზომება, თუ როგორ დაასრულებ სიცოცხლეს. კრეზემ პასუხად გაიცინა.

მოგვიანებით, კრეზე სიზარბემ აიძულა სპარსეთის მეფე კიროსთან ომი დაეწყო, დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. კიროსმა მისი ცოცხლად დაწვა ბრძანა. კოცონზე კრეზეს გაახსენდა სოლონის სიტყვები და სინანულით დაიდრიალა – **ო, სოლონ! სოლონ! სოლონ!** კიროსი დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები და როცა გაიგო სოლონისა და კრეზეს საუბარის შინაარსი, ისე მოეწონა, რომ კრეზეს სიცოცხლე აჩუქა. ასე შევიდა ისტორიაში სიტყვები – **ო, სოლონ! სოლონ! სოლონ!**

როცა სოლონი დაბერდა, ძალაუფლება დიქტატორმა **პისისტრატემ** აიღო. სოლონი შეიარაღდა, დადგა თავისი სახლის წინ და განაცხადა – **მე შეძლებისდაგვარად ვიცავ სამშობლოს და კანონს.**

ამ დროისათვის მის ელევებიში ჩნდება ჩანაწერი:

ეჰ, თქვენ სასტიკად იტანჯებით, ტანჯულო ხალხო. . .
 უსუსურობით ედარებით ქარბუქში ლერწამს. . .
 ღმერთო გვიშველე! – შეპლადებით კვლავაც ჩვენს მხსნელს და
 თან მუშტს უღერებთ ხატსა თუ ეშმას. . .
 ნუ გამწარდებით საკუთარი უნიათობით,
 უსუსურობას სიკეთე ზომ არავისთვის მოუტანია. . .
 მუხლმოდრეკილნი რომ დალოდავთ ამ სამყაროში,
 თუ გაგწირეს და დაგაგლახაკეს – თქვენივე ბრალია. . .
 თქვენ მიაჩნეთ სადავენი მოძალადეებს,
 და ამ ქმედებით აღიარეთ თქვენი მონობა. . .
 ახლა გემძიმათ მონის ხვედრი, მძიმე უღელი
 ახლა ამელავნებთ „სიმტკიცეს“ და „შეუპოვრობას“?!
 გაუაზრებელ ხმაურსა და უაზროდ წუწუნს
 იქნებ გერჩიოთ დაფიქრება, მიზნის მიგნება,
 თორემ მტაცებელს, მოძალადეს თქვენი გოდება
 ვერც მისწვდება და არც მოსწყინდება . . .

(მაია შარვაშიძის თავისუფალი თარგმანი)

სოლონის აზრით:

არადვითიური კანონზომიერებიდან გამომდინარე კანონები ობობას ქსელია – სუსტი ებმება მასში, ძლიერი – გლეჯს.

როცა მნიშვნელოვანს აკეთებ, თავს ყველას ვერ მოაწონებ.

ის, ვინც ბევრისთვის საშიშია, მას ბევრის უნდა ეშინოდეს.

როგორ ამოვიძირკვოთ დანაშაული? – გააკეთე ისე, რომ დაზარალებული და არადაზარალებული ერთნაირად იტანჯებოდეს.

აქ, თითქოს საეჭვოა – „დაზარალებულის ტანჯვა“. დაფიქრდეთ!

თუ კრიმინალურმა სისტემამ გაგვძარცვა, დაგვაზარალა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვეყო გონება, თავიდანვე გაგვეაზრებინა მათი მიზნები და ვერ შევძელით ზნეობრივი ბარიერის შექმნა, ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ვერ ავიცილებთ. ჩვენც, დაზარალებულნიც ტანჯვის ღირსნი ვართ.

ახლა განვიხილოთ, რატომ უნდა დაიტანჯოს „არადაზარალებული“. სოლონის აზრით, კანონმდებლობა ისე უნდა იქნას ჩამოყალიბებული, რომ თუნდაც ერთ, უმნიშვნელო დანაშაულზე მთელი საზოგადოება იყოს პასუხისმგებელი, ვინაიდან, საზოგადოებამ მმართველად

ის ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი აირჩია, რომელმაც კრიმინალის წინააღმდეგ ბარიერის აღმართვა ვერ შეძლო. შესაბამისად, მთელი საზოგადოებაც, ანუ „არადაზარალებულიც“ უნდა იტანჯებოდეს.

არისტოტი (540–467 ძვ.წ.ა.) ბერძენი პოლიტიკური მოღვაწე და მთავარსარდალი. მან პოლიტიკური კარიერა ახალგაზრდობაში დაიწყო; გვერდში ედგა სახელმწიფო მოღვაწეს კლისფენს, რომელმაც ათენიდან ტირანების განდევნის შემდეგ დემოკრატია აღადგინა. არისტოტი სახელმწიფო შემოსავლების ზედამხედველად დაინიშნა. მან მმართველობაში მოკალათებული კრიმინალური დაჯგუფება საერთო ქონების დატაცებაში ამხილა. არისტოტი დემოკრატიის სისუსტეები ნათლად გამოაშკარავა და არისტოკრატებს მიემხრო. ამ პერიოდში ხალხმა მას ზედმეტსახელად „არისტიდ სამართლიანი“ შეარქვა. კრიმინალებმა დემოკრატიული მმართველობის კენჭისყრის პრინციპი სათავესოდ გამოიყენეს, სახალხო კრების ხმათა უმრავლესობა მოისყიდეს და სახალხო კრების გადაწყვეტილებით კრიმინალში თვით არისტოტი დაადანაშაულეს. ხალხი სამართლიანად აღშოთდა. შეშინებულმა კრებამ არისტიდის ზედამხედველის პოსტიდან გადაყენება დროებით გადადო. ამის შემდეგ არისტოტიმ ხაზინის კონტროლი შეგნებულად შეასუსტა. აღფრთოვანებულმა კრიმინალებმა სახალხო კრებაზე არისტოტი პატიოსნების განსახიერებად გამოაცხადეს და ზედამხედველობა შემდეგი ვადითაც გაუხანგრძლივეს. საზეიმო კრებაზე სიტყვით გამოვიდა არისტოტი და მთელი ათენის გასაგონად ღიად განაცხადა – როცა მე სახალხო ქონებას ვიცავდი, თქვენ ქურდად გამომაცხადეთ . . . და როცა ნამდვილ ქურდებს თავისუფლება მივეცი – პატიოსნად.

არისტოტი მოგვიანებით სამხედრო სტრატეგად დაინიშნა. იმ დროის ათენში ათი ადამიანი ინიშნებოდა სტრატეგად და სამხედრო ძალას რიგრიგობით მართავდნენ. ათენს თავს სპარსელები დაესხნენ. არისტოტიმ სტრატეგის უფლებები მიღობადს გადასცა, რადგან თვლიდა, რომ სპარსელებს ის მასზე უკეთ გაუმკლავდებოდა; მას სხვებმაც მიბაძეს. შედეგმაც არ დააყოვნა და ბერძნებმა მართაონთან ბრძოლაში, სადაც არისტოტი რიგითი ჯარისკაცი გახლდათ, სპარსელები სასტიკად დაამარცხეს.

სამხედრო ნადავლის ზედამხედველობა არისტიდს დაეკისრა და მან მოპოვებული ნადავლი სახელმწიფო ხაზინას უკლებლივ ჩააბარა. ათენელები ზეიმობდნენ და მიღობადს გამარჯვებას ულოცავდნენ. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა იყო დაღვრემილი და როცა მას ჰკითხეს რა აწუხებდა, მან უპასუხა, – მიღობადის დიდებამ მთელი ღამე არ მომასვენაო. ეს პატივმოყვარე და ამპარტყვანი ადამიანი თემისტოკლე (525 – 460 ძვ.წ. ალ.) გახლდათ. მოგვიანებით ეს ახალგაზრდა მხედართმთავარი ხდება და არისტიდის დაუძინებელ მტრად მოგვევლინება.

არისტოტი არქიტონად (ათენის მმართველი) აირჩიეს. თემისტოკლემ არისტიდის წინააღმდეგ ათენში დამკვიდრებული ოსტრაკიზმის კანონი გამოიყენა.

საბერძნეთში დემოკრატიის დასაცავად დამკვიდრებული იყო ოსტრაკიზმის (დღევანდელი იმპიჩმენტის მსგავსი) კანონი, რომლის არსიც შემდეგშია: რათა სახელმთხოვეჭილ მმართველს საკუთარი აღიარება ერთპიროვნული მმართველობის დასამყარებლად არ გამოეყენებინა, აუცილებელი იყო ასეთი მმართველის 10 წლით ათენიდან განდევნა; ამ მიზნით ათენის თავისუფალ მოქალაქეებს თიხის ფილა ურიგდებოდათ, რომელზეც იმ ადამიანის სახელი უნდა ამოეკაწრათ, ვისი განდევნაც სურდათ.

დადგა ვერდიქტის დღეც; გულდამძიმებული არისტოტი ქუჩაში გამოვიდა, მას ერთმა გაუნათლებელმა მოქალაქემ თიხის ფილა გაუწოდა და სთხოვა: ამ ფილაზე არისტოტი დამიწერეო; არისტოტიმ მიუგო, – რატომ გსურს ამ ადამიანის განდევნა, რამე დამავაო? – მოქალაქემ უპასუხა – არაფერი დაუშვებია და არც კი ვიცნობ, მაგრამ მომეზრდა სულ არისტიდ მართალი, არისტიდ მართალიო. მაშინ არისტოტიმ უსიტყვოდ შეასრულა მისი თხოვნა და ფილაზე საკუთარი სახელი ამოკაწრა.

რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ხალხს მართალი და პატიოსანი ადამიანი აღიზიანებს, „მამ შენ ჩემზე მამაცი ხარ?!“ პრინციპიდან გამომდინარე.

ათენის მოსახლეობის გადაწყვეტილება აღსრულდა – არისტოტი განიდევნა. არისტოტიმ სახალხო კრებაზე უკანასკნელი სიტყვა ითხოვა; მან დალოცა ათენელი ხალხი და უსურვა: ისე გეცხოვროთ, რომ ჩემი უკან მობრუნება არ დაგჭირვებოდეთო.

არისტიდის სურვილს აღსრულება არ ეწერა; ათენს თავს დაესხა სპარსეთი და ხალხმა კვლავ არისტიდის უხმო დასახმარებლად. არისტიდმა მოკავშირეებს მოუხმო და გაერთიანებული ფლოტით სპარსეთის ფლოტი გაანადგურა. ისევ გამარჯვების ტრიუმფი, ისევ ზეიმი . . .

სახალხო კრებაზე ფემისტოკლემ მიმართა ათენელთ: მე მაქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც ათენის ფლოტი ერთადერთი და უძლიერესი იქნება, მაგრამ ამ გეგმას ვერ გაგიმხელთ, სამხედრო საიდუმლოა და სიტყვაზე უნდა მენდოთო. მაშინ ხალხმა უპასუხა, – ჩვენ ნუ გავგიმხელთ მაგ გეგმას, მაგრამ არისტიდს უთხარი და თუ არისტიდი გვეტყვის, რომ უნდა დაგეთანხმოთ, მას ვენდობითო.

ფემისტოკლემ არისტიდი გვერდზე გაიყვანა და უთხრა, – ახლა ჩვენი მოკავშირეები დაუცველნი არიან, რადგან მებრძოლები ღრეობენ; თავს რომ დავესხათ, ჩვენ მთვრალი მოკავშირეები წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევენ; მებრძოლები გაფრუვდებიან, გემები ჩვენ დაგვრჩება და ჩვენზე ძლიერი ფლოტი არავის ეყოლებაო.

არისტიდი ხალხის წინაშე წარსდგა და მოახსენა: ფემისტოკლეს გეგმის განხორციელება ათენს მართლაც უძლიერესი ფლოტის მფლობელად აქცევს; თუმცა ამ გეგმის განხორციელებით ბერძენი ხალხი სამარადჟამო სირცხვილს მოიძიებს, რომელსაც ვერასდროს ჩამოირეცხავსო. ხალხმა ფემისტოკლეს გეგმის აღსრულებაზე მკაცრი უარი განაცხადა.

დემოკრატიული კანონების შესაბამისად, ამ უპატიოსნესმა და უნიჭიერესმა პატრიოტმა სიღარიბეში დაღლია სული.

პითაგორა (570 - 500წ. ძვ.წ.აღ.) ცხოვრობდა კუნძულ სამოსზე, განათლება ეგვიპტესა და ბაბილონში მიიღო. იგი სიმპათიური, მაღალი, ძლიერი მამაკაცი იყო. პითაგორა – მსჯელობით დამარწმუნებელს ნიშნავს.

როდესაც ტირანმა პოლიკრატემ ძალაუფლება აიღო ხელში, პითაგორამ სამშობლო დატოვა და საცხოვრებლად სამხრეთ იტალიაში გადავიდა. სწორედ აქ ჩნდება პითაგორას ჰეტერიები (საიდუმლო ფილოსოფიურ-პოლიტიკური გაერთიანებები). გაერთიანების წევრს აღიქმა უნდა დაეძლია, რომ ხუთი წლის განმავლობაში ხმას არ ამოიღებდა. ეს აუცილებელი იყო, რათა გონება მხოლოდ შემეცნებისაკენ მიმართულიყო. პირველად სწორედ აქ დაიწყო თეორიული „თანასწორობის“ გააზრება, რაც სამართალში უმნიშვნელოვანესი ცნებაა. მათი აზრით, სიმართლე, სამართლიანობა მოითხოვს – „მიეგოთ თანაბრად თანაბრად“.

ღვთაების შემდეგ, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მშობლებს, კანონზომიერებას და მისგან გამომდინარე კანონებს, მათ გააზრებითა და რწმენით უნდა დავემორჩილოთ და არა გარეგნულად, მოჩვენებითად.

პითაგორა დარწმუნებული იყო, რომ შესაძლებელია ადამიანთა ურთიერთობები დაიხვეწოს, ანარქიისაგან, ურთიერთსიძულვილისაგან გაიწმინდოს და წესრიგი და ჰარმონია დამყარდეს. **მისი აზრით, ამ ჰარმონიის მისაღწევად სახელმწიფო განათლებულ, ზნეობრივ 300 + 1000 ადამიანს უნდა ემართა.** სამწუხაროდ, არ არის შემორჩენილი ინფორმაცია, თუ ის ამ დასკვნამდე, ადამიანთა რაოდენობის ამ კონკრეტულ რიცხვამდე რა მოსაზრებით მივიდა.

საინტერესოა **ჰერაკლიტეს (530-470წ. ძვ.წ.აღ.)** პოლიტიკურ-სამართლებრივი მოსაზრებები. მას კარგად ესმოდა განვითარების დიალექტიკური კანონი (ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება). ჰერაკლიტე დარწმუნებული იყო, რომ აზროვნება ყველას ახასიათებს, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ვერ წვდება უმაღლეს ლოგოსს (ყოველისმმართველ გონს), იმ კანონზომიერებას, რომელსაც **პოლისი (სახელმწიფო)** და მისი კანონები ემორჩილება.

„ადამიანთა ყველა კანონი ღვთაებრივისაგან იკვებება, რომელიც თავის ძალაუფლებას ყველგან აგრძელებს, ყველაფერს განაგებს და ყველაფერზე მაღლა დგას“.

ადამიანთა სამართლის პირველწყაროა ღვთის სამართალი და მასში ჰერაკლიტე ლოგოსს, გონს, ბუნებას გულისხმობს.

ის დემოკრატიას აკრიტიკებს, იმ თვალსაზრისით, რომ დემოკრატია არაკომპეტენტურთ, ბრბოს ანებივრებს და მმართველობაში ზნეობრივი, განათლებული ადამიანის როლი უგულებელყოფილია.

„ჩემთვის ერთი ათიათასია, თუ ის საუკეთესოა“, რაც ნიშნავს – განათლებული, ზნეობრივი უმცირესობის ნება – უკვე კანონია.

ჰერაკლიტეს აზრით: კანონის ფორმირებისა და დამკვიდრებისათვის საყოველთაო თანხმობა და სახალხო კრება სულაც არაა საჭირო, მთავარია კანონის ლოგოსთან, ბუნების კანონზომიერებასთან თანხვედრა.

პითაგორასა და ჰერაკლიტეს იდეები ძირეულად განსხვავდებოდა მმართველთა, მდიდრების, ვაჭრების იდეოლოგიისაგან, რომელთაც დაქვეითებული აზროვნების მქონე დემოსზე, ხალხზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ.

სოკრატესა და პლატონის შემოქმედებაში ნათლად იკვეთება პითაგორასა და ჰერაკლიტეს აზროვნების არისტოკრატიული ხასიათის გავლენა.

დემოკრიტე (460-370 წ. ძვ.წ.აღ) ჩვენთვის ცნობილი პირველი ფილოსოფოსია, რომელიც ადამიანს, საზოგადოებას, სამყაროს ბუნებრივი განვითარების პროცესის ნაწილად განიხილავს.

ის ყველაფერს უსამართლოდ მიიჩნევს, რაც ბუნებრივ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. დემოკრიტე ყველა არსებულ ხელოვნებათა შორის უმაღლეს ხელოვნებად სახელმწიფოს მმართველობას აღიარებს. მისი აზრით, უდიდესი დანაშაულია მმართველ სისტემაში გაუნათლებელი მოქალაქეების აღზევება, რადგან თავხედობა და სისულელე გაუნათლებლობის თანმდევეია.

ამრიგად, ცხადია, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ადამიანთა ურთიერთობაში მეტ-ნაკლები ჰარმონიის დამკვიდრება, ღირსეული ადამიანის საკადრისი საზოგადოების, სახელმწიფოს ჩამოყალიბება მხოლოდ ღვთიური კანონზომიერებისა და მარადიული ფასეულობების გათვალისწინებითაა შესაძლებელი!

ღვთიური კანონზომიერება განსაზღვრავს სამყაროს წესრიგს. სწორედ, ღვთის კანონზომიერებას ემორჩილება მთელი სამყარო. ნებისმიერი აზრი, ქმედება, რომელიც ამ ბუნებრივი კანონზომიერების ჩარჩოს სცდება, გამოგონილი, ხელოვნურია.

ეთნოსი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო შეიძლება შეიქმნას:

1. ღვთაებრივ კანონზომიერებას დაქვემდებარებული კანონების თანახმად, რომლისთვისაც ადამიანის არსი უმაღლესი ფასეულობა, ღვთაებრივი სიკეთის ანარეკლია.

2. ხელოვნური, გამოგონილი კანონების მიხედვით, რომელიც ადამიანის არსში ღვთაებრივ ეთიკას უგულებელყოფს. ასეთ სახელმწიფოში ადამიანი უბრალოდ ცხოველად განიხილება.

სოფისტური აზროვნება.

სოფისტური აზროვნება ჩნდება ძვ.წ.აღ. V საუკუნეში (სახელწოდება სოფისტი წარმოშობილია სიტყვისაგან „სოფოს“ – ბრძენი).

სოფისტები სიბრძნის სწავლებაში ანაზღაურებას ითხოვდნენ. მდიდარი მოსწავლეების მოსაზიდად, სოფისტების მიზანს სიტყვათა მანიპულირებით დავის, კამათის უცეცხლოდ მოგება შეადგენდა. ფულმა შემოიღო ანგარება, ამიტომ მოგვიანებით სიტყვები – „სოფისტი“, „სოფისტიკა“, ოდიოზური ცნებები გახდა.

თუმცა, სოფისტები მხოლოდ მოხერხებული და მაცდური მოკამათეები, სიტყვათა და აზრთა ჟონგლიორები როდი გახლდნენ. მათ შორის გამოჩენილი განმანათლებლები, ფილოსოფიის, ლოგიკის, გნოსეოლოგიის, რიტორიკის, ეთიკის, პოლიტიკისა და სამართლის დარგებში ღრმად გან-

სწავლული, თამაზი ნოვატორებიც იყვნენ. მრავლისმცოდნე სოფისტის სახელი გაითქვა მაგ., პროტაგორამ (481-411 წ. ძვ.წ.აღ).

ეს მისი სიტყვებია – „ყოველ საგანთა საზომია ადამიანი, არსებულთა, რომ ისინი არსებობენ, არარსებულთა, რომ ისინი არ არსებობენ“. საინტერესოა მისი ნაზრები სახელმწიფოს, საზოგადოების წარმოშობაზე. მისი აზრით, ესაა პრომეთესა და ზევსის საჩუქარი, ანუ

პრომეთესაგან – უნარი მოიპოვო და დაიმორჩილო ცეცხლი, შესწვდეს ცოდნას. . .

ზევსისაგან კი – შეიგრძნო სირცხვილი, საძრახისი, სამართალი და ერთობლივი ცხოვრების უნარი.

გამოჩენილი სოფისტი ჰიპია (460-400წ. ძვ.წ.აღ) მკვეთრად განასხვავებდა ერთმანეთისაგან ბუნებრივსა და ხელოვნურ კანონებს.

მისი აზრით, მხოლოდ ღვთაებრივ კანონზომიერებას დაქვემდებარებულ სამართალს შეუძლია წინ აღუდგეს ხელოვნურ, მცდარ სახელმწიფო კანონს.

იმავე მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებრივ სამართალს სოფისტი ანტიფონტი, რომელიც ბუნებრივი კანონზომიერებიდან ადამიანთა თანასწორუფლებიანობის იდეასთან მიდის. ის მიიჩნევს, რომ:

ადამიანები არათანაბარ მდგომარეობაში არიან მათ მიერ მოგონილი კანონების გამო და არა ბუნებრივი კანონზომიერებიდან გამომდინარე.

საპირისპირო პოზიციაზე დგას სოფისტთა მეორე თაობა, მაგ., ფრასიმაქე ქალკედონელი. ის დარწმუნებულია

– პოლიტიკა ადამიანთა ძალისა და ინტერესის გამოძღვარების სფეროა და აქ კანონზომიერებას, ბუნებრივ ღვთაებრივ სამართალს არაფერი ესაქმება.

განუვითარებელ ქვეყნებში გავრცელებული მოსაზრების – პოლიტიკა ბინძური საქმეა – საფუძველიც სწორედ ესაა.

ფრასიმაქეს აზრით, პოლიტიკა არის ადამიანთა ინტერესებისა და ძალის გამოძღვარების სფერო და არა ღვთის ქმედების არეალი. რეალური პოლიტიკის კრიტერიუმია ძლიერის ნების აღსრულება“. „სამართლიანობა – ვამტკიცებ მე – ეს ისაა, რაც სასარგებლოა ძლიერი-სათვის“.

ხელისუფალი, ყოველ სახელმწიფოში, მისთვის სასარგებლო კანონებს ამკვიდრებს. დემოკრატიული ხელისუფლება – დემოკრატიულს, ტირანული – ტირანულს. და მათ მიაჩნიათ, რომ ეს კანონები სამართლებრივია.

პოლიტიკის ზნეობრივ საფუძველს ასევე უარყოფდა სოფისტი პოლ აგრიგენტელი. მისი აზრით, რადგან ადამიანთა შორის სამართალი მაინც არ არსებობს, უმჯობესია შენი ინტერესებიდან და მიზნიდან გამომდინარე, თვითონ ჩაიდინო უსამართლობა, ვიდრე შენ მოგექცნენ უსამართლოდ.

ვერაფერს იტყვი – „მშვენიერი“ ინსტრუქციაა თანამედროვე ცხოვრებაში. ეს კიდევ არაფერი, მსჯელობით ის კიდევ უფრო „მშვენიერ“ დასკვნამდეც მიდის:

„უკეთესია იყო ტირანი, ვიდრე მსხვერპლი“. „მოკალი, განდევნე – ერთი სიტყვით მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ“.

სოფისტი ლიკოფრონის მსჯელობაში კი იკვეთება სახელმწიფოს წარმოქმნის ხელშეკრულებითი თეორია, ანუ მისი აზრით,

სახელმწიფო ადამიანთა ურთიერთშეთანხმებით შეიქმნა და არა რაღაც ღვთიური კანონზომიერებით. თუმცა, ლიკოფრონი აღიარებს ადამიანთა ბუნებრივ თანასწორობას, მისთვის კეთილშობილური წარმოშობა „ცარიელი სიტყვებია“.

სოფისტთა აზრებს პრინციპულად აკრიტიკებდა **სოკრატე**, რომელიც დელფოს აპოლონის ტაძრის ქურუმ-წინასწარმეტყველმა პითიამ სიცოცხლეშივე ბრძენთა შორის უპირველეს ბრძენად გამოაცხადა. სოკრატე **აიგივებს გონიერულს, სიმართლეს და კანონს**. ეს მისთვის სინონიმებია. **განათლებულთ უნდა მართონ** – ესაა სოკრატეს მოთხოვნის არსი.

„მეფეები და მმართველები არიან არა ისინი, რომლებიც ატარებენ სკიპტრას, არა ისინი, რომელნიც არჩეულნი არიან ცნობილი გავლენიანი პირების მიერ, არა ისინი ვინც ძალაუფლება ხელში კენჭისყრით ან ძალადობით, სიცრუით ჩაიგდო, არამედ ისინი, რომელთაც შეუძლიათ მართვა“.

სოკრატეს ეს პოლიტიკური იდეალი მკვეთრად განსხვავდება, როგორც დემოკრატიის, ასევე არისტოკრატიის, ოლიგარქიისა და ტირანიის პრინციპებისაგან. ამიტომ ვერ იტანდნენ მას ვერც დემოკრატები და ვერც ტირანები. ისინი მის გავლენიან ოპოზიციურ აზრს და კრიტიკას გააფთრებით ებრძოდნენ. მისი პოპულარობის მიუხედავად, სოკრატეს ძვწ-ით 399წ. შხამით სავესე ფილის გამოცლა მინც მოუწია; მას უზნეო, გაუნათლებელმა ადამიანებმა ცინიზმით გაჟღენთილი ბრალდება წაუყენეს – ახალგაზრდების გარყვნა და ღვთაებათა უპატივისმცემლობა (სოკრატეს აზრით, ახალგაზრდობა ფილოსოფოსმა უნდა აღზარდოს და არა – ოჯახმა. აღზრდაში ოჯახის როლის შემცირება, უგუნურთა აზრით, ახალგაზრდების გარყვნას გამოიწვევდა).

იგი ბოლომდე საკუთარი პრინციპის – **ნუ დაარღვევ კანონს, უსამართლობას ნუ უპასუხებ უსამართლობით** – ერთგული დარჩა. სიკვდილით დასჯის წინა ღამეს, მეგობრების მხრიდან ციხიდან გაპარების შეთავაზებას მან უარით უპასუხა.

სოკრატემ კაცობრიობის ისტორიაში არა მარტო სწავლებითა და სიცოცხლით, არამედ სიკვდილითაც კი უდიდესი ზნეობრივი კვალი დატოვა.

სოკრატემ მის შემდგომ ფილოსოფიურ-პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა იქონია. პლატონისა და არისტოტელეს შემოქმედებაზე ეს გავლენა განსაკუთრებით შთამბეჭდავია. სოკრატეს ნააზრევს კვალი აშკარად შეიმჩნევა პლატონის ადრეულ შრომებში: „სოკრატეს აპოლოგია“, „პროთაგორა“, „კრიტონი“ და სხვა.

პლატონის აზრით, ცვლადი ადამიანური სამყაროსათვის იდეათა სამყარო მარადიულობის ღვთაებრივი ნიშნულია. ჭეშმარიტი შემეცნება ჭეშმარიტი ყოფიერების შემეცნებაა, ანუ იდეათა სამყაროს შემეცნება. და ეს მხოლოდ „იშვით ადამიანთა“ – ფილოსოფოსთა (სიბრძნის მოყვარულთა) ზვედრია. პლატონის აზრით, ფილოსოფია ბრბოსათვის მიუწვდომელია. ის მიიჩნევს, რომ

იდეალური სახელმწიფო საუკეთესოთა (არისტოკრატთა) მიერ სიმართლით (და არა სამართლით) უნდა იმართოს.

პლატონი ეთანხმება სოკრატეს: **სიმართლე და კანონი არსით ერთი და იგივე უნდა იყოს, რადგან მათ საფუძვლად ღვთაებრივი (იდეალური) საწყისი უნდა დაედოს. თუ დემოკრატია რაღაც (მმართველობის სხვა ფორმით) არაა განზავებული, უცილობლად თვრება უსაზღვრო უფლებით და ის მის საწინააღმდეგოდ გარდაიქმნება.**

პლატონის მოწაფემ და მისმა ოპონენტმა **არისტოტელემ** პოლიტიკურ-სამართლებრივი აზრი განავითარა. მას მიაწერენ სიტყვებს „**პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია**“. არისტოტელე შეეცადა დაეფუძნებინა პოლიტიკა, როგორც მეცნიერება. მისთვის პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ეთიკასთან, ზნეობასთან. პოლიტიკური მეცნიერების ობიექტი მშვენიერება და სიმართლეა. იგივე ობიექტები ეთიკაში სიკეთის სახით შეისწავლება. ეთიკა, ზნეობა პოლიტიკის საწყისია.

ეთიკური კუთხიდან პოლიტიკისათვის არსებითია, რომ პოლიტიკური სამართალი მხოლოდ თავისუფალთა და თანატოლთა შორისაა შესაძლებელი, რომელნიც ერთ საზოგადოებას

განეკუთვნებიან. ანუ ამჟღავნებული ზნეობის მქონე, განათლებულ საზოგადოებასა და უპრინციპო, განუვითარებელ ადამიანებზე პოლიტიკური სამართალი ერთნაირად არ უნდა გავრცელდეს.

სახელმწიფო ბუნებრივი განვითარების ნაყოფია, ადამიანთა ურთიერთობის შედეგი, უმაღლესი ფორმა, რომელიც ყველა სხვა ურთიერთობას მოიცავს. პოლიტიკურ ურთიერთობაში ყველა სხვა ურთიერთობა სრულყოფილი ზდება და საკუთარ მიზანს აღწევს.

ადამიანი არსით პოლიტიკური არსებაა. ადამიანის პოლიტიკური არსის გენეზისი მხოლოდ სახელმწიფოში სრულდება, ხორციელდება.

თუმცა, სამწუხაროდ, ყველა ადამიანი, ხალხი, ერი ცხოვრების მაღალი განვითარების ღონეს როდი აღწევს. მათ, ვინც დაუშვა, რომ სახელმწიფო ბუნებრივი კანონზომიერების გარეშე, ხელოვნურ, საკუთარი ერის გამანადგურებელ დამახინჯებულ სტრუქტურად ჩამოყალიბებულიყო, არისტოტელემ ბარბაროსები უწოდა. არისტოტელესათვის – „ბარბაროსები და მონები იგივეური ცნებებია“.

არისტოტელეს აზრით, სახელმწიფო არის ადამიანთა ჯგუფების გაერთიანება, ორგანიზებულია. აქ საუბარია სახელმწიფოს არა ისეთ პირველად ელემენტებზე, როგორიცაა, მაგ., ინდივიდი, ოჯახი და ა.შ. არამედ მოქალაქეზე.

სახელმწიფოს ფორმის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, ვის მიიჩნევთ მოქალაქედ.

ის სახელმწიფოს მართებულ და არამართებულ ფორმას განიხილავს.

მართებულ სახელმწიფოში მმართველები საერთო სარგებელზე ფიქრობენ, არამართებულში – მხოლოდ საკუთარ თავზე.

მართებული სახელმწიფოა მონარქიული, არისტოკრატიული და პოლიტია.

არამართებული – ტირანია, ოლიგარქია და დემოკრატია.

ის ყველაზე მართებულ ფორმად თვლის

პოლიტიკას – უმრავლესობის მმართველობას საერთო სარგებლით, სადაც ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფენების ინტერესები იქნება გათვალისწინებული, მაგ., შეძლებულთა და უქონელთა.

არისტოტელე მკაცრად აკრიტიკებს უკიდურეს დემოკრაციას, რომლის დროსაც უმაღლესი ძალაუფლება დემოსს ეკუთვნის და ყველა სიმანხვე აქედან გამომდინარეობს.

მას ყველაზე დიდ შეცდომად თანასწორობის დარღვევა მიაჩნია.

პოლიტიკური სამართლიანობა მოითხოვს ერთ შემთხვევაში რაოდენობრივ თანასწორობას, მეორეში – თანასწორობას ღირსების შესაბამისად.

პოლიტია, არისტოტელეს მიხედვით, სახელმწიფოს მმართველობის „საშუალო“ ფორმა გამოდის. აქ „საშუალო“ ელემენტი ღომინირებს. ქონება – საშუალო, მმართველობაში – საშუალონი.

არისტოტელეს შემოქმედებაში დიდი დატვირთვა აქვს ცნება საშუალოს. ის მოითხოვს, რომ ადამიანთა ურთიერთობაში ორიენტირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ საშუალოს. უფრო ნათლად – მაგ. არც თუ ისე ადვილი დასადგენია ცნებები სულგრძელობა, გულუხვობა და ა.შ. მისი აზრით, სულგრძელობა ესაა საშუალო პატივმოყვარეობასა და სულმდაბლობას შორის. სიმამაცე ესაა საშუალო უაზრო თავგანწირვასა და სიმდაბლეს შორის. გულუხვობა ესაა საშუალო გამფლანგველობასა და სიძუნწეს შორის.

„სახელმწიფო, რომლის მმართველნიც „საშუალო“ ადამიანები არიან, საუკეთესო სახელმწიფო წყობას, სისტემას ქმნის“.

გარკვეული ყურადღება უნდა დავუთმოთ არისტოტელეს თვალსაზრისის სამხედრო საქმეზე, ომზე. სამხედრო საქმის განვითარება აუცილებელია არა სხვა ხალხის დასაპყრობად, არამედ საკუთარი თავისუფლების შესანარჩუნებლად.

იმის მიუხედავად, რომ ომი მონათა მოსაპოვებლად ეფექტური საშუალებაა, ცნება მონა ომზე დაფუძნებული როდია. **მონობა არის საგანთა ბუნება.** აქ შემოდის არისტოტელეს თეზისი, რომელიც ცალკე დისკუსიის თემაა. ახლა ამ თეზისს ზედაპირულად შევხვით

— „**ძიულებულნი ვართ შევთანხმდეთ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ყველგან და ყოველთვის მონები არიან, სხვანი არსად და არასდროს არიან ასეთნი**“.

ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ ფრაზას თუ ჩაუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ **ნებისმიერი ჩვენგანი ან მონაა, ან — თავისუფალი.** არისტოტელეს აზრით,

თუ სუბიექტს პოლიტიკა არ აინტერესებს, ის უკვე მონაა.

და ასეთები ჩვენში ახლაც ბევრია. რამდენჯერ მოგვისმენია ფრაზები — „**პოლიტიკა ბინძური საქმეა. . .**“ და „**მე პოლიტიკა არ მაინტერესებს. . .**“

არისტოტელეს უკვირს, როგორ არ უნდა აინტერესებდეს ინდივიდს ის, რაც მის ცხოვრებას განსაზღვრავს, ანუ სახელმწიფო და პოლიტიკა, რაზეც არა მარტო მისი კეთილდღეობა თუ უბედურება, განვითარება თუ დაქვეითებაა დამოკიდებული, არამედ მისი ყოფნა-არყოფნაც კი.

ყოველივე ეს არ აინტერესებს ცხოველს, მაგ., ხარს, რომელიც იმითაც კმაყოფილია, რომ მთელი დღის მუშაობის შემდეგ, საღამოს გომურში შეიყვანენ და საკვებს მისცემენ. ხარს ძროხისა და ბალახის მეტი არაფერი აინტერესებს. ხარი და მონობა ბუნების კანონზომიერებაში ეწერება.

აქედან, არისტოტელეს ფორმულა — **ადამიანი არის პოლიტიკური არსება.** ანუ, თუ მას ცნება პოლიტიკას ჩამოაცილებთ, მონას მიიღებთ.

ამრიგად — არსებობენ გონიერი ადამიანები, არისტოკრატები, თავისუფალნი, დაბადებიდან კეთილშობილნი და ყველა დანარჩენი — მონები.

არისტოკრატი, ანუ თავისუფალია ადამიანი, თუ მას განსჯა და შემოქმედება ხელეწიფება.

მონაა — თუ მხოლოდ სხვისი განკარგულების აღსრულება შეუძლია და განსჯისა და შემოქმედების უნარი არ გააჩნია.

არისტოკრატი მუდამ არისტოკრატია, მონა — მუდამ მონა.

აქ ჩნდება გაურკვევლობა: მაგ., არსებობს სახელმწიფო, ქვეყანა, სადაც ცხოვრობენ არისტოკრატები. არის მეორე ქვეყანა და მასაც ჰყავს თავისი არისტოკრატია. პირველმა ძალადობით, ანუ ომით დაიპყრო მეორე ქვეყანა და მისი არისტოკრატია აქცია მონად. გამოდის, რომ შეიძლება არისტოკრატიც მონა გახდეს.

არისტოტელე ამ დასკვნას სასტიკად ეწინააღმდეგება. ის ასე მსჯელობს: დამარცხებული ქვეყნის არისტოკრატი არისტოკრატად არ ჩაითვლება, რადგან მან პოლიტიკა ღრმად ვერ გაიაზრა, არ დახვეწა, მოსალოდნელი სამშრობოა წინასწარ ვერ გაითვალისწინა. შესაბამისად, ეს მან დაუშვა, რომ ვიღაც დამპყრობელს დაემონებინა, ე.ი. ის გაუაზრებელი, განუვითარებელი მონაა, თუმცა, ამას ვერ ხვდება და საკუთარ თავს არისტოკრატს უწოდებს. ნამდვილი არისტოკრატი თავის ქვეყანაშიც არისტოკრატია და სხვაგანაც. მოჩვენებითი არისტოკრატი მხოლოდ თავის ქვეყანაშია ღრობით „არისტოკრატი“, ანუ პოტენციური მონაა. ასეთ, პოლიტიკურად განუვითარებელ ქვეყნებს არისტოტელე ბარბაროსულს უწოდებს. გამოდის, რომ ომი და ზოგადად ძალადობა, მონობისათვის ახალ სამართლებრივ საფუძველს არ ქმნის, არამედ მხოლოდ მონათა გამომჟღავნების საშუალებაა.

ომი მონათა გამოძვლანების საშუალებაა და მონას ოდესმე აუცილებლად გამოუჩნდება მბრძანებელი პატრონი.

ამ ხედვის კუთხით ომი ჩვეულებრივი „ნადირობა“ ბუნებაში არსებულ გარეულ ცხვრებსა, ძროხებსა და ხარებზე.

დასკვნა — მონობა ბუნების არსში დევს. ერთნი მონები არიან ყველგან, სხვანი არსად არიან ასეთნი.

არისტოტელეს აზრით, ბუნებრივი სამართალი ჩვენ გარეშეც არსებობს.

ის სამართალი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და არაა დამოკიდებული იმაზე, ჩვენ მას ვცნობთ, ვადიარებთ თუ არა — ბუნებრივი სამართალია. ყველა დანარჩენი — პირობითი, ანუ ხელოვნური სამართალი, რომელსაც მოგვიანებით პოზიტიური, ანუ მოქმედი სამართალი უწოდეს.

ძვ.წ.აღ. IV საუკუნის უკანასკნელ მესამედში საბერძნეთი კარგავს თავის დამოუკიდებლობას და ჯერ მაკედონიის, ხოლო შემდეგ რომის იმპერიის დაქვემდებარებაში ექცევა. II საუკუნის შუა პერიოდში თვით მაკედონია რომის იმპერიის პროვინცია ხდება. ამ დამამცირებელი პერიოდში მისთვის მახასიათებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისი ყალიბდება.

ეპიკურე (341-270 წ. ძვ.წ.აღ.). მისი ეთიკის ძირითადი ფასეულობებია მიზანდაკარგული ადამიანის მოთხოვნილება — კმაყოფილება, ინდივიდუალური თავისუფლება (საკუთარი ცხოვრების წესის არჩევა) და სულის უშფოთველობა. მისი შემოქმედების მთავარი მახასიათებელი მოტივი აპოლიტიკურობაა: „საჭიროა ყოველდღიური საქმეებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ლაგამისაგან გათავისუფლება“.

თუმცა, ისიც კი წინააღმდეგია უკიდურესი დემოკრატიისა. „მე არასდროს ვცდილობდი ბრბოსათვის მომეწონებინა თავი. მე ვერ ვისწავლე ის, რაც მათ მოსწონთ. ის, რაც ვიცოდი, შორსაა მათი გრძნობებისაგან“.

საბერძნეთში იბადება კიდევ ერთი ფილოსოფიური მიმართულება — **კინიზმი**. მისი დამაარსებელია სოკრატეს მოწაფე **ანტისტენე (450-360 წ. ძვ.წ.აღ.)**.

მან თავისი სკოლა ჩამოაყალიბა კინოსოფიის გიმნაზიაში. აქედან, მისი ფილოსოფიური მიმართულების სახელწოდება. (კინე — ბერძნულად ძაღლს ნიშნავს). კინიზმი, პირდაპირი მნიშვნელობით, ნიშნავს — „ძაღლური ფილოსოფია“. ანტისტენეს აზრით, (სოკრატეს ცხოვრების წესიდან გამომდინარე), ადამიანი ჭეშმარიტად თვითკმარი და თავისუფალი იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს, თუ თავის მოთხოვნილებებს მინიმუმამდე დაიყვანს.

მაკედონელის თანამედროვე იყო **დიოგენე სინოპიელი** (გარდაიცვალა დაახლოებით 325 წ. ძვ.წ.აღ.) სწორედ ის, რომელიც თიხის კასრში ცხოვრობდა და კინიზმის სიმბოლო გახდა. ის ხელმძღვანელობდა სამი მორალური მაქსიმით: ალეთია (თავისუფლება), ასკეზა (თვითაღზრდა, ფიზიკური დატვირთვა, განცხრომბა უარყოფა) და ევთარკია (თვითკმარობა, ანუ იკმარე ის, რაც გაქვს, ნუ ეძებ მეტ სიკეთეს). ბერძნებმა დიოგენეს ძაღლთან ერთად დაუდგეს ძეგლი, რათა „ცხოვრების უბრალო გზის“ ჩვენებისათვის მაღლიერება გამოეხატათ. ასეთი ფილოსოფიის მიუხედავად, ბატონი დიოგენე ახალგაზრდობაში ყალბ ფულს ჭრიდა. მოგვიანებით, მან განაცხადა, რომ ამას არა გამდიდრებისათვის, არამედ ამ ცხოვრებაში საკუთარი დანიშნულების გასარკვევად აკეთებდა (საინტერესო ახსნაა არა?).

ჩვენი აზრით, კინიზმი არასრულყოფილ ფილოსოფიურ სისტემად, მიმართულებად მიიჩნევა. ლათინურად კინიკი გამოითქვა, როგორც ცინიკი; აქედან სიტყვა — ცინიზმი.

სტოიციზმის, როგორც ფილოსოფიური მიმართულების ფუძემდებელია **ზენონი (336-264 წ. ძვ.წ.აღ.)**. „სტოიციზმი“ — ძველბერძნული სიტყვიდან სტოა (არქიტექტურული დეტალი). პირველი სტოიკოსები ათენის გალერეაში, თალებქვეშ იკრიბებოდნენ. მოგვიანებით ეს მოძღვრება გაითავისეს

პლუტარქე, ციცერონმა, სენეკამ, მარკუს ავრელიუსმა. მათი აზრით, სამყაროს სხეული შედგება ცეცხლის, ჰაერის, მიწის და წყლისაგან. სამყაროს სული კი არის ცეცხლისა და ჰაერის პნემა (ანუ, ასე ვთქვათ „სუნთქვა“, რაც ცეცხლისა და ჰაერის ენერგიის რეალიზებას ახერხებს).

ანტიკური ტრადიციიდან გამომდინარე – ცეცხლი (ენერგია) ძირითადი სუბსტანციაა, ის ყველაზე გამჭოლი, სიცოცხლისუნარიანია. ამიტომ მთელი კოსმოსი, მათ შორის ადამიანიც ცეცხლოვანი ორგანიზმია საკუთარი კანონებით (ლოგოსით) და ცვალებადობით.

სტოიკოსების მთავარი ამოცანაა კოსმოსში ადამიანის ადგილის მოძებნა. მათი აზრით – „ბუნებრივი კანონი ღვთაებრივია და ისეთ ძალას ფლობს, რომელიც ყველაფერ მართებულს განკარგავს და ყველაფერ საწინააღმდეგოს კრძალავს“.

ისინი ადამიანთა ერთმანეთისაკენ ბუნებრივ ლტოლვას, აქედან გამომდინარე, ადამიანთა ბუნებრივ კავშირებს და შესაბამისად, სახელმწიფოს შექმნას აღიარებენ.

ამრიგად, სახელმწიფო არის ბუნებრივი წარმონაქმნი და არა რაღაც ხელოვნური, პირობითი ხელშეკრულების პროდუქტი.

სტოიციზმი შიშველ დემოკრატიას უარყოფს და შერეული მმართველობის ფორმას ემხრობა, როგორიცაა მაგ., **მონარქია და დემოკრატია, ან დემოკრატია და კეთილშობილთა ერთობა.** ისინი მონობას ეთიკური და სულიერი კუთხით განიხილავენ და არა სოციალურ-პოლიტიკური ასპექტით.

ასევე საინტერესოა ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის და პოლიტიკური მოღვაწის **პოლიბიუსის** (210-123 წ. ძვ.წ.აღ.) ნააზრევით. პოლიბიუსი თავის შრომაში „ისტორია ორმოც წიგნში“ ამტკიცებს:

– დემოკრატიის დროს ბრბო სხვის ხარჯზე მათხოვრული ლუკმის მიღებას და უბადრუკ ცხოვრებას თანდათან ეჩვევა, ყველას ენდობა, ვინც ოდესმე რამეს მიუგდებს. ამით ნებისმიერი თავხედი დემაგოგი, აფერისტი სარგებლობს, ხოლო თვით ბრბოს კი სახელმწიფო საქმეები, პოლიტიკა არ აინტერესებს.

შესაბამისად, დემოკრატიაში ისეთი რამ დევს, რაც მის თვითგადგეარებას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში, „სახელმწიფო უკეთილშობილესი სახალხო მმართველობის სახით ინილება, რეალურად კი ის ყველაზე ცუდ სახეს იღებს, რაც საერთოდ შეიძლება სახელმწიფომ მიიღოს“.

ძველებრივი გააზრებები სახელმწიფოსა და სამართალზე გადადის ანტიკურ რომში. ეს ნათლად ჩანს დიდი ორატორის, პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის **მარკუს ტულეუს ციცერონის** (106–43 წ. ძვ.წ.აღ.) შემოქმედებაში. კერძოდ, იკვეთება **პლატონის, არისტოტელეს** და სტოიკოსების გავლენა. ის, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, ყოველივე ამას რომაულ ტრადიციებთან ჰარმონიაში განიხილავს.

სახელმწიფოს (**res publica**) ციცერონი განმარტავს, როგორც საზოგადო საქმეს, ხალხის საქმეს, მონაპოვარს. იმავდროულად ის ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე:

“**ხალხი, ეს არაა ადამიანთა ნებისმიერი ნაკრები ნებისმიერი სახით, არამედ ეს მრავალადამიანთა ერთობაა, რომელნიც ერთმანეთთან სამართლებრივ საკითხებში თანხმობით არიან დაკავშირებულნი და საერთო საზოგადოებრივი ინტერესები ამოძრავებთ“.**

ამით ის „სამართლებრივი სახელმწიფოს“ იდეას უყრის საფუძველს. ციცერონისათვის სახელმწიფო ბუნებრივი წარმონაქმნია, რომლის წარმოშობა ადამიანთა თანაცხოვრების თანდაყოლილ მოთხოვნილებას უკავშირდება. ის იმ დროს მოდაში შემოსულ ხელშეკრულებით თეორიას უარყოფს.

“**სახელმწიფო და სამართალი არსით, ღვთაებრივ, ბუნებრივ ხასიათს ატარებს და საყოველთაო გონსა და სამართლიანობას ემყარება. ბუნების ზოგად გააზრებას, შესწავლას მიჰყავართ დასკვნამდე, რომ „მთელ ამ სამყაროს გონი მართავს“.**

მანამდე, იმავე დასკვნამდე მივიდა ბერძენი ფილოსოფოსი ანაქსაგორა. ციცერონის ადამიანს აქვს გონის „თანდაყოლილი ბუნებრივი თესლები“, სიმართლის შეგრძნება, ღვთაებრივი საწყისის წვდომის უნარი.

ციცერონის აზრით, „გონის ბატონობისას არც ჟინიანობისთვის, არც მრისხანებისთვის, არც გაუაზრებელი ქმედებისთვის რჩება ადგილი“.

ის განიხილავს მმართველობის სამ ფორმას – მონარქიულს, ოპტიმატების (არისტოკრატიის) და სახალხო მმართველობას (დემოკრატიას). ყველა ეს მარტივი სახელმწიფოებრივი ფორმა მისთვის არასრულყოფილია, მაგრამ ადამიანისათვის ასატანი. თითოეულს აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

არჩევანის შემთხვევაში, ციცერონისთვის მისაღება მონარქიული წყობა, დემოკრატიას კი ამ სამიდან ყველაზე არასრულყოფილად მიიჩნევს.

მისთვის მისაღება, რაღაც შერეული ფორმა: „**რაოდენ სამართლიანად და ზომიერადაც უნდა მოგერვნოთ, როდესაც ყველაფერს ხალხი წყევტს, აქ თვით თანაბრობა მაინც არასამართლიანია, რადგან ამ დროს საზოგადოებაში გონებრივი და ზნეობრივი იერარქია გათვალისწინებული არ არის**“.

აქედან პირდაპირი, „მოლიბული“ გზა უბედურებისაკენ, ანუ „ბრბოს უგუნურობისა და თავნებობისაკენ“. საჭიროა შერეული (და არა მარტივი) სახელმწიფოებრივი ფორმა,

„რადგან სასურველია სახელმწიფოში იყოს რაღაც ელიტარული და გამორჩეული, რომელიც ძალაუფლების ნაწილს მაინც ამალგებული აზროვნების მქონე ავტორიტეტულ ადამიანთა ჯგუფს გადასცემს, რაღაც ნაწილი კი ხალხის ნებამ უნდა განსაზღვროს“.

რომის რესპუბლიკა ციცერონის დროს ღრმა კრიზისის განიცდიდა და თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ძალაუფლება ცალკეულ ადამიანთა ხელში გადადიოდა; ამას ნათლად მიუთითებდა სულას, პომპეუსის, კეისრის, ანტონიუსის, ოქტავიანეს და სხვათა ქვენაგრძნობების აღზევებისას ჩამოყალიბებული ავტორიტარული რეჟიმები. ჰორიზონტზე რომის იმპერიის დაცემა უკვე ნათლად ჩანდა. ციცერონმა რულუსი, კატილინა და კლავდიუსი ამხილა. „კატილინას შეთქმულების“ ჩახშობის შემდეგ ციცერონს სახალხო კრებამ „მაშულის მამის“ ტიტული მიანიჭა. ეს მოხდა 63 წ.-ს ძვ.წ.აღ.-ით. როცა ტრიუმვი კლავდიუსი გახდა, ციცერონი იძულებული იყო რომიდან გაქცეულიყო (ძვ.წ.აღ. 58 წ.). ის 17 თვის შემდეგ დაბრუნდა, როცა კლავდიუსის გავლენა შესუსტდა. 50-იან წლებში ციცერონი ტრიუმვირატის ე.ი. პომპეუსის, კეისრის, კრასუსის წინააღმდეგ ილაშქრებდა. კეისრის რეჟიმის დამყარებას მან „რესპუბლიკის ღამე“ უწოდა, ხოლო იულიუს კეისრის მკვლელობას (44 წ. ძვ.წ.აღ.), მისი პოლიტიკის დასრულებას, დადებითი ვერდიქტი გამოუტანა.

ციცერონი შეთქმულთა რიგებში არ იყო, როდესაც კეისრის მკვლელობის შემდეგ შეთქმულნი სენატის შენობაში შეკვიდნენ. ისინი თავისუფლების აღდგენის ნიშნად, რესპუბლიკას ან თავისუფლებას კი არა, „**ციცერონი, ციცერონი**“ გაჰყვიროდნენ, რადგან **ციცერონი თავისუფლების სიმბოლო იყო**. შეთქმულნი ციცერონს თავიანთ იდეოლოგიად მიიჩნევდნენ. ციცერონი ანტონიუსი-ოქტავიანე-ლეპიდუსის ტრიუმვირატსაც ასევე ებრძოდა. ტრიუმვირატის გამარჯვების შემდეგ ციცერონი პროსკრიპციის სიაში შეიტანეს. ეს კანონგარეშე პერსონას ნიშნავს და ეს კანონი გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. ძვ.წ.აღ.-ის 43 წელს, 7 დეკემბერს ციცერონს თავი მოჰკვეთეს.

ჩემი აზრით, რომის იმპერიის შეუქცევადი დასასრული ამ დღეს დაიწყო.

ციცერონის აზრით, პიროვნება, რომელიც სახელმწიფოს განკარგავს, ანუ ძალაუფლებას ფლობს, აუცილებლად ბრძენი, სამართლიანი, თავშეკავებული და კარგი ორატორი უნდა იყოს, რადგან, თუ რამის თქმა გასაგებად არ შეგიძლია, ის შენ უბრალოდ არ იცი. მმართველი კარგად უნდა იცნობდეს სახელმწიფოს მართვის თეორიას და **„ფლობდეს სამართლის საფუძვლებს, რომლის**

გარეშე ის ვერ შეძლებს იყოს სამართლიანი“. ციკერონი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სახელმწიფო სამართლის საფუძველი ბუნებაში არსებული სამართალია (ბუნების კანონზომიერება).

სიმართლე – ეს მუდმივი, უცვლელი, ზოგადად ბუნების და, კერძოდ, ადამიანის ბუნების განუყოფელი თვისებაა.

ბუნებრივი სამართალი ციკერონისთვის არის „ჭეშმარიტი კანონი – გონივრულობა, რომელიც ბუნებას შეესაბამება, ყველა ადამიანზე ვრცელდება, მდგრადი და მუდმივია. ის მოგვიწოდებს, გვიბრძანებს, მოვიხადოთ ადამიანური ვალი. თუ აუცილებლობა არ მოითხოვს სისასტიკეს კრძალავს, მისგან გვიცავს, ხოლო პატიოსან ადამიანს არც უბრძანებს, არც უკრძალავს. უნაბუხრო მის ზემოქმედებას არ განიცდის. ამ კანონის სრული ან ნაწილობრივად აკრძალვის ყოველგვარი მცდელობა მკრეხელობაა. მისი ქმედების ნებისმიერი შეზღუდვა დაუშვებელია; მისი სრული აკრძალვა შეუძლებელია და არც სენატის დადგენილებით, არც ხალხის დადგენილებით ამ კანონისაგან გათავისუფლება არ შეგვიძლია“.

„ის თითოეულს საკდრისის მიუზღავს და ადამიანთა შორის თანაბრობას იცავს“.

„ეს კანონი უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ნებისმიერი დაწერილი კანონი და მანამდეც კი არსებობდა, ვიდრე თვით სახელმწიფო წარმოიქმნებოდა“.

სახელმწიფო, თავისი არსით, უნდა იყოს ამ ჭეშმარიტების განსახიერება, ანუ იმის განსახიერება, რაც თავისი ბუნებით სიმართლე და სამართალია.

სამართალი არ უნდა იყოს დამოკიდებული ადამიანთა აზრსა და შეხედულებებზე. მას ბუნება ქმნის და არა ადამიანთა გადაწყვეტილებები და დადგენილებები.

„სამართალი ხალხის გადაწყვეტილებით რომ იქმნებოდეს, სამართალს ძლიერნი ამატყევენისანი რომ ამკვიდრებდნენ, სამართალი მოსამართლეთა განაჩენით რომ ღვინდებოდეს და ქმედებაში შედიოდეს ბრბოს კენჭისყრითა თუ გადაწყვეტილებით, მაშინ იარსებებდა ყაჩაღობის სამართალი, გარყვნილების სამართალი, ყალბი ანდერძის სამართალი . . .“

რაც ჩვენ დღეს რეალურად გვაქვს.

ამიტომ, კანონი, რომელსაც ადამიანები აყალიბებენ, ბუნების კანონზომიერებას, წესრიგს არ უნდა არღვევდეს და სამართალს – უსამართლობისგან, სიკეთეს – ბოროტებისგან, ნაბუხროს – უნაბუხრობისგან არ უნდა ქმნიდეს.

ადამიანთა კანონების (პოზიტიური სამართლის) თანხმობა ან ბუნებასთან შეუთავსებლობა (ბუნებრივ სამართალთან), მათი სამართლიანობისა და უსამართლობის კრიტერიუმი და საზომია.

ციკერონის აზრით, „... ის, ვინც გონივრულად მბრძანებლობს, ადრე თუ გვიან იძულებულია მორჩილი გახდეს, ხოლო ის, ვინც მორჩილია, ღირსია იმისა, რომ ადრე თუ გვიან მბრძანებლობა დაიწყოს“.

ციკერონის შემოქმედებითაა შემკვიდრებამ დიდი გავლენა იქონია შემდგომი პერიოდის ადამიანთა კულტურაზე. თვით ციკერონი კულტურას უდიადეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით, კულტურა ის ფენომენია, რომელსაც ფილოსოფია ვერ ამოწურავს. მართლაც, სიტყვა „კულტურა“ ლათინურად, პირდაპირი მნიშვნელობით – გაუმჯობესებას, განათლებას, რაღაცის სრულყოფას ნიშნავს. კულტურა – ყველაფერი ისაა, რაც შექმნილია ადამიანის მიერ ღვთის მადლით, რაც ადამიანს ამაღლებს არა მარტო ბიოლოგიურ ბუნებაზე.

ციკერონის შრომები არა მარტო თანამედროვეთა ყურადღების ცენტრში იყო, არამედ ქრისტიანი მოაზროვნეებიც (ლაკტანციუსი, ავგუსტინე და სხვ.) უდიდესი ინტერესით სწავლობდნენ. ციკერონს უდიდეს სულიერ წინაპრად და გამორჩეულ ჰუმანისტად აღიარებდნენ. საფრანგეთის რევოლუციონერებმა მისი ავტორიტეტი საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენეს. მისი შრომებით დასავლე-